ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 6 სექტემბერი 2013 | №18 (200)

ჯემალ ფოცხვერიას ცხოვრების აღმართი
კარლო ფაჩულიას სიყმაწვილის ქუთაისი
მიხეილ ანთაძე მიხაილ ბულგაკოვზე
ნიკო ნიკოლაძე და ძმები ნობელები
იცოდა ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით
ინტელექტუალ-ტერორისტები
ცირა ყურაშვილის ჩანახატები
გამოფენა გამოფენისათვის?!
ჰაინრიხ ბიოლის ნოველები
ირაკლი სამსონაძის პიესა
იოსებ ჭუმბურიძის ესეი
დალი კახიანის ლექსები

შინაარსი

ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	2	ვაჟა შუბითიძე ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმებ ნოგელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან
ლიტერატურული ცხოვრება	4	იოსებ ჭუმბურიძე ორივე — დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, უფრო იქითაც... (ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი“ და როსტომ ჩხეიძის „ქართული დუელიანა“)
ექსპრეს-ინტერვიუ	6	სონია ქართველიშვილი „სიყვარული ყველაზე დიდი სათნოებაა“ (მოამზადა ნატა ვარადამ)
დრამატურგია	8	ირაკლი სამსონაძე მეთევზე ერთი, ორი...
პოეზია	14	დალი კახიანი წამოდგა ზეზე მზე და სხვა ლექსები
უცხოეთის ცხოვრებიდან	17	მიხეილ ანთაძე სამი სხვადასხვა ისტორია სამი სხვადასხვა კაცის შესახებ, ერთი შეხედვით
ბედი კაცისა	20	ბაკურ გეგია ამერიკული გალია და მოშუშებული ნატყვიარები
კულტურული ცხოვრება	29	ლეილა ნანიტაშვილი გამოფენა გამოფენისათვის?!
მოგონებათა სკივრი	32	ეკა ბუჯიაშვილი მე, ბებია, ჩემი ძმა და კიდევ... რიონი (კარლო ფაჩულია)
კრიტიკა	36	მიკო ჭანისპირელი ჭეშმარიტების ძიების მიზანი — გაღმა ნაპირი (ზურაბ ლავრელაშვილის „ქალაქი მტვერში“)
	38	სალომე კაპანაძე იცოდა ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით (ორიოდე სიტყვა ჯემალ ფოცხვერიას წიგნზე „შავი სათვალე ეკეთა“)
	39	მაია ჯალიაშვილი გულის ძახილი (ფიქრები ჯემალ ფოცხვერიას წიგნზე „ჩემი ცხოვრების აღმართი“)
წარსული მომავლისათვის	41	თამაზ ნატროშვილი მამაცი და უბედური მეფე (თეიმურაზ პირველი)
უბის წიგნაკიდან	47	ცირა ყურაშვილი ორი ჩანახატი
წუთები და წლები	48	როსტომ ჩხეიძე და სიყვარულის ასე მოთმენა (ავქსენტი ცაგარელის ბიოგრაფიული ნატეხები)
უცხოეთის გზებზე	59	გიორგი ბერშტეინი (ქიტიაშვილი) იად ვაშემი — ადგილი, სადაც ებრაელთა გენოციდისთვის მსოფლიო გოდიშს იხდის
უცხოელის თვალით	60	რუსუდან დარჩიაშვილი ფუნე ნედაის ერთი (თბილისური) საღამო
პოეზიის მერიდიანები	62	ფუნე ნედაი შენი სურნელი და სხვა ლექსები
ახალი თარგმანები	65	ჰაინრიხ ბიოლი ორი ნოველა
ნაკვესები	69	მახვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	71	ინტელექტუალ-ტერორისტები

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 20 სექტემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ფუნე ნედაი

ვაჟა შუბითიძე

ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება

ძმები ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან

დღეს, როცა მთელი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში მტკიცედ ებრძვიან მონოპოლიების წარმოქმნას და ამ მხრივ საქართველოს ახალი ხელისუფლებაც აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს, უთუო ინტერესს იწვევს უდიდესი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმები ნობელების (ერთ-ერთის — ალფრედის — სახელს დღეს ატარებს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი პრემია) მიერ შექმნილ ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მონოპოლიასთან.

130 წლის წინათ, 1882 წლის 28 აგვისტოს ნიკო ნიკოლაძემ მოხსენება გააკეთა რუსეთის სამეცნიერო — ტექნიკური საზოგადოების წევრთა ყრილობის IV განყოფილების სხდომაზე, რომლითაც იგი აშკარად დაუპირისპირდა ძმები ნობელების კომპანიას, რომელმაც ბაქოს ნავთობის გატანის მონოპოლია იგდო ხელთ და სერიოზულ ზიანს აყენებდა სხვა, განსაკუთრებით კი ადგილობრივ კომპანიებს (ეს მოხსენება სახელწოდებით „ვ.ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო“, ინახება ნიკო ნიკოლაძის არქივში X-25-1, 26-14, დაიბეჭდა თხზულებათა VIII ტომში, 2003 წელს).

დასაწყისში ქართველი მოღვაწე მიუთითებს, რომ ბაქოს ნავთობისა და მისი დერივატების გატანა დღითიდღე იზრდება, მაგრამ ასეთი სიმდიდრით გიგანტური სარგებლობა სრულიად არ იგრძნობა ადგილობრივი მოსახლეობის, მშრომელი ხალხისა და თვით მეწარმეთა ცხოვრებაში. იმის კითხვა — სად მიდის ამ ნაქები წარმოების სიმდიდრის რეზულტატი, მოგება? აქვე მოაქვს ბაქოს ნავთობის წარმოების შედარება ამერიკის ნავთობის საქმესთან: „შეხედეთ, რამდენი მსხვილი და კოლოსალური კონკურენცია წარმოიშვა იქ, ნავთობის რამდენი ლორდი გაჩნდა, რომელთაც ნამდვილი სიმდიდრე დააგროვეს?“ სვამს კითხვას: სად არიან ბაქოს ნავთობის ლორდები? სად იმალება მათი კეთილდღეობა? და იქვე პასუხობს, რომ ამ „ლორდებმა“ ჯერ მხოლოდ ვალები მოაგროვეს და ოფლში გაქაფულნი ძლივს ახერხებენ ამ ვალების პროცენტთა გადახდას. ამას რუსული პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების გავლენით ხსნის, რომელთა გამოც რუსეთში ყველაფერი, რაც უნდა აიღოთ, მაიორატსა და მონოპოლიაში გადაიზრდება.

ბაქოელი მრეწველები იძლებულნი არიან შესანიშნავი პროდუქცია, რაც ქარხნებს მეტისმეტად ძვირი დაუჯდათ, ნახევარ ფასად გაასაღონ, ვინაიდან მისი ადგილიდან დასაძვრელად ყველა გზა გადაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო მისი გასაღები „ერთ ფირმას“ ჩაუვარდა ხელთ... ეს ფირმა ძმები ნობელების ამხანაგობაა, — წერს იგი.

იგი ინტერესდება და იკვლევს, თუ როგორ მოხვდა მათ ხელში ნავთობის საქმის გასაღები. მისი აზრით, არცერთი წარმოება არ შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, თუ თავს მოვახვევთ მიმოსვლის საშუალებათა მოწყობასა და შენახვასაც: „განა ჩვენი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ან მეღვინეობა განმტკიცდებოდა, სოფლის მეურნეობა რომ თვითონვე ყოფილიყო ვალდებული გაეკაფა თავისთვის გზა მთავარი სამომხმარებლო ბაზრებისაკენ? ამ გზების გაყვანა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა საქმეა, რადგან კერძო პირის ხელში ის აუცილებლად ქმნის მონოპოლიას, რაც ყოველგვარ წარმოებას კლავს (მონოპოლია წარმოებაში კი არ აღმოცენდება, არამედ გადატანის დროსო) — ჩვენ საშუალება მივეცით ჩვენსავე თავს კერძო საზოგადოებას ჩავვარდნოდით ხელში, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ სახელმწიფომ მაშინვე არ შეასრულა იმ ამოცანათა ნაწილიც კი, რომელიც უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა. როდესაც საჭირო იყო თანხა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ჩამოსასხმელი ვაგონებით გასაზრდელად, ხოლო ვოლგასა და კასპიის ზღვაზე ასევე ჩამოსასხმელი გეგმები, ყველა მექარხნეს, ვისაც კი მისწვდა, ნობელმა (ლუდვიგმა-ვ.შ.) თავისი სამსახური შესთავაზა. რა საჭიროაო, ამბობდა ის, ახალი ხარჯები, რისთვის უნდა გავზარდოთ რკინიგზისა და გემთა საზოგადოების საობლიგაციო კაპიტალი? ეს ხომ ტვირთად აწვება სახელმწიფო სახსრებს, გარანტიის დანამატს. მე ვიკისრებ ყველა ამ ხარჯს, მე თქვენ შემოგიყვანთ შესანიშნავ გემებს, ბრწყინვალე ვაგონცისტერნებს და ეს სახელმწიფოს კაპიკი არ დაუჯდება... ჩვენ მოგვეწონა ასეთი კეთილისმყოფელი და პირდაპირ წინ დავუდგით ტაბლა. ამიტომ შეძლო მან ასე ადვილად მილიონების მოხვეჭა; მაგრამ ცნობილია, თუ ვინმეს ჯიბეში მილიონს დავინახავთ, თუნდაც სიზმრად, მაშინვე ფარ-ხმალს ვყრით მის წინაშე. ხედავთ — ეს ძალაა! ყოველგვარი ძალის წინაშე ქედის მოხრის თანდაყოლილი თვისების გამო ჩვენ მალე ვიქეცით ყურმოჭრილ მონებად“.

ნიკო ნიკოლაძე ეჭვის თვალით და ირონიით უყურებს ასეთი ხელოვნური გზით შექმნილ ავტორიტეტებსა და კერპებს; „ბ-ნმა ნობელმა ჩვენში ნავთობის საქმე განავითარაო, ნავთის პროდუქტები საზღვარგარეთ გააქვს; მან შეავიწროვა ამერიკული ნავთი და სწორედ ასეთი ხალხი გვჭირდებაო !.. ბატონებო! მძიმე გრძნობა ეუფლება ადამიანს, როდესაც იგი აშკარად ხედავს ასეთ ბრმა მორჩილებას მთელი საზოგადოებისას მის მიერ თიხისგან შექმნილი კერპისადმი! მაგრამ კიდევ უფრო უსიხარულოა ეს გრძნობა, როდესაც ხედავ, რომ ამ კერპს ემორჩილება და თაყვანს სცემს არა მხოლოდ ბნელი მასა, არამედ მეცნიერებისა და მრეწველობის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწილიც; როცა საქმის მუხრუჭი მის საყრდენადაა გამოცხადებული... ბაჟი რომ დავადოთ — უნდა შევეკითხოთ ბ-ნ ნობელს. ერთი სიტყვით, ბ-ნი ნობელის გარეშე უკვე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით ყველაზე სპეციალურ საკითხზე, ბათუმის პორტის მოწყობის საკითხზე მსჯელობის დროსაც კი, საგანგებოდ ამ საკითხის განსჯისათვის მოწვეულ კომისიაშიც კი, მას ეკუთვნის პირველი ადგილი“.

ამ კომისიაში ნობელმა განაცხადა, რომ ბათუმის პორტო-ფრანკო ძალიან პატარაა თავისი ფართობით, ხოლო მისი გაფართოება საშიშიც კია ხანძრის გაჩენის საშიშროების გამო, თუ დავუშვებთ მის ნაკვეთში ქარხნების მოწყობასა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა დადგმასო. კომისიამ მისი ჩარევით დაადგინა, რომ შესწავლილ იქნას საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია პორტო-ფრანკოს საზღვართა გაფართოება, ხოლო მანამდე კი აიკრძალოს მის საზღვრებში ქარხნებისა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა აგება.

ამით აღშფოთებული ნიკოლაძე წერს, რომ „პორტო-ფრანკოს გაფართოების თაობაზე კიდევ ათ და ოც წელს იმსჯელებენ (მართლაც ასე მოხდა — ვ.შ.), მანამდე კი ბ-ნი ნობელი თავისუფალია იმ მექარხნეთა კონკურენციისაგან, რომელთაც შეეძლოთ ეწარმოებინათ პორტო-ფრანკოს ნაკვეთში იაფი, უბაჟო ჭურჭელი ნავთის გადასაზიდად საზღვარგარეთ და შავი ზღვის სამხრეთ ნავსადგურებში“.

ნობელთა საქმიანობის გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ ნიკოლაძე ასკვნის, რომ მათი მილიონები და დაგროვილი ცოდნა როდი ხმარდება პროდუქციის გაუმჯობესებას, ღირებულებათა გაიაფებას, მათთვის ახალ-ახალი ბაზრების გახსნას. პირიქით, ნობელების ამხანაგობა მოგვევლინა სპეკულიანტად და მთელი თავისი სახსრები მიმართა სხვა მეწარმეთა გასანადგურებლად. მაშინ რუსეთის კანონებით აკრძალული იყო ერთი

პროდუქტის შესყიდვის მონოპოლიზება. ნობელთა ამხანაგობა კი შეისყიდდა ნავთსა და მის პროდუქტებს, რათა სხვა გემების მფლობელნი ეიძულებინა გაეუქმებინათ ჩამოსხმით გადატანა, რომელიც კონკურენციას უწევდა მათ გემებს. არსებობდა საგანგებო კანონი, რომელიც მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომებს აძლევდა კაბოტაჟური ცურვის უფლებას რუსეთის შიდა წყლებში და მკაცრად უკრძალავდა უცხოელებს ამ საქმის წარმოებას. მაგრამ ამ კანონმა სრულიადაც არ შეუშალა ხელი ნობელებს, გაენადგურებინათ ძმები არტემიევების სანავთობო კაბოტაჟი და დაეპყროთ მთელი ჩამოსხმით გადაზიდვა თავიანთი გემებისათვის, რომლებიც ფსევდორუსული ამხანაგობის ბაირაღით დაცურავდნენ. ხოლო იმისთვის, რომ არავის შემოეყვანა ჩამოსასხმელი გემები, იზრუნეს, რომ დაწესებულიყო 40%-იანი დამამძიმებელი ბაჟი შიდა წყლებში მოცურავე ყველა იმ გემისთვის, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდიოდა, რადგან მხოლოდ იქ შენდებოდა ჩამოსასხმელი გემები.

ძმები ნობელები

ყველაზე საყურადღებო იყო ის, რომ ამ ბაჟის დაწესების დროს ნობელმა განაცხადა, თითქოს მოტალას ქარხანას უკვე შეუკვეთა 8 ჩამოსასხმელი გემი, გარდა იმ ხუთისა, რომლებიც უკვე დაცურავდნენ მისი ბაირაღით, და ეს 8 გემი რუსეთში უბაჟოდ უნდა შემოსულიყო, მაშინ, როცა ნობელის კონკურენტებს უნდა გადაეხადათ 40%-იანი ბაჟი. ნობელებმა იზრუნეს იმაზეც, რომ მოტალას ქარხანა არ იღებდა შეკვეთებს სხვა მექარხნეებისაგან და იმიზეზებდა, ნობელების სამუშაოთი ვარ გადატვირთულიო.

საბოლოოდ ნიკოლაძე დაასკვნის, რომ „ძმები ნობელების ამხანაგობა სრულიადაც არ არის დაინტერესებული წარმოების შემდგომი წარმატებითა და გაუმჯობესებით, რადგან ნავთობის ტრანსპორტირების მონოპოლია უზრუნველყოფს მათ წარმატებას, როგორიც არ უნდა იყოს მათი პროდუქციის ხარისხი და ფასი. დანარჩენი მექარხნეები კი ბოლოს და ბოლოს სულელები ხომ არ არიან, რომ შევარდნენ ცეცხლში და გამომზეურონ თავიანთი საუკეთესო კაპიტალი ყოვლისშთანთქმელი ამხანაგობისათვის. რითი სჯობს ამ მილიონერი ამხანაგობის ყოფა, მათი საკვები ან მშრომელთა მდგომარეობა ვოლგელი ბურლაკის ან გაპარტახებული ქოხის უღარიბესი ბატრაკის მდგომარეობას? თქვენ დარწმუნდებით, რომ მონოპოლისტური საწარმოს ბრწყინვალე წარმატებას ერთი ბეწოთიც არ გაუუმჯობესებია მუშათა ხვედრი“.

ნიკო ნიკოლაძემ რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებს შესთავაზა ამ მონოპოლიიდან თავდახსნის გზები და საშუალებანი: „აუცილებელია ყურადღება მიექცეს ნავთობის პროდუქტების გადასაზიდი გზების მოწყობასა და განთავისუფლებას (აქვე ნიკოლაძე მიუთითებს, რომ სრულიად შემთხვევით და წინასწარი განზრახვის გარეშე იგემა პირველი დარტყმა ნობელის მონოპოლიამ, როცა ამიერკავკასიის რკინიგზა გავიყვანეთ, რომელიც ვალდებულია ნავთის მრეწველის განკარგულებაში იქონიოს ჩამოსასხმელი ვაგონები. მაგრამ ეს თავდასაცავი სარქველი ძალიან მცირეა და ადრე თუ გვიან ძმები ნობელების ამხანაგობა შეეცდება, ასე თუ ისე, დავიწყებას მისცეს იგი. პირველი საცდელი საცავები მან უკვე ჩადგა ბათუმის პორტო-ფრანკოში; ახალ, კიდევ უფრო მტკიცე საცავთა ჩადგმასაც უნდა ველოდეთ — ვ.შ.).

აუცილებელია, ვაიძულოთ ყველა რკინიგზა, რომელიც ვოლგასა და შავ ზღვას აკრავს და დაკავშირებულია მის აუზებთან, ჰქონდეს ჩამოსასხმელ ვაგონთა საჭირო რაოდენობა, ხოლო მთავარ სადგურებზე კი — საკმაო მოცულობის რეზერვუარებიც.

ასევე აუცილებელია ყველა მექარხნეს, მეწარმესა და ვაჭარს მივცეთ ისეთივე შეღავათიანი პირობები ნავთის ჩამოსხმის სახით გადატანისა, ბ-ნ ნობელს რომ აქვს მინიჭებული, რკინიგზის სამმართველოსაგან... საერთოდ კი პრინციპულად უნდა დადგინდეს, პირველ ყოვლისა ის, რომ მთავრობის მიერ ზურგის შექცევას ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის საქმისგან, სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებისაგან და ამ საქმეების მთლიანად გადაბარებას ნავთობის მეწარმეებზე, მონოპოლიის შექმნისაკენ მივყავართ (ე.ი. ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1880-იან წლებში მომხრე იყო სახელმწიფოს გარკვეული დოზით ჩარევისა ბიზნესის სამართლიანად დამრეგულირებლის, არბიტრის როლში, რაც დღეს მსოფლიო ეკონომიკის გაბატონებული ტენდენციაა და კეინსამდე გაცილებით ადრეა წამოყენებული — ვ.შ.). მეორეც ის, რომ ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის ყველა საშუალება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანაბარი პირობებით“.

აქვე მიუთითებს, იმასაც, რომ თუ ნობელთა მონოპოლია განმტკიცდება, მაშინ ნავთის ფასიც, გაიაფების ნაცვლად, სწრაფად აიწევს.

ნიკო ნიკოლაძის მიერ დაყენებულ საკითხს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სხდომაზე კენჭი უყარეს და იგი გავიდა: 29 კაცი იყო ნიკოლაძის მომხრე, 9 კი — წინააღმდეგი.

დაპირისპირება ნობელებთან ამით არ დამთავრებულა. მალე რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ვრემია“ ზემოთნახსენებ სხდომასთან დაკავშირებით დაბეჭდა ვასილ პოლეტიკას ცილისმწამებლური პასკვილი „დიდი საქმე“, რასაც პასუხი გასცა ნიკო ნიკოლაძემ სტატიაში „დიდი შეცდომა დიდ საქმეში“ (წერილი რედაქციას).

„ნოვოე ვრემიას“ ამ სტატიაში ლუდვიგ ნობელის მიერ დაქირავებული ჟურნალისტი ვასილ პოლეტიკა უპირისპირდება ნიკო ნიკოლაძეს.

ნიკოლაძე მიანიშნებს, რომ არსებობს არამარტო ნავთობის ექსპლოატაცია, არამედ საზოგადოებრივი აზრის ექსპლოატაციაც. იგი წერს, რომ ნობელმა „თავისი მიღწევების ჯადოსნური სურათი გადაგვიშალა, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მიაღწევს თავის მიზანს, რომ მას, ნაფოტებად რომ ექცია მეეტლეთა, მექარხნეთა და მოშურნეთა მთელი არმია, სრულიად არაფრად უღირს მოერიოს „მარტო ერთ“ ნიკოლაძეს. პოლეტიკამ კი მომხიბვლელად დაამღერა გულისამაჩუყებელი რაფსოდია თავისუფალი კონკურენციის მშვენიერებაზე.

ყოველივე ეს მომხიბვლელიც იყო და საინტერესოც. მაგრამ გაქნილობა გაქნილობაა და საკითხი მაინც ღიად რჩება. ლაპარაკია ნობელის მონოპოლიაზე და სხვა არაფერზე, ხოლო ვისაც ნებავს იკამათოს ამ საკითხის თაობაზე, დეე ილაპარაკოს ან წეროს მასზე და არა რაღაც სისულელეებზე, რომლებიც ამ საკითხს სრულიად არ ეხებიან. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ჭეშმარიტებამდე მისვლა ყველას, ვისაც არ ესაჭიროება საქმის არევ-დარევა“.

ნიკოლაძე კიდევ ერთხელ დაასკვნის, რომ ნავთობის დიდ საქმეში დაშვებულია დიდი პოლიტიკური შეცდომა: „დიდ მრეწველობას რომ ვნერგავდით, ჩვენ არ გვიზრუნია გზა გაგვეხსნა მისი პროდუქტების გატანისათვის. ამის შედეგად მრეწველობას დააწვა გარეშე ვალდებულება — სამიმოსვლო გზების მოწყობა. ასეთი ტვირთი უმეტესობის ძალას აღემატება. ვისაც შეუძლია გზის გაყვანა, ცხადია, ის თავისთვის გაიყვანს და არა ყველასთვის. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო არ აღმოცენებულიყო მონოპოლია და აღმოცენდა კიდეც. კერძო წამოწყებისთვის ახლა მისი თავიდან აცილება ადვილია ყოველგვარი დანაკარგის გარეშე: ამისთვის საჭიროა ნავთობის წარმოება, გადატანის მხრივ, ისეთსავე პირობებში ჩავაყენოთ, როგორშიცაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. თუ ასე არ მოვიქცევით, მონოპოლია, ბოლოს და ბოლოს, დაკარგავს ნავთობის მთელ მრეწველობას“. შესაბამისად, ბაქოს ნავთობის საბადოების ამ „ამოუწურავი სიმდიდრიდან“ რუსეთს ის მიკროსკოპული სარგებელიც კი აღარ შეხვდება, რომელსაც ახლა უწილადებს ბ-ნი ნობელი გადასაზიდი გადასახადის სახით(1/4 — ერთი მეოთხედი კაპიკი 1 ფუთ ამოღებულ და გადატანილ ნავთობზე). ამგვარად, „თვით ნავთობის გაყვანილობის შესანიშნავი საქმე უეჭველად დაიღუპება ნავთობის წარმოებაში ურჩხული მონოპოლის გაჩენის გამო, რომელსაც უკვე ვერაფრით ვერ დაძლევ, თუ ამ საქმის განხორციელების დროს გაყვანილობა ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება. ასეა ყოველთვის: ყოველი სასარგებლო ნივთი შეიძლება ბოროტ იარაღად აქციოო, ისეთ დანად, ურომლისოდაც ვერც შეჭამ საჭმელს და ისეთ დანადაც, რომლითაც დაიჭრა თავი ან დაჭრა სხვა“.

აქვე უარყოფს ვასილ პოლეტიკას ბრალდებას, თითქოს ნიკოლაძე „სახელმწიფო სოციალიზმის“ მომხრე იყოს. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევა ბიზნესის სფეროში სულაც არ აღიქმება სახელმწიფო სოციალიზმად და იგი ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა. შესაბამისად ნიკო ნიკოლაძე ამ ჟურნალისტთან პოლემიკაშიც მართალი იყო, ისევე როგორც ნობელთა მონოპოლიასთან დაპირისპირებაში.

ნიკო ნიკოლაძის ეს დაპირისპირება მაშინდელ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ ძმები ნობელების მონოპოლიასთან ქართული საზოგადოებრივი და ეკონომიკური აზრის ძალიან საინტერესო და სასახელო ფურცელია. როცა მართალი იყო, ნიკო ნიკოლაძე არავითარ ავტორიტეტებს ქედს არ უხრიდა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მოხსენებაში გამოთქმული ერთი ბრწყინვალე შეგონება: „შეუძლებელია, მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ დღევანდელი ფაქტები; აუცილებელია ვიხედებოდეთ შორს, განვჭვრიტოთ თუ რა მოხდება დროთა განმავლობაში. ჩვენ მივეჩვიეთ ქედის მოხრას დღევანდელობის წინაშე, ისე, რომ სრულიადაც არ ვფიქრობთ მომავალზე“.

იოსებ ჭუმბურიძე

ორივე — დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, უფრო იქითაც...

ამ ორი წიგნის პრეზენტაცია ქუთაისში ერთ დღეს გაიმართა. ელგუჯა თავბერიძის სრულიად განსხვავებული „კოლიმგრაფი“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარადგინეს, როსტომ ჩხეიძის „ქართული დუელიანა“ — სოლომონის სასახლეში. ელგუჯას, თურმე, პირიქით სურდა. გასაგებია, რატომაც — უნივერსიტეტი როსტომს უფრო შეეფერებაო. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართული დუელიანა“ ძალიან მოუხდა მეფის სასახლეს, „კოლიმგრაფიც“ უნივერსიტეტში თავს ჩინებულად გრძნობდა. ეს წერილი იქაური გამოსვლების ნაერთია. მივყვეთ ქრონოლოგიურად. ჯერ — უნივერსიტეტში...

აღარ ხუმრობს!..

ჩვენს სამეგობროში გავრცელებულია ასეთი ხუმრობა: დასავლეთ საქართველოში — ელგუჯა, აღმოსავლეთში — როსტომი.

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ როსტომის მასშტაბი საქართველოსაც შორსაა გამცდარი.

მის წიგნთაგან განსაკუთრებით ორი მიყვარს. ერთი იმდენად პატარაა, რომ გულის ჯიბეში ჩაიდებ; მეორე იმდენად დიდტანიანია, რომ ჩანთაშიც ძლივს ჩაატევ.

ადვილად მიხვდებოდით: პირველი „ირლანდიური მელოდიებია“, მეორე — „კომიკოსი ტრაგედიაში“, ანუ ბიოგრაფიული რომანი გალაკტიონზე.

რაც შეეხება ელგუჯას, ბოლო დროს ისიც აღარ ხუმრობს. ჩვენ ვხედავთ, როგორ თანდათან მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოშიც და აი, უკვე, მის ფარგლებსაც გასცდა. როსტომმა სამართლიანად ბრძანა, „კოლიმგრაფი“ რუსეთშიც დაგვჭირდებაო.

ამას წინათ ერთმა განათლებულმა პიროვნებამ მკითხა, რატომ დაინტერესდა ელგუჯა თავბერიძე ვარლამ შალამოვითო.

გულწრფელად გამაკვირვა ამ შეკითხვამ. ელგუჯას დაინტერესება ხომ ბუნებრივია:

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლიტერატორია, მწერალია:

მეორეც — იმიტომ, რომ ისტორიკოსია. და რატომ უნდა იყოს გასაკვირი მისი დაინტერესება იმ მწერლით, ვინც საბჭოთა ისტორიის ერთი ყველაზე რეალური კოშმარი აღწერა. აღწერა ისე, რომ „საბჭოთა ლაგერის ნამდვილი სურათი დაიხატა, დაიხატა მართალი მწერლისგან — ნაღდად, შეულამაზებლად“.

რაც მთავარია, აღწერა ისე, რომ „თავისი ტრაგიკული თავგადასავალი და გამოცდილება დიდ ლიტერატურად აქცია“ (როსტომ ჩხეიძე).

ვარლამ შალამოვი, ვინც, „კოლიმის ჯოჯოხეთის ყველაზე მართალ აღმწერად შემორჩა კაცობრიობას“, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ მის მართალ შემოქმედებას ყველაზე ზუსტ და მოხდენილ სახელს ქუთაისში შეარქმევდნენ.

კოლიმგრაფი — ეს მართლაც ზუსტად მოძებნილი ტერმინია, თუმცა ჩემზე არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს მეორე ტერმინიც — **კოლიმიადა**.

წიგნის ნამდვილად შესაშურ სათაურს ერთობ თავმდაბლური ქვესათაური აქვს, ისიც ფრჩხილებში მოთავსებული: „ფიქრები ვარლამ შალამოვზე“.

ავტორი ბოლოთქმაში ასევე თავმდაბლურად აღნიშნავს: „კოლიმური მოთხრობების სრულყოფილი ანალიზი არ გვიცდია, გვინდოდა, ფრაგმენტულად გვეჩვენებინა მათი სამყარო, სქემატურად გაგვეანალიზებინა მოთხრობათა მცირე ნაწილი მაინც. უბრალოდ, გვეფიქრა შალამოვზე“.

სინამდვილეში, ეს არ არის უბრალოდ ფიქრი შალამოვზე. აქ, რა თქმა უნდა, ანალიზიც არის. განსაკუთრებით ფასეული კი, ალბათ, ის არის, რომ კოლიმური მოთხრობებიდან გამოტანილია ყველაზე მრავლისმთქმელი და სულისშემძვრელი ეპიზოდები. განსაკუთრებით საინტერესოა შალამოვისა და სოლჟენიცინის დაპირისპირება, კერძოდ, შალამოვის შენიშვნები.

მაგალითად, ასეთი: **„როგორ შეიძლება, ლაგერში კატა დადიოდეს, ვინ დატოვებდა შეუჭმელს?“**

ყველაზე დამზაფვრელი კი, რასაც ამ წიგნში ამოიკითხავ, ვფიქრობ, ესაა:

„1938 წელს დაპატიმრებული ადამიანი იტყოდა: არა გაქვთ უფლება... („თქვენ უფლება არა გაქვთ, ხალხს ყინვაში ტანზე გაახდევინოთ“). მაშინ ყველა ასე ამბობდა და ვინც ამბობდა, ყველა საიქიოს გაისტუმრეს. 1951 წელს დაჭერილი კატორღელი... ამ სიტყვებს პირიდან აღარ ამოუშვებდა, რამეთუ 1937 წლიდან თოთხმეტმა წელმა განვლო და ამ ხნის მანძილზე მის თვალწინ ხდებოდა დაჭერები, რეპრესიები. უფრო მეტიც უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ ადამიანები“. ამიტომ ფრაზამ „არა გაქვთ უფლება...“ აზრი დაკარგა.



* * *

ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ მივმართავთ, კარგი დასაწყისი წიგნის ნახევარია.

ელგუჯა თავბერიძის წიგნს ბრწყინვალე დასაწყისი აქვს:

„კაცი წვერის პარსვისას სარკეში იხედება, ერთ-ერთი ჩვენს შორის ჩამშვებია, ეუბნება იქიდან მოცქირალს. მოგონებებში იხსენებს ამ ანეკდოტს ვარლამ შალამოვი იმის საილუსტრაციოდ, რომ 30-იან წლებში ადამიანები არათუ სხვას, საკუთარ თავს ნაკლებად ენდობოდნენ“.

ძნელი წარმოსადგენია უკეთესი დასაწყისი.

მთელი წიგნი კი ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც თვითონ შალამოვის მოთხრობები.

მინდა, ვურჩიო ახალგაზრდებს: წაიკითხეთ ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი“ და ის აუცილებლად წაგაკითხებთ ვარლამ შალამოვის მოთხრობებს. მადლობა ღმერთს, მათი ქართული თარგმანებიც არსებობს — ბატონი **თამაზ ნატროშვილის** წყალობით...

მტკვრის ბუტბუტს ამოყოლილი

ვფიქრობ, ეს მომცრო წიგნი ქართული ლიტერატურისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ ავტორის შემოქმედებისათვის.

როსტომ ჩხეიძისთვის „ქართული დუელიანა“ „ამოსუნთქვაა“ ბიოგრაფიულ რომანებსა თუ მონოგრაფიებს შორის.

ქართული ლიტერატურისთვის კი ის უდავო შენაძენია, რადგან იმას იკვლევს, რაც მანამდე არავის შეუსწავლია — საქართველოში გამოსული დუელების ისტორიას.

როსტომი რასაც ხელს მოკიდებს, საფუძვლიანად რომ შეისწავლის, გააანალიზებს და განაზოგადებს, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

ამ წიგნში ის ქართული დუელის ბიოგრაფიას წარმოადგენს, **„როგორც ეროვნული ხასიათისათვის ნიშანდობლივი ასპექტის გამოხატულებას“.**

წიგნის ანოტაციაში ნათქვამია:

„ალბათ ძნელად მოიძებნება ისეთ სახალისო ეპიზოდთა ნაკრები, როგორც ქართული დუელიანას ისტორია წარმოაჩენს საკუთარ თავს“.

წიგნს ივანე ამირხანაშვილის არაჩვეულებრივი ბოლოსიტყვაობა ახლავს. ის ჩვეულებრივს არც დაწერდა, თუმცა ერთ მის მოსაზრებას არ ვეთანხმები. კერძოდ, იმას, რომ როსტომი „ქართულ დუელიანას“, თითქოს, იმ ციკლში მოიაზრებს, „ერი და ბედისწერა“ რომ ჰქვია. აი, ინტერმედიის როლს რომ აკისრებს, ეს სავსებით მისაღებია.

* * *

პირველი ქართული დუელი ბიძა-დისწულს შორის გამართულა. ბიძა ილია ორბელიანია, დისწული — არც მეტი, არც ნაკლები, ნიკოლოზ ბარათაშვილი!

როგორია?!

კიდევ კარგი, ეს დუელი, ტრაგედიის ნაცვლად, კომედიურ სცენად, ოინბაზურ ეპიზოდად გადაიქცევა და ეს არქეტიპი იმთავითვე განსაზღვრავს დუელის ქართული ნაირსახეობის ბუნებას.

ამის მიუხედავად, როსტომ ჩხეიძის „ქართულ დუელიანას“ სალაღობო წიგნს მაინც ვერ დავარქმევთ, რადგან მასში ასეთი სევდიანი და ღრმად სერიოზული პასაჟებიც გვხვდება:

„მამები აჯანყებისათვის სამზადისში გარეულიყვნენ... მომავალი დრამატურგი კი საიდუმლო წესდებას ჩამოიტანდა თელავიდან, ფილადელფოს კიკნაძის მიერ გამოტანებულს და გააცნობდა შეთქმულების სხვა მონაწილეთ...

რუსების გასარეკად დასაღვრელ სისხლს კი მათი შვილები ერთმანეთის წინააღმდეგ იმეტებდნენ“...

სხვა მაგალითი:

„ილია ჭავჭავაძესთან დუელის წინ ერთი ადამიანი ატირდა, ამ ორთაგან (იგულისხმება ილია და ნიკო ნიკოლაძე) **არცერთი არ არის გასამეტებელი, ძალიან დაზარალდება ქვეყანაო...“**

ამ პასაჟების წაკითხვის შემდეგ, ბუნებრივად გახარებს ის ფაქტი, რომ ქართულ დუელებს თავიდანვე ჩაშლა და მორიგებით გათავება დაჰბედებია.

ერთ წიგნად ღირს ეპილოგი. ასეთ წიგნს, ქართული დუელების ისტორიას, იქნებ სხვაც დაწერდა, მაგრამ ასეთ ეპილოგს — მხოლოდ როსტომ ჩხეიძე.

ჩემთვის, ეს ეპილოგი პოეტური პროზაცაა, პოეზიაც, მისტიკაც. სურვილს მიჩენს, რომ ხშირად მივაკითხო და წავიკითხო.

თქვენც კიდევ ერთხელ წაიკითხეთ:

„ეს ჩანაწერებიც იმ ბუტბუტს (მტკვრის ბუტბუტი იგულისხმება — **ავტ.**) **ამოჰყვა და, უნებურად რომ ჩამივარდა ხელში, აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ეს ფურცლები სადღა წამეღო, და ისევ შენ მოგანდობ, ძვირფასო მკითხველო, თუკი სადმე ხარ, გნებავს, შეინახე, გნებავს, ისევ მტკვარს დაუბრუნე, ოღონდ, მაშინვე ნუ გამობრუნდები, გარინდდი, სული გაკმინდე, მიაყურადე, მანდ სადღაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცილი ისევ ხმიანებს. და ნუ გამოგეპარება, ასეთ სიცილს ვერსად და ვერასდროს ვეღარ მოისმენ“.**

წაიკითხეთ?

მოისმინეთ?

ხომ ამოისუნთქეთ?

მარტო ავტორისთვის კი არა, ჩვენთვისაც ამოსუნთქვაა მტკვრის ბუტბუტს ამოყოლილი ეს წიგნი...

სონია ქართველიშვილი

„სიყვარული ყველაზე დიდი სათნოებაა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ბევრი რამ გვაყენებს ტკივილს, მაგრამ ახლობლების ავადმყოფობა, ან მათი მოულოდნელი დაკარგვა ალბათ, ყველაზე მძიმე ჯვარია... ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ვერ გეტყვიან და ვერც შენ ეტყვი სხვას, რომ ყველაფერი კარგად იქნება, იმიტომ, ასეთ დროს ამ სიტყვების გაგონება ყველაზე დიდ ტკივილს მოგვაყენებს... ყველა სხვა ტკივილი — იქნება ეს წარუმატებელი პირადი ცხოვრება, მარტოობით გამოწვეული შიში, მძიმე სოციალური მდგომარეობა, ახლობლის ღალატით გამოწვეული ტკივილი თუ სხვა რამ, წარმავალია... ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ არაფერი არ ღირს ნერვიულობად, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ხერხდება... თუმცა, სანამ არიან ადამიანები, რომლებიც იმის თქმას შეძლებენ, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“ და შენც გულის სიღრმეში ენდობი მათ სიტყვებს, ყველაფერი კარგად იქნება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მიუხედავად იმისა, რომ სულ მინდა სადღაც გავიქცე, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავბრუნდები. ზოგჯერ იმაზე ადრეც ვბრუნდები, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სიყვარული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ძალიან ადრე მაქვს წაკითხული ალექსანდრე ვამპილოვის „იხვებზე ნადირობა“ და რატომღაც, მისი მთავარი პერსონაჟი — ვიქტორ ზილოვი დღემდე რჩება ჩემს საყვარელ ლიტერატურულ პერსონაჟად.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— საყვარელი ისტორიული პერსონაჟები არ მყავს, იმიტომ, რომ ისტორიას არ ვენდობი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფრიდა კალო. მომწონს დეგას დარლილი ქალების პორტრეტებიც.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა მუსიკა მომწონდა. ბავშვობაში ძალაუნებურად, კლასიკასთან მიწევდა ურთიერთობა. 7 წელი ვისწავლე მუსიკალურ სკოლაში და მთელი ამ წლების განმავლობაში მეუბნებოდნენ, რომ კარგი ტექნიკა გაქვს, ამიტომ მომავალი აუცილებლად მუსიკას უნდა დაუკავშიროო, თუმცა, ერთხელაც გადავიფიქრე... იყო პერიოდი, როცა ყველაფერს ვუსმენდი კლასიკის გარდა. მომწონდა როკ-მუსიკა. ყველაზე ხშირად „RS“-ს ვუსმენდი. ბოლო რამდენიმე წელია, ისევ კლასიკას დავუბრუნდი. შოპენი მომწონდა — მაშინ სხვანაირად, ახლა სხვანაირად, მომწონს ბერძენი კომპოზიტორი ელენი კარაინდრუ, რომლის მუსიკა და ანგელოპულოსის ფილმები საოცარი შერწყმაა... რამდენიმე წლის წინ აქტიურად ვუსმენდი ბრეგოვიჩს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ყოველთვის ჩემზე უფროსი მამაკაცები მომწონდა. ზოგადად, ალბათ, ყველა თვისება ძალიან პირობითია და თითოეულ ჩვენგანში ყველაფერი ერთადაა — ბუნებრივია, სხვადასხვა დოზით, მაგრამ ყველანი ყველა თვისების ვატარებთ საკუთარ თავში და სიტუაციების მიხედვით ვიყენებთ. მე, მაგალითად, სხვადასხვა დროს დამთმობიც ვყოფილვარ, მომთმენიც, მიმტევებელიც და განრისხებული და შურისმაძიებელიც. ადამიანისთვის ისეთი რამეც მიპატიებია, რაც არ უნდა მეპატიებინა და ისეთი არ დამვიწყებია, რაც წვრილმანია და არ ღირდა ამის გამო ადამიანის დაკარგვა. საერთოდ, მგონი, ყველა ადამიანი არაპროგნოზირებადია.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— არ ვიცი, ალბათ, ძალიან დასაფასებელია, როცა დღევანდელი პრაგმატული ცხოვრების მიუხედავად, არჩევანის წინაშე როცა ვდგებით, სიყვარულს ვირჩევთ. ისიც დასაფასებელია, თუკი არასდროს ვინანებთ იმას, რაც ერთ დროს სიყვარულის გამო გავაკეთეთ.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიყვარული ყველაზე დიდი სათნოებაა. როცა გიყვარს, ყოველთვის ყველაფრისთვის პოულობ ძალას.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა და ფილმების ყურება. სახლში მარტო ჯდომა და ყავის დალევა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არასდროს არ მიფიქრია, ვინ მინდოდა ვყოფილიყავი... სიამოვნებით ვიქნებოდი უფრო ლამაზი, ვიდრე ვარ. თუმცა, მონიკა ბელუჩის და ანჯელინა ჯოლის სილამაზე მირჩევნია, ნატალი პორტმანის მსგავსი გარეგნობა მქონდეს — ანუ, მოკრძალებულად ლამაზი ვიყო.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ყოველთვის ძალიან ცოტას ვლაპარაკობ, ან საერთოდ არ ვიღებ ხმას. ზოგჯერ ისე მინდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ ვამბობ, ვერასდროს ვპოულობ საჭირო სიტყვებს. არ მეხერხება ლაპარაკი, ამიტომ, ყველას ძალიან მორცხვი ვგონივარ, სინამდვილეში, არც ისეთი მორცხვი ვარ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, რაღაცნაირად მშვიდი და წყნარი ვარ უბრალოდ და ეს ბევრჯერ დისკომფორტსაც მიქმნის...

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სიამოვნებით ვიმეგობრებდი ყველა ადამიანთან, ვინც დისკომფორტს არ ქმნის თავისი არსებობით, ჭკუას არ მასწავლის, ზემოდან არ მიყურებს და საკუთარ უპირატესობას ხაზს არ უსვამს... მყავს ბავშვობის მეგობრები, ფაქტობრივად ერთად რომ გავიზარდეთ და მათთან იქნებ, არც არაფერი მაქვს საერთო იმ წლების გარდა, რაც ერთად გაგვიტარებია, მაგრამ მათ წინაშე უკვე გარკვეული ვალდებულებები მაქვს, ისევე, როგორც მათ აქვთ ჩემს წინაშე, ეს სულ სხვა სახის მეგობრობაა, ოჯახის წევრებთან რომ გაქვს ურთიერთობა, დაახლოებით იმ ტიპის... თანამშრომლებთან სხვანაირად ვმეგობრობ — ერთ საქმეს ვაკეთებთ და ვცდილობთ, ერთმანეთს ანგარიში გავუწიოთ, დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ... ეს მეგობრობა ურთიერთპატივისცემას ეფუძნება და სულ სხვა ტიპის მეგობრობაა. კიდევ, არიან მეგობრები, რომლებთანაც სულიერი კავშირი გვაქვს. იქნებ, ძალიან ახლოს არც ვიცნობდეთ ერთმანეთს, მაგრამ გვეჩვენება, რომ ყველაზე ზუსტად გაიგებენ იმას, რის თქმასაც ვაპირებთ, იმიტომ, რომ რაღაცით ვგავართ ერთმანეთს... ასეთ მეგობრებს საკუთარ ნაწერებს ვაკითხებ-ხოლმე. სამივე

შემთხვევაში მთავარი მაინც სიყვარული და ნდობაა... პირველს შეიძლება, საკუთარი შვილი გააყოლო ზღვაზე დასასვენებლად და შენ მშვიდად გეძინოს სახლში, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ ბავშვი კარგად იქნება, მეორეს სთხოვ, რომ შენს მაგივრად წავიდეს გადაღებაზე, იმიტომ, რომ შენ დღეს რაღაც ძალიან ცუდად გამოიყურები, მესამეს კი ღამის 3 საათზე სკაიპით შენი პატარა ჩანანერი გაუგზავნო და ჰკითხო, რას ფიქრობს და როგორ მოეწონა, ან უბრალოდ უთხრა, რომ ბოლო დროს ყველაზე ხშირად ფიქრობ სიკვდილზე...

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— არ მიხერხდება ადამიანებთან ურთიერთობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— არ ვიცი, ბედნიერება არსებობს თუ არა. მაინც მგონია, რომ რაც არ გვაქვს, სწორედ ის გვგონია ბედნიერება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ახლობლების დაკარგვა. ოჯახის წევრების ავადმყოფობა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო მაღალი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყვავილები საერთოდ არ მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არ მიფიქრია არასდროს, რომელია ჩემი საყვარელი ფრინველი. ცხოველი ვიცი, რომ ძაღლია. ახლა დავფიქრდი და უცებ მივხვდი, რომ ვიზუალურად ყველაზე მეტად ფარშევანგი მომწონს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— არიან მწერლები, რომლებიც მგონია, რომ აუცილებლად უნდა გქონდეს წაკითხული, რა პროფესიისაც არ უნდა იყო. მაგალითად, ფოლკნერი, ჰერმან ჰესე, კაფკა, მაქს ფრიში, ჯოისი, კამიუ, ჩეხოვი... მქონდა პერიოდი, როცა ყველაზე ხშირად მეოცე საუკუნის დრამატურგიას ვკითხულობდი — ბერნარდ შოუს, სარტრს, ტენესი უილიამსს, იუჯინ ო' ნილს... ბოლო პერიოდში ძირითადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ვკითხულობ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორი მომწონს — სულ ბოლოს ფამუქი მყავდა ამოჩემებული. ახლა კუნდერასა ვკითხულობ. საერთოდ, ძალიან ცუდი ჩვევა მაქვს — რომელ ავტორსაც ვკითხულობ, ის მგონია ყველაზე კარგი. ქართველი ავტორებიდან მომწონს მიხეილ ჯავახიშვილი. თანამედროვე ქართველი ავტორებიდან — აკა მორჩილაძე, ზურაბ ქარუმიძე...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ერთადერთი პოეტი, რომელიც ნებისმიერ დროს შემიძლია წავიკითხო, არის ნიკო სამადაშვილი. ერთ დროს აქტიურად ვკითხულობდი ბუკოვსკის, კიდევ უფრო ადრე ახმატოვას და ცვეტაევას... თანამედროვე ავტორებიდან — გივი ალხაზიშვილი... ძალიან ჩემია კატო ჯავახიშვილის ლექსები, სულ მგონია, ლექსის წერა რომ შემეძლოს, მეც ზუსტად ასე დავწერდი-მეთქი. ბოლო პერიოდში ჩემი ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენაა სალომე ბენიძე. ისე, პროზას და დრამატურგიას უფრო ხშირად ვკითხულობ, ვიდრე პოეზიას.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მოემის პატარა რომანი „მოხატული ფარდა" მაქვს ძალიან დიდი ხნის წინ წაკითხული. იქ არის ერთი მთავარი პერსონაჟი ქალი, კეტი ჰქვია მგონი და ის მომწონდა ძალიან. რატომღაც, არ მახსენდება სხვა პერსონაჟი ქალი, რომელმაც განსაკუთრებით მომხიბლა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— არ მყავს საყვარელი გმირები.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— სხვადასხვა დროს სხვადასხვა საყვარელი გმირი ქალი მომწონდა — სკოლის ასაკში აღფრთოვანებული ვიყავი ეკატერინე ჭავჭავაძით, კიდევ უფრო ადრე ჟანა დ' არკი მომწონდა, მერე ევიტა პერონი... ახლა არავინ არ მომწონს.

— საყვარელი სახელები?

— ალექსანდრე და ანასტასია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უტაქტობას და შეუგნებლობას. მაღიზიანებს „ყოვლისმცოდნე" ადამიანები, შთაგონებული სახეები რომ აქვთ და „ბრძნულ" აზრებს აფრქვევენ იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება, უკეთესად იცხოვრო. რამდენიმე წლის წინ ცირა ბარბაქაძის ლექსი ნავიკითხე, რომელიც ძალიან მომეწონა. სამწუხაროდ, ზეპირად არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო: თქვენ, ვინც ყველაფერი იცით, მე თავი დამანებეთ და თქვენი გზა ნახეთ!

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ასეთი უამრავია და არც ისე შორეულ წარსულში, თუმცა, კონკრეტული სახელების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— ყველანაირი ომი საშინელებაა და მგონია, რომ დანაშაულია მისი რომანტიკულ ფერებში დახატვა, ან აღქმა... როცა ისრაელისა და პალესტინის საომარი შეტაკებების დროს დაღუპული ბავშვების ფოტოები ვნახე ინტერნეტში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ომი არის ჯოჯოხეთი დედამიწაზე... როგორ შეიძლება, საომარმა მოქმედებამ აღგაფრთოვანოს? ნებისმიერი ომი კაცობრიობის ყველაზე დიდი სირცხვილი, ტკივილი და დანაშაულია.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არ ვიცი ეს რეფორმა რამდენადაა, მაგრამ ახლახან ვკითხულობდი ჯონ ლოკის დოქტრინას. მართალია, ცოტა სწორხაზოვანია და არ ვეთანხმები, რომ მემკვიდრეობითობა ბოლომდე უნდა გამოირიცხოს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, მაგრამ საერთო ჯამში, ალბათ, ამ თეორიამ უდიდესი გავლენა იქონია იმაზე, რომ ადამიანების ადგილს საზოგადოებაში მისი წარმომავლობა არ განაპირობებს.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სულ მინდოდა მსახიობობა და თეატრში თამაში.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ახალგაზრდა.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ვჩანვარ, შინაგანად აფორიაქებული ვარ. თუმცა, როცა რთული პერიოდი მაქვს, უფრო მეტად პროდუქტიული ვარ-ხოლმე. როცა არაფერი მაწუხებს, არაფრის გაკეთების სურვილიც არ მაქვს...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— არ არსებობს ქმედება, რომელიც შემწყნარებლობას არ იმსახურებს. არავინ არაფრისგან არ არის დაზღვეული, ყველას და ყველაფერს საკუთარი სიმართლე აქვს.

— თქვენი დევიზი?

— არასდროს მქონია არანაირი დევიზი და არ მესმის ადამიანების, რომლებიც დევიზების მიხედვით ცხოვრობენ და გეგმავენ საკუთარ ცხოვრებას.

— რა სიტყვებს ეტყოდით უფალს?!

— მაპატიოს ჩემი გულგრილობა!

ირაკლი სამსონაძე

მეთევზე ერთი, ორი...

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:
1. **უფროსი წერტილა**
2. **უმცროსი წერტილა**

ტბის ნაპირი, სადაც ტოტებდაზნექილი ტირიფი დგას. განთიადის ბინდბუნდი. ვხედავთ ორკაპა ჯოხზე შემოდებულ ძველ ანკესს გაწყვეტილი ძუით, იქვე ხის უზურგო სკამიცაა.

გამოჩნდება ახალგაზრდა მამაკაცი, მეთევზეების დარად სამხედრო ფორმა აცვია, მხარზე ზურგჩანთა მოუკიდია. ხეს მიაცქერდება ერთხანს, შემდეგ ძველ ანკესს მიაქცევს ყურადღებას, შეათვალიერებს, დარწმუნდება, რომ ანკესი უვარგისია, შორიახლოს მოისვრის, ორკაპა ჯოხსა და სკამსაც ზედ მიაყოლებს, ზურგჩანთიდან თავის ორკაპა ჯოხს, დასაკეც სკამს და ახალთახალ, გასაშლელ ანკესს ამოიღებს, სკამზე ჩამოჯდება, ანკესის გამართვას იწყებს.

შემოდის ხანშიშესული მამაკაცი, ისიც დაახლოებით იმგვარადვე, მხოლოდ უფრო ძველი სამხედრო ფორმით შემოსილა. ახალგაზრდას აცქერდება. ახალგაზრდა პირს მიიქცევს მისკენ, ისევ მიუბრუნდება თავის საქმეს, თუმცა კეფით გრძნობს დაჟინებულ მზერას.

უმცროსი წერტილა ***(უმისამართოდ, ვალის მოსახდელად)*** — ...გამარჯობა.

უფროსი წერტილა ***(ნაბიჯს გადმოდგამს, ნიშნისმოგებით)*** — ჰმ... გაუმარჯოს!

უმცროსი წერტილა ***(იძაბება)*** — რატომ — ჰმ?! რას ნიშნავს — ჰმ?!

უფროსი წერტილა — ჰმ — ნიშნავს — ჰმ-ს!..

უმცროსი წერტილა ***(იგრძნობა, ყველაფრისთვის მზადაა)*** — მე შენთვის არ მითქვამს — ჰმ — გამარჯობა-მეთქი, რატომ მპასუხობ სალამზე — ჰმ — გაგიმარჯოსო? დამიკონკრეტე!

უფროსი წერტილა — ჩემი ანკესი და ორკაპა გადაგიგდია, სკამიც ზედ მიგიყოლებია, თანაც ჩემს ადგილას ჩამომჯდარხარ, ეს მაფორიაქებს და ამიტომაც გპასუხობ სალამზე — ჰმ — გაგიმარჯოს-მეთქი, დაგიკონკრეტე?!

უმცროსი წერტილა — ანკესი ძუაგაწყვეტილია და ძველი, არც ორკაპა და სკამია ახალი, რაც შეეხება ადგილს, არსად წერია, ვიღაცის ადგილიაო; შორიდანვე შევნიშნე ტირიფი, წამოვედი, მოვაღწიე, ვზივარ ჩემთვის და ანკესს ვმართავ, ჯერჯერობით არავის ვერჩი, რას უნდა აეფორიაქებინე, არ მესმის...

უფროსი წერტილა — ერჩი, როგორ არ ერჩი, ვითომდა რაო, ახალთახალი ანკესი მაქვსო და...

უმცროსი წერტილა — ანკესი რა შუაშია, გინდ ახალი იყოს და გინდაც ძუაგაწყვეტილი?!

უფროსი წერტილა — ეგ არავის საქმე არაა, ძუაგაწყვეტილია ჩემი ანკესი თუ არა ***(ანკესს, ორკაპას და სკამს მისწვდება),*** ხომ დაინახე, სკამიც იქვე იდგა, სადაც სკამია, სკამზე ჩამომჯდომიც გამოჩნდება.

უმცროსი წერტილა — და რა, სკამზე ჩამომჯდომიც რომ გამოჩნდება?!

უფროსი წერტილა — და ის, რომ გამოვჩნდი, აქა ვარ და ჩემს სკამზე მინდა ჩამოვჯდე!

უმცროსი წერტილა — ამ ტბის პირას ორივენი თავისუფლად მოვთავსდებით, ჩამოჯექი სადაც გსურს, ვინ გიშლის?..

უფროსი წერტილა — მანდ მსურს!

უმცროსი წერტილა — აქ რატომ? მე რომ ვზივარ, იმიტომ?!

უფროსი წერტილა — მანდ იმიტომ, რომ სათვალავიც ამერია უკვე, იმდენი წელია, წლიდან წლამდე, წელიწადში ერთხელ სწორედ მაგ ადგილას ვისვენებდი... დღეს კი შენ დამხვდი და ამაფორიაქე, ესაა და ეს...

უმცროსი წერტილა ***(ერთხანს დაჟინებით უცქერს, შემდეგ წამოდგება)*** — ერთადერთი, რამაც ფეხზე წამომაყენა ახლა, შენი ჭაღარაა, სხვა რამე არ გეგონოს...

უფროსი წერტილა ***(შემრიგებლურად)*** — დამშვიდდი, ლაჩარს კანჭებზე ვცნობ, ლაჩარი არ ხარ, ვიცი... ლაჩარი ან უმალ დამემორჩილებოდა, ან აყაყანდებოდა, შენ საქმეში გაერკვიე და მერე წამოდექი ფეხზე, გმადლობ!

ახალგაზრდა დაჟინებით უცქერდა ხანშიშესულს, უსიტყვოდ მისწვდება თავის სკამს, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მოთავსდება, ანკესის გამართვას განაგრძობს. ხანშიშესული გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს.

უფროსი წერტილა ***(პაუზის შემდეგ)*** — ანკესი კი მართლაც კარგი გაქვს. ძუაც მაგარი უნდა იყოს...

უმცროსი წერტილა — სათევზაო ადგილია, მოათვალიერე აქაურობა, შესაძლოა კოჭზე გადაბმული ძუა ნახო, რა იცი, იქნებ დაუვარდა ვინმეს...

უფროსი წერტილა — მოვათვალიერე უკვე... ***(პაუზა)*** სხვათაშორის, მადლობა გადაგიხადე, მადლობაზე — არაფრისო — ამბობენ...

უმცროსი წერტილა — ზედმეტს ნუ მოინდომებ, ვიძაბები... გადასახდელი გქონდა მადლობა და ამიტომაც გადაიხადე...

უფროსი წერტილა ***(მიაცქერდება ახალგაზრდას, პაუზის შემდეგ)*** — კარგი, ამჯერად მე დავთმობ...

უმცროსი წერტილა — მე არაფერი დამითმია, უბრალოდ შენს ჭაღარას ვეცი პატივი.

უფროსი წერტილა — გმადლობ, რომ ჩემს ჭაღარას პატივი ეცი.

უმცროსი წერტილა — არაფრის.

უფროსი წერტილა ***(ეღიმება)*** — ამ სიტყვის გაგონება მსურდა, ესაა და ეს, აქ დავსვათ წერტილი...

უმცროსი წერტილა — როცა რქებით არ მაწვებიან, არც იმის შეხსენება მჭირდება, მადლობას რა მოვაყოლო, ესაა და ეს, წერტილი აქ დავსვათ!

უფროსი წერტილა — კარგი, ჰო, ნუ იჯაგრები!..

უმცროსი წერტილა — არაფერსაც არ ვიჯაგრები... ***(ანკესის ძუას მოისვრის)*** ჩემთვის ვთევზაობ...

უფროსი წერტილა — ჰოდა, ითევზავე! მე რომ მკითხოს კაცმა, თევზაობა სიცოცხლის უპირველესი ნიშანთვისებაა... შენს ადგილას რომ ვიყო, წვრილმანებს არ გამოვეკიდებოდი.

უმცროსი წერტილა — ჰოდა, შენც ნუ მეკიდები სიტყვაზე...

ხანშიშესული ახალგაზრდას მიაცქერდება.

უმცროსი წერტილა ***(გამოხედავს)*** — რა?!

უფროსი წერტილა — არაფერი — უცნაურია, უბრალოდ...

უმცროსი წერტილა — რა არის უცნაური?

უფროსი წერტილა — წლიდან წლამდე, წელიწადში ერთხელ მოვდიოდი აქ და ვისვენებდი, დღეს კი შენ დამხვდი.

უმცროსი წერტილა — მერედა, რას ხედავ ამაში უცნაურს, გადავაწყდი სათევზაო ადგილს და ვთევზაობ; წესით, კარგად უნდა მოდიოდეს აქ თევზი.

უფროსი წერტილა — რა გითხრა, ჩემს ანკესს ძუა არა აქვს; მე უფრო ვისვენებ, ვიდრე ვთევზაობ...

უმცროსი წერტილა — რაღა ეს ადგილი დაიჩემე დასასვენებლად?

უფროსი წერტილა — ეგ კიდე საკითხავია, მე დავიჩემე ეს ადგილი თუ ამ ტბამ და ტირიფმა დამიჩემეს... რაღაც მექაჩება აქეთ... დავდივარ, დავეხეტები მწყობრი ნაბიჯით, — ერთი-ორი, ერთი-ორი, „Левой-правой“, „Левой-правой“, მერე უეცრად მახსენდება, რომ არსებობს ტბა, ტბასთან ტირიფი, ტირიფთან სკამი, სკამთან ორკაპაზე შემოდებული ანკესი, შემოვივლი ხოლმე, ჩამოვჯდები სკამზე, თანაც ანკესს ვუცქერ, ვითომ ვთევზაობ, სინამდვილეში ვისვენებ.

უმცროსი წერტილა — ანკესის გარეშე ვერ დაისვენებდი?

უფროსი წერტილა — არა... ვერა... ანკესის გარეშე დასვენება დამღლიდა, მე მეთევზე ვარ.

უმცროსი წერტილა *(გაეცინება)* — მეთევზე ძუაგაწყვეტილი ანკესით...

უფროსი წერტილა — ეგ არავის საქმე არ არის-მეთქი, გითხარი უკვე!..

უმცროსი წერტილა — კარგი, ჰო, გაგეხუმრე...

უფროსი წერტილა *(გაღიზიანებული)* — და იმასაც ვნახავ, შენ რას და როგორ დაიჭერ მაგ შენი ანკესით, რომელზეც ძუა გამოგიბამს!..

უმცროსი წერტილა — მაგის დარდი არ გქონდეს, ყისმათიანი ვარ, მეტისმეტად ყისმათიანი *(ახალგაზრდა ხანშიშესულის უნდო მზერას წააწყდება)* რა, არ გჯერა, ყისმათა რომ ვარ?

უფროსი წერტილა — ისე, რა...

უმცროსი წერტილა — რას ნიშნავს, ისე, რა?!

უფროსი წერტილა — როგორც ჰმ — ნიშნავს — ჰმ-ს და სხვას არაფერს, ზუსტად ასევე ნიშნავს — ისე, რა, ისე — რას, და სხვას არაფერს. გარდა იმისა, რომ ეგ შენი ბაქიაობა მაფორიაქებს!.. *(წამოდგება სკამიდან)*

უმცროსი წერტილა — არ გეტრაბახები, სიმართლეს ვამბობ, წარმოიდგინე, დაახლოებით ერთ ადგილას ვიდექით ხოლმე რამდენიმე მეთევზე, იმათგან ჰა და ჰა, რომელიმე ერთ გაუბედურებულ კარჩხანას თუ დაიჭერდა, მე კი ვედროს ვავსებდი თევზით...

უფროსი წერტილა *(მიდი-მოდის)* — უფ, რა მაგარი ხარ!..

უმცროსი წერტილა — მაგარი ვარ, კი, იმიტომ, რომ ყისმათა ვარ...

უფროსი წერტილა *(მიდი-მოდის)* — ყისმათა იქნებ ხარ კიდეც, მაგრამ არც იმდენად, რომ სხვამ ვერაფერი დაიჭიროს, შენ კი ვედრო გაავსო კარჩხანებით...

უმცროსი წერტილა — იცი, რამდენჯერ გამივსია? ვერც დათვლი... მაგარი გრძნობაა, როცა გიმართლებს... მაგრამ შენ კი არ გაგიმართლა...

უფროსი წერტილა *(მიდი-მოდის)* — აღარაფერში მჭირდება ძუა, რადგან ვისვენებ მე აქ, ვისვენებ, გესმის, ვისვენებ მე!..

უმცროსი წერტილა — მე კი მგონია, ფორიაქობ, კი არ ისვენებ...

უფროსი წერტილა — შენი ტრაბახი მაფორიაქებს და ამიტომაც ვფორიაქობ, ვედროს ავსებდა თურმე თევზით, სხვა — თევზს ვერ იჭერდა, ეს კი... შენ მე ვინ გგონივარ?!

უმცროსი წერტილა *(გაღიმებული)* — მეთევზე...

უფროსი წერტილა — მერე?

უმცროსი წერტილა — ძუაგაწყვეტილი ანკესით...

უფროსი წერტილა — იცი, რო სწორედაც ამ ანკესით, რომელსაც შენ ასე აგდებულად მოიხსენიებ...

უმცროსი წერტილა *(აწყვეტინებს)* — მაგ ანკესით იმ გაუბედურებულ კარჩხანასაც ვერ დაიჭერდი... მესმის... შევდივარ შენს მდგომარეობაში...

უფროსი წერტილა — მომისმინე, ყისმათიანო, რამდენი დაგიჭერია, იქნებ მითხრა?!

უმცროსი წერტილა — რა, კარჩხანა?

უფროსი წერტილა — თუნდაც კარჩხანა! რამდენი მოჰყვა შენს ანკესს? აბა, მითხარი!..

უმცროსი წერტილა — შენ? შენ რამდენი დაგიჭერია?

უფროსი წერტილა — ჯერ შენ მითხარი!

უმცროსი წერტილა — მნახა სულელი... მე რომ გითხრა ორმოცი-მეთქი, ორმოცდაათი დამიჭერიაო, — მიპასუხებ, მე თუ გეტყვი, — ორმოცდაათი-მეთქი, სამოციო — მომახლი! ეგ სხვას აჭამე!..

უფროსი წერტილა — ფიქრადაც არ გამივლია მსგავსი სისულელე... კეთილი, მე გეტყვი. სამოცდათორმეტი კარჩხანა დავიჭირე ამ ანკესით! წარმოგიდგენია?! სამოცდათორმეტი კარჩხანა!

უმცროსი წერტილა — რა არის წარმოუდგენელი? ოთხმოცდაშვიდი კარჩხანა დავიჭირე იქ, ჩემს პატარა დაბასთან რომ ტბაა, ის ტბა სავსეა კარჩხანებით.

უფროსი წერტილა — აჩმახებ!

უმცროსი წერტილა — დედას გეფიცები!

უფროსი წერტილა — აჩმახებ-მეთქი!

უმცროსი წერტილა — ოო, გჯერა-გჯერა, არ გჯერა და ნუ გჯერა, მე დედა დავიფიცე...

უფროსი წერტილა — დაიფიცებდი, კი!..

უმცროსი წერტილა — შენ გგონია, ტყუილზე დავიფიცებდი დედას?

უფროსი წერტილა — მგონია, იმიტომ, რომ მეთევზე ხარ...

უმცროსი წერტილა — მერედა, შენი აზრით, მეთევზეებს დედები არ უყვართ?

უფროსი წერტილა — უყვართ, როგორ არ უყვართ...

უმცროსი წერტილა — აბა, რა, მაშინ, თუკი უყვართ?

უფროსი წერტილა *(თავის სკამზე ჩამოჯდება)* — მეთევზეებს თევზაობაც ძალიან უყვართ... შეიძლება ითქვას, მეთევზეებს სიცოცხლესავით უყვართ თევზაობა.

უმცროსი წერტილა — და ამიტომ დედებს იფიცებენ ტყუილზე?

უფროსი წერტილა — მომეშვი... თუკი თევზაობ, ითევზავე... მე ვისვენებ...

უმცროსი წერტილა — ჰოდა, დაისვენე: სიტყვაზე ნუ მეკიდები!..

უფროსი წერტილა — შენ კი ტყუილზე ნუ იფიცებ დედას!..

ახალგაზრდა ხანშიშესულს გამოხედავს, ანკესს ორკაპაზე შემოდებს, თავზე წამოადგება მას.

უფროსი წერტილა *(ამოხედავს)* — რა?!

უმცროსი წერტილა *(დაძაბული)* — მე დედა დავიფიცე, გესმის თუ არა? მე დავიფიცე დედა; დედაჩემი დავიფიცე მე და წერტილიც იქ დავსვი, სადაც დედა დავიფიცე!!!

უფროსი წერტილა *(მიწას ჩაცქერილი)* — თავზე ნუ მადგახარ, ვიძაბები...

უმცროსი წერტილა *(გაეცლება, ნერვულად მიდი-მოდის)* — მეც ვიძაბები, როცა დედას ვიფიცებ და მაინც ეპარებათ ეჭვი ჩემს სიმართლეში! *(მოუტრიალდება)* ეტყობა, შენ გქონდა ეგ ჩვევა და შენს ცოდვას მე მაბრალებ! შენ იფიცებდი დედას ტყუილზე, არა?! ხომ ასეა?! იფიცებდი?! *(მიუახლოვდება, მის გვერდით ჩაიმუხლებს)* გამოტყდი, ხომ ასეა?

უფროსი წერტილა *(მიწას ჩაცქერილი)* — ჩემს პატარა დაბასთან რომ ტბაა, იქ, ტირიფის ჩრდილში გავშალეთ ბიჭებმა სუფრა. მაშინ დავიფიცე დედა და ეს დღემდე მტანჯავს... *(წამოდგება, გაეცლება ახალგაზრდას)*

უმცროსი წერტილა — რაზე დაიფიცე?

უფროსი წერტილა — ნუ მახსენებ, სირცხვილი მწველია, უცხო მიწის შხამიან მზეზე უფრო მწველი...

უმცროსი წერტილა *(წამოიმართება)* — შენ უკვე გაგახსენდა, ასე არაა?!

ხანგრძლივი პაუზა. ხანშიშესული ზურგით იდგა, გამოიხედავს, თვალებში ცრემლი ჩასდგომია.

უფროსი წერტილა ***(ტანჯვით ამოთქვამს)*** — სქელშუბლა დავიჭირე-მეთქი... ოცკილოიანი სქელშუბლა-მეთქი და მერე დავიფიცე...

უმცროსი წერტილა — სინამდვილეში რამხელა იყო?

უფროსი წერტილა — დიდი იყო, მართლაც უჩვეულოდ დიდი, მაგრამ ოცკილოიანი — არა... მე კი დავიფიცე, ახლა მრცხვენია...

უმცროსი წერტილა — მე დავიჭირე, ოღონდ მართლა!

უფროსი წერტილა ***(მიაცქერდება)*** — რა?

უმცროსი წერტილა — სქელშუბლა... ოც კილოზე მეტიც იქნებოდა, სულ ცოტა ოცდაორი-ოცდასამი კილო... ზვიგენს ჰგავდა...

უფროსი წერტილა — სად?

უმცროსი წერტილა — ჩემს პატარა დაბასთან რომ ტბაა, ის ტბა სავსეა სქელშუბლებითა და კარჩხანებით...

უფროსი წერტილა — დედას მეფიცები?

უმცროსი წერტილა — აი, ისევ არ გჯერა...

უფროსი წერტილა — კი, როგორ არა, დაუჯერებელი რა არის...

უმცროსი წერტილა — არა, სახეზე გატყობ, არ გჯერა!

უფროსი წერტილა — ხედავ იმ გორას, იქ რომ მზე ამოიწვერება, ისევ ჩემს ხეტიალს უნდა შევუდგე, ერთი-ორი, ერთი-ორი, უცხო მიწაზე, უცხო ცის ქვეშ; ამიტომაც გთხოვ, დამასვენე ჩემს სკამზე, სადაც წლიდან წლამდე, წელიწადში ერთხელ მეძლევა ჩამოჯდომის საშუალება.

უმცროსი წერტილა — შენ უბრალოდ არ მიცნობ, არ იცი, რა ყისმათაცა ვარ... ერთხელ, მე, იქ, საზანი...

უფროსი წერტილა ***(აწყვეტინებს)*** — ოჰო, საზანმაც შემოცურა ყურეში?..

უმცროსი წერტილა ***(აგდებულად)*** — ეეე!..

უფროსი წერტილა ***(ნიშნისმოგებით)*** — ეეე — არ უნდა მაგას, საზანზე ასე სასხვათაშორისოდ არ მელაპარაკო, საზანი ჩემი სულისთქმაა.

უმცროსი წერტილა — და მერე ვინ მოგახსენა, რომ საზანი ჩემი სულისთქმაც არაა... ჩემს პატარა დაბასთან რომ ტბაა, ის ტბა სავსეა საზანებით...

უფროსი წერტილა — რამდენადაც მახსოვს, სქელშუბლებითა და კარჩხანებითაც სავსეა ეგ შენი ტბა...

უმცროსი წერტილა — რა გელაპარაკო, როცა წინდაწინ არ მიჯერებ... ოქროსფერი „კარპებიცაა“, კარჩხანებიც, სქელშუბლებიცა და „საზანებიც“... ***(ოცნებაში წასული მზერით)*** ერთხელ მე იქ საზანი დავიჭირე, ძმაო, საზანის უნახავს გაგხდიდა... ორმოცი კილო მაინც იქნებოდა...

უფროსი წერტილა ***(ნიშნისმოგებით)*** — რა იქნებოდა, ძმაო, ორმოცი კილო? საზანი, ძმაო?!

უმცროსი წერტილა ***(ნეტარი ღიმილით)*** — ჰო, საზანი... მე რომ დავიჭირე, იქ, მაშინ...

უფროსი წერტილა — იქ, მაშინ, საზანი, ესე იგი... თანაც ორმოცკილოიანი...

უმცროსი წერტილა — ჰო, იქ, მაშინ... ***(გამოხედავს)*** არც ეს გჯერა?

უფროსი წერტილა — არა!

უმცროსი წერტილა — რატომ, გამაგებინე, რატომ არ გჯერა, რატომ?!

უფროსი წერტილა — იმიტომ, რომ ორმოცკილოიან საზანს ვერსად წააწყდებოდი და რადგანაც ვერ წააწყდებოდი, ვერც დაიჭერდი!

უმცროსი წერტილა — და ამის მერე კიდე იტყვი, რომ მეთევზე ხარ?

უფროსი წერტილა — მეთევზე რომ ვარ, სწორედ მაგიტომ გეუბნები, რასაც გეუბნები... ორმოცკილოიან საზანს ვერ დაიჭერდი!

უმცროსი წერტილა — და დავიჭირე-მეთქი, დავიჭირე და მეც გამიკვირდა, იმიტომ, რომ არასოდეს მენახა იმხელა საზანი! იცი, რა იყო, ვეშაპს ჰგავდა!

უფროსი წერტილა — სქელშუბლა-ზვიგენს, ეს თურმე ვეშაპს... იქნებ იყო კიდეც ვეშაპი, რა იცი?!

უმცროსი წერტილა — არა, საზანი იყო, ნამდვილი საზანი და ჩემს სიტყვებში ეჭვი ნუ გეპარება, იმიტომ, რომ ვიძაბები მე, ძალიან ვიძაბები, როცა...

უფროსი წერტილა ***(აწყვეტინებს)*** — მეც ვიძაბები, ძალიან ვიძაბები, როცა ნაცარს მაყრიან თვალებში, ორმოცკილოიან საზანს ვერ დაიჭერდი, მორჩა და გათავდა!

უმცროსი წერტილა — აბა, ის რა იყო, მე რომ დავიჭირე, იქნებ ამიხსნა?!

უფროსი წერტილა — მე არ ვიცი, შენ რა დაიჭირე; მაგრამ ვიცი ის, რომ ორმოცკილოიან საზანს ვერ დაიჭერდი! აი, ეს კი ნაღდად ვიცი!!!

უმცროსი წერტილა ***(აღშფოთებული)*** — იცი, რას მეუბნები ახლა! იცი? ხვდები?!

უფროსი წერტილა — რას გეუბნები, რას?!

უმცროსი წერტილა — რას და საერთოდ არ გიცხოვრიაო, ამას მეუბნები, არ ყოფილხარო, — მეუბნები, როცა ვიყავი კიდეც და ორმოცკილოიანი საზანიც ჩემი ხელით დავიჭირე!!!

უფროსი წერტილა — ოო, ხელით — არა...

უმცროსი წერტილა — რა, ხელით — არა, რა? პირადულზე რომ გადმოდიხარ, ვერ ამჩნევ?!

უფროსი წერტილა — არავითარ პირადულზე მე არ გადმოვდივარ; უბრალოდ, მეთევზე ვარ და მეთევზის ბუნებასაც კარგად ვიცნობ, ესაა და ეს!

უმცროსი წერტილა — შენ ხარ მეთევზე?

უფროსი წერტილა — ჰო, ვარ, მერე რა გინდა?

უმცროსი წერტილა — მითხარი მაშინ, მეთევზე თუ ხარ, თვითონ რამხელა საზანი დაგიჭერია? ჰო, მითხარი!..

უფროსი წერტილა ***(სახე ეცვლება, თითქოს ოცნებაში წავიდაო)*** — საზანი?

უმცროსი წერტილა — ჰო, ჰო, საზანი, რამდენი კილო იქნებოდა?

უფროსი წერტილა ***(მოხედავს)*** — იქნებოდა კი არა, ზუსტად ვიცი, ავწონე.

უმცროსი წერტილა — ჰოდა, რამდენი კილო გამოდგა ეგ შენი აწონილი საზანი?!

უფროსი წერტილა ***(სახე ებადრება)*** — ორმოცდაოთხი კილო იყო, გრამებს რომ თავი დავანებოთ...

უმცროსი წერტილა — ჰო, გრამები რა სათვალავში ჩასაგდებია... მოვეშვათ გრამებს...

უფროსი წერტილა ***(ოცნებაში წასული მზერით)*** — ჰო, მოვეშვათ...

უმცროსი წერტილა — მაშ, ორმოცდაოთხი კილო, არა?!

უფროსი წერტილა — ...ორმოცდაოთხი კილო.

უმცროსი წერტილა — საზანი?

უფროსი წერტილა ***(სახეგაბადრული)*** — კი, საზანი... საზანის უნახავს გაგხდიდა; იქ, ჩემს პატარა დაბასთან რომ ტბაა, საერთოდ, დიდი საზანები იცის, მაგრამ მე რომ საზანი დავიჭირე, შეუდარებელი იყო...

უმცროსი წერტილა — იქ, შენს პატარა დაბასთან რომ ტბაა, შესაძლოა, მართლაც დიდი საზანები იცის, მაგრამ ერთ რამეში გამარკვიე, თუ შეიძლება! რატომ ან რა უფლებით გეეჭვება, რომ იქ, ჩემს პატარა დაბასთან რომაა ტბა, იმ ტბაშიც არ დაცურავენ დიდი და ზორბა საზანები, სადაც დავიჭირე კიდეც ჩემი ორმოცკილოიანი საზანი!

უფროსი წერტილა — იმიტომ და იმ უფლებით მეეჭვება, რომ ორმოცკილოიანი საზანი ბუნებაში არ არსებობს...

უმცროსი წერტილა — და ორმოცდაოთხკილოიანი არსებობს, ესე იგი, არა?!

უფროსი წერტილა ***(სახეგაბადრული)*** — კი, როგორ არ არსებობს... უფრო სწორად, არსებობდა და მე დავიჭირე...

უმცროსი წერტილა — და თუკი შენ დაიჭირე ორმოცდაოთხკილოიანი საზანი, რატომ არ შეიძლება, მე დამეჭირა ორმოცკილოიანი, ეს ამიხსენი მაშინ...

უფროსი წერტილა — იმიტომ, რომ მე ადგილი ვიცი განსაკუთრებული, იქ, ტირიფთან...

უმცროსი წერტილა — ის ვინღა მოგახსენა, რომ მე გამოვდექი ასეთი სულელი და მე ვერ შევირჩიე ჩემთვის კარგი სათევზაო ადგილი, სწორედაც იქ, ტირიფთან, სადაც ჩემი ორმოცკილოიანი საზანი დავიჭირე...

უფროსი წერტილა — საზანი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს...

უმცროსი წერტილა — რატომ, რატომ, რაა-ტოომ!!! თუკი ორმოცდაოთხკილოიანი არსებობს, ის ორმოცდაოთხკილოიანი, სანამ ორმოცდაოთხკილოიანი გახდებოდა, ჯერ ხომ ორმოცკილოიანი გახდა ეგ დედააფეთქებული, ასე არაა, მიპასუხე?!

უფროსი წერტილა — კი, ეგრე გამოდის...

უმცროსი წერტილა — მერე?!

უფროსი წერტილა — რა, მერე?!

უმცროსი წერტილა — რა, მერე და ის, რომ თუკი შენ დაიჭირე ასეთი ვეებერთელა საზანი, რატომ არ შეიძლება, მე დამეჭირა იმ ვეებერთელა საზანზე ოთხი კილოთი მომცრო საზანი, იქნებ ამაზეც გამცე პასუხი?

უფროსი წერტილა — გაგცემ პასუხს, რატომაც არ გაგცემ...

უმცროსი წერტილა — ჰე, გელი მოუთმენლად!..

უფროსი წერტილა — იცი, რატომ ვერ დაიჭერდი ორმოცკილოიან საზანს?

უმცროსი წერტილა — რატომ მაინც, რატომ, ძალიან საინტერესოა...

უფროსი წერტილა — იმიტომ, რომ საზანი, რომელიც ჯერ ორმოცკილოიანი იყო და ამის შემდეგ გახდა ორმოცდაოთხკილოიანი, ბუნებაში მხოლოდ ერთი არსებობდა და ისიც მე დავიჭირე. აი, ამიტომაც ვერ დაიჭერდი ორმოცკილოიან საზანს, გაიგე?!

უმცროსი წერტილა — აუჰ, რა ყისმათიანი ყოფილხარ, ბარაქალა შენ!..

მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

უფროსი წერტილა — რა ხშირ-ხშირად მიხსენებ მაგ სიტყვას, რა, ყისმათას გეძახდნენ?

უმცროსი წერტილა — არა, ყისმათას არ მეძახდნენ, მეძახდნენ წერტილას, მაგრამ ყისმათიანი კი ნამდვილად ვიყავი...

უფროსი წერტილა — რატომ?

უმცროსი წერტილა — რა, რატომ?!

უფროსი წერტილა — რატომ გეძახდნენ წერტილას?

უმცროსი წერტილა — რა სულელური კითხვაა! რა ვიცი, მეძახდნენ... ტანმორჩილი ვიყავი და მეძახდნენ, არ გინახავს ტანმორჩილი ბავშვები, მერე რო აიყრიან ტანს? მერედა რა, რომ წერტილას მეძახდნენ, მიუხედავად იმისა, თუ რას მეძახდნენ, ორმოცკილოიანი საზანი ჩემი საკუთარი ხელებით დავიჭირე, ხოლო, რაც შეეხება ორმოცდაოთხკილოიან საზანს, ტყუილია, ცრუობ, იბრალებ, რადგან ორმოცდაოთხკილოიანი საზანი არ არსებობს!

უფროსი წერტილა — მაგაზე გიპასუხე უკვე, იყო ბუნებაში ერთი ასეთი საზანი და ისიც მე დავიჭირე-მეთქი!

უმცროსი წერტილა *(ნიშნისმოგებით)* — იქ, შენთან, ტბაში, ტირიფის შორიახლოს!..

უფროსი წერტილა — ჰო, იქ, ჩემთან, ჩემს პატარა დაბასთან რომ ტბაა, სწორედ იმ ტბაში, ტირიფის შორიახლოს... და ისიც გამაგებინე, შვილო...

უმცროსი წერტილა — მე შენი შვილი არა ვარ!

უფროსი წერტილა — არც მე ვარ შენი ძმა, როგორც მაშინ მომმართე თავხედურად და საერთოდ, თუკი წერტილას გეძახიან, რა ძახილის ნიშანივით იჭიმები!!!

უმცროსი წერტილა — შენი ასაკისთვის მეტისმეტად აგრესიული ხომ არა ხარ, ბიძაჩემო, ჰა?!

უფროსი წერტილა — მე არც ბიძაშენი ვარ!..

უმცროსი წერტილა — აბა, როგორ მოგმართო, ძმაო — არაო, ბიძაჩემო — არაო, რაღაც სახელი ხომ უნდა დაგიძახო, თუკი ყველა სიტყვაზე მეკიდები?!

ხანმოკლე პაუზა. ხანშიშესული ახალგაზრდას უცქერს.

უმცროსი წერტილა — რა, საკუთარი სახელი დაგავიწყდა?

უფროსი წერტილა — ...წერტილა.

უმცროსი წერტილა — რა წერტილა?

უფროსი წერტილა — წერტილას მეძახდნენ...

უმცროსი წერტილა — წერტილას? რატომ?..

უფროსი წერტილა — რას ნიშნავს, რატომ? რა სულელური კითხვაა, რატომ?

უმცროსი წერტილა — შენც ტანმორჩილი იყავი ბავშვობაში?

უფროსი წერტილა — ჰო, კი... „ტოჩკასაც“ მეძახდნენ ხანდახან...

უმცროსი წერტილა — მე Fullstop-ს მეძახდნენ ხოლმე... წერტილს ნიშნავს ინგლისურად...

უფროსი წერტილა — მე — „ტოჩკას“, რუსულად ნიშნავს წერტილს...

უმცროსი წერტილა — ეგ ვიცი... *(შეათვალიერებს)* ახლა კი ვერ იტყვი მაგას...

უფროსი წერტილა — ვერც შენზე იტყვი, რადგან მართლაც ძახილის ნიშანივით მეჭიმები...

უმცროსი წერტილა — შენ კი კითხვის ნიშანივით მოიხარე წელან...

უფროსი წერტილა *(შეცბუნდება. წელში გაიმართება)* — ერთს გეტყვი და დაიმახსოვრე, — წერტილას უფრო იმიტომ მეძახდნენ, რომ ყველა დაძაბულ საუბარში ბოლო წერტილს მე ვსვამდი, კარგად გამიგე?! აქ დავსვათ წერტილი...

უმცროსი წერტილა — მეც გეტყვი ერთს და შენც დაიმახსოვრე, — სწორედაც მაგ თვისების გამო მეძახდნენ წერტილას, ანუ ვაკონკრეტებ — ყველა დაძაბულ საუბარში მე ვსვამდი წერტილს. წერტილი აქ დავსვათ!..

უფროსი წერტილა — არა, ეგრე არ გამოვა...

უმცროსი წერტილა — ვითომ რატომ?!

უფროსი წერტილა — იმიტომ, რომ უსამართლობა იქნება... მე ძალიან დიდხანს მივაბიჯებდი მწყობრი ნაბიჯით უცხო, მწველ მიწაზე, უცხო, მწველი ცის ქვეშ, — ერთი-ორი, ერთი-ორი, „Левой-правой“, „Левой-правой“, მე აქეთ მოვდიოდი, წლიდან წლამდე, წელიწადში ერთხელ მოვდიოდი აქეთ, რათა სკამზე ჩამოვმჯდარიყავი და განთიადის ბინდბუნდში დამესვენა... დღეს კი შენ დამხვდი ჩემს ადგილზე ჩამომჯდარი, გინდა, რომ ჩვენს საუბარში წერტილი თავად დასვა და თანაც... *(ანკესს უცქერს)* ძალიან, ძალიან მაფორიაქებს შენი ძუაგამობმული ანკესი...

ხანშიშესული დაიხრება, ახალგაზრდას ანკესს შეავლებს ხელს. უეცრად ქარი წამოუბერავს, ტირიფს ააშრიალებს. ხანშიშესულიცა და ახალგაზრდაც აშრიალებულ ტირიფს მიაცქერდებიან. ტირიფის შრიალი ჩაცხრება.

უმცროსი წერტილა — რა იყო? ახლა რაღაც იყო...

უფროსი წერტილა *(დაბნეული)* — რა?!

უმცროსი წერტილა *(დაბნეული)* — რაღაც იყო-მეთქი... რაღაც მოხდა...

უფროსი წერტილა — ჰო, დაგინახე, ძალიან ახლოდან ძალიან შორს დაგინახე და თანაც დაარტყა...

უმცროსი წერტილა — რამ დაარტყა?

უფროსი წერტილა — თევზმა... თევზმა!.. ***(ანკესი ჩაუბღუჯავს)***

უმცროსი წერტილა *(მიეჭრება)* — ანკესს — ხელი! ჩემი თევზია!

უფროსი წერტილა *(უფრო მეტად ჩაუბღუჯავს ანკესი, ძალიან დაბნეული)* — ჰო, ჰო!

უმცროსი წერტილა — დიდი თევზია, ჩემი თევზი!..

უფროსი წერტილა *(შეძრული სახით, თუმცა ანკესს არ თმობს)* — ჰო, იქ, ჰო, და მე იქვე და გხედავ, გხედავ, ძალიან ახლოდან ძალიან შორს, მე შენ გხედავ!

უმცროსი წერტილა — მომეცი ანკესი, ჩემი ანკესი, ჩემი თევზი!..

უფროსი წერტილა — ერთად ამოვქაჩოთ, ერთად, ასე, აიი, ერთად, ერთად, ასეე!!!

ანკესის ძუა დაიჭიმება, დაიძაგრება, შემდეგ წყდება. ახალგაზრდაცა და ხანშიშესულიც სცენაზე დაეცემიან.

უმცროსი წერტილა *(სცენაზე ურტყამს ხელს)* — „ფოქიუ“, „ფოქიუ“, „ფოქიუ“!!!

უფროსი წერტილა *(გამომწვევად)* — „იობ“, მაშინ, „იობ“, „იობ“!!!

უმცროსი წერტილა — რა, „იობ“, რა?!

უფროსი წერტილა — აბა, რა „ფოქიუ“, რა „ფოქიუ“, რა?!

უმცროსი წერტილა — ის „ფოქიუ“, ის „ფოქიუ“, ის, რომ ჩემს პატარა დაბაში მზე დასავლეთიდან ამოდიოდა და ჩემი მულატი სერჟანტიც სწორედ ასე იგინებოდა — „ფოქიუ“, „ფოქიუ“, „ფოქიუ“-ო! გაიგე!!!

უფროსი წერტილა — ჰოდა, ის „იობ“, ის „იობ“, ის „იობ“, რომ ჩემს პატარა დაბაში ჩრდილოეთიდან ამოდიოდა მზე, ხოლო მწიფე ლიმონივით ყვითელთმიანი ჩემი სერჟანტი სწორედ ასე იგინებოდა — „იობ“, „იობ“, „იობ“-ო, გასაგებია?!

ახალგაზრდა ფეხზე წამოიჭრება, მიდი-მოდის, ფეხზე წამოდგება ხანშიშესულიც.

უმცროსი წერტილა — არც არის გასაკვირი! არა, არა, არაფერია გასაკვირი, თუკი შენს პატარა დაბაში ჩრდილოეთიდან ამოდიოდა მზე, ასეთი უნიათო რომ გამოდექი და ჩემი თევზი გაუშვი ხელიდან!

უფროსი წერტილა *(მიდი-მოდის)* — ჩემს პატარა დაბას მოეშვი! იქ ტბა იყო, ტბასთან — ტირიფი, ტირიფთან მე. ვიდექი ხოლმე ანკესით ხელში და ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა, რადგან თევზი მოდიოდა და მოდიოდა ჩემს ანკესზე. იქ ბევრი თევზი მოდიოდა, მიუხედავად იმისა, თუ საიდან და როგორ ამოდიოდა მზე! და იმასაც გეტყვი ცნობისთვის, რომ ინტერნაციონალური ვალი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვალს გასტუმრება უნდა, მითუმეტეს კი ინტერნაციონალურ ვალს!!!

უმცროსი წერტილა — და მე კი იმას გეტყვი, რომ საერთაშორისო უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანია, რადგან თავად უსაფრთხოებაა ძალიან მნიშვნელოვანი ცნება და ამიტომაც ხდება ასე, რომ პატარა დაბის ჯარისკაცები სამყაროს უკიდურესი სამხრეთის უკიდურეს სამხრეთ პროვინციაში იცავენ თავისი პატარა დაბის სიმშვიდეს, სადაც ტბაცაა და ტბასთან ტირიფიც...

უფროსი წერტილა — და სადაც ორმოცკილოიანი საზანი დაიჭირე, არა?

უმცროსი წერტილა — დიახაც, დიახაც, დიახაც, დავიჭირე! ამასაც დავიჭერდი, ჩემს ხელში რომ აღმოჩენილიყო ანკესი, მაგრამ საუბედუროდ, ანკესი შენს ხელში აღმოჩნდა და ახლა, შენი წყალობით, აღარც ჩემს ანკესზეა ძუა, რადგან შენ უიღბლო ხარ, უიღბლო, უიღბლო, უიღბლო მეთევზე ძუაგაწყვეტილი ანკესით! აი, ვინცა ხარ სინამდვილეში!!!

ხანშიშესული ახალგაზრდას მიაცქერდება, თვალსა და ხელსშუა დაპატარავდება, მოიღვენთება, გაყუჩდება. ახალგაზრდა მიდი-მოდის, მიწაზე იცქირება, ფეთიანივით ეძებს რაღაცას.

უმცროსი წერტილა — შესაძლოა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თევზი იყო ჩემთვის, მე ვგრძნობ, ვიცი, რომ ეს თევზი იმ ორმოცკილოიან საზანზე მნიშვნელოვანიც კი იყო, მაგრამ...

უფროსი წერტილა — ტყუილად ეძებ, აქ ძუას ვერ იპოვი, ბევრს ვეძებდი...

უმცროსი წერტილა — გაჩუმდი! გამთვლი! შენ მე გამთვლი!!!

უფროსი წერტილა *(შეგუებულად, დაღლილად)* — ჰო, ალბათ, მართლაც უიღბლო ვარ... ***(პაუზა)*** მე დავისვენებ... ***(სკამზე ჩამოჯდება)***

უმცროსი წერტილა *(მიდი-მოდის, მიწას დასცქერის)* — ნეტავ მაშინაც ასე მჯდარიყავი და დაგესვენა... იქ, იქ, სამყაროს უკიდურესი სამხრეთის უკიდურეს სამხრეთ პროვინციაში, სადაც არც ტბაა, არც მდინარე, რამდენჯერ მიოცნებია, ვნახავ სადმე კარგ სათევზაო ადგილს და ერთი გემოზე ვითევზავებ-მეთქი, მაგრამ იქ ცხელოდა, ძლიერ ცხელოდა და ჩვენ მწველ სიცხეში დავაბიჯებდით აქეთ და იქით, — ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი და არც აქეთ, არც იქით არ იყო არც ტბა, არც მდინარე და ცა იყო მწველი და უცხო და მიწაც იყო მწველი და უცხო და ჩვენ კი დავაბიჯებდით და დავაბიჯებდით, — ერთი-ორი, ერთი-ორი...

უფროსი წერტილა *(სკამიდან)* — ნუ ბორგავ, დაისვენე...

უმცროსი წერტილა — შენსავით!!! მიპასუხე, შენსავით!!! ტბის პირას, ტირიფთან ახლოს, ძუაგაწყვეტილი ანკესით ხელში მივეცე ოცნებას ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან თევზზე, რომელმაც შენი წყალობით ძუა გამიწყვიტა და სადღაც, ტბის ფსკერზე მოკვდება! მე კი აქ, აქ, ამ გასაშლელ სკამზე უნდა ვიჯდე და ჩემთვის ვივარაუდო, თუ რამხელა იყო ის, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი თევზი, რომელსაც ვეღარასოდეს, გესმის თუ არა, რომ ვეღარასოდეს ვიხილავ, რადგან... ***(გაშეშდება)***

უფროსი წერტილა — რა, რადგან? დაასრულე...

უმცროსი წერტილა *(მუხლებზე დაემხობა)* — ჩემს ანკესს ძუა სჭირდება, ნუთუ არ არის სადმე ძუა!!! ***(თავს ჩარგავს)***

უფროსი წერტილა — რადგან შენც ჩემსავით უიღბლო აღმოჩნდი, არა?..

ახალგაზრდა თავს წამომართავს, დაბნეული მიმოიხედავს, უეცრად რაღაცას შენიშნავს მიწაზე.

უმცროსი წერტილა *(თითს იშვერს, მთელი ხმით)* — აი, აიიი!!! ***(ფეთიანივით დააცხრება კოჭზე გადახვეულ ძუას, რომელიც ახლახან შენიშნა)*** ახლაც შეგეპარება ეჭვი, რომ 87 ცალი კარჩხანა, ოცკილოიანი სქელშუბლა და ორმოცკილოიანი საზანი მყავს დაჭერილი? აი, ჩემი ყისმათი, აიი!!! ძუა, რომელიც მე მელოდა! ის აქაა, ჩემს ხელშია ჩემი ძუა ***(ფეთიანივით მიდი-მოდის და კოჭზე გადახვეულ ძუას დაატარებს, ხანშიშესულთან მოხვდება, მხარზე წამოჰკრავს ხელს)*** ჰა, ძველო, თქვი, აღიარე, ვყოფილვარ ყისმათა თუ არა?!..

უფროსი წერტილა *(თვალებგაციებული)* — ჰო; გილოცავ...

უმცროსი წერტილა — ახლა კი ვიცი, ზუსტად ვიცი, რომ ამ ანკესს ხელს აღარასოდეს გავუშვებ და ისიც ვიცი, რომ ამ ანკესს აღარასოდეს გაუწყდება ძუა! მე ყისმათა ვარ; ხომ ირწმუნე, რომ ყისმათა ვარ ***(ხელახლა იწყებს ანკესის გამართვას)*** ლატარიაშიც ხშირად ვიგებდი, მართალია, დიდი თანხა არ მომიგია, მაგრამ ხომ ვიგებდი, არა? ერთხელ მაგნიტოფონიც კი მოვიგე!.. დედაჩემი მეუბნებოდა, ყისმათიანი ხარო, ყისმათიანიო და ცოლმაც მითხრა, ყისმათიანი ხარ, მე რომ მომიყვანე ცოლადო... მე კიდე რა ვუპასუხე, არ იცი? მე ვუთხარი, შეჩემისა-მეთქი, იმიტომ კი არ ვარ ყისმათიანი, შენ რომ მოგიყვანე ცოლად, არამედ, იმიტომაც გამომყევი ცოლად, რო

ყისმათიანი ვარ-მეთქი! შეჩემისა-მეთქი, შენა... ეგრე იყო, ვეანგლებოდით ერთმანეთს...

უფროსი წერტილა — შვილი თუ გყავს?

უმცროსი წერტილა — შვილი? შვილი — არა... ჯერ არა; მაგრამ მეყოლება, თანაც ბიჭი, იმიტომ, რომ ყისმათიანი ვარ...

უფროსი წერტილა — ჰო, ყისმათიანი ხარ... მე ბევრს ვეძებდი, შენ იპოვე...

უმცროსი წერტილა — შენა, შენ რამდენი შვილი გყავს?.. *(პაუზა)* რა, არა გყავს?

უფროსი წერტილა — ნეტა როგორია, ბავშვი რომ იძვრება დედის მუცელში? ალბათ იმას ჰგავს რაღაცით, თევზი რომ დაარტყამს ანკესს...

უმცროსი წერტილა — ჰო, უნდა ჰგავდეს... მე ჯერ არ ვიცი... ორი თვის ფეხმძიმე იყო ცოლი, რომ წამოვედი...

უფროსი წერტილა — ჰო, უნდა ჰგავდეს... წერტილ!

უმცროსი წერტილა — ჰა!

უფროსი წერტილა — რაღაცით ვგავართ ერთმანეთს, არა?!

უმცროსი წერტილა — შენც წერტილას გეძახდნენ და მეც, ეგაა ჩვენი მსგავსებაც...

უფროსი წერტილა — არა, უფრო მეტად ვგავართ... *(პაუზა)* წერტილ!

უმცროსი წერტილა — ჰა!

უფროსი წერტილა — დედას რა ჰქვია?

უმცროსი წერტილა — ეე!..

უფროსი წერტილა — ბოდიში... მინდოდა მეკითხა, მამას რა ჰქვია-მეთქი...

უმცროსი წერტილა — ყოველ შემთხვევაში, მამაჩემს არ ეძახდნენ წერტილას... დაკმაყოფილდი!

უფროსი წერტილა — ჰო... ბოდიში... შენ ითევზავე, მე დავისვენებ...

უმცროსი წერტილა — რა დროს დასვენებაა, „ტოჩკა“, ანკესი გავმართე, გული მიგრძნობს, ახლა დავიჭერ ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან თევზს, აჰა, უცქირე!..

ახალგაზრდა ისევ მოისვრის ტბაში ანკესს, მაგრამ ამჯერად რაღაც სხვა ჰენით, ლაზათით, შეიძლება ითქვას, არტისტიზმითაც. როგორც კი ძუა წყალში აღმოჩნდება, ისევ წამოუბერავს ქარი და ტირიფის ტოტებს გადააწვენს.

ახალგაზრდა თავის ადგილას რჩება. ხანშიშესული წამოიმართება სკამიდან, ხისკენ გაეშურება, ხელს შეახებს ფოთლებს.

უფროსი წერტილა *(გამოხედავს ახალგაზრდას)* — იცი, წერტილ, იცი, ახლა, წერტილ, იცი, თევზი, რომელიც შენ უნდა დაიჭირო, ძალიან შორიდან ძალიან ახლოს და ცხადად დავინახე, წერტილ, და უნდა გითხრა... მე უნდა გითხრა, რომ ის, ის თევზი, წერტილ...

უმცროსი წერტილა — ჰო, როგორია ის თევზი, დიდია? ყველაზე დიდი თევზია, არა, რაც აქამდე დამიჭერია, ხომ ასეა?

უფროსი წერტილა *(ნაბიჯს გადმოდგამს ახალგაზრდისკენ)* — ყველაზე თვალწარმტაცი...

უმცროსი წერტილა — თვალწარმტაცი?

უფროსი წერტილა — ჰო, თვალწარმტაცი... მას ულამაზესი ზურგი აქვს... დაახლოებით ისეთი, ჩემს პატარა დაბასთან რომ იცოდა ვარსკვლავებით გადანათებული ღამეები, აი, ისეთი...

უმცროსი წერტილა *(სახე გაებადრება)* — ჩემს პატარა დაბასთანაც. იცოდა ეგეთი ღამეები... ლურჯი... ვარსკვლავებით გადაჭედილი და ლურჯი... გამჭვირვალე...

უფროსი წერტილა — და ხმები... მახლობელი ტყიდან ჭოტის შორეული მოძახილი... ძაღლმა წამოიღავღავა... ქვემოთ, სადღაც ქვემოთ, ველზე, მატარებელი მიდის... დგნდგნ... დგნდგნ...

უმცროსი წერტილა *(სახეგაბადრული)* — დგნდგნ... მიდის... დგნდგნ... ჩემი პატარა დაბის პატარა სახლებში კი მყუდრო შუქი ჭიატობს ფანჯრებიდან და მატარებელი მიდის... დგნდგნ, დგნდგნ...

უფროსი წერტილა — იმ თევზს დიდი ლაყუჩები აქვს და მისი ლაყუჩები ცურვის დროს ისეთ ხმას გამოსცემენ, როგორც განთიადის გრილ ბინდბუნდში აშრიალებული ტირიფი ტბაზე... შრ, შრ...

უმცროსი წერტილა — ტბაზე კი ნისლი, ფთილა-ფთილა ნისლი... აქა-იქ ნისლი, ტბასთან ტირიფი... მუცელი? რა ფერის მუცელი აქვს, წერტილ, ჩემს თევზს, ჰა, წერტილ?!

უფროსი წერტილა — მისი მუცელი სახეჩი ატამივით ყვითელია და მკრთალად წითელიც ალაგ-ალაგ და თანაც სრიალა...

უმცროსი წერტილა — კუდი? დიდი კუდი აქვს ჩემს თევზს, წერტილ?!

უფროსი წერტილა — ჰო, დიდი კუდი აქვს, რომელსაც ზანტად იქნევს ხოლმე, ზანტად და ღირსეულად და დროდადრო... კი არ მოცურავს, თითქოს ლამაზი ქალი მოდის ჩემი პატარა დაბის ქვაფენილიან ქუჩაზეო და...

ხანგრძლივი პაუზა.

უმცროსი წერტილა — მიდი, დაასრულე!

უფროსი წერტილა — რა?

უმცროსი წერტილა — თითქოს ლამაზი ქალი მოდის ჩემი პატარა დაბის ქვაფენილიან ქუჩაზეო და... რა, მერე?

უფროსი წერტილა — არც არაფერი... მე უნდა დავისვენო, შენ ითევზაო... მერე გავიყრებით... *(სკამისკენ გაემართება)*

უმცროსი წერტილა — ყველაზე საინტერესო ადგილას კი გაწყვიტე... *(პაუზა)* წერტილ! *(პაუზა)* ე, „ტოჩკა“!

უფროსი წერტილა — რა გინდა?

უმცროსი წერტილა — ბევრი ქალი გყოლია?

უფროსი წერტილა *(გამოხედავს)* — ითევზავე, სანამ თევზაობ, ცოცხალი ხარ!..

უმცროსი წერტილა — ჰო, მე ცოცხალი ვარ...

უფროსი წერტილა — ჰოდა, ითევზავე... შენი თევზი შენ უნდა დაიჭირო...

უმცროსი წერტილა — რომ ვერ დავიჭირო?..

უფროსი წერტილა — უნდა დაიჭირო...

უმცროსი წერტილა — და რომ არ მოვიდეს?

უფროსი წერტილა — მოვა, მოვა თევზი... მთავარია, ანკესი გიჭირავს ხელში, ანკესს ძუა აქვს გამობმული, ჰოდა, მოვა...

უმცროსი წერტილა *(ბეცი ღიმილით, არცთუ თავდაჯერებული)* — მეც მგონია, რომ მოვა თევზი... ჰა, წერტილ, მოვა?!

უფროსი წერტილა — მოვა-მეთქი, მაგრამ ყოჩაღად უნდა დახვდე...

უმცროსი წერტილა — ჰო, მე ყოჩაღად უნდა დავხვდე, მე კარგი მეთევზე ვიყავი... ვარ... ვიყავი თუ ვარ, წერტილ, ვიყავი თუ ვარ, წერტილ?!

უფროსი წერტილა — ხარ, ხარ, მაგრამ ბორგავ ახლა, შენ ახლა ბორგავ, თუმცა ანკესი შენს ხელშია და თუკი ანკესი შენს ხელშია, თევზიც მოვა, ყოჩაღად უნდა დახვდე...

უმცროსი წერტილა — მე ყოჩაღად ვარ, მე კარგად ვარ, მაგრამ თევზი არ მოდის, წერტილ! მოვიდეს უნდა ჩემი თევზი ჩემთან უნდა მოვიდეს უნდა ჩემი თევზი უნდა მოვიდეს ჩემთან თევზი!!! რატომ, რატომ, რატომ, რატომ, რატომ არ მოდის, წერტილ, თევზი, ჩემი თევზი ჩემთან არ მოდის, იქ კი, იქ კი, იქ კი, იქ კი, ტკივა ჩემს სხეულს და მითხარი, მითხარი, გთხოვ, მითხარი...

უფროსი წერტილა — შენ ყისმათა ხარ, თევზი მოვა, ის ახლა მოვა, მთავარია, ყოჩაღად დახვდე!..

უმცროსი წერტილა — მე ყისმათა ვარ; ყისმათიანოო, ყიმათიანოო — დედამ, ყისმათიანოო — დედამ; დედა, დედა, სად არის დედა! დედა, ჩემი თევზი უნდა მოვიდეს ჩემთან, დედა!

უფროსი წერტილა — აჰა, მოვიდა, დაარტყა! მიდი!

უმცროსი წერტილა — დაარტყა, დაარტყა, თევზმა დაარტყა...

უფროსი წერტილა — ანკესი მყარად ხელში, ასე! ახლა ნელა, ნელა, ნელა მოქაჩე, ძუა არ უნდა გაგიწყვიტოს...

უმცროსი წერტილა — ძუა არ უნდა გამიწყვიტოს, ძუა არ უნდა გამიწყვიტოს, ძუა, ჩემი ძუა...

უფროსი წერტილა — ჰოდა, ნელა! აი, მოდის, მოგყვება...

უმცროსი წერტილა — მომყვება, მომყვება! ჩემი თევზი მომყვება, მე მომყვება ჩემი თევზი, ჩემი თევზი ანკესს მოყვება, ჩემი თევზი ჩემთან მოყვება ანკესს, ანკესს მოყვება ჩემი თევზი...

უფროსი წერტილა — ნელა, უფრო ნელა, დაქაჩე!

უმცროსი წერტილა — მინდა, მე — ის!..

დაძაგრული ძუა წყდება. მესამედაც აშრიალდება ტირიფი, აშრიალდება და ჩაჩუმდება. უმცროსი წერტილა ტირიფს გახედავს, შემდეგ ხანშიშესულისკენ იბრუნებს პირს.

უმცროსი წერტილა ***(მშვიდად, კითხვითი ფორმით)*** — მე ახლა... ***(პაუზა)*** მოვკვდი?

უფროსი წერტილა — ჰო... ამ წამს... იქ...

უმცროსი წერტილა — ჰოსპიტალში... სამყაროს უკიდურეს სამხრეთის სამხრეთ პროვინციაში... ***(პაუზა)*** დედა გაიგებს, ეტკინება... მე არ დამიჭერია ორმოცკილოიანი საზანი. დედა იმასაც გაიგებს, ტყუილზე რომ დავიფიცე?

უფროსი წერტილა — უცოდველი არავინაა... არც მე დამიჭერია ორმოცდაოთხკილოიანი საზანი... თუმცა, დიდი კი იყო, ძალიან დიდი და ლამაზი...

უმცროსი წერტილა — ჰო, ჩემიც...

უფროსი წერტილა — მე ქალიც არ მყოლია... ძალიან ახალგაზრდა წამიყვანეს იქ... თითქმის ბიჭი... და მრცხვენოდა მეთქვა, რომ...

უმცროსი წერტილა — აქაც ჭაღარავდებიან?..

უფროსი წერტილა — მძიმეა უცხო მიწაზე, უცხო ცის ქვეშ ხეტიალი მწყობრი ნაბიჯით, როცა სირცხვილიც თან დაგყვება...

უმცროსი წერტილა — ჰო, უცოდველი არავინაა... შენ როგორ?

უფროსი წერტილა — ტყვიით... სნაიპერის ტყვიით... შენ?

უმცროსი წერტილა — ნაღმის ნამსხვრევით... თავში... ***(მიმოიხედავს)*** ძალიან შორიდან ძალიან მალე აღმოვჩნდი ძალიან ახლოს... აქაც ტბაა, ტბასთან — ტირიფი... მე და შენ მართლაც ჩამოვგავართ, ვერ ამჩნევ?

უფროსი წერტილა — ვერა... ***(პაუზა)*** რითი?

უმცროსი წერტილა — ხვედრით... ალბათ ამიტომაც დამტრიალებდი თავზე იქ, ჰოსპიტალში... ჩვენ ხვედრით ვართ მამა-შვილი...

უფროსი წერტილა — მე შენზე გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი... თითქმის ბიჭი... თანაც უიღბლო...

უმცროსი წერტილა — არც მე ვყოფილვარ იღბლიანი.

უფროსი წერტილა — ორი მეთევზე... ისიც შვებაა, რომ წლიდან წლამდე წელიწადში ერთხელ შევიყრებით აქ და დავისვენებთ...

უმცროსი წერტილა — ანკესით, რომელსაც ძუა აღარა აქვს... ***(დაიხრება. ანკესს ორკაპაზე შემოდებს)*** აქ დავტოვებ...

უფროსი წერტილა — ჰო... დროა... მზე გორას ამოსცდა... შენ საით, როგორ?

უმცროსი წერტილა — ალბათ დასავლეთის გზით, ჩემს პატარა დაბაში დასავლეთიდან ამოდიოდა მზე...

უფროსი წერტილა — ჰო, მე ჩრდილოეთით... შეყრამდე!..

უმცროსი წერტილა — შეყრამდე!.. ორი მეთევზე... მეთევზე ერთი, ორი...

უფროსი წერტილა — ერთი-ორი!

რამდენიმე ნაბიჯს გაივლიან. ერთდროულად შეჩერდებიან.

უფროსი წერტილა — ხედავ გორას, გორაზე დაბას, დაბასთან ტბას, ტბასთან ტირიფს?

უმცროსი წერტილა — ჰო, წერტილივით!..

სხვადასხვა კუთხიდან გავლენ. სცენაზე მზის წითელი სხივი გაიჭიმება. მოჩანს ორი სკამი, ორი ორკაპა, მასზე შემოწყობილი ორი ძუაგაწყვეტილი ანკესით.

ფარდა

დალი კახიანი

გაზაფხულის შიკრიკები

მესიზმრა, უი...
მეხი ღმუილით ცას მოწყდა,
უთვალავ ფეხით განიბნა,
ჯარგვალი დაფლა, ამოწყდა.
მეღვიძა, ცარგვალი განიბანა,
გამოალმასდა, გამოლამაზდა,
თვალი ვკიდე, ლამის ამცდა,
საყვედური დამცდა,
ფუტკრები ბორბოცით დნებიან თაფლად,
ბუტკოსთან დაბლა,
ჰაერს ბარბაცით თავებს ახლიან,
ეცემიან და იწყებენ ახლიდან.
მჭვირვალ სივრცეში დანავარდობენ შავი ლაქები,
სხლტებიან თავქვე და კვლავ ისევ თავაღმა,
ხვდებიან აქვე და ხდებიან თანახმა,
ათგზის ნაქები, სხვაც მრავალ მგოსნები,
ნატვრისთვალ ფრთოსნები,
განს გადგენ, გზა მისცენ, მარებლებს შორით,
გულვერცხლებს, მერცხლებს,
მოაბრძანებენ ეტლით გაზაფხულს,
შურით ემზიროთ ყვანჩალებს დაზაფრულს,
მათ ჭირვეულობას დაგიდევს არად ის,
შიკრიკებს ფრაკებში მიყავთ პარადი,
მათ ელოდებიან სარჩოთი პარკებში,
ბუმბულის ბურდებში მართვენი ბუდეში.
გაივლის ხანი და ნავლდება ხმანი,
გულს გვეთანაღრება რომ დიდად გვშორობენ,
კვლავ მოკითხვამდე, ამ დროის მერმისს,
მივანდობ ვერ ვის, მზაკვარ ხელებში გადამშენისა,
ტურფა გაზაფხულს, გარდა შენისა,
ბაღჩას მშვენისას ლალ-ზურმუხტებით,
მზრალი ქედები სივრცულ ხედებით შეიხსნიან ქამარს,
სიქუშეს იკმარს, ჩამოიფერთხავს,
ის მიმავალი დაეჭიდება მხოლოდღა ერთ ხავსს,
გამზევდება, გამონაზამთრებს კვლავ აღზევდება,
შემოიტმასნის ფერთა ბორიალს,
ხომ გაზაფხულის ეიფორია არის მარადი,
ზეცა და ხმელი, გრძნეული ხელით თანხმიერობენ და თან ხარობენ,
მარდი ფრთოსნები სხლტებიან თავქვე და სხლტებიან თავაღმა,
ერთობით ყველა არის თანახმა, იყოს მარადის, იყოს მარადის,
კვლავაც და კვლავაც, გულვერცხლებს, მერცხლებს მიყავდეთ პარადი.

გზავნილი სამშობლოს

გადუფრენს ტოროლა
ქოჩრიან მთებს, ველებს,
შეთვალავს დობილებს, არც თითო ოროლას,
გადუვლის იალაღს,
ვარდს, შროშანს, იას ლაღს,
რად ერჩი საყოლსო, ნურც უფრენ ახლოსო,
გულხვინჩვით, ქოშინით მოუხმობს ქორს შინით,
შეუქებს ნაჯაფარს, მხვნელებს და მთესველებს,
ხელმარჯვე იარაღს, სამარჯვს და ნაჯაფ ბარს,
გულს მოეფონება თავსავსე თავლები,

შემოქმედება თავისთავად ძიებაა, მიუკვლეველისა და გამოუცნობისაკენ სწრაფვაა, სხვაგვარად ის ვერც იარსებებდა, ცხადია, მაგრამ ერთია, როდესაც ძიება ქვეშეცნეულად, ირაციონალურის გზით მიმდინარეობს, და მეორეა, როდესაც საქმეში გონება, გათვლა, ანგარიში ერთვება. საუბარი არ არის იმაზე, თუ რომელი გზა, რომელი ცდა ჯობია. რა თქმა უნდა, უკეთესია ის, რაც ბუნებრიობის წესს არ არღვევს. თუმცა სინამდვილე ზოგჯერ თვითონ გთავაზობს თავის არჩევანს, როგორც გამოსავალს, საშუალებას, ხერხს. დალი კახიანის ლექსებში ეს ჩანს — ცნობიერის პრიმატი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ავტორის ინტელექტსა და გემოვნებას გამოკვეთს. პოეტმა იცის, რას აკეთებს და რისთვის აკეთებს. იგი ეძებს განსხვავებულ ფორმებს, განსხვავებულ რითმებს, განსხვავებულ ბგერწერას, ტროპებს, რიტმს, დინამიკას, პლასტიკას ანუ ყოველივე იმას, რაც იდეას გააცხოველებს და ისე მოიტანს მკითხველამდე, როგორც ამას მოითხოვს აღქმის თანამედროვე სპეციფიკა.

ძნელია იყო ორიგინალური, ძნელია თქვა ის, რაც არ თქმულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ შემოქმედი ხარ, შეუძლებელია არ ეძებდე, არ სცდიდე, არ რისკავდე. როგორც ითქვა, შემოქმედება, მითუმეტეს პოეტური შემოქმედება, ირაციონალური პროცესია, მაგრამ სწორედ ეს პროცესი წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ ანგარიში გაეწიოს ცნობიერ საწყისს, აზრს, გათვლას, ბოლოს და ბოლოს გემოვნებას, რომელიც, ღვთის მადლით, ერთ ნიშნულზე არ დგას, იცვლება და ვითარდება.

დალი კახიანი — მაძიებელი მხატვარი, ცნობადიდან შეუცნობელისაკენ.

ორმონი, მარნები, ნაჟურით ქერებით,
პაპის იმედა თავს ვლებით,
ბობღიად მარები საჩუქრად,
ნაგრამი ბაჩუკა, შავტუხ და ქერები.
მიესათუთება შეუმშრალ ნამ ფერებს,
ნაღვაწს და ნაფერებს,
ორღობეს, ბაღს, შუკას,
შემომსხდარს ქონგურზე ჩუქურთმებს,
ვაზის ლერწების შუქურ თმებს,
ჩაჩუქურთმ-ჩაგვირისტებულს,
გულდაგულ თავმოყრილს სავარცხლით,
მინამღერს ფანდურზე, ჩონგურზე,
სხარტულა თითების ჩამარცვლით,
მრავალჟამიერ მესხურმა, საითგან საით დენილმა,
მოდგმამ ძირძველმა, დევნილმა,
სული შეძრა, თვალი, მინამა,
ფერი იცვალა ცირცველმა,
მტკაველა ჩიტიც ღობეზე გაშეშდა,
თვალი მინაბა,
დარები მიდი-მოდიან,
ნაირფერ სამოსს იცვლიან,
ვკვირვობ ზოგისას საამგნოდ რაისთვის ვეღარ იცლიან
ძველთაგან საგოგმანები სხვა მეტი რა დაგვრჩენია
გულს ლახვრად შემოჭდობილი,
ღვიძლია მეტად ჩემია.
ეჰ, ესეც ჩემია,
გულს ლახვრად წვდომილი,
ფეხმრუდად მავალი, ძე შეცდომილი,
პირბნელამ, პირშავამ,
ლუკმა ურგები არმობით იშოვა,
იქმნენ ბევრეულ ძენი, ბადიშნი,
მადლით, მცოდნეობით,
ბერთევდორეობით და ცოტნეობით,
არ დაგვიწყებოდეს ვისი ვართ გორისა,
საიდგან მოსულნი, რად ვევნეთ, რად ვიშვით,
გარდუხდელ ვალებით, ტვირთმძიმე ორსულნი,
ხელსაგოგმანებით, ჯრუჭით, ჰადიშით.
შვილობა მამულის, პატივი, წერაა,
უფლის ხელდასხმით ამ უღლის წევაა,
სათვალო კოშკია ხერთვისის და ხსნისა,
გულმდუღარ ოშკია, მეძებარ გზის ხსნისა.
ნუმც მოვსწრებოდეთ, ღმერთი წყრებოდეს,
ნაოცნებარი არ აგვხდენოდეს,
დათვი სუქდებოდეს, ჩვენ მჭლე ვხდებოდეთ,
ამოგვცქერდეს პირით ბნელით,
მიწა მწყრალი, ნამეწყრალი,
გადამთიელი მასპინძლად გვხვდებოდეს,
სამისო წესისებრ გვიდგენდეს რუქას,
ფერდობს გაჩეხილს და დაბლობს ურგავს,
მიწა მეურნის გარეშე ცდებოდეს,
უმრევლო ტაძარში სანთელი ქრებოდეს,
არაგვიანთა სათავე წყდებოდეს.
სურვილ ძველო, მოგკაზმავდი სადღეგრძელოდ,
გამჩენო მოგვმადლე ჟინი, არათუ ბოღმისა,
ტოლობით ნაჭიდი ვეფხვის და მოყმისა,
მყოფინობით და არც ვალით,
ბეღელსავსე და ხელსავსე პურ-ღვინითა და მარცვლით,
ვინც ჩვენს აუგს ამოთქვამდეს ენით მყრალით,
წინ მეწყერი, უკან წყალი.

წამოდგა ზეზე მზე

წამოდგა ზეზე,
ზეციდან მზე,
მზე ციდან,
ზღურბლს აცდენილი ზე,
სტიქაროსანი არიგებს,
ერთ ციდა ბზებს,
ავედრებს გამრიგეს,
უკვალავ გზებს,
ვითარცა დილის საარი,
რეკს ზარი, რეკს ზარი,
ჰოიმე, უნებურ გადამცდა მზე,
შიგნიდან მხუთავს მანათებს,
დედაო სამადლოდ ფუთავს ამანათებს,
მრევლს ამუნათებს,
ტაძარს რად უნდა მესერი,
იგი არც სდუმს, არც სთვლემს,
ამ ნათელ თვლებს,
ის საზღვრავს კანკელით,
საკმელი აბოლდა კანკალით,
განიბნა სარკმელით,
სულმნათებს და მურთხვებს,
ორთავ მიაგებს საკურთხებს,
შესაწირველად არც ვინ აკურთხებს,
შემცბარ კურდღლებს და ცანცარა თხებს,
კაცები ზორბები,
არას ერჩიან საბუდარს ორბების,
მიწამაც იწამა კოჟრიან ტორების,
ბეღელს ელანდება პირსავსე ტომრები,
ტაროსიც დაინდობს ნაჯაფარს ამ გზობას,
აღდგომის საწინდრად დაუთმობს გზას ბზობას,
ზეციდან ჩამოსხლტა ზღურბლს აცდენილი ზე, მზე,
დედაო არიგებს ერთციდა ბზებს,
გავშტერდი... უნებურ გადამცდა მზე, მზე ციდან,
ზეციდან რეკს ზარი, უცდომელ ეგ გზა არის,
რეკს ზარი.

მათ მე მოველი

მათ მე მოველი,
როს ღამენათევს დამლოცავს მათე,
როცა,
ლურჯად ღამდება, უპე ნამდება,
ზეციდან მნათე ცისკრდება,
ის კრთება, როცა,
მიართმევს მართვეს ერთციდა სანდლებს,
რომ არ შესცივდეს, ან არ დავარდეს,
რომ არ შემცირდეს,
მხარეს სავარდოს გაინავარდოს,
კანდელზე სანთლებს რომ შეამცივნებს,
ხტის ალი ვით კვიცი,
ნიავს აცინებს,
გააქვს ლიც-ლიცი,
იცი, იცი?
რა გამოულევს სახლს დარდს, დაელოდება საღ დარს,
როგორ აჟრჟოლებს,
შემოეტმასნა სველი პერანგი საყდარს,
კვინტებს ყრის ურჩად,
ქანცი გაუწყდა სახედარს ლურჯას,
ჩვენც შეგვძლებიყო ნეტავ და...
დათმენა ხვედრია ნეტართა.
იცი?
როს გრძნეულება ზურგს აქცევს დროს,
არად დაგიდევ მე რამე-რუმეს, ნამდება უპე, ღამდება
მრუმედ,
მარადის მიღმაა ჩემს ყურს რომ სწვდება,
მჟღერი ის ხმაა,
იცი?.. მოველი მათ მე,
დამლოცე მათე.

კვლავაც ის არის

ვერცხლისფრად ელავს
ახალი მთვარე — ნესვის ნაჭერი,
და მახსენდება
ჩინური ლექსის სტროფი ხანმოკლე,
სიბრძნით ნაჯერი,
თავს ზემოთ ჰკიდია უბადრუკობა,
ხმალი დამოკლეს,
წამები აწამეს, აკუწეს და მოკლეს,
დროს მიღმა ტოვებს,
წრიული სრბოლა — მარადისობა,
მაღლიდან დამყურებს მარად ის ობობა,
მარტოსულ ქედებს გადაუქროლებს
ჭრელი ციცარი,
და რაიც იყო, კვლავაც ის არის,
ელვის ისარი კუნავს და ფლეთს
ღრუბლის ფერდს,
კვლავაც ის არის.
კვლავაც ის არის.

კერპთ თაყვანი

თვალში ჩანაცრდა ღამეულ ბინდი,
სურვილ ჩაუთქვეს ხოგაის მინდის,
ამინდ გაფუჭდა, აღარ ივარგილ,
ეტყობ გაუწყრათ თეთრი გივარგილ,
ნატვრა აუხდათ სასურველ ბედად,
კეთილად უჩანსთ ადგილის დედა,
მოაქვსთ ბარაქა თოხებს და ბარებს,
ბალღთა მფარველობს მწყაზარ ბარბარე,
უამურ უგრძნო თამაში თვალმა,
ჩაუქ მონადირს უგანა დალმა,
ბედის მწერალი მარცვლავს და ითვლის
სად არს დაფარულ მეზირის ნივთი,
მადლო გვაშორე ჭირ და ხორველა,
მიწის მფარველ ღმერთ არს ოროველა,
ჰოი აგუნა, ანცო აგუნა,
შენი ნაჟური ღმერთმა გვარგუნა,
ეხეთქებიან ქარაფის ჯიქნებს,
დგანდგარი გააქვს ალებს და ჭინკებს,
ერთურთს ცილობენ, რომელ არს ყოჩი,
ოჩოპინტრეა თუ ოჩოკოჩი,
უნდ გვიხაროდესთ, რაისთვის კვირიან,
თვალ თუ შევასწართ მზექალს, კვირიას,
ტრიალებს, ბრუნავს წერის ბორბალა,
დევთა და ქაჯთა რისხვა კოპალა,
მხარს ამაუდგა როგორც სახსარი,
მტრის ქუხილ-გრგვინვა მხედარ იახსარი,
ბორკილს აიწყვეტს მზე ამირანიც,
კარს მოგვადგება თავის მერანით,
ნეტავ საით ძევს კოპალას ქვაი,
ვინაც მისწვდება, სხვისთვის არს ვაი,
ფლოქვთა თქარუნით ჭექავს და ელავს,
რაშს მოაგელვებს გმირ ლაშარელა,
თრთის და ცახცახებს ურჯულოს ჯარი,
წინ მიუძღვება ლაშარის ჯვარი,
არს მიუდგომელ, მთას საცოცავებ,
შესავედრებელ და სალოცავებ, მიგრიაულთა,
გოგოლაურთა,
ღვარცოფ აქაფდა, კლდე ჩამაიქცა, შიგ თავი დურთა,
არის ჭიჩო და არის დამასტურ, არს შესაწირველ,
ხატობას ახლავს,
დაგიკლავთ საკლავს, თუ არს შენ დასტურ,
ბალღ დააჩოჩებნ, ხელთა აყვანით, გული გაჯერდა
კერპთა თაყვანით.

ისტორიის დიადემები

ვარჯთა უბეში შეყუჟულ უბისს,
დაღდასმულს დროით, თუმც არა უბირს,
თვალი გაურბის საბუდარ ორბის დევის ხვრელისად,
სად უქმი კენჭიც მოღაღადეა,
კირით ხუროთა მწიფე ხელისად,
შემოუნახავს მემატიანედ წიგნაკი უბის,
ფერებხატულა ფუნჯს დამიანეს,
პიგმენტებს მჭვირვალს და ნამიანებს,
შემოუძახებს დრო-ჟამი ქვაბულს,
შოშმინ და ყაბულ,
შეეგებება უღლელ მასპინძლად ადამიანებს,
ციდამტკაველა სულ ერთი გოჯი შეკეცილ მთებით,
ვაზის ხლართების შეკვეცილ თმებით,
იქ ციხე-გოჯით, არქეოპოლისის მოკირწყლულ ქუჩით,
თავგამეტებით ცოტნეს, თუ ქუჯის,
შემოუნახავს ტვირთმძიმე ხურჯინს,
ბიბინა მოლის ზევით და ქვევით
კრიალოსნები მეცენატივით,
აღმაფრთოვანებს მეც ეს ნატიფი ინანთეული,
და შეგვახსენებს, მეცითო პატივი,
დაღარულ მიწას თავს შემოვევლეთ დიადემებად,
და ისტორიის ხრიოკ ღარტაფებს,
შემოვრჩენილვართ დიად თემებად.

მიხეილ ანთაძე

სამი სხვადასხვა ისტორია

სამი სხვადასხვა კაცის შესახებ, ერთი შეხედვით

ისტორია პირველი

ერთ დიდებულ ოჯახში აღზრდილ ყმაწვილკაცს კეთილშობილი წარმომავლობის ასული შეუყვარდა და დაქორწინდნენ. ვაჟი ექიმი იყო, ქალი ფილოლოგი. ხარობდნენ ცხოვრებით, მეგობრებით, ახლობლებით, დროსტარებით... ერთხელ, თქვენ წარმოიდგინეთ, კოკაინიც კი გასინჯეს, მაგრამ არ მოეწონათ... უეცრად მათი ქვეყანა აირია — ჯერ იყო და მძვინვარე ომი დაიწყო. ომს ექიმები სჭირდებოდა. სამშობლოს სიყვარული მოხალისეობასაც მოითხოვდა. წამების გზებზე იარა ვაჟმა, ფრონტი ნახა, ურიცხვი სიკვდილი ნახა, თვითონაც ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ბოლოს ერთი პროვინციის საავადმყოფო ჩაიბარა, კარგად ექიმობდა, მაგრამ მორფს შეეჩვია. ამასობაში რევოლუციამ დაიწყო ნგრევა და ყოვლის გაჯოჯოხეთება. კიდევ კარგი, ცოლი სულ ახლდა თან, ერთგული, თავგანწირული. რის ვაივაგლახით დააღწია თავი ნარკომანიის ხაფანგს, მაგრამ ამასობაში სამშობლო სამოქალაქო ომმა მიწასთან გაასწორა. ყველაფერი დაემხო, ყველაფერი გაცამტვერდა. ემიგრაციაში გაქცევაც ვერ მოხერხდა. დაკარგა ექიმმა, რაც რამ ებადა იმ შესისხლხორცებული მეუღლის გარდა, თუმცა სულგაბზარულსა და ცნობაშერყეულს აღარც სიყვარულისა სწამდა, აღარც ექიმობა შეეძლო. ბოგანო ღარიბ-ღატაკებად დაემკვიდრნენ იმ თავიანთი ქვეყნის ვეება დედაქალაქში და გადაწყვიტეს ცხოვრების ნულიდან დაწყება, რადგან მათი სახეცვლილი სამშობლოც ამასვე იქმდა. ათასჭირგადანახადი, თუმცა ჯერ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი აითქვიფა ხალხის მასაში.

მიხეილ ბულგაკოვი

ცოლს ერქვა Тася.

ქმარს ერქვა Миша.

ისტორია მეორე

ერთმა მწერლობის ჟინით შეპყრობილმა ახალგაზრდამ თავისი ქვეყნის ვეება დედაქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაში გარევა მოიწადინა. საკმაოდ ძნელი საქმე იყო შორიდან ჩამოსული, უბინაო, უფულო, უპოვარი და თანაც ცოლიანი კაცისთვის, მითუფრო, რომ მისნაირად სხვაც მრავალი იღვწოდა. ენამახვილი ფელეტონებით დაიწყო და ერთი კაი ჟურნალის რედაქციაში მოიკიდა ფეხი. ნიჭიერიც იყო, ჭირვარამგადატანილიც და თანამოკალმეთა შორის მალე გამოიჩინა თავი, დაემკვიდრა არტისტულ ბოჰემაში. ჭრელი, არეულ-დარეული დროება იდგა, გარდამავალი. ძველი დანგრეულიყო, სიახლეები ერთურთს ებრძოდნენ. ჩვენი ახალბედა მწერალი ღარიბულ სახლში ცხოვრობდა ცოლთან ერთად და ღამღამობით რომანს წერდა სამშობლოს უბედურებაზე. მაგრად გაისროლა ამ რომანმა. მერე პიესადაც გადააკეთა და იმანაც გაისროლა, საუკეთესო თეატრში დაიდგა, დიდიან-პატარიანად ყველა აღაფრთოვანა... ავტორი პოპულარულ ელიტას გაერია და ერთხელ ლიტერატურულ ნადიმზე მომხიბლავი მსახიობი ქალი გაიცნო, ევროპიდან ახალდაბრუნებული, ქმარგანაშვები, მოდერნისტული, თავისუფალი, ზომიერად გარყვნილი, ნიჭიერი, ვნებიანი. ჰოდა, გაეყარა ცოლს და შეირთო ეს ქალი. ბოჰემურ წრეებში სატრიალოდ, შემოქმედებაში სასპარინგოდ, ლოგინში საკამასუტროდ ზედგამოჭრილი დიაცი იყო. აბა ის თავისი ძველმოდურად კდემამოსილი ცოლი რაღად გამოადგებოდა. წარმატებები კი იმატებდა და იმატებდა. კიდევ რამდენიმე პიესა დაიდგა, პროზა საზღვარგარეთაც დაიბეჭდა, საერთაშორისო აღიარება და ფული გამოჩნდა. ორ-სამ წელიწადში დამწყები ფელეტონისტი სახელგანთქმულ მწერლად იქცა... მაგრამ ამასობაში ქვეყანას ტოტალიტარული იდეოლოგია ეპატრონებოდა და ყოველ პატიოსან მწერალს შავი დღე ემუქრებოდა. შეუჩნდნენ ჩვენს გმირს უსინდისო, მედროვე კრიტიკოსები და ისე გააშავეს კაცი ხალხისა და მთავრობის თვალში (კრიტიკოსებს სპეცსამსახურებმაც აუბეს მხარი), რომ ის უბედური სიგიჟის, შიმშილის და სიკვდილის ზღვარზე მიიყვანეს. პიესები აკრძალეს, რედაქციებისა და გამომცემლობების კარები ჩაუცხრაკლიტულეს. აღარც შემოქმედებითი საძრაობა მისცეს, აღარც ლუკმა-პურის სახსარი. ეგ კი არა და, ბევრ სხვათა მსგავსად, დაპატიმრებასა და სიკვდილით დასჯასაც მოელოდა ყოველ ცისმარე. მისი ელეგანტური და ნიჭიერი ცოლი, ვიდრე კარიერა აღმა მიდიოდა, მხარში ედგა და ალერსს არ აკლებდა, მაგრამ როგორც კი დაღმა დაეშვა საქმე, ქალმა ქმარი უნიათო კაცად, წარუმატებელ მწერლად, სუსტ პიროვნებად გამოაცხადა, გული აიყარა მასზე და ეგება უღალატა კიდეც. ამან, თავის მხრივ, ნამდვილად უღალატა სხვასთან და დაინგრა ოჯახი. როგორც ხშირად ხდება ხელოვანთა ცხოვრებაში, აღზევებას დაცემა მოჰყვა, დიდება უკან დარჩა, წამების გზის ნავალს საზოგადოებამ დავიწყება მიაგება. უპერსპექტივო განადგურებით დასრულდა ეს ისტორია.

ცოლს ერქვა Люба.

ქმარს ერქვა Миша.

ისტორია მესამე

ერთ ტირანულ სახელმწიფოში, რომელსაც მრისხანე მბრძანებელი განაგებდა, ცხოვრობდა ერთი უპოვარი, სიმართლისთვის დევნილი ბრძენკაცი. სისხლისმსმელი დიქტატორის ლაქიებმა ეს ბრძენკაცი საშინელ დღეში ჩააგდეს — რაც რამ ებადა, დაკარგინეს, ხმის ამოღების უფლებას არ აძლევდნენ, შიმშილით კლავდნენ და სიკვდილითაც ემუქრებოდნენ. ბრძენმა გაბედა და თვით ტირანს შეჰკადრა, ან აქედან გამიშვი, ან სიცოცხლის საშუალება მომეცი. იმან გაშვებით არსად გაუშვა, რადგან მის ნიჭსა და სიბრძნეს დიდად აფასებდა, მხოლოდ ლუკმაპურის სახსარი გაუჩინა, რიგით სამსახურში დააყენა, მაგრამ სიმართლის თქმის უფლება, რა თქმა უნდა, არ მიუცია. ბრძენი არ შეეპუა, თავის ღარიბულ სარდაფში მალულად უდიადეს წიგნს უნერდა კაცობრიობას. ერთხელ, შემთხვევით, ქუჩაში ლამაზ, დიდებულ ქალს შეეყარა და ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. ეს ქალი ბობოლა მხედართმთავრის ცოლი იყო, შვილიც ჰყავდა, არც სახლ-კარ-

---

*** ნაწყვეტები ბიოგრაფიული რომანიდან მიხაილ ბულგაკოვის შესახებ**

მსახური აკლდა, არც ფული და სიმდიდრე-ფუფუნება, მაგრამ მიხვდა, ჩემი ამქვეყნიური დანიშნულება სხვააო, გაჰყვა სიყვარულის ძახილს, მიატოვა ძველი ცხოვრება, გადასახლდა ბრძენკაცის სარდაფში, დაუდგა თანაშემწედ, პირად მდივნად, მომვლელად, მზუნველად, გულისხმიერ ცოლად, ვნებიან თანამეცხედრედ, ერთი სიტყვით, იდეალურ მეუღლედ სიცოცხლის ბოლომდე. დაწერა ბრძენმა გრანდიოზული ქმნილება ადამიანთათვის, მთელი თავისი ტანჯული ცხოვრების შნო და გამოცდილება შიგ ჩააქსოვა, დაახარჯა უკანასკნელ წვეთამდე სასიცოცხლო ძალა და მიიცვალა კიდეც. ცოლი დარაჯად დაუდგა მის სულიერ მემკვიდრეობას, უერთგულა ქმრის დანატოვარს და მრავალი წლის მერე, როცა ბოროტი მტარვალი ისტორიას გადაეგო და ხალხმაც ოდნავ ამოისუნთქა, ქალმა გენიოსის უკვდავი ნაწარმოები, სასოებით შენახული, მსოფლიოს წინაშე გამოამზეურა.

ცოლს ერქვა Лена.

ქმარს ერქვა Миша.

მეხუთე განზომილება

ერთი საქვეყნოდ ცნობილი მწერლის წყალობით დაწვრილებით ვიცით, თუ როგორ ტარდება ხოლმე სავსემთვარობის საგაზაფხულო ყოველწლიური მეჯლისი, ევროპაში „შაბაში"-ს სახელით რომაა ცნობილი. მკვეთრი, ფერადოვანი და დეტალური აღწერა „მასტერ ი მარგარიტას" ყველა ჭკუათამყოფელ მკითხველს დაუკარგავს ამ გრანდიოზულ ღონისძიებაში ოდესმე უშუალოდ მონაწილეობის სურვილს. ზოგიერთი ქალბატონი თუ დათანხმდებოდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მეჯლისის დედოფლის როლზე.

სხვათა შორის, „შაბაში" გასულ გაზაფხულზეც ჩატარდა და მომავალ გაზაფხულზეც ჩატარდება უეჭველია. ვინ მოსთვლის, რამდენი ახალი სტუმრით შეივსო ასი ხელმწიფის მეჯლისზე მოწვეულთა რიგები იმ ათწლეულების განმავლობაში, რაც ვოლანდისა და მისი ამალის მოსკოვური ვიზიტის შემდეგ გავიდა. თან რა ხალხი! რომელი ფრიდა და ქალბატონი ტოფანი მივა ამათთან, ახლებთან. ფაგოტ-კოროვიევს ან მის ახლანდელ შემცვლელს კვლავაც მოუწევს ახსნა-განმარტებათა მიცემა მეჯლისის ახალი დედოფლისათვის.

არაა გამორიცხული, რომ საუბარი შეეხოს სივრცის გასაოცარ თვისებებს, მის უნარს — გამრუდდეს, გარდაიქმნას, დაიგრიხოს ისე, მხოლოდ ეშმაკმა რომ იცის, როგორ... რამე ითქმება სამგანზომილებიან კაფსულირების, ფიზიკური ვაკუუმისა და ტორსიულ ველების შესახებაც. აბა, სხვანაირად როგორ უნდა აუხსნას ფაგოტმა მეჯლისის ახალ დედოფალს, თუ საიდან გაჩნდა ამ მასშტაბური შოუს დამტევი სივრცე პატარა ბინის შიგნით. უეჭველია, თეორიული ფიზიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, კრიმინალური პრაქტიკის კონკრეტული მაგალითების გარეშეც (არადა, ეს პრაქტიკაც ძალიან წინ წავიდა ამასობაში), ფაგოტი გააოგნებს მარგარიტას, თუ მოუყვება 26-ჯერად სივრცეზე ანუ ბოზონური სიმების თეორიაზე. ანდა ფიზიკური ვაკუუმის ათგანზომილებიან მოდელზე. თუმც კი თქვა თეორიების შესახებ ამ მეჯლისის ორგანიზატორმა, რომ ისინი „стоят одна другой". განსხვავება მხოლოდ ეპოქაშია. ახლა პოსტმოდერნიზმია. მეტაფიზიკური პარადიგმის ცვლა მიმდინარეობს. მაშინ პარადიგმა ჯერ მყარად იყო, ოდნავ ირყეოდა მხოლოდ.

ჰოდა ისმის კითხვა, რატომაა ბულგაკოვის რომანში ლაპარაკი მაინცდამაინც ხუთგანზომილებიან სივრცეზე?

სივრცის განზომილებათა რიცხვი ოდითგანვე აინტერესებდა კაცობრიობას. ჯერ კიდევ ძველებრაულ „შესაქმეში" —"სეფერიეცირა"-ში (კაბალას მოძღვრებაში), რომლის ავტორობაც პატრიარქ აბრაამს მიეწერება, რაც მოსეს სინასმთისეულ გამოცხადებაზე ათასი წლით უწინდელია, ლაპარაკია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ხუთგანზომილებიან სამყაროში. სამი განზომილება სივრცულია, ერთი — დრო და მეხუთე — სულიერი, სადაც იზომება „მანძილი" კეთილსა და ბოროტს შორის.

ბულგაკოვთან რიცხვი 5 საინტერესოდ ფიგურირებს — სახლი 302-ბის, ბინა 50. პილატე — იუდეის V პროკურატორი და ა.შ.

20-30-იან წლებში სსრკ-ში აინშტაინის ფარდობითობის სპეციალური და ზოგადი თეორიების შესახებ ბევრი რამ ისტამბებოდა: თვით აინშტაინის, ჰერმან მინკოვსკის, არტურ სტენლი ედინგტონის სტატიები და წიგნები, ადგილობრივი ავტორების სამეცნიერო-პოპულარული ბროშურები. 1923 წელს გამომცემლობა «Academia»-მ გამოსცა ა. ფრიდმანის წიგნი „სამყარო, როგორც სივრცე და დრო" («Мир как пространство и время»). სწორედ ამ შესანიშნავმა რუსმა მათემატიკოსმა — ალექსანდრ ალექსანდროვიჩ ფრიდმანმა — 1922 წელს გამოაქვეყნა სტატია, სადაც მოცემულია აინშტაინის ველის განტოლებათა დინამიური გადაწყვეტა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო გაფართოებადი სამყაროს კოსმოლოგიურ მოდელს, დიდი აფეთქების თეორიასა და სხვა ასეთებს.

ბულგაკოვი განათლებული ადამიანი იყო და ცხადია თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს იცნობდა. გავიხსენოთ მისი ფანტასტიკური კომედია „ივან ვასილიევიჩ" (1935). აი რას ეუბნება გამომგონებელი ტიმოფეევი მეტისმეტად ფრთხილ და შტერ სახლმმართველ ბუშნეი-კორეკკის: «...Как я вам объясню, что такое время? Ведь вы же не знаете, что такое четырехмерное пространство, движение... я, например, хочу пронизать сейчас пространство и войти в прошлое...»

ეტყობა, მწერალმა ისიც იცოდა, რომ 1921 წელს ლინგვისტ-მათემატიკოსმა თეოდორ კალუცამ წამოაყენა ხუთგანზომილებიანი დრო-სივრცის იდეა, რომელიც აინშტაინისეულისაგან საოცარი ფორმალური სისადავით განსხვავდებოდა. მისი ერთიანი ველის თეორია აერთიანებდა გრავიტაციასა და ელექტრომაგნეტიზმს. ხუთგაზომილებიან სივრცეში აინშტაინის მიზიდულობის განტოლებანი ოთხი კოორდინატისათვის ემთხვევა მიზიდულობის ჩვეულებრივ (კლასიკურ) განტოლებებს, ხოლო მეხუთე კოორდინატას მაქსველის განტოლებებთან მივყავართ. შვედი ფიზიკოსის ოსკარ კლეინის ვარაუდით, მეხუთე განზომილებაში არ არის მოძრაობა, რადგანაც ის თავის თავშია ჩაკეტილი ანუ კომპაქტიფიცირებულია, როგორც, ვთქვათ, ცილინდრის ზედაპირი. სამაგიეროთ, მასში (მეხუთე განზომილებაში) შესულ ვოლანდის ამალის ვიზიტორებს შეეძლოთ ჩვენი სივრცის სამგანზომილებიანი სურათი მეოთხე განზომილებაში — დროში — დაენახათ ნებისმიერი მიმართულებით, ანუ წარსულშიც და მომავალშიც, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ ორგანზომილებიან ეკრანზე ვუყურებთ ხოლმე ფილმებს. ამდაგვარი რამ ემართება „თეატრალური რომანის" გმირს მაკსუდოვს, როცა ჟურნალის გვერდიდან მის თვალწინ სამგანზომილებიანი ცოცხალი სურათი აღმოცენდება. უნდა აღინიშნოს, რომ კალუცა-კლეინის თეორია ნახევარსაუკუნოვანი დავიწყების შემდეგ კვლავ აღორძინდა მაიკლ გრინის და ჯონ შვარცის სუპერსიმების თეორიაში, სადაც ოპერირებენ ათი განზომილებით და მათგან 6 კომპაქტიფიცირებულია.

ინგლისელი ავიატორ-ფილოსოფოსი ჯონ უილიამ დანი ირწმუნებოდა, მომავალი უკვე არსებობსო, და ამის დამადასტურებელ საბუთად წინასწარმეტყველურ სიზმრებს ასახელებდა. ამას მოჰყვა ჯონ ბოინტონ პრისტლი, იუნგი თავისი „სინქრონისტულობის თეორიით", რომ აღარაფერი ვთქვათ თომა აქვინელზე, კაბალაზე, დაოსიზმზე, თუნდაც ავსტრალიელ აბორიგენთა სიზმრისეულ დროებაზე, მთელს თეოლოგიასა და მეტაფიზიკაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვოლანდის ვიზიტი კანტთან, მისი ახდენილი წინასწარმეტყველება ბერლიოზის სიკვდილთან დაკავშირებით, მებუფეტე სოკოვის კოროვიევისეული დიაგნოზი და სხვა მრავალი.

ამრიგად, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ბულგაკოვი იცნობდა ფარდობითობის ზოგადი თეორიის ზოგიერთ დებულებას და მის მიერ ხუთგანზომილებიანი სივრცის არჩევანი ვოლანდისა და კომპანიის თავშესაფრად შემთხვევითი არ არის. ახლა ამ თვალსაზრისით განვიხილოთ რომანის ფინალში არსებული აშკარა ანაქრონიზმები, კერძოდ, 30-ე თავსა და ეპილოგში.

სატანასთან მეჯლისის შემდგომ მარგარიტა, ბოლოსდაბოლოს, შეხვდება მასტერს — ვოლანდს ის ფსიქიატრიული კლინიკიდან ე.წ. „ცუდ ბინაში" გადმოყავს. როცა მასტერი მორიდებით დაიჩივლებს, რომ საავადმყოფოში მას ცუდად ექცევიან, მყისვე კოროვიევის ხელში გაჩნდება მისი ავადმყოფობის ისტორია, რომელსაც იქვე ბუხარში დაწვავენ. ღამეული საუბრისას ვოლანდის თვალწინ თითქოს იხსნება სავარაუდო მომავალი მოვლენების მრავალმნიშვნელოვანი სურათები და იგი ირჩევს ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს. ამიტომაც მარგარიტას ნათქვამზე „მშვიდობით ბრძანდებოდეთ", პასუხობს — "ნახვამდის", მერე კი ავალებს აზაზელოს, ყველაფერი მოაგვარეო.

აზაზელო მოწამლავს მასტერსა და მარგარიტას და მერე მიეშურება მარგარიტას ბინაში, რათა ნახოს, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საჭიროა, თუ არა (ან კი როგორ არ მოხდებოდა ისე, როგორც საჭიროა?). «Азазелло видел, как мрачная, дожидающаяся мужа женщина вышла из своей спальни, внезапно побледнела, схватилась за сердце и, крикнув беспомощно:

– Наташа! Кто-нибудь… ко мне! — упала на пол в гостиной, не дойдя до кабинета.

– Все в порядке, — сказал Азазелло. Через мгновение он был возле поверженных любовников».

ამრიგად, მარგარიტას ცხედარი რჩება იმ ბინაში, სადაც იგი ქმართან ერთად ცხოვრობდა, ხოლო მისი სული ამ მომენტში მასტერთან ერთად „რეანიმირებულ" სარდაფში იმყოფება. სარდაფის ოთახის „რეანიმაციას" მარგარიტას ბინიდან დაბრუნებული აზაზელო ახდენს. მოწამვლამდე მარგარიტა მასტერთან ერთად იმყოფებოდა სხეულებრივადაც და სულითაც, რამეთუ 30-ე თავის დასაწყისში ითქვა, რომ მარგარიტას ქალაქურ (ქმრის) ბინაში ნივთების წამოსაღებად მისვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არადა მარგარიტას მაინც მოუწია იქ მისვლა, ოღონდ არა ნივთების წამოსაღებად, არამედ იმ ნივთებთან დასარჩენად, იმ ნივთების გარემოცვაში ინფარქტით მოსაკვდინებლად.

მერე?

როგორც უკვე ითქვა, მასტერი საგიჟეთიდან მოიტაცეს მეჯლისის შემდეგ. მაგრამ მოწამვლით სიკვდილის შემდგომ, აზაზელოსა და მარგარიტასთან ერთად მოსკოვის თავზე გადაფრენისას, მასტერი ივან ბეზდომნისთან დამშვიდობებას გადაწყვეტს სტრავინსკის კლინიკაში.

დაემშვიდობებიან ივანუშკას და ამის მერე კეთილი პრასკოვია ფიოდოროვნა ეუბნება: «Скончался сосед ваш сейчас». ამაზე ივანი წყნარად პასუხობს: «Я так и знал. Я уверяю вас, Прасковья Федоровна, что сейчас в городе еще скончался один человек… — это женщина». ეს ქალი, ცხადია, მარგარიტაა, რომელიც თავის ბინაში ინფარქტით მოკვდა (თუ სარდაფში მოწამვლით?). უფრო პირველი.

ცნობილია ისიდორ მიხაელის ეგრეთწოდებული სწორკუთხა მატრიცა, რომელიც შენახვის კანონების საფუძველზე სულის უკვდავებას ამტკიცებს. მატრიცა ასე გამოიყურება;

0 1 1
0 1 0

ზედა მწკრივი აცნობიერების (ანუ სულის) ყოფნა-არყოფნას ასახავს, ქვედა კი — ტანის, სხეულის. 0 არარსებობაა, 1 — არსებობა. ვერტიკალური მწკრივები დისკრეტული მდგომარეობებია: დაბადებამდე, სიცოცხლეში და სიკვდილის შემდგომ. ნულებისა და ერთიანების საერთო რიცხვი თანაბარია — სამ-სამი. აქედან — შესაბამისი დასკვნა.

ვთქვათ, რომ ბიოლოგიური სიკვდილის შემდგომ ადამიანის უკვდავი სულისთვის დრო აღარ არსებობს, აღარაა განსხვავება „ახლას", „წინათს" და „მერეს" შორის. მაგრამ ისმის კითხვა: ნებისმიერ შემთხვევაში, ვინ მოიტაცეს ფსიხუშკიდან ღამით, მანამ, სანამ პოეტისა და ექთნის საუბარი შედგებოდა, ვინ მიიყვანეს 50-ე ბინაში, ვინ მოწამლა აზაზელომ, თუ კი ცოცხალი მასტერი ამ დროს საავადმყოფოში მაინც იყო და მერე მოკვდა?

ნაწარმოების ეპილოგში დაჯამებულია გამოძიების მასალები „დანაშაულებრივი ჯგუფის" («преступной шайки») შესახებ და იქ აღნიშნულია, რომ მარგარიტა ნიკოლაევნა და მისი შინამოსამსახურე ნატაშა უკვალოდ გაქრნენ. აბა მაშინ ვინ მოკვდა ინფარქტით ქმრის ბინაში? რაზე იზრუნა აზაზელომ, როდესაც სარდაფში უკვე მის მიერვე მოწამლული მარგარიტას კლონი გააკეთა, რათა ის ქმრის ბინაში გულის შეტევით მომკვდარიყო? ვინ მოიტაცა ცხედარი? გამოდის, რომ აზაზელომ რაღაც აურია? ეკადრება? გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ „ძიებისთვის სავსებით გაურკვეველია, რად დასჭირდათ დამნაშავეებს ფსიქიატრიული კლინიკიდან გაეტაცათ სულით ავადმყოფი, რომელიც თავის თავს მასტერს უწოდებდა". ესე იგი, მოიტაცეს მასტერი თუ კლინიკაში მოკვდა?

გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით მოვლენათა რიგი ასეთია:

1. საგაზაფხულო მეჯლისის შემდეგ, ღამით მასტერს კლინიკიდან იტაცებენ.

2. მეორე დღეს მასტერი და მარგარიტა თავიანთ სარდაფში ატარებენ.

3. აზაზელო ვოლანდის დავალებით სარდაფში კლავს (წამლავს) მასტერსა და მარგარიტას და შემდეგ კი ინსცენირებას უკეთებს მარგარიტას ინფარქტით სიკვდილს ქმრის ბინაში.

4. პარალელურად ამავე დროს კლინიკაში კვდება მასტერი.

5. გამოძიება აფიქსირებს 118 ნომერ ავადმყოფის გატაცებას და მარგარიტასა და ნატაშას უკვალოდ დაკარგვას.

ამრიგად, ერთი შეხედვით, გარკვეული ინდეტერმინული შეუსაბამობანი აშკარაა.

ამის უშუალო და ბანალური მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ ავტორმა ტექსტის საბოლოო რედაქტირება ვერ მოასწრო, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დონის ოსტატი, ვინც ესოდენ ფაქიზად და ვირტუოზულად მოქსოვა სიმბოლოების, ასოციაციების, ალუზიების, მეტონიმიების მისტიკური ქსელი, ვერ ამჩნევდეს ამგვარ აშკარა შეუსაბამობებს. ეგებ ეს ყველაფერი რაიმე განუხორციელებელი სიუჟეტური ხაზის ნარჩენებია, რაც მისთვის ტრაგიკულ სიტუაციაში («Пора! Пора!»), ვეღარ მოაწესრიგა, რადგან რომანის დასრულება დეფიციტურ დროში მოხდა. ეგებ ასეა...

ეგებ, მაგრამ ეს ძალიან ტრივიალური ახსნაა და ტრივიალობა არ უხდება „მასტერ ი მარგარიტას"! ეგებ ეს შეუსაბამობა, მიზეზ-შედეგობრიობის ეს აღრევა სწორედაც იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟები დრო-სივრცის მეხუთე განზომილებაში არიან გადასულნი? აკი შუაღამე, რომელიც ჩვენს სამგანზომილებიან ხედვაში მხოლოდ წამია, აქ დიდხანს გრძელდება და, ეტყობა, დროის ამ შეყოვნებამ, ნივთებისა და ადამიანების არაერთმა „ნულ-ტრანსპორტირებამ" მოვლენათა ქრონოლოგიური დეფორმირება და „რეალურ" დროში ყველაფრის არევდარევა მოახდინა.

ცხადია, ვოლანდსა და მის ამფსონებს „განსაკუთრებული სტატუსით" შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ დროსა და სივრცეში: იქ იუდა მოკლეს, აქ ბარონი მაიგელი... ჯერ კიდევ რომანის დასაწყისშივე ივან ბეზდომნიმ იგრძნო, თუ რა საშიშ თამაშთან ჰქონდა საქმე, როდესაც ზესინათლის სიჩქარით სდია ეშმაკებს მოსკოვის ქუჩებში. მარგარიტასა და მასტერის ურთიერთობა ამ „შავბნელ" გუნდთან შედარებით უკონფლიქტო და ფაქიზი გამოდგა, მაგრამ რაღაც-რაღაცების ქრონოლოგიური-კაუზალური აღრევა მოულოდნელი აღარ უნდა იყოს.

ისე გამოვიდა (ეგებ ავტორს ამაზე არც უფიქრია), რომ რომანის ფინალში თითქოს ვირტუალური რეალობების რეალიზება მოხდა: აღწერილია ის, რაც „მართლა მოხდა" და „რაც შეიძლება მომხდარიყო, ანუ რაც ეგებ უფრო მართლა მოხდა" ანუ ერთთათვის ასეა სურათი, მეორეთათვის ისე. გააჩნია ვისთვის როგორ!

ბაკურ გეგია

ამერიკული გალია და მოშუშებული ნატყვიარები

არტიომას რაც შეეხება, ეგ მართლაც უნიკალური შემთხვევა იყო. მისი ოჯახი რიაზანში ცხოვრობდა. მამა სექტანტი ჰყავდა, იეღოველი. საბჭოთა კავშირში ცხოვრების დროს უარი თქვა 80-იან წლებში ავღანეთში ჯარში სამსახურზე, რის გამო ციხეში ჩასვეს როგორც დეზერტირი. 89-ში ამერიკაში ჩამოვიდა.

არტიომის დედაც სექტანტი იყო. დედ-მამა კარდაკარ დადიოდნენ მომხრეების მოსაპოვებლად. სანამ ისინი იეღოვას მოძღვრებას ავრცელებდნენ, შვილმა ხელში იარაღი დაიჭირა და თანამეწყვილესთან ერთად საიუველირო მაღაზიების ძარცვა დაიწყო. ერთ-ერთი ძარცვის დროს მცველმა წინააღმდეგობა გაუწია. არტიომიკამ არ დაინდო და ერთგული მცველი საიქიოს გაისტუმრა. გაქცეულებს პოლიცია გამოეკიდათ. დევნის დროს ძმაკაცი მოკლეს, არტიომიკა კი დაიჭირეს. 43 წელი მიუსაჯეს, 20 — მკვლელობისათვის, 20 – ძარცვისათვის და 3 — იარაღის უკანონო ტარებისათვის.

არტიომიკას ამბავმა ერთი ძველი ისტორია გამახსენა. 1943 წელს დააკავეს ჰარი სტრაუსი, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბანდის ქილერი, ეგრეთწოდებული მწმენდავი, რომელსაც ბანდა ყველაზე რთულ მკვლელობებს ავალებდა. ასი კაცი ჰყავდა მოკლული. დანაშაულის ადგილას არასოდეს დაუპატიმრებიათ. ამ ბანდის ერთ-ერთი წევრი ჩავარდა და მან ყველანი ჩაუშვა, მათ შორის სტრაუსიც. სტრაუსი, ცხადია, მტკიცედ უარყოფდა თავის დანაშაულს. არ დაუჯერეს, მაგრამ დამტკიცებითაც ვერაფერი დაუმტკიცეს. ბოლოს 1200 წელი მიუსაჯეს და ამით ვალიც მოიხადეს მართლმსაჯულების წინაშე. ეტყობა ამერიკელ მოსამართლეს სჯეროდა, რომ ბუნებაში რეინკარნაცია ანუ ადამიანის ხელახალი დაბადება არსებობს. ასეთ შემთხვევაში სტრაუსს სულ ცოტა 12-ჯერ მაინც ას-ასი წელი მოუწევდა ციხეში ჯდომა.

ჰარისთან ერთად სასამართლო იზოლატორში იჯდა ერთი იეღოველი, რომელიც დაპატიმრებული იყო იმის გამო, რომ უარი თქვა ემსახურა ამერიკის ჯარში. ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. იეღოველმა ჰკითხა, რაზე ზიხარო? ადამიანების მოკვლისათვისო, უპასუხა ჰარიმ. შენ რატომ ზიხარო, დაინტერესდა ჰარი. მე იმიტომ, რომ ადამიანების მოკვლაზე უარი ვთქვიო.

ასე იყო არტიომიკას ამბავიც. მამამისი ციხეში იმიტომ იჯდა, რომ არავის მოკვლა არ უნდოდა, არტიომიკა კი იმიტომ, რომ კაცი მოკლა. ვისაც გინდა დააბნევს ამა ქვეყნის ამბავი.

ეს ბიჭები ჯერ კიდევ სასადილოში მუშაობის დროს გავიცანი, რუსული დაჯგუფების დანარჩენი წევრები კი — ოდნავ მოგვიანებით.

სასადილოში ჩემთან ერთად მუშაობდა ერთი ძალიან სათნო და სიმპათიური კაცი, კლივლენდის საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმი. მას ბრალად ედებოდა ცოლის მკვლელობა. ის ბრალდებას უარყოფდა, კატეგორიულად აცხადებდა, რომ მისი ცოლი სხვამ მოკლა და ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მკვლელობა მას დაბრალებოდა. არადა, მის სარდაფში ნაპოვნი იქნა მისი გარდაცვლილი ცოლის სხეულის ნაშთები, ტანსაცმელი და სხვა უტყუარი სამხილები. ეს შემთხვევა ტელევიზიითაც გადაიცა და კლივლენდში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ვიღაც უცნობმა პირმა ასე სრულყოფილად შეძლო ექიმის ჩაშვება. სრულიად გაუგებარი იყო როგორ აღმოჩნდა უცნობი მკვლელის ხელში ექიმის სარდაფის გასაღები. არადა, ამ კაცის შემხედვარე, ვერ წარმოიდგენდი, რომ მან ესოდენ საზარელი მკვლელობა ჩაიდინა.

იმ დღეებში ისევ მომიწია ზანგთან ხელჩართული დაპირისპირება. სპორტდარბაზში დამლაგებლის საკუჭნაოს გვერდით ვიჯექი. ეს ზანგი მომაჩერდა და დიდხანს თვალს არ მაშორებდა. ვკითხე, რას მიყურებ, რამე პრობლემა ხომ არ გაქვს-მეთქი. პასუხი არ გაუცია, ერთი კი შემომიბღვირა და პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა. საკუჭნაოსთან იატაკი სველი იყო. ჩხუბის დროს ფეხი დამიცდა და წავიქეცი. არ დავბნეულვარ, იქვე იდო იატაკის ჯოხი, რომლითაც შევიარაღდი და ზანგს პირდაპირ თავში ჩავცხე. დარტყმა ძლიერი გამომივიდა, რადგან ზანგი მოცელილივით დაეცა. მე დრო ვიხელთე და ადგილს სირბილით გავშორდი, რამეთუ ზედამხედველებისთვის ჩვენების მიცემა არ მაწყობდა.

ამ შემთხვევამ საბოლოოდ შემაძულა ამერიკელი ზანგები. აქვე ვიტყვი, რომ ეს არ იყო რასიული სიძულვილი, რადგან აფრიკელ ზანგებთან ძალიან ადვილად ვპოულობდი საერთო ენას და მათთან ვმეგობრობდი კიდეც. გვიან მივხვდი, რით იყო გამოწვეული ამერიკელი ზანგების ასეთი აგრესიულობა. მაგრამ ამაზე — ქვემოთ.

იმ წელს პრეზიდენტის არჩევნები იყო ამერიკაში. ზედამხედველებს დიდი უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთში. ელ გორმა და ბუშმა თითქმის თანაფარდი ხმები მიიღეს. ამ არეულობით ყველაზე მეტად პატიმრებმა ვისარგებლეთ. საწყობიდან საქონლის მოპარვა გაიოლდა, მოწევა და დალევა უფრო ხელმისაწვდომი გახდა. მას შემდეგ, რაც არჩევნებში ბუშმა საბოლოოდ გაიმარჯვა, არსებული შეღავათები უკვალოდ გაქრა.

თანდათან გავიცანი დაჯგუფების სხვა წევრებიც. ყოველ მათგანს ჰქონდა რთული და უცნაური ბიოგრაფია. ვისაც სუსტი ნერვები აქვს, არ ვურჩევ ქვემორე ნაამბობის წაკითხვას. არ არის გამორიცხული, რომ ღამის კოშმარებმა შეაწუხოს.

იურა ამერიკაში ჩამოსვლამდე ქალაქ პენზაში ცხოვრობდა. მამა თავიდანვე არ ჰყოლია, ხოლო სამი წლის ასაკში დედა და დეიდა ავტოკატასტროფაში დაღუპვია. უპატრონო ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მისი ნაამბობიდან ვიცი, რომ დღეში 350 გრამ პურს გვაძლევდნენო, წყალწყალა სუპით ვიკვებებოდითო. შვიდი წლისა იყო, როცა იქ ხანძარი გაჩენილა, რამაც 11 ბავშვი და ორი აღმზრდელი იმსხვერპლა. შემდგომ, როცა წამოიზარდა, გამოცდები ჩააბარა რიაზანის საპარაშუტო-სადესანტო სასწავლებელში და დამთავრებისთანავე 1984 წელს ავღანეთში საომრად წაიყვანეს. 85-ში მოჯაჰედებს ტყვედ ჩავარდნია და იმათ სასტიკად უწამებიათ. მერე მას და ერთ მის ამხანაგს გაქცევა მოუხერხებიათ და საბჭოთა გარნიზონამდეც მიუღწევიათ. 86-ში უფროსობასთან უსიამოვნება მოსვლია, რის გამოც ჯარიდან დაუთხოვიათ. 87-ში მოუხერხებია ჯერ ავსტრიაში ჩასვლა, იქიდან კი ამერიკაში გადასვლა. ჩამოსვლისთანავე დაუარსებია დაცვის სამსახური და 5 წელიწადში ამერიკის მოქალაქეობაც მიუღია. დასაწყისში საქმე კარგად მისდიოდა, მაგრამ 1994 წელს ოფისში დამთვრალა და თავის თანამშრომლებთან შელაპარაკება მოსვლია. ხელში მაჩეტე აუღია, ჩვენებური წალდის მაგვარი იარაღია, და სამი თანამშრომლისთვის თავი მოუკვეთია. მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებით სიკვდილით არ დასაჯეს, მაგრამ სამი სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თითოეული მკვლელობისათვის თითო სამუდამო პატიმრობა.

იურა ზეინკლების საამქროში მუშაობდა. როცა სასადილოში რამე დაზიანდებოდა, შესაკეთებლად მოდიოდა. სწორედ ამ გზით გავიცანი.

გავიცანი აგრეთვე ვიტია. წარმოშობით დასავლეთ უკრაინელი, ქალაქ ტერნოპოლიდან. მისი ბაბუა, ვასიას ბაბუის მსგავსად, ბანდერელი ყოფილა. 1944 წელს სტეფანე ბანდერასთან

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №17

ერთად გაქცეულა გერმანიაში, იქიდან კი ოჯახიანად ამერიკაში გადასულა. ასე რომ ვიტია ამერიკაში იყო დაბადებული.

ვიტია ნარკობიზნესთან ყოფილა დაკავშირებული. კონკურენციას უწევდნენ მექსიკელები. ერთხელაც განუზრახავს კონკურენტების გზიდან ჩამოშორება. სულ მალე დაუდგენია, რომ მექსიკელი ნარკოდილერები ნარკოტიკებს ინახავდნენ ისეთ ძველ ავტომობილებში, რომლებიც არავის სახელზე არ იყო გაფორმებული და ჩხრეკის შემთხვევაში პოლიცია ვერავის კვალზე ვერ გავიდოდა. ვიტიამ ათი ასეთი მანქანის ადგილმდებარეობა დაადგინა. მერე დიდხანს არ დააყოვნა, ჩამოუარა ამ მანქანებს, ათივე ააფეთქა და მეტოქეთა ნარკოტიკებიც ნაცარტუტად აქცია. ეს ყველაფერი ხახვივით შერჩებოდა, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი გარემოება. ჩამოვლის დროს ბიძამისის მანქანაში მჯდარა. ვიღაცას შეუმჩნევია, როგორ აფეთქებდა ავტომობილებს და მისი მანქანის ნომერი ჩაუწერია. როცა პოლიციელებმა ბიძამისს მიაკითხეს, რაიმეს დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ვიტიამაც აღიარა თავისი დანაშაული. 20 წელი მიუსაჯეს, 2 წელი თითოეული აფეთქებული მანქანისათვის.

კიდევ ერთი დასავლეთ უკრაინელი, სახელად კოლია, ქალაქ ლუცკიდან იყო. დედ-მამა უკრაინელი ნაციონალისტები ყოფილან, ორივენი პოლიტიკურზე გაუსამართლებიათ და ციხეში ამოუყვიათ თავი. დედა კოლიაზე ფეხმძიმედ ყოფილა და შვილიც უკვე ზონაზე გააჩინა 1970 წელს. 1989 წელს მთელი ოჯახი, დედა, მამა, მისი ორი ძმა და ორი და ამერიკაში ჩამოსულან და ტოლედოში დასახლებულან, ქალაქია ოჰაიოს დასავლეთ ნაწილში. მისი და-ძმანი მშვენივრად მოერგნენ ამერიკას, კოლეჯებიც დაამთავრეს, მშვენიერი სამსახურებიც იშოვეს. კოლიამ კი, ჩემი სიკეთისა არ იყოს, გული ვერაფერს დაუდო. სულიერი სიცარიელე არის პირდაპირი გზა კრიმინალისაკენ. 94-ში კოლიამ წელიწადნახევარი გაატარა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში შედარებით წვრილმანი დანაშაულის გამო. 97-ში ციხიდან გამოვიდა და თავის ორ ძმაკაცთან ერთად 16 წლის ბიჭი მოიტაცა. გამოსასყიდი მილიონი დოლარი მოუთხოვიათ. ბიჭის მამა რომელიღაც დიდი კონცერნის გენერალური დირექტორი ყოფილა, მულტიმილიონერი. სადღაც მიტოვებულ სახლთან ადგილი დაუთქვამთ და ეს ფული მამას იქ მოუტანია. აღმოჩნდა, რომ ფულში ტრექინ დივაისი, რუსულად „ჟუჩოკი" იყო ჩამონტაჟებული. ასე მიაგნეს გამტაცებლების კვალსაც და ადგილსამყოფელსაც. სასამართლომ კოლიას 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სულ მალე გავიცანი პეტროგრადელი ვალოდიაც. მისი ბაბუის მამა თეთრგვარდიელი ოფიცერი ყოფილა, თურმე დენიკინის არმიაში იბრძოდა წითლების წინააღმდეგ. დენიკინის დამარცხების შემდეგ კი საფრანგეთში გაქცეულა. იქ 10 წელი დაუყვია, 1928 წელს კი საცხოვრებლად ამერიკაში გადასულა, ნიუ-იორკის შტატში. ვალოდიას ბაბუა ამერიკაში დაქორწინებულა და საბოლოოდ ოჰაიოს შტატში დამკვიდრებულა. ბაბუამისის ერთი ძმა კალიფორნიაში, მეორე მინესოტაში, მესამე ძმა არიზონაში ცხოვრობდა, და და სიძე კი აიდაჰოში. ასე მოედვნენ მთელ ამერიკას.

ვალოდიას საგვარეულოს თავიდანვე საასპარეზოდ შავი ბიზნესი აურჩევია, სადაც შედიოდა იატაკქვეშა აზარტული თამაშები, პროსტიტუცია, ნარკოტიკები და ყველა სხვა ჯურის აკრძალული სიამოვნებანი. ვალოდია 13 წლისა ყოფილა, როცა ბიძამისს თავის კონკურენტებთან უთანხმოება მოსვლია. ვალოდია და მისი უფროსი ძმა 20 წლის სერგეი წავიდნენ კალიფორნიაში ბიძის დასახმარებლად. კონკურენტებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს, რომელსაც ესწრებოდნენ მათ გარდა ორი ბიძაშვილი და ბიძამისი დიმიტრი, სულ ხუთნი, მოხდა შელაპარაკება, რომელიც ურთიერთსროლაში გადაიზარდა. მისი ძმა სერგეი მოკლეს, ბიძამისი და ერთ-ერთი ბიძაშვილი მძიმედ დაჭრეს. ამათ კი თავის მხრივ 7 კაციდან 4 მოკლეს და 2 დაჭრეს. რაკი ვალოდია არასრულწლოვანი იყო, ოთხივე მკვლელობა თავის თავზე აიღო. კალიფორნიაში იგი გაასამართლეს როგორც არასრულწლოვანი და მიუსაჯეს პატიმრობა 21 წლამდე, ამერიკაში ამას უწოდებენ ჯუვენაილ ლაიფ, ანუ არასრულწლოვნების სიცოცხლე, რაც იმას ნიშნავს, რომ პატიმარი ციხეში დაჰყოფს იმ დრომდე, სანამ 21 წლისა არ გახდება. იქ ყოფნის დროს მამამისი და ბიძამისი კალიფორნიის შტატში დააპატიმრეს და ორთავეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს მკვლელობისათვის.

ბაკურ გეგია
(ოჰაიო, ქალაქ მენსფილდის
გაძლიერებული რეჟიმის კოლონია)

98-ში ვალოდია ციხიდან გამოსულა და ოჰაიოში დაბრუნებულა. სამი წლის გამოსული იყო ციხიდან, კოლუმბუსში, ღამის კლუბში ყოფნისას, თავზე წამოადგა სამი ზანგი და ერთი თეთრკანიანი. აშკარა იყო, მის მოკვლას აპირებდნენ. ვალოდიამ იმარჯვა, იარაღი ამოიღო და ოთხივენი საიქიოს გაისტუმრა. ურთიერთსროლის დროს შემთხვევით ერთი კლუბის სტუმარიც დაუჭრია. სასამართლომ თითოეული მკვლელობისათვის 20-20 წელი მიუსაჯა, რასაც დაემატა 4 წელი შემთხვევითი დაჭრისათვის, ანუ ჯამში 84 წელი. აი ასეთ სასჯელს იხდიდა ვალოდია.

ილუშა სამარყანდიდან იყო, დედით უზბეკი, მამით ებრაელი. მამამისი უზბეკეთში ცხოვრების დროს რაშიდოვთან დაახლოებული პირი ყოფილა და სამარყანდის ქალაქკომის პირველი მდივნის პოსტი ეკავა. თურმე ყაყაჩოების პლანტაციას ფლობდა და ერთ-ერთერთი უმდიდრესი კაცი ყოფილა არა მარტო უზბეკეთში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. დედამისი უზბეკეთის ცკ-ს მდივნის ქალიშვილი ყოფილა. ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ, გორბაჩოვის ხელისუფლებამ დაიწყო ტერორი ბრეჟნევის მომხრეების მიმართ და ეს ნაჯახი ყველაზე მეტად თავში უზბეკეთს მოხვდა. ჯერ ბაბუა გადააყენეს თანამდებობიდან და დააპატიმრეს, მერე კი ილუშას მამაც ზედ მიაყოლეს. ბაბუამისი გაასამართლეს დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. ბაბუმ სიძის დანაშაულობანიც თავის თავზე აიღო და ამ გზით ილუშას მამა გადაარჩინა. მათ ოჯახს თითქმის მთელი ქონება ჩამოართვეს. ილუშა ყვებოდა, ბავშვობაში არნახულ ფუფუნებაში ვიზრდებოდიო. სახლში ვერცხლის სამოვრები გვქონდაო, მთელი ჩვენი საოჯახო ჭურჭელი საქსონიაში იყო დამზადებულიო. უზარმაზარ სახლში ვცხოვრობდით უზარმაზარი ეზოთიო, სადაც ორი ვეებერთელა აუზი გვქონდაო. სამი მანქანა გვყავდაო, ლადა, ნივა და ჟიგული. ამასთანავე მამაჩემს სახელმწიფოს შავი ვოლგაც ემსახურებოდაო. დედამისის სამკაულებს შორის ყოფილა ორი ბრილიანტის ყელსაბამი, ოთხი ხუთკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი, ათი ცალი ორკარატიანი ბრილიანტის საყურე. მათ სახლში ყველა ჭაღი ვენეციური შუშისგან ყოფილა დამზადებული, ავეჯი და პარკეტი — მხოლოდ

მუხისგან. აბაზანა სულ ლურჯი კაფელით ყოფილა მოპირკეთებული. მთელი სანტექნიკა გერმანული წარმოებისა ყოფილა. მთელი ეს ქონება საწყლებს ერთ დღეში ჩამოართვეს.

როგორც კი მამამისი ციხიდან გამოსულა, პირდაპირ ამერიკისკენ აუღია გეზი. ილუშა იმ დროისთვის ათი წლისა ყოფილა. ამერიკაში რომ ჩამოვედით და ოროთახიან ბინაში შევედით, ჩემთვის სამყარო დაიმსხვრაო, ჩიოდა ილუშა. დასაწყისში ნიუ-იორკის შტატში ცხოვრობდნენ, ქალაქ ნიუ-იორკში, მერე — ჯორჯიაში, ქალაქ ატლანტაში, მერე კი ოჰაიოში გადმოსულან, კლივლენდში.

ილუშას მამას ლოთობა დაუწყია. დედამისი სადღაც ოფისში მუშაობდა და მთელ ოჯახს ის არჩენდა. ილუშას რაღაც დროებითი სამუშაოები უშოვია, სულ ბოლოს კი სუპერმარკეტში მტვირთავად დაუწყია მუშაობა. სულ მალე ყელში ამოუვიდა ასეთი ცხოვრება და სუპერმარკეტების ძარცვას მიჰყო ხელი. ექვსი ობიექტი გაუძარცვავს ოჰაიოს შტატში, სამი კლივლენდში, ერთი ლაიმაში და ორი დეიტონში. ამის შემდგომ კიდევ ოთხი სუპერმარკეტი გაუძარცვავს ინდიანაპოლისში, სამი – კენტუკის შტატში, ქალაქ ლუისვილში. ბოლოს ოჰაიოს შტატში დააპატიმრეს.

საქმე ასე ყოფილა, ილუშა და მისი ორი თანამეწყვილე აიყვანეს როგორც ეჭვმიტანილები და მაგრად დაპრესეს. დაკითხვის დროს ილუშა ვერ გაუტეხიათ, თანამეწყვილეებს კი ვერ გაუძლიათ და ილუშაც ჩაუშვიათ. ოჰაიოს სასამართლომ თითოეული ძარცვისათვის ილუშას ოთხი წელი მიუსაჯა, რამაც ჯამში 24 წელი შეადგინა. როცა ოჰაიოს შტატში სასჯელს მოიხდიდა, მერე ინდიანაშიც გაასამართლებდნენ სამი დანაშაულის გამო, მერე იგივე ელოდა კენტუკის შტატში ორი ძარცვისათვის. ვერაფერი პერსპექტივაა. მიუხედავად ამდენი იმედგაცრუებისა, ილუშა იხტიბარს არ იტეხდა და საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. ისიც ჩემსავით ვარჯიშით იოხებდა გულს. ცხვირჩამოშვებული არასოდეს მინახავს.

დიმას მამა კრასნოდარელი რუსი იყო, 60-იან წლებში ცნობილი პიანისტი ყოფილა, უკრავდა კრასნოდარის საოპერო თეატრშიც. ამ თეატრის ინგლისში გასტროლების დროს 1962 წელს პროტესტის ნიშნად ინგლისში დარჩენილა. იქ ორი წელი დაუყვია, მერე კი ამერიკაში გადასულა და ცოლად მოუყვანია უკრაინელი ქალი, ისიც მუსიკოსი, ვიოლინოზე დამკვრელი. ერთმანეთი გაუცნიათ ბროდვეიზე, კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი კონცერტის დროს. სულ მალე დიმაც დაიბადა. უნდა გენახათ დიმა როგორ უკრავდა პიანინოზე, გიტარაზე, როგორ მღეროდა. ასპროცენტიანი სმენა ჰქონდა. ბავშვობაში სამუსიკო სკოლაში სწავლობდა და ყველანი მოცარტის მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 10 წლის იყო, როცა დედა და მამა ერთმანეთს დაცილდნენ. ამის შემდეგ დიმას ცხოვრება არეულა. დედა მერილენდში გადასახლდა, მამა ნიუ-ორკში დარჩა. დიმა ხან დედასთან ცხოვრობდა, ხან კი – მამასთან. დიმა მუსიკას შეუწყრა, მუსიკალური სკოლიდან გამოსულა და ჩვეულებრივ სკოლაში გაუგრძელებია სწავლა. არადა, მართლა სასწაულებრივი ნიჭი ჰქონდა. მღეროდა კიდეც გასაოცრად.

ერთხელაც, როცა დიმა მამამისთან ნიუ-იორკში ჩამოვიდა, ძმაკაცებმა ღამის კლუბში წაიყვანეს ბრაიტონ-ბიჩში. იმ დროს თხუთმეტი წლისა ყოფილა. იქ გაუცნია ბაიკერები. დასაწყისში მათთან მხოლოდ მეგობრობდა, მერე კი მათი ბანდის წევრი გამხდარა. ბაიკერები „კრიშას" უკეთებდნენ იატაკქვეშა ბიზნესს, აზარტულ სახლებს, ბორდელებს, ნარკოდილერებს, იარაღით მოვაჭრეებს. ასევე ზედამხედველობდნენ ღამის კლუბებს და სტრიპტიზკლუბებს.

ერთხელაც, ოჰაიოს შტატის ქალაქ ლონდონში, ღამის კლუბის მფლობელმა ბანდას უარი უთხრა ხარკის გახდაზე. ბაიკერებმა გადაწყვიტეს სამაგალითოდ დაესაჯათ ურჩი გადამხდელი. კბილებამდე შეიარაღებული დიმა და მისი სამი თანამოსაქმე შეიჭრნენ კლუბში შუა დისკოტეკის დროს, დიმა და მისი ერთი თანამოსაქმე კალაშნიკოვის ავტომატით შეიარაღებულნი ოფისში შევარდნენ და ავტომატის ჯერით დაცხრილეს მეპატრონე, მისი თანაშემწე, სამეურნეო მენეჯერი და მდივანი ქალი. ოფისში მყოფმა დაცვის სამმა წევრმა მათ საპასუხო სროლა აუტეხა. სამივე მცველი მოკლეს. იმათ კი თავის მხრივ დიმას ერთი თანამოსაქმის დაჭრა მოახერხეს.

ამასობაში დანარჩენმა თანამოსაქმეებმა ღამის კლუბს ბენზინი მოასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. იქ მყოფებმა ძლივს მოასწრეს გარეთ გამოსვლა. ზოგმა მათგანმა მსუბუქი დამწვრობაც კი მიიღო.

დიმა და მისი თანამოსაქმეები მანქანაში ჩასხდნენ და დაჭრილი მეგობარი სასწრაფოდ ნაცნობ ექიმთან გააქანეს. დაჭრილის გადარჩენა ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ პოლიციამ რაღაც მანქანებით იმ ექიმს მიაკვლია და მასთან მოსული ბაიკერების ვინაობა დააფქვევინა.

სასამართლომ დიმას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სამნახევარი წელი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა. დედამისი და მამამისი დატრიალდნენ, ვისაც კი გავლენიანს იცნობდნენ, ყველანი საქმეში ჩარიეს, ოჰაიოს გუბერნატორს ჯორჯ ვოინოვიჩს მუხლებში ჩაუვარდნენ და 1996 წელს დიმას სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

რუსული დაჯგუფების ეს კოლორიტული წევრები გავიცანი იმ დროს, როცა სპეციალურ საკარანტინო „ატსეკში" ვიჯექი. ამასობაში ნოემბერიც მოვიდა და ოჰაიოს შტატი ნისლით დაიბურა. ნისლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სულ მაგონდებოდა სტრიქონები გოგლა ლეონიძის ლექსიდან: „როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები..."

მაგრამ სულ მალე ნისლიც შემაძულეს, რადგან მისი ჩამოწოლისთანავე საკნებში გვკეტავდნენ.

ამასობაში ზონაზე ახალი მაიორი მოვიდა. საერთოდ ასე იყო მიღებული, ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით საყოველთაო ჩხრეკები ტარდებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ამ პერიოდში ამერიკული დღესასწაულები იწყებოდა და პატიმრები ცდილობდნენ სასმელ-საჭმელის მომარაგებას. საგრძნობლად მატულობდა ნარკოტიკების, განსაკუთრებით მარიხუანას გავრცელება.

ახალმოვლენილმა მაიორმა ამ ყველაფერს სერიოზული ომი გამოუცხადა. თითქმის ყოველ დილას ზედამხედველები თავს გვესხმოდნენ სიტყვებით: ვეიქი-ვეიქი! შეიქი-შეიქი! ანუ გაიღვიძეთ და გაინძერითო. ზედამხედველებს შორის განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა კაპიტან ობრაიენის ბრიგადა. კაპიტანი ქერა, საშუალო სიმაღლის, ჩასკვნილი ირლანდიელი, საზღვაო ქვეითად ნამსახურები, საქმეს ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა და ჩხრეკის დროს ყველაზე მეტ აღმოჩენებს სწორედ ის აკეთებდა.

იმ თვეში, დეკემბერში, პირველად გავიარე შარდის ტესტი. ანალიზების მიხედვით უნდა დაედგინათ, ვიღებდი თუ არა ალკოჰოლიან სასმელებს, ვეწეოდი თუ არა თრიაქს ან რაიმეს ამდაგვარს, ვიკეთებდი თუ არა ნარკოტიკებს. მე, რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ მქონდა და მთელ ზონას მოედო ჩემი კრისტალური სიწმინდის ამბავი.

გამკაცრებულ რეჟიმს ერთი სიკეთე ნამდვილად მოჰყვა, სასადილოში საგრძნობლად გაუმჯობესდა საჭმლის ხარისხი და რაოდენობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული დაჯგუფება საჭმლის ბიზნესს აკონტროლებდა. ამ პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა საჭმლის პარვა საწყობიდან და სამზარეულოდან. მოგვიანებით, როცა რუსული დაჯგუფების წევრი გავხდი, მეც ხშირად მიხდებოდა მსგავსი ბაცაცობის ჩადენა.

ამერიკის ციხეში ერთმა უცნაურმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ქართულ ციხეებში ზედამხედველებთან ნებისმიერი კონტაქტი ბოზობად და სამარცხვინო ქმედებად არის შერაცხული. თუ ვინმემ რაიმე გაწყენინა, ან შენ თვითონ უპასუხე, ან წყენა გადაყლაპე, ასეთია ქართველი კრიმინალების კაცური კანონი. ამერიკაში კი ზედამხედველებთან ჩვილი ჩვეულებრივ ამბად ითვლება. თუ ვინმემ რამე წაართვა, სცე-

მა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, პატიმარს შეუძლია ზედამხედველთან იჩივლოს და ამისთვის არავინ გაკიცხავს.

ციხეში ყველაზე ძნელი მარტოობის გადატანაა. უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის ეს არ იყო პირველადი მნიშვნელობის პრობლემა. ბუნებითაც და მენტალურადაც ყოველთვის მარტოსული ვიყავი და უფრო ჩემ თავს ვეკონტაქტებოდი, ვიდრე გარესამყაროს. ერთ რამეს მივაქციე ყურადღება, ამ რუსის ბიჭებს რომ დავუმეგობრდი, მას შემდეგ ჩხუბი არავისთან აღარ მომსვლია. როგორც ჩანს, ჩემს უკან ძალა დაინახეს და შარში გახვევას ერიდებოდნენ. ეს რომ არა, იმდენად ხშირად მომდიოდა კონფლიქტები, რომ ან მე შემომაკვდებოდა ვიღაც, ან მე გავხდებოდი ვიღაცის უმანკო მსხვერპლი.

ცოტა მოგვიანებით გავიცანი წარმოშობით ოდესელი უკრაინელი სლავიკა. ცალკე საუბრის თემაა, როგორ ამოყო თავი ამერიკაში. 1967 წელს მამამისი აღმოსავლეთ გერმანიაში მსახურობდა სატანკო ჯარების ქვედანაყოფში. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სოციალისტურ ქვეყნებში აღინიშნებოდა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ის ტერიტორია, სადაც სლავიკას მამა მსახურობდა, ძალიან ახლოს ყოფილა დასავლეთ გერმანიის საზღვართან. ამასთანავე, ამ პერიოდში დაუგეგმავთ ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები და ყურადღება მთლიანად აქეთ ყოფილა გადატანილი. ამან საგრძნობლად შეამცირა საზღვრების კონტროლი. სლავიკას მამამ და მასთან ერთად 18-მა სამხედრო მოსამსახურემ დრო იხელთეს, ორ ტანკში ჩასხდნენ, საზღვარი გადაკვეთეს და დასავლეთ გერმანიაში ამოყვეს თავი. რამდენიმე მათგანი გერმანიაში დარჩა, ზოგმა საფრანგეთს მიაშურა, სლავიკას მამა და მისი რამდენიმე თანამზრახველი კი ამერიკაში ჩამოვიდნენ. მამამ ნიუ-იორკში რომელიღაც ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მან აქვე იქორწინა უკრაინელ ემიგრანტ ქალბატონზე და 1969-ში სლავიკაც გაჩნდა.

თავისი პირველი მკვლელობა სლავიკამ 12 წლის ასაკში ჩაიდინა. სწორედ ამ ასაკში ნიუ-იორკის ერთ-ერთ კვარტალში, ბრაიტონ-ბიჩში, სადაც მრავლად სახლობდნენ და ახლაც სახლობენ რუსები, იგი გახდა ერთ-ერთი კრიმინალური ბანდის წევრი. ამ ბანდაში მასზე ბევრად ასაკოვანი ბიჭები იყვნენ გაერთიანებულნი. ისინი წვრილმან მოვაჭრეთა პუნქტებს აკონტროლებდნენ. მათთან კონკურენციაში მყოფ მეორე დაჯგუფებასთან საქმის გარჩევის დროს, სლავიკა ერთ-ერთ თანაუბნელს ჩანს თვალში ეპატარავა და აგდებულად დაუწყო ლაპარაკი და თავშიც წაარტყა-წამოარტყა. სლავიკამ არც აცია და არც აცხელა, პასუხად დააძრო ბულდოგის სისტემის რევოლვერი და მისი ღირსების შემლახველს მთელი მჭიდე ტანზე დააცალა.

ვინაიდან რუსულ დიასპორაში ყველა სადავო საკითხები შიდა განხილვებით წყდებოდა, სლავიკა ციხესაც გადაურჩა და ვენდეტასაც მოკლულის ნათესავების მხრიდან. გარდაცვლილს განსაკუთრებით სლავიკასთვის თავში წამორტყმა არ აპატიეს.

მეორე მკვლელობა სლავიკამ 15 წლის ასაკში დანით ჩაიდინა, ქორწილის დროს, ნასვამ მდგომარეობაში. ესეც ხახვივით შერჩა. ჩანს აქაც სიმართლე მის მხარეს იყო. ამ ამბიდან ერთი წლის თავზე სლავიკას უკვე პოლიციელი შემოაკვდა. ეს პოლიციელი მასთან შეკრული ყოფილა და სლავიკას კრიმინალურ ქმედებებზე თვალს ხუჭავდა, ცხადია, შესაბამისი ფულადი ანაზღაურებით.

ჩანს, პოლიციელის მადა სულ უფრო და უფრო მატულობდა. ჯერ ერთხელ გაუზრდია ტარიფი, მერე მეორედ. მესამედაც რომ დააპირა, სლავიკამ მოყუჩებულ ადგილას დაიბარა ვითომდაც ფულის გადასაცემად, არმატურით შეიარაღდა და მადიან პოლიციელს სული გააფრთხობინა. ამას სერიოზული სკანდალი მოჰყვა. სლავიკა დააპატიმრეს, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს და იძულებულნი გახდნენ გაეთავისუფლებიათ. მის ამ საქციელს არც პოლიციელების მხრიდან მოჰყოლია ვენდეტა. როგორც ჩანს, გაღორებული კოლეგა გუნებაში იმათაც გაკიცხეს.

ამის შემდეგ სლავიკას ნიუ-იორკში აღარ დაედგომებოდა. თუმცა კი ყველგან გამართლდა, მაგრამ მასზე ყველანი მაინც აღრენილები იყვნენ. ამიტომ კალიფორნიაში გადავიდა საცხოვრებლად, ლოს-ანჯელესში, რუსულ კვარტალში. ამ დროისათვის მას 20 წელი შეუსრულდა.

სლავიკას ლოს-ანჯელესში ჩასვლას დაემთხვა მაგარი დაპირისპირება რუსებსა და მექსიკელებს შორის. მექსიკელები იმ რესტორანს დაესხნენ თავს, რომლის დაცვა სლავიკას ევალებოდა. ძნელი სათქმელია, რა განზრახვა ედოთ გულში, მენეჯერის მოკვლა უნდოდათ თუ უბრალოდ დაშინება. ფაქტია, რომ როცა მენეჯერის ოფისის კარი შეამტვრიეს, სამთავენი უზის სისტემის ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. მენეჯერი იმ მომენტში სლავიკას ოფისში იმყოფებოდა. ხმაურზე სლავიკა თავისი ოფისიდან გამოვარდა და როგორც კი მექსიკელები დალანდა, მაშინვე ცეცხლი გაუხსნა. ურთიერთსროლა კარგა ხანს გაგრძელდა. სლავიკამ ორი ადგილზევე მოკლა, მესამემ, მძიმედ დაჭრილმა, შენობიდან კი გააღწია, მაგრამ მანქანამდე მისვლისთანავე დალია სული.

იმავე დღეს სლავიკა მოულოდნელად თავს წამოადგა იმ მექსიკელს, ვინც ის სამეული რესტორანში გამოგზავნა, დაფეთებული მეტოქე მოკლა და შურისძიების ეფექტის გასაძლიერებლად, გული ამოაჭრა.

პოლიციაში ამ მკვლელობებთან დაკავშირებით საქმეც კი არ აღუძრავთ, მაგრამ მექსიკელები ძალიან გამწარდნენ და სლავიკას მოკვლისთვის ჯილდოც კი დააწესეს. ასე რომ, სლავიკას კალიფორნიაშიც აღარ დაედგომებოდა და ამჯერად ოჰაიოს შტატს მიაშურა და კლივლენდში დასახლდა. აქ იგი უკრაინული მაფიის ლიდერის მოადგილე გახდა და ამასთანავე ბანდის მთავარი ჯალათი. აქ მან ხუთნახევარი წელი დაჰყო.

ოჰაიოს ახალმა გუბერნატორმა გფბ-ს დახმარებით პოლიტიკური ტერორი წამოიწყო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მრავლად ჩამოსული, კრიმინალურ აქტივობაში შემჩნეული ემიგრანტების მიმართ. სლავიკა დააპატიმრეს და 14 ადამიანის მკვლელობაში დასდეს ბრალი. გამოძიებამ ვერ მოიძია საკმარისი მოწმეები, არ გააჩნდა საკმარისი ნივთმტკიცებანი, ვერ მიაკვლია მკვლელობის იარაღს, გვამები ხომ საერთოდ არ იყო აღმოჩენილი. ერთადერთი, რასაც ეყრდნობოდნენ გფბ-ს აგენტები, იმავე დაჯგუფების წევრის სიტყვიერი ჩვენება იყო, რომელსაც სამაგიეროდ იურიდიულ შეღავათებს დაპირდნენ.

ბოლოს და ბოლოს, რაღაც ირიბი სამხილების საფუძველზე, სლავიკას საქმე მაინც შეუკონიწეს და სამი კაცის მკვლელობისთვის გაასამართლეს. ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ ცნეს და სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ცოტა ხანში გავიცანი ეფიმიც, შემოკლებით – ფიმა, ეროვნებით ებრაელი. მისი ბაბუა 1923 წელს ოდესიდან ჩამოსულა ნიუ-იორკში. თან ჰქონია სულ რაღაც ორმოცი დოლარი და რამდენიმე ცალი მოპარული ბეჭედი. ფიმას ბაბუა თურმე პირადად იცნობდა 20-იან წლების ოდესის ლეგენდარულ ავაზაკს მიშა იაპონჩიკს.

ბაბუ თურმე ბავშვობიდან ქურდობდა. ჯერ ბაზარში იპარავდა რაღაცეებს, მერე კი, როცა წამოიზარდა, ბინებს ქურდავდა და პარალელურად ჯიბის ქურდიც ყოფილა. ამერიკაში რომ ჩამოვიდა, ჯერ ნიუ-იორკში დასახლდა, მერე კი ჩიკაგოში გადავიდა და ბუტლეგერობას ანუ სპირტიანი სასმელებით არალეგალურ ვაჭრობას მიჰყო ხელი. დიდი ფული უშოვია. მშრალი კანონის გაუქმებამდე კარგად მისდიოდა საქმე, მერე კი, რაკი შემოსავალმა იკლო, აურჩევია სხვა არალეგალური ბიზნესი — აზარტული თამაშები და პროსტიტუცია.

ფიმას მამა რვა წლის იყო, როცა ბაბუა მოკლეს. მისი ბიზნესი ფიმას ბაბუის ძმამ გააგრძელა. ფიმას მამა წამოიზარდა და ბიძამისს მხარში ამოუდგა. 1961-ში ფიმას ბაბუის ძმა ფედერალურმა ხელისუფლებამ დააპატიმრა. სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. საოჯახო ბიზნესი საგრძნობლად დასუსტდა. ფიმას ბაბუა 1986-ში ფედერალურ ციხეში გარდაიცვალა. ფიმას მამა შეეცადა საქმეების გამოსწორებას, რამდენჯერმე განახორციელა კიდნეპინგის ანუ ადამია-

ნის გატაცების ორგანიზაცია, მაგრამ 1979-ში დააპატიმრეს და თითოეულ დანაშაულზე მიუსაჯეს 20 წელი, რამაც 120 წელი შეადგინა. ფიმას მამა ჩვენს პარალელურად ფედერალურ ციხეში იხდიდა სასჯელს.

თვითონ ფიმას ცხოვრებაც თავიდანვე მრუდედ აეწყო. 1980-ში, მამის დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში, ფიმაც დააპატიმრეს დანების ტრიალში მონაწილეობის გამო. თანაუბნელი მეზობელი დანით დაუჭრია. ორნახევარი წელი მცირეწლოვანებში გაატარა. იქ სკოლაში ისწავლა და სიმწიფის ატესტატი აიღო. ციხიდან რომ გამოვიდა, ჩიკაგოდან ოჰაიოს შტატში გადასახლდა, კოლუმბუსში. გამოცდები ჩააბარა უნივერსიტეტში მენეჯმენტისა და მარკეტინგის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა რომელიღაც ფირმაში. მაგრამ ერთ დღეს უსიამოვნება შეემთხვა თავის შეფთან. იმავე დღეს, ცხელ გულზე, შეფს მანქანების სადგომთან დაუდარაჯდა, სამი ტყვია დაახალა და უბედურს სული იქვე გააფრთხობინა. 18 წელი მიუსაჯეს.

ფიმა კარგად ერკვეოდა იურისპრუდენციის საკითხებში, ციხეში ყველას ეხმარებოდა აპელაციის საქმეში.

ამასობაში მოვიდა 18 დეკემბერი, ჩემი დაბადების დღე, რომელსაც პირველად ვხვდებოდი ამერიკის ზონაზე. ჩემებმა ტელეფონით დამირეკეს და მომილოცეს. ბიჭებმა სასადილოში სპეციალურად ჩემთვის სუფრა გაშალეს. ჩემი დაბადების დღის აღნიშვნამ დამარწმუნა, რომ ბევრი კეთილისმსურველი შევიძინე და რომ ამიერიდან ჩემი დაჩაგვრის სურვილი თავში აზრად აღარავის მოუვიდოდა.

ახალი წლის მოახლოებამ ამინდები გააუარესა. ოჰაიოში საერთოდ არ ცივა, მაგრამ ადგილი სადაც მე ვიჯექი, ახლოს იყო კანადის საზღვართან და რაც მთავარია იქვე იყო ტბა ონტარიო. იქიდან ცივი ქარი უბერავდა. რა გასაკვირია, საქართველოში გაზრდილს იქაური ჰავა ცივად მომჩვენებოდა.

ერთხელ, როცა სასადილოში მუშაობას მოვრჩით, დანაყოფში უნდა დავბრუნებულიყავით. ზედამხედველმა გაგვაფრთხილა, ჩუმად იარეთ, თქვენი ხმა არ გავიგოო. მაგრამ ზანგებს პირს ვინ ამოუკერავს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. ზედამხედველი გაბრაზდა და გვიბრძანა გავჩერებულიყავით. ჩვენც გავჩერდით. ცივა, გარეთ 12 გრადუსი ყინვაა, ქარი უბერავს და სხეულში ნემსებივით გვერჭობა. ვდგავართ 23 კაცი 10, 15, 20 წუთი. არტიომიკას ყელში ამოუვიდა და ზედამხედველს ეუბნება, არ ვაპირებ ტრაკი გავიცივო მარტო იმიტომ, რომ შენ აყროლებულ ხასიათზე ხარო. პირდაპირ კარცერში წამიყვანე, სულ ფეხებზე მკიდიაო. ჩვენც სასწრაფოდ ავყევით, მე, ანტუშა, საშა, ვასია, დიმა. ჩვენც წაგვიყვანე კარცერში, აქ დგომას ეგ გვირჩევნიაო.

ზედამხედველმა უკან დაიხია, ალბათ იფიქრა, ამდენი კაცის კარცერში ჩასმა თავს ამატკივებსო და კარგით, წადითო, გვითხრა.

ამასობაში ახალი წელიც მოვიდა, უფრო სწორად, ახალი ათასწლეულის პირველი დანამატი — 2001.

მეორე დღეს დავტოვე საკარანტინო დანაყოფი და სხვა პატიმრებს შევუერთდი. თავიდანვე ჩამსვეს ერთ ზანგთან ერთად. ეს ზანგი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. არადა ნისლიანი დღეები იყო და გარეთ გასვლა გვეკრძალებოდა. სიგარეტის სუნს ისედაც ვერ ვიტან, აქ კი ბოლში ვიხრჩობოდი. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, რა ამბავია ამდენი სიგარეტის მოწევა, ან მე რას მერჩი, ან შენმა თავმა რა დაგიშავა-მეთქი. შემომხედა და მეუბნება, შენ რა, ჭკუას მასწავლი როგორ უნდა ვიცხოვრორო? წამოვენთე. თუ ასეა, მოდი სხვაგვარად გასწავლი ჭკუას, გარეთ გავიდეთ, ერთი შეფარებული ადგილი ვიცი და იქ გავარკვიოთ ურთიერთობა-მეთქი. პატიმრები ისე ხშირად მხედავდნენ რუსულ დაჯგუფებასთან ერთად, რომ ამ ზანგს, ეტყობა, მათი წევრი ვეგონე. „კეთილი, აღარ მოვწევ. ხვალ უფროსობას დაველაპარაკები, რომ სხვა საკანში გადამიყვანონო", უნდილად ჩაილაპარაკა. მეორე დღეს მართლაც გადაიყვანეს.

ვარჯიშს ვუმატე. თანდათანობით რუსული დაჯგუფების სხვა წევრებიც გავიცანი, სევა, კოლია, იგარიოკა, ტოლიკა, ალიოშა. არც სხვა დაჯგუფება გამოვტოვე. გავიცანი იტალიელებიც, ზანგებიც, მექსიკელებიც, ირლანდიელებიც.

იტალიელები პირწავარდნილი მაკიაველისტები იყვნენ. თუ ვინმეს მათი ახლო გაცნობა უნდა, წაიკითხოს მაკიაველის „პრინცი". იტალიელებს რუსები არ უყვარდათ, მაგრამ ჩემდამი კეთილგანწყობილნი იყვნენ. ვცადე ამეხსნა, რატომ არ ვარ რუსი, მაგრამ არ აინტერესებდათ. ქართველი, უზბეკი და ჩუკჩა მათთვის ყველა რუსია.

ზანგებს შორის შიდა კონფლიქტები მეტისმეტად ხშირი იყო. საერთოდაც, ზანგები გამოირჩევიან ემოციურობით, იმპულსურობით, გამღიზიანებლებისადმი თავშეუკავებლობით. სამაგიეროდ, გულბოროტები არ არიან და ბოღმას გულში არ იხვევენ. ყოველთვის ჰყავთ თავიანთი გურუ, რომლის სიტყვა კანონია. ერთმანეთს დაურიდებლად ეძახოდნენ ნიგერს, მაგრამ სხვას ამის უფლებას არ მისცემდნენ.

ლათინოამერიკელები გამოირჩეოდნენ კეთილმოსურნეობით. მათ შორის იშვიათი იყო ურთიერთდაპირისპირება და არც სხვებს ედავებოდნენ რაიმეს. კონფლიქტურ სიტუაციას მშვიდობიანად აგვარებდნენ.

ირლანდიელები გამოირჩეოდნენ სიალალით და წესიერებით.

ზონაზე მისვლიდან ექვსი თვის შემდეგ, 2001 წელს რუსების დაჯგუფების წევრი გავხდი. ვასია და ანტუშა მოვიდნენ და დაჯგუფებაში მიმიპატიჟეს. გენდობით და თუ შენი სურვილიც არის, შენი შემოერთება გაგვიხარდებაო.

იმ წელს პაგანიალაც, ანუ კლიკუხაც, ანუ ჩვენებურად მეტსახელიც მომანიჭეს – შურიკა, გაიდაის ცნობილი ფილმის „კავკასიელი ტყვე ქალის" ერთ-ერთ მთავარი პერსონაჟის სახელი. გარეგნულადაც მიმამსგავსეს და სათვალის გამოც, რომელსაც ძირითადად კითხვის დროს ვიკეთებდი. დაჯგუფებაში ყოველთვის სიყვარულით მექცეოდნენ. მეც ამითვე ვპასუხობდი.

ზონაზე იყვნენ სხვა რუსებიც, რომლებსაც დაჯგუფებაში არ ღებულობდნენ ღირსების შემლახველი დანაშაულის გამო. ერთი მათგანი მეხსიერებაში განსაკუთრებით ჩამრჩა – ნოვოსიბირსკელი ჟორა. გასამართლებული იყო არასრულწლოვან გერთან სქესობრივი კავშირის დამყარებისთვის. ნერვები ძალიან ცუდ დღეში ჰქონდა, გამუდმებით დეპრესიაში იყო. სასადილოში ჩემთან ერთად მუშაობდა. ერთხელ, საწყობში შევდივარ და რას ვხედავ, ჟორა თოკში თავგაყრილი კედელზე ჰკიდია. წინსაფარი დაუჭრია და თავის ჩამოსახრჩობ თოკად გადაუქცევია. სასწრაფოდ მივვარდი, ავწიე და ზურგზე გადავიკიდე, მეორე ხელით რის ვაივაგლახით შევუხსენი ყულფი და იქვე ტომარაზე მივაწვინე. ბიჭებს და ზედამხედველს დავუძახე. მოვარდა სასწრაფო და საავადმყოფოში გააქანეს. მეორე დღეს შეგვატყობინეს, ჟორა გადარჩაო. ამ საქციელისთვის ფსიქგანაყოფში გადაიყვანეს. იქ თვენახევარი დაჰყო.

ერთხელაც ჩვენს განაყოფში ბოლთას ვცემ, ჩემ ფიქრებში ვარ. ჩავუარე ჟორას საკანს. ფანჯარაში შევიხედე და... ჟორას ისევ თავი ჩამოუხრჩვია. შევვარდი, სკამზე შევდექი და ჟორას ყულფი უკვე მეორედ ჩამოვხსენი. იქვე საწოლზე მივაწვინე. ისევ ავტეხე განგაში. ისევ მოვარდა სასწრაფო. ჟორა ისევ გადაარჩინეს და ამჯერად ფსიქგანაყოფში სამი თვით გამამწესეს.

მე და სევამ მოპარული ხახვის და პამიდორის ტუალეტში გადამალვა დავაპირეთ. მივადექით ტუალეტის კარს. დავაკაკუნეთ. ასეა მიღებული. პატიმრები ტუალეტს ათასი სხვა დანიშნულებით იყენებენ. ზონაზე ტუალეტის კარი არ იკეტება და დაკაკუნებით იგებ, შიგნით არის ვინმე თუ არა.

დაკაკუნებაზე არავინ გამოგვეპასუხა და კარი შევაღეთ. რას ვხედავთ, ტუალეტის ტიხარზე ჟორა კიდია. ორთავენი მივვარდით. მე ავწიე, სევამ ყულფი შეხსნა. სხვა დანარჩენი ძველი სცენარით წარიმართა. იმ განსხვავებით, რომ ფსიქგანაყოფში დიდხანს არ დატოვეს და ქალაქ ოკვუდში სპეციალურ ფსიქიატრიულ ციხეში გადაიყვანეს. ამანაც არ უშველა. მოგვიანებით გავიგეთ, თავი მაინც ჩამოუხრჩვია.

სევა ძირძველი ამერიკელი რუსი იყო. როცა 1876 წელს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა უილიამ ჰენრი სიუარდმა ალიასკა რუსებისაგან იყიდა, ერთი აკრი 2 დოლარად, სევას პაპისპაპა თურმე იმ დროს ალიასკაზე ცხოვრობდა. რუსეთში წასვლაზე უარი უთქვამს და ავტომატურად ამერიკის მოქალაქე გამხდარა.

სევას მამა პოლკოვნიკი იყო. ამერიკის რეგულარულ არმიაში მსახურობდა. სევა დაიბადა 1951 წელს. დაჯგუფების ყველაზე უხუცესი წევრი იყო. 1969 წელს ჯარში გაიწვიეს და ვიეტნამის ომში მიიღო მონაწილეობა. მსახურობდა მენაღმეთა ოცეულში. როგორც ცნობილია, მენაღმე სულ ორჯერ ცდება ცხოვრებაში, პირველად მაშინ, როცა მენაღმის პროფესიას ირჩევს და მეორედ მაშინ, როცა ნაღმს არასწორად განაღმავს.

ვიეტნამში ორნახევარი წელი დაჰყო. დანაღმვის საქმე ზედმიწევნით კარგად ისწავლა. დემობილიზაციის შემდეგ ოჰაიოში დასახლდა მამამისთან, რომლის პოლკი ოჰაიოში იყო დისლოცირებული.

ჩამოსვლის შემდეგ 20 წლის სევა წამალზე შეჯდა. ამ პერიოდში გაიცნო სინსინეთის რუსული კრიმინალური დაჯგუფების წევრები. რომ გაიგეს, სევა მენაღმე იყო, თავის დაჯგუფებაში სიხარულით მიიღეს და საკმაოდ რთულ საქმეებსაც ავალებდნენ.

ერთხელაც ისე მოხდა, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსული მაფია აკონტროლებდა, ჩინელებმა რესტორანი გახსნეს, მაგრამ ხარკის გადახდაზე რუსებს უარი უთხრეს.

სევას დაავალეს რესტორნის აფეთქება. დღისით სარდაფში შეიპარა და შენობა დანაღმა. დღისით იმიტომ შეიპარა, რომ ღამით მთელ შენობაში სიგნალიზაციას რთავდნენ და ასეთი ოპერაციის ჩატარება გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა.

სევა დაღამებას დაელოდა. რესტორანთან რომ მივიდა, იქ შუქი უკვე აღარ ენთო. მე მითხრა, ტელეფონის სულ ცოტა, ოცდაათი ზარი მივეცი, მაგრამ არავინ გამომეპასუხაო. მეგონა, შიგ არავინ იყოო. დისტანციური პულტი ამოუღია და ნაღმი აუმოქმედებია. შენობა ერთ წამში ნაცარტუტად იქცა. მეორე დღეს გაირკვა, რომ შიგ ხუთი კაცი ყოფილა.

სკანდალმა მთელი შტატი მოიცვა. ბოლოს და ბოლოს სევას კვალზეც გავიდნენ და დააპატიმრეს. ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, ხუთი წელი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა. მერე მისი ვიეტნამში ნამსახურობა გაითვალისწინეს და სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

ზონაზე ჩვენ ყველაზე უსაფრთხო ბიზნესს ვაკონტროლებდით. ყველაზე საშიში იტალიელების ბიზნესი იყო. ალკოჰოლის დამზადებაც რთულია და მისი უსაფრთხო შენახვაც. მაგრამ შემოსავლიანობით ალკოჰოლს ვერაფერი გაუტოლდებოდა. მაძღარი მშიერს ვერ გაუგებს. სულ მიკვირდა ზოგიერთი პატიმრის დაუოკებელი მიდრეკილება გამაბრუებელი საშუალებებისაკენ. ჩემი ლოგიკა ასეთი იყო — ციხეში თუ კარგად იკვებები, სხვა რა უნდა გინდოდეს?

ჩვენს დაჯგუფებას საუზმე ჩვეულებრივი გვქონდა, სადილი სხვებზე ოდნავ უკეთესი, აი ვახშამი კი ყველასაგან განსხვავდებოდა ხარისხითაც და კალორიულობითაც.

დაჯგუფებაში ფუნქციები გადანაწილებული იყო. ერთნი ვიპარავდით და განაყოფში მოგვქონდა, მეორენი მალავდნენ, მესამენი საკვებს ამზადებდნენ, მეოთხენი ბიზნესგარიგებებს აწარმოებდნენ. ვღებულობდით შეკვეთებსაც. ყველაზე მეტი შეკვეთები იტალიელებიდან მოდიოდა. ძირითადად სჭირდებოდათ შაქარი, პური, წვენის ფხვნილი. ჩემი ვარაუდით, ღვინის დასამზადებლად.

ყველაზე ძნელი მოსაპარი პამიდორი იყო, რადგან დამალვის დროს იჭყლიტებოდა. ზემოჩამოთვლილის გარდა ვიპარავდით ხორცეულს — შაშხი, ძეხვი, შემწვარი ხორცი. ბოსტნეულს — ხახვს, კარტოფილს. სანელებლებს, ხილს. ეს საქმე სხვებზე უკეთ იმიტომ გამომდიოდა, რომ ზედამხედველების მიმართ თავაზიანი ვიყავი და ისინიც არასოდეს მჩხრეკდნენ.

ერთხელ ასეთი რაღაც მოხდა. ტანზე რეზინის ქამარი მქონდა შემოკრული და შიგ ხორცეული და ბოსტნეული მელაგა. ამ დროს ვხედავ, ერთის ნაცვლად კარებთან ხუთი ზედამხედველი დგას. მივხვდი, რომ ჩხრეკის ჩასატარებლად არიან მოსული. ისეთი რაოდენობის პროდუქტები მქონდა, ოცი დღით კარცერში ჯდომა არ ამცდებოდა. გარდა ამისა, ერთხელ თუ ამდენი საქონელი გიპოვეს, მერე ძალიან შეგავიწროებენ, ყველგან და გამუდმებით გაგჩხრეკენ, სასადილოშიც, გარეთაც და საკანშიც.

საშას და ანტუშას ვეუბნები, ისეთი ბღლარძუნი და ყვირილი უნდა ატეხოთ, რომ გაშველება დაგჭირდეთ-მეთქი. ზედამხედველების ყურადღება თქვენკენ გადმოინაცვლებს და მე სამშვიდობოს გავალ-მეთქი. ჩხუბისათვის სულ 5 დღე იყო კარცერი. მე რომ ჩავარდნილიყავი, 20 დღიანი კარცერი იქით იყოს, მთლიანად საქმე ზარალდებოდა. ჩვენი რეპუტაცია შეილახებოდა და მერე მშვიდობით ფულებო და გემრიელო საჭმელებო.

საშამ და ანტუშამ დასახულ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვეს. ისეთი ჭიდაობა და დედის გინება ატეხეს, ბაზრის ბომჟებს რომ შეშურდებოდათ. ასე გადაარჩინა ჩვენი ბიზნესი ჩემმა მეგრულმა მოხერხებულობამ.

ერთ დილას თირკმლის საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა. ტკივილის ღიად გამოხატვა ზონაზე სირცხვილად ითვლება. ვიტანჯებოდი, მაგრამ ვცდილობდი არ შემმჩნეოდა. ზედამხედველმა გამგზავნა სანიტარულ ნაწილში. ექიმმა ტაილენოლი მომცა, ერთგვარი პანაცეა, რაც ყველა ავადმყოფობაზე ინიშნებოდა. ეს რას მიშველიდა. ტკივილისგან გათანგული ვიყავი, მაგრამ ისევ არ ვიმჩნევდი. ღამე თეთრად გავათენე.

დილით ობრაიენის ბრიგადა შემოვიდა ჩხრეკაზე. ყველანი წესისამებრ კამერებიდან გამოვიდნენ. მე ისე ვიყავი გამწარებული ტკივილისაგან, ლოგინიდან წამოდგომა არც კი მიფიქრია. ვასია და საშა შემოვიდნენ და დაბეჯითებით მირჩიეს, როგორმე გამოდიო. მე უარი ვუთხარი.

გარეთ რომ ვერ დამინახა, ობრაიენი საკანში შემოვიდა ზედამხედველთან ერთად. კარგა ხანს მაკვირდებოდა. სახე ტანჯვისგან გაფითრებული და მოღრეცილი მქონდა. ეტყობა იფიქრა, ეს შობელძაღლი ხელში არ ჩამაკვდესო. არაფერი უთქვამს, გატრიალდა და წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მთავარი ექიმი მოვიდა, ჩანს ობრაიენის დავალებით. ექოსკოპია ჩამიტარა და მითხრა, თირკმელში კენჭი გაქვს და თუ გინდა ოპერაციას გაგიკეთებო. ტკივილი თითქმის აუტანელი მქონდა, მაგრამ რაკიღა ვიცოდი ექიმების პათოლოგიური სიყვარული ოპერაციების მიმართ, ვიფიქრებ და პასუხს მერე გეტყვი-მეთქი, ვუთხარი.

ზონაზე ბევრი იყო ექიმბაშობაში დახელოვნებული. ზოგ მათგანს თითქმის მთელი ცხოვრება ციხეში ჰქონდა გატარებული. მირჩიეს, შემთბარი წყალი ბლომად სვიო, შემთბარი წვენები, ისეთი საჭმელი, რაც არ შეიცავს კალციუმსო, ანუ ბოსტნეული, ხილი, თაფლი. მეც დავუჯერე.

სხვადასხვა ძალით ტკივილი თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა.

ერთი კვირის თავზე კენჭი დავბადე და შვებით ამოვისუნთქე.

უნდა ვაღიარო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დაჯგუფების წევრები თავს მევლებოდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩემი ტანჯვა შეემსუბუქებინათ.

საერთოდაც, ერთმანეთის დახმარება დაჯგუფების წევრებს წესად გვქონდა. თუ ვინმე კარცერში მოხვდებოდა, საჭმლით ვამარაგებდით, ფარულად სიგარეტს ვაწვდიდით. თან გარედან ფარვას ვუკეთებდით, რადგან კარცერში მოწევა აკრძალული იყო.

საღამოობით თუკი ტელევიზორში რაიმე კარგ ფილმს უჩვენებდნენ, ყველანი ერთად ვუყურებდით. განსაკუთრებით დიდ ინტერესს ვიჩენდით კრიმინალური დრამის და კრიმინალური ბოევიკების მიმართ. ფილმის დამთავრებისთანავე დებატები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმართებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კრიმინალის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

ფილმში „თოფების გზა" ორი ბიჭი მიდის სპერბანკში სპერმის ჩასაბარებლად. ამ დროს შემთხვევით გაიგებენ, რომ სუროგატულმა დედამ ბავშვი უნდა გააჩინოს მილიონერი ცოლ-ქმრისაგან.

ბიჭები გადაწყვეტენ ეს გოგო მოიტაცონ და მილიონრებისგან გამოსასყიდი მოითხოვონ.

ბიჭებს საქმეს ის ურთულებს, რომ ფეხმძიმეს გაძლიერებული დაცვა ჰყავს. მაინც გადაწყვეტენ საქმე ბოლომდე მიიყვანონ. მაგრამ გატაცების დროს ერთ-ერთი მცველი შემოაკვდებათ და საქმეში უკვე პოლიცია ერთვება. გოგოს კი გაიტაცებენ, მაგრამ პოლიცია ფეხდაფეხ მოსდევთ.

ბოლოს მაინც შეძლებენ ცოლ-ქმართან დაკავშირებას. კარგა დიდ გამოსასყიდს მოსთხოვენ.

ქმარი გამოსასყიდს მოიტანს, მაგრამ გარიგებას ჩაშლის პოლიცია, რომელმაც ოჯახისგან დაფარულად მოისმინა მათი საუბრები. ბიჭები გაქცევას მოასწრებენ. ქმარი სასოწარკვეთილია.

ბიჭები ისევ მოახერხებენ ოჯახთან დაკავშირებას. ისევ დათქვამენ შეხვედრას.

მეორეჯერ უკვე ვეღარ მიდიან დათქმულ ადგილამდე, რადგან გზაში კვლავ პოლიციას გადაეყრებიან.

მესამედ ქმარი მოდის, მაგრამ ფულის გადაცემას არ აპირებს გოგოს დაბრუნების გარეშე. ესენი ფულს წაართმევენ, თუმცა კი ეუბნებიან სად იმყოფება გოგო.

ქმარი შურისძიების მიზნით დაიქირავებს პროფესიონალ ბოევიკებს, რომლებიც ბიჭებს კვალში ჩაუდგებიან. სადღაც შენობაში მოხდება მათი შეტაკება. მაგრამ პოლიციის გამოჩენის შემდეგ, ორივე მხარე პოლიციას აუტეხავს სროლას. ექვსიდან ოთხი ბოევიკი იღუპება, ერთი მძიმედ იჭრება, ერთი გადარჩება. ბიჭებიდან ერთი იღუპება, მეორე დაიჭრება. დაჭრილი ფულის წამოღებას ვეღარ შეძლებს და მილიონი შენობაში რჩება.

მექსიკის საზღვართან რომ მივა, ბიჭს ბოევიკი წამოეწევა და სროლას აუტეხავს. ბიჭი აქაც გამარჯვებული გამოდის. გადადის საზღვარზე, ოღონდ უფულოდ, დაჭრილი და სულიერად განადგურებული.

ფილმის დამთავრების შემდეგ ცხარე დებატები გაიმართა. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმან, რამდენად სწორი იყო გოგოს სახლში კარის შემტვრევა მისი გატაცების მიზნით. ყველა იმ აზრისა იყო, რომ გოგოს მოტაცება ქუჩაში სჯობდა.

ბიჭებს მეორე შეცდომად ჩაეთვალათ მილიონრის დაბარება მოყუჩებულ ადგილას. უმრავლესობა თვლიდა, რომ ასეთი გარიგება უკეთესია ხალმრავალ ადგილებში, რადგან ასეთ ადგილებში პოლიცია სროლის ატეხას ერიდება.

ბიჭებს სისუსტედ ჩაეთვალათ უფრო ეფექტური იარაღის უქონლობაც. უმრავლესობა თვლიდა, რომ ეფექტური იარაღით ისინი ყველა შეტევას მოიგერიებდნენ.

ალბათ გასაგებია, რა თვალითაც უყურებენ ამერიკელი პატიმრები მხატვრულ ნაწარმოებებს და რატომ აინტერესებთ სწორედ კრიმინალური ისტორიები.

აზრთა ყველაზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია კიდევ ერთმა ფილმმა, უფრო სწორად, ერთმა კრიმინალურმა ისტორიამ.

მოცეკვავე გოგო, რომელსაც ოთხი თვის შვილი ჰყავს, სახლში ბრუნდება და ხედავს, რომ მის ბოიფრენდს, მისი შვილის მამას, ლოგინში სხვა ქალი ჰყავს ჩაკოტრიალებული. გოგო დასტაცებს ბავშვს ხელს, ჩაალაგებს თავის ბარგი-ბარხანას და სახლიდან მიდის. საქმეს ის ართულებს, რომ წასასვლელი არსად აქვს და არც იმის ფული აქვს, რომ სასტუმრო ან თუნდაც უბრალო ოთახი დაიქირავოს. გარეთ ზამთარია, ცივა. გოგო ჩადის მეტროში, გადადის ვაგონიდან ვაგონში და ბავშვთან ერთად წინ და უკან დაყვება მატარებლებს.

პარალელურად ნიუ-იორკის ერთ-ერთი დაჯგუფების ქილერი, უფრო ზუსტად, ქილერ-მწმენდავი ბრუნდება საქმიდან. ბოსისგან მითითებული ჰქონდა კონკურენტის მოკვლა. უკიდურესი სირთულის მიუხედავად, დავალება შეასრულა და შინ ბრუნდება. ასეთ დროს ქილერებს ურჩევნიათ ხალხმრავალ ადგილებს შეაფარონ თავი. ქილერი შემთხვევით იმ ვაგონში შევა, სადაც გოგო იმყოფება და პირდაპირ მის წინ დაჯდება. შეატყობს, რომ გოგო ვერ არის გუნებაზე, არც გაჩერებებს აკვირდება და არც შემსვლელ-გამომსვლელებს. მემ, რამე ხომ არ გიჭირთო, ეკითხება. გოგო უნდილად პასუხობს. მენდეთ, არაფერს დაგიშავებთო, არ ეშვება ქილერი. გოგო უზიარებს თავის გასაჭირს და ცრემლებსაც გადმოყრის. დროებით ჩემთან წამოდითო, სთავაზობს. გოგოს მართლაც არა აქვს არჩევანი და თანხმდება.

ქილერის მდიდრული ბინის დანახვა გოგოს გააოცებს. რას საქმიანობთო, ეკითხება. უძრავი ქონების აგენტი ვარო, ღებულობს პასუხად.

ღამე მშვიდად ჩაივლის. გოგო უკვე ნდობით განეწყობა ქილერის მიმართ. რამდენიმე დღის შემდეგ ეს გოგო აცნობებს ქილერს, რომ ერთ-ერთ შოუპროექტში კონტრაქტი აქვს გასაფორმებელი და მეტი ეფექტისათვის კარგი იქნებოდა, თუ მის ნაცვლად კონტრაქტის გასაფორმებლად მისი აგენტი მივიდოდა. ქილერი თანხმდება და მიდის კომპანიის გენერალურ მენეჯერთან. ნაცვლად მოსალოდნელი უმნიშვნელო კონტრაქტისა, ქილერს მოაქვს კონტრაქტის სამჯერ უფრო უკეთესი პირობები, მანქანის პირადი სადგომის ადგილი, კერძო საგრიმიორო, სამჯერ უფრო მეტი ჰონორარი. გოგო განცვიფრებულიცაა და უზომოდ აღტაცებულიც.

ამის შემდეგ გოგო სთხოვს, რომ დაეხმაროს ბოიფრენდის ბინიდან თავისი ნივთების წამოღებაში.

ბოიფრენდი ორთავეს ცივად შეხვდება. ნივთების გატანებაზე გოგოს უარს ეუბნება, ჩემი ნაყიდია და ჩემთან დარჩებაო. ქილერი სთხოვს, ცოტა ხნით მეორე ოთახში გავიდეთო. განმარტოვდებიან. ქილერი აძრობს პისტოლეტს და ცხვირში ურტყამს ბოიფრენდს, თან კბილებში გამოსცრის, რისი სურვილიც აქვს ყველაფერი გაატანე, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

ბოიფრენდი მორჩილი და სამაგალითოდ დამყოლი ხდება.

ბოლოს და ბოლოს გოგოს და ქილერს შეუყვარდებათ ერთმანეთი.

პოლიცია დააკავებს ბანდის ერთ-ერთ წევრს, რომელიც ვერ გაუძლებს ზეწოლას და თანახმაა ჩვენება მისცეს მაფიის წინააღმდეგ. ბოსი ავალებს ქილერს ამ წევრის მოკვლას. ქილერი უარზეა, გადაწყვეტილი მაქვს მაგ საქმიანობას თავი დავანებოო. შენ ჯერ ეგ დავალება შეასრულე და წასვლაზე მერე ვილაპარაკოთო. ქილერი უარს ეუბნება და შინ ბრუნდება.

მეორე დღეს მასთან მოდიან სამნი, მისი ბანდის უკვე ყოფილი წევრები და მძევლად აჰყავთ გოგო და ბავშვი. ბოსის დავალება შეასრულე, თორემ ამ გოგოს და ბავშვს მოვკლავთო. კეთილიო, თანხმდება ქილერი, შეიარაღდება და მიდის. დავალების შესრულების ნაცვლად კლავს ბოსს და იმ დროს იქ მყოფ ბანდის წევრებს. მერე შინ ბრუნდება და სამეულს აცნობებს მომხდარის შესახებ. ისინი ვერ იჯერებენ. როცა მობილურის ზარებს არავინ პასუხობს, რწმუნდებიან ნათქვამის სიმართლეში და გაოგნებულები მიდიან. გოგო უკვე ხვდება, ვისთანაც აქვს საქმე. ეკითხება, გინდა თუ არა, რომ ჩემი აგენტი გახდეო. ასე მთავრდება ფილმი.

კამათი გამოიწვია იმან, რეალობაში რამდენად შესაძლებელი იყო მომხდარიყო მსგავსი რამ. ზოგს დაუჯერებლად ეჩვენა ქილერის ასეთი შეუცვლელობა. ზოგმა დაუჯერებლად მიიჩნია ქილერის მიერ უცნობი ბავშვიანი ქალის შინ მიყვანა. ზოგი ბოსს ამტყუნებდა, დაძალების უფლება არ ჰქონდაო. ზოგი კი პირიქით, ქილერს ამტყუნებდა, ჯერ დავალება უნდა შეესრულებინა და ბანდიდან მერე წასულიყო. კამათი გამოიწვია ქილერის წასვლამ გოგოს კონტრაქტის გასაფორმებლად. არ იკადრებდაო.

ჰუმანიზმზე და მით უფრო ქრისტიანულ მორალზე საუბარი არ ყოფილა.

ეს დისკუსიები ყოველთვის ვახშმობის დროს იმართებოდა. ვახშამი ითვლებოდა დღის ყველაზე მნიშვნელოვან მო-

ნაკვეთად როგორც კვების, ისე შეხვედრების თვალსაზრისით. დაჯგუფებაში ძალიან მაგარი მზარეულები გვყავდა, მაგრამ კოლიას ვერავინ შეედრებოდა. ადრე შეფმზარეულად იყო ნამუშევარი მათსავე საოჯახო რესტორანში. ერთხელაც დამთვრალა და ბიძამისთან შელაპარაკება მოსვლია, რაც ბიძის მკვლელობით დამთავრებულა. პირად საუბარში გამომიტყდა, ფხიზელი ამას არ ჩავიდენდიო. 15 წელი ჰქონდა მისჯილი.

ვახშმის დროს ხშირად ხდებოდა გულისნადების გაზიარებაც.

ვახშმობის დროს განვიხილავდით დღის განმავლობაში მომხდარ ამბებსაც. ყველაზე მტკივნეულ თემად ითვლებოდა ზედამხედველების მიერ პატიმრების ცემა-წამების ფაქტები. ასეთ ფაქტებს კი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი.

იმავე ხანებში ზონაზე ერთი ასეთი ამბავი მოხდა. პატიმარზე ეჭვი მიიტანეს, რომ კოკაინი ჰქონდა ნაყნოსი ანდა თრიაქი მოწეული. შარდი მოსთხოვეს ანალიზის ჩასატარებლად. ამაზე უარი განაცხადა. დაიჭირეს, ბორკილებით დაკიდეს ისე, რომ იატაკს მხოლოდ ფეხის წვერებით სწვდებოდა. ამ მდგომარეობაში ჰყავდათ ოთხი საათი, ვიდრე არ მოშარდა. გასაკვირი არაფერია. ზონაზე ნარკოტიკის მიღება ისჯებოდა სამი თვის კარცერით და სპეცფორმის სამთვიანი ტარებით. იგივე სასჯელი იყო ალკოჰოლის მიღებაზეც. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნარკოტიკების მიმღებზე დაწესებული იყო სპეციალური თვალთვალი.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკებს განსაკუთრებით ეტანებოდნენ ზანგების და თეთრფაშისტური პოლიტიკური დაჯგუფების წევრები. დანარჩენები უფრო ალკოჰოლს ამჯობინებდნენ. თუმცა გამონაკლისები ყველგან იყო.

კენჭის გავლის შემდეგ როგორც კი მოვმჯობინდი, ისევ ვარჯიში დავიწყე. ჩვენ შორის ბოქსში საუკეთესო იყო სერგეი. ხშირად გვიბოქსავია. პროფესიონალი იყო. მამაც ბოქსიორი ჰყავდა, 70-იან წლებში მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სწორედ ამ თამაშების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნდა. ცოტა ხანი გერმანიაში დაჰყო, მერე ამერიკაში გადავიდა. ექვსი წლის სერგეი, დედამისი და მისი უმცროსი ძმა საბჭოთა კავშირში დარჩნენ. თავს რაღა არ გადახდათ, ვიდრე მამასთან წასვლის ნებართვას მიიღებდნენ.

სერგეის ბოქსში დიდი მომავალი ელოდა. მამაზე უკეთესი მონაცემები ჰქონდა. მაგრამ ერთხელ კლივლენდის ბარში იჩხუბა და ორი კაცი საშინლად დალეწა. რვა წელი მიუსაჯეს. ჯერ მხოლოდ გაძლიერებულში გაამწესეს, მაგრამ იქაც შემოელახა ერთი-ორი. ხოლო როცა ზედამხედველს ხელი გაარტყა, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მიაბრძანეს. რა ექნა საწყალს, საშინლად ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა. მალე დავმეგობრდით. მოფერებით სერგეი ძინძირუკს ვეძახდი. ბოქსის გაკვეთილებს მიტარებდა. უნდა გენახათ, ზანგები რა დღეში ჰყავდა. სპარინგის დროს მუზარადები გვეკეთა, ტანზე ჯავშანჟილეტის მაგვარი რაღაც გვეცვა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვიმეტებდა, მაგრამ ზანგებს მუზარადი და ჟილეტი ბევრს ვერაფერს შველოდა. ცხადია, ნოკაუტამდე საქმე არ მიდიოდა, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე უძლებდა ორ რაუნდზე მეტს.

სასადილოში მომუშავეთა შორის იყვნენ ზანგებიც. მათთან საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდა. ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. სათათბიროდ შევიკრიბეთ. მე წამოვაყენე წინადადება, რომ სერგეის მუშაობა დაეწყო სასადილოში. დამთანხმდნენ. სერგეის სასადილოში გამოჩენამ წერტილი დაუსვა ყოველგვარ გაუგებრობას. ზანგებიც მორჩილნი და თავაზიანები გახდნენ.

რუსულ დაჯგუფებაში დალევა დაშვებული იყო, აი ნარკოტიკები კი არ იყო რეკომენდებული. მოწევას კიდევ არაუშავდა, მაგრამ გაკეთება შიდა განაწესის უხეშ დარღვევად ითვლებოდა. მაგრამ ყველაზე მიუღებელი მაინც აზარტული თამაშები იყო. მთელ დაჯგუფებაში აზარტომანიით მარტო ვანია იყო დაავადებული. საინტერესო ის არის, რომ ვანია სასჯელს იხდიდა არალეგალური კაზინოს გაძარცვისათვის.

ვანიას მშობლები ლენინგრადელი ებრაელები იყვნენ. თვითონ ისრაელში იყო დაბადებული, ტელ-ავივში. 70-იანი წლების ბოლოს მთელი ოჯახი ამერიკაში ჩამოსულა.

ვანიას ორ თანამოსაქმესთან ერთად ხუთი არალეგალური კაზინო ჰქონდა დაყაჩაღებული. არც იქვე არსებულ ტოტალიზატორებს წყალობდნენ. ამ გზით მილიონ დოლარზე მეტი ჰქონდათ ნაშოვნი. მაგრამ ოხრად ნაშოვნი ოხრადვე ნიავდებოდა ისევ და ისევ კაზინოებში. ასე რომ, ვანია არსენასგან განსხვავებით, მდიდარს კი ართმევდა, მაგრამ ისევ მდიდარს აძლევდა. ოჰაიოში, სადაც ვანია ყაჩაღობდა, ლეგალური კაზინოები აკრძალული იყო, მიჩიგანსა და ინდიანაში კი – დაშვებული. ბუნებრივია, ვანია ოჰაიოს კაზინოებს აყაჩაღებდა და ამავე ფულით მიჩიგანში და ინდიანაში მიდიოდა სათამაშოდ. ისიც ბუნებრივია, რომ ოჰაიოს შტატში არ მოეწონათ ვანიას ასეთი არაპატრიოტული საქციელი და 32 წელი მიუსაჯეს.

ვანიას თამაშის გარეშე ცხოვრება ძალიან უჭირდა, მოწყენილი და ცხვირჩამოშვებული დადიოდა. ერთიორჯერ ხელი მაინც წასცდა, მაგრამ კაი ბიჭი იყო და შეცდომას ვპატიობდით. თუმცა ერთხელ ნამეტანი მოუვიდა და ვალებში ჩავარდა. შეკრებაზე სიტუაცია დაიძაბა. ზოგი სიბრაზისგან თავს ვერ იკავებდა, ძლივს ვაშოშმინებდით. მე, კოლია, ვასია, სევა, საშა, დიმა – ვცდილობდით ვანიაზე თავდასხმა შეგვემსუბუქებინა. რა ქნას, ებრაელია და ფული ძალიან უყვარსო, ვეუბნებოდით განრისხებულებს. თუმცა ვიცოდით, რომ ვანიას ფული კი არა, თვითონ თამაშის პროცესი ხიბლავდა. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მაგრად გაჯორეს. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ამ ერთხელ დავეხმარებოდით ვალის გასტუმრებაში, მომავალში კი მსგავსი ქმედებისათვის დაჯგუფებიდან განკვეთა ელოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვანიამ ნებისყოფა გამოიჩინა და მოცემული პირობა შეასრულა.

რაც შეეხება დალევას, როგორც ვთქვი, ეს დაშვებული იყო, მაგრამ ძალიან ხშირად ერთმანეთზე გაქაჩვით მთავრდებოდა. ალკოჰოლი განსაკუთრებით ცუდ როლს თამაშობდა დასავლეთ უკრაინელებისა და რუსების ურთიერთობაში. რის ვაი-ვაგლახით ვაწყნარებდი ხოლმე აყაყანებულებს. ჩემი ავტორიტეტის ზრდა ყველაზე მეტად იმან განაპირობა, რომ ყოველთვის ვახერხებდი დაპირისპირებული მხარეების დაშოშმინებას. ერთი სიტყვით, დაჯგუფების სტაბილიზატორი ვიყავი.

ჩვენი დაჯგუფების გარდა, მომრიგებლის როლს სხვებთანაც ვთამაშობდი. ყველაზე ხშირი ბიზნესურთიერთობები იტალიელებთან გვქონდა და კონფლიქტური სიტუაციაც სწორედ მათთან იქმნებოდა. იტალიელები რატომღაც რუსებს ამრეზით უყურებდნენ, თუმცა არც რუსები რჩებოდნენ ვალში. მე კი, შესაძლოა ჩემი სამხრეთელობის გამო, იტალიელებთან ძალიან ადვილად ვპოულობდი საერთო ენას. ირლანდიელებთანაც ჯიგრულად ვიყავი, მაგრამ ყველაზე მეტი სიახლოვე მაინც ლათინოამერიკელებთან მქონდა. ხშირად მთავაზობდნენ მოსაწევს, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, გაბრუების მდგომარეობა არც მხიბლავდა და არც ჭკუაში მიჯდებოდა.

2001 წლის აპრილში ალკოჰოლის და ნარკოტიკების მიმღებთა მხილების მიზნით მოეწყო პატიმართა შარდის საყოველთაო ტესტირება. თითქმის მთელი ზონა ჩემთან მოვიდა ბოთლებით ხელში. მეც უშურველად ვუმართავდი ხელს. ებრაელმა ვანიამ მირჩია, „სტავკა", ანუ ნიხრი დააწესეო. მე შორს დავიჭირე, ბუნებრივ სითხეში ფული როგორ გამოვართვა-მეთქი. სამაგიეროდ ფულის არ გამორთმევა, ძალიან არაბუნებრივად გამოიყურებაო, დამმოძღვრა ვანიამ, გახსოვდეს, ფული არ ყარსო, პათეტიკურად მომაძახა რომაელი იმპერატორის ვესპასიანეს სიტყვები.

მისმა აგიტაციამ ვერ გაჭრა და ამ დროიდან მოყოლებული მე მთელი ზონის შარდის უანგარო დონორი გავხდი. ჩემს საკანთან არაერთხელ დამდგარა გრძელი რიგი.

ამავე წელს ზონის ფსიქოლოგმა პირველად დამიბარა თავისთან. გულმოდგინედ გამესაუბრა და გულისყურით მომისმინა.

ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, ღამით როგორ მეძინა. თუ ძილი არ გივარგა, მითხარი და ძილის წამალს დაგინიშნავო. ბალიშზე თავის დადებისთანავე, მორფეისა და ჰიპნოსის საუფლოში გადავდივარ, ძილის წამალი რა ჭირად მინდა-მეთქი, ვუპასუხე.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ უძილობა როგორც მკაცრი, ისე გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში ეპიდემიასავით იყო მოდებული. ძნელია იმის თქმა, რა იწვევდა უძილობას — შეშფოთება, დარდი თუ შიში. არ არის გამორიცხული, რომ საკუთარი ცოდვებიც იწვევდა მოუსვენრობას. ასეა თუ ისე, მე ბედნიერი გამონაკლისი ვიყავი, თუმცა სხვებზე არანაკლები სადარდებელი მქონდა.

ცხოვრება ჩვეული მდორე რიტმით მიედინებოდა. თვეში ერთხელ ჩემები მირეკავდნენ თბილისიდან. ძალიან მიხაროდა. თუმც სულ რაღაც ორიოდე წელი იყო გასული, მაგრამ ნოსტალგია უკვე მიტევდა, ყველანი მენატრებოდნენ. ასეთ დროს გულს ვაყოლებდი დომინოს ან ჭადრაკის თამაშს. დომინოს თამაში ზონაზე ვისწავლე, რაც შეეხება ჭადრაკს, ადრეულ ბავშვობაში მქონდა ნასწავლი და ბევრს ვუგებდი კიდეც. საკვირველი ის არის, რომ დომინოს თამაში უფრო მეხალისებოდა, ჭადრაკი კი გუნებას მიფუჭებდა. ვერასოდეს გაიგებ რა ხდება შენს ქვეცნობიერში. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ გადასახლებაში ყოფნის დროს არც სტალინს უყვარდა ჭადრაკის თამაში.

ამასობაში ზაფხულიც მოვიდა, ჩემთვის ყველაზე ძნელად ასატანი წელიწადის დრო. ყველაფერთან ერთად, ზაფხული ჩემს საქმიანობაშიც ხელს მიშლიდა. როცა ბევრი გაცვია, ადვილია საწყობიდან მოპარული საქონლის დამალვა. ახლა კი რა უნდა მექნა, წვრილმან პროდუქტებზე ვიყავი გადასული. მაგრამ ძალა ერთობაშია და პროდუქტების გადანაწილებით რაღაც მაინც გამოგვდიოდა.

ოჰაიოს შტატის ზონებზე ყველაზე გემრიელი მეჩვენებოდა პამიდვრის საწებელში შემწვარი ძროხის ხორცი, ეგრეთწოდებული რიბ პეტის. თუმცა მაგის მოპარვა ძნელი იყო, მაგრამ ჩემი მეგრული მოხერხებულობის წყალობით, მაინც გამოგვდიოდა რაღაც.

ერთხელაც, სასადილოდან ბლომად რიბ პეტი დავითრიეთ. სუფრა სავახშმოდ გავშალეთ, დავსხედით, მოვილხინეთ. მოვიდა ორი იეღოველი, თქვენთან გასაუბრება გვინდაო. მოვიპატიჟეთ. იუარეს. ერთ-ერთმა მათგანმა წამოიწყო გრძელი მონოლოგი მუცელღმერთობის საძრახისობის შესახებ. მეორე ყველაფერზე კვერს უკრავდა. პირველ მონოლოგს რომ მორჩა, მეორე მონოლოგზე გადავიდა, რას სჩადიხართ, საჭმელს რატომ იპარავთო, განა არ იცით, რომ ამით ერთ-ერთ ბიბლიურ მცნებას არღვევთო?

სერგეის ისედაც სული კბილით ეჭირა და ბიბლიური მცნების დარღვევის შეხსენებამ მოთმინება მთლად დააკარგვინა. აბა, ახლავე აქედან მოუსვითო, შეუღრინა იეღოველებს. აქ უკვე მეორემ ამოიღო ხმა. სერგეის ეუბნება, რა არის, მუშტები მუდმივად შეღერებული რომ გაქვს, მოძალადე რომ ხარ, იმიტომაც დაგსაჯა ღმერთმა და მომავალში კიდევ უარესად დაგსჯისო.

ასეთი პერსპექტივით განაწყენებულმა სერგეიმ მარჯვენა ჰუკით ჯერ ერთი იეღოველი გაგზავნა ნოკაუტში და ახლა მეორეს მიადგა. მე, ვასია, სევა, დიმა და ტოლიკა გასაშველებლად მივცვივდით. ის მეორე ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან. სერგეის დაშოშმინება არც ისე იოლი იყო, როგორც უკვე ვთქვი, საშინლად ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა. ბრაზობდა, მეორის საცემად იწევდა. როგორც იქნა იეღოველები ოთახიდან გავიტან-გავიყვანეთ.

სერგეი კი დაცხრა, მაგრამ გუნება გაუფუჭდა და მთელი საღამო დაღვრემილი იჯდა. როცა გსურს ადამიანი და მით უფრო, დანაშაულისთვის ბრალდებული დამოძღვრო, მომენტიც უნდა შეურჩიო და ტონიც. იეღოველებს ის შეეშალათ, რომ ამ გამოსვლით თავი ჩვენზე მაღლა დააყენეს. არადა ხომ ვიცოდით, რომ ერთი მათგანი სექსდანაშაულისთვის იყო გასამართლებული, მეორე კი — მკვლელობისათვის.

მერეც მქონდა მაგ სექტის წევრებთან შეხვედრა და საუბარი. ერთმა მათგანმა მითხრა, ძალმომრეობა ყველაზე მიუტევებელი ცოდვა არისო. ყველას ყველაფერი უნდა აპატიო და ქვეყანაზე სამუდამო მშვიდობა დამყარდებაო. კი-მეთქი ვუთხარი, მაგრამ შენ თუ იცი, რომ ადამიანში სამართლიანობის ინსტინქტი არსებობს და მისი გადალახვა თითქმის შეუძლებელია-მეთქი. ვიციო, მიპასუხა, მაგრამ სირთულეც სწორედ ეგ არის და მაღალი შეგნების გამოვლენა სწორედ ამაში მდგომარეობსო.

ყოველთვის ალმაცერად ვუყურებდი უტოპისტებს და მათთან კამათს დროის ფუჭ დაკარგვად ვთვლიდი. მაგრამ არ ვიცი რატომ, იქნებ უქმი დროის შესავსებადაც, კამათი დავუწყე. რომ დაინახო, შენს თვალწინ შენ დას აუპატიურებენ, არ დაიცავ-მეთქი? რა თქმა უნდა, არაო. შენ რომ დაგიპირონ გაუპატიურება, როგორ მოიქცევი-მეთქი? წინააღმდეგობას არ გავუწევო. მივხვდი, რომ ფანატიკოსს ველაპარაკებოდი, მაგრამ მაინც არ მოვეშვი. კი მაგრამ, ძარღვებში სისხლის მაგივრად, რძე ხომ არ გიჩქეფს-მეთქი? სასუფეველი მხოლოდ მოთმინებით მოიპოვებაო, მიპასუხა და გამეცალა. აბა შენ იცი, ღირსება არსად დაგეკარგოს-მეთქი, მივაძახე. ერთი კი გამომხედა ალმაცერად და თავის გზას გაუყვა. მაგ სასუფეველზე საუბარს, ის გირჩევნიათ სამართლიანობაზე ილაპარაკოთ-მეთქი. ასე დამთავრდა ჩვენი პირველი და უკანასკნელი დისკუსია ძალადობის თემაზე.

აპრილის თვეში ფაშისტური დაჯგუფება ჰიტლერის დაბადების დღის აღსანიშნავად ემზადებოდა. იტალიელებისაგან ბლომად შეიძინეს ალკოჰოლიანი ნაწარმი. არ ვიცი ვინმემ ჩაუშვა თუ ადმინისტრაციამ პრევენციას მიმართა, ფაქტია, ჰიტლერის დაბადების დღემდე ორი დღით ადრე დიდი ჩხრეკა ჩატარდა.

ფაშისტები გაბრაზდნენ და ზედამხედველებს გაჩხრეკის ნება არ მისცეს. საქმე ხელჩართულ დაპირისპირებამდე მივიდა. კონფლიქტში ჩაერია ციხის სპეცდანიშნულების რაზმი და სიტუაციაზე კონტროლი უცებ დაამყარა. ამოქმედებულ იქნა ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები, მუჯლუგუნები. განსაკუთრებით აქტიური ფაშისტები კარცერში დაამწყვდიეს. ბლომად ალკოჰოლი წაიღეს. ჩვენ შორიდან, მშვიდად ვაკვირდებოდით მიმდინარე ბატალიებს. ჩვენი დაჯგუფებიდან მხოლოდ ბანდერელები იყვნენ აღელვებული. საქმე იმაში იყო, რომ ეგენი მიწვეულნი იყვნენ ჰიტლერის დღეობაზე და მაგარი სმა-ჭამა ჩაეშალათ. უნდა გენახათ მათი გაწბილებული სახეები.

ზონაზე პატიმრის ქონების მოპარვა ყოვლად საძრახის ქმედებად ითვლებოდა. მაგრამ თუკი დაჯგუფების წევრს ვინმე რამეს მოპარავდა, ამით ღამის სასიკვდილო განაჩენზე ხელს აწერდა. საერთოდ კი, ზონაზე მეტ-ნაკლებად ცნობილია ხოლმე ვინ არის მომპარავი და ვინ — ჩამშვები. ერთხელ ასეთი რამ მოხდა. ზანგმა, არადაჯგუფების წევრმა, თეთრკანიანს, ასევე არადაჯგუფების წევრს რაღაც მოპარა. ქურდობის ფაქტი გამოძიებულ იქნა. დაზარალებული მომპარავს საკანში შეუვარდა და დანით ხუთი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. სკანდალმა ფართო მასშტაბი მიიღო. ჩხრეკას ვინ ჩივის, რამდენიმე დღე საკნებში გამოგვამწყვდიეს. რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე წინასწარ ვიცოდით, რაც მოყვებოდა ამ მკვლელობას და ყველა სახის იარაღი თავიდან მოვიშორეთ. როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, იარაღი ხელახლა შევიძინეთ.

ზანგების დაჯგუფებაში მოგვიანებით დაპირისპირება წარმოიშვა. ერთ-ერთ შეკრებაზე ერთმა ზანგმა მეორეს ღალატში დასდო ბრალი და ჩამშვები უწოდა. ბრალდებულმა ცილისწამება ვერ აიტანა და ბრალმდებელს დანა მუცელში გაუყარა. ჩაშვებაში ეჭვმიტანილს დაჯგუფების სხვა წევრები მისცვივდნენ, ჯერ დანები ჩასცხეს, მერე კი მეორე სართულიდან გადმოაგდეს.

როგორც ყოველთვის, ამას მოჰყვა ზონის დაკეტვა, ჩხრეკა და ჩვენის მხრიდან იარაღის გადაყრა. თუმცა ასეთი შემთხვევები ხშირი არ იყო, მაგრამ როცა ხდებოდა, ამით მთელი ზონა ზარალდებოდა. ამიტომ იყო, რომ მომხდარის გამო ადმინისტრაციაზე არანაკლებად ჩვენ ვბრაზობდით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლეილა ნანიტაშვილი

გამოფენა გამოფენისათვის?!

იონა მეუნარგია მონოგრაფიაში „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ წერდა:

„...საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რაიმე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდნენ იმ ფარულ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა თბილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენი ერისათვის“.

რუსული პოლკის შემოსვლა თბილისში (1799)

ბარათაშვილი გენიოსად დაიბადა და გენიოსადვე დარჩა, მაგრამ თავად-აზნაურთა 1832 წლის შეთქმულების გაცემამ, დამარცხებამ და „ყაზარმობის“ შედეგმა — მეგობარ-ნათესავთა შორეულ რუსეთში გადასახლებამ, ცხადია, ღრმა კვალი დააჩნია მის შემოქმედებას:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი, შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!

წერდა 1836 წელს ლექსში „ძია გ...სთან“, რომელიც ვილნოში გადასახლებული გრიგოლ ორბელიანისათვის გაუგზავნია.

1834 წლის 9 იანვარს დრამატურგი გიორგი ერისთავიც ვილნოში, სამხედრო სამსახურში გაამწესეს. „მივალ, გარნაღა სული აქ მრჩების“, — სწერდა პოეტი წასვლის წინ თავის მეგობარს — სვიმონ მაჩაბელს. ვილნოში გადასახლებულ გიორგი ერისთავსა და გრიგოლ ორბელიანს განგებამ მოულოდნელი სიხარული არგუნა: ისევ იონა მეუნარგიას სიტყვებს მოვიხმობ: „გრიგოლ ორბელიანისგან შეგვიტყვია: ერთხელ ვილნოში ვიყავი და ნაცნობ პოლკის კომანდირს შევხვდი, რომელმაც ქართველი პრაპორშჩიკის ყოფნა მითხრა მის პოლკშიო. პოლკი თურმე ბანაკად იყო ვილნოს გარეშე გასული და ცნობისმოყვარე პოეტი წავიდა ამ უცნობი პრაპორშჩიკის საძებნელად. ბევრი ვეძებე, — სთქვა პოეტმა, — და ბოლოს ერთი კარავი მიჩვენეს, რომელშიაც უნდა ყოფილიყო ეს პრაპორშჩიკი. შევედი და რა ვნახე? საღამოს პირზედ, დღის მუშაობისაგან დამაშვრალი, წამოწოლილი იყო ლოგინზე გიორგი ერისთავი და ღრმად ეძინაო.

— გიორგი!

— გრიგოლ!

გაისმა თურმე ძახილი და ორი მეგობარი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ეს პირველი შემთხვევა იყო გიორგი ერისთავისათვის ქართველი კაცის ნახვისა ამ უცხოეთში, და ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერება იქნებოდა ჩვენი დიდებული პოეტის ნახვა როგორც მისთვის, ისე გრიგოლ ორბელიანისათვისაც. ეს შეყრა სამუდამოდ სასიამოვნო სახსოვრად დარჩა“.

ქართველი მწერლების ბიოგრაფი საქართველოში „სამწერლო ელემენტის უმყოფლობას“ აღნიშნავს, მაგრამ მათ გარდა რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეში მრავალი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი იყო გაძევებული. ყველას როდი გაუმართლა: გადასახლებიდან ვეღარ დაბრუნდნენ სოლომონ რაზმაძე და სოლომონ დოდაშვილი.

პირველი სამუდამოდ გადაასახლეს პენზაში, რომელსაც საქართველოსთან განშორებამ ათქმევინა: „ნეტამც მამულო, არ მომდებოდა შენის ხილვისა სურვილის ალი“-ო. იგი ამ დროისათვის 35 წლისა იყო, 63 წლისა პენზაში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. სოლომონ დოდაშვილის ნეშტი კი მადლიერმა საქართველომ 1994 წელს ვიატკიდან სამშობლოში გადმოასვენა და მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს.

სწორედ საქართველოს ამ საუკეთესო კაცების ფოტოსურათები, პორტრეტები, ფოტორეპროდუქციები, მათი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური მასალა, ეპისტოლური მემკვიდრეობა, მემორიალური ნივთები, რომლებსაც კვალიფიციურად შედგენილი ანოტაციები ახლდა და მეგზურობას უწევდა მნახველს, გამოფინა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა.

მუზეუმის შესასვლელთან გაკრული აფიშა გვამცნობდა, რომ გამოფენა — „1832 წლის შეთქმულება და შემდგომი პერიოდი“ გაიმართებოდა 22 თებერვლიდან 9 მარტამდე, მაგრამ მნახველთა მოლოდინში იგი 11 მაისამდე გაგრძელდა.

მართალია, საქართველოს ძნელბედობის ისტორიის ამსახველი ეს ამაღელვებელი გამოფენა თითქოს თვალსაჩინოს ხდიდა წარსულის ერთ მონაკვეთს, სინამდვილეში იგი ამით არ შემოფარგლულა. აქ უხვად იყო წარმოდგენილი ის მასალაც, რამაც თავადაზნაურობა არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო შეთქმულებამდე მიიყვანა. მარტო გენერალ ლაზარევის შემოსვლა ტფილისში 1799 წელს, ფრანც რუბოს ნახატის მიხედვით შესრულებული ლითოგრაფიის ნახვაც საკმარისი იყო რომ გაგვეგო, რუსეთი ამ საოცნებო ქვეყანას აღარასოდეს დათმობდა.

თუმცა მეფე ერეკლე II-ს სახელოვანი სარდლის, მისი სიძის, ასპინძის ომის გმირის — დავით ორბელიანის უღირსი ვაჟი, საბარათიანოს უკანასკნელი სარდალი იოანე ორბელიანი მოხერხებულად ატყუებდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეს — ბატონიშვილ დავითს, როდესაც მიმართავდა:

„ბატონიშვილო და ბიძავ!

ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბძანე და გამოუცხადებ რუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი, როგორც გვიმეფნია, ისევე ვიმეფოთ“. იმავდროულად კი გენერალ ლაზარევსა და რუსეთის მინისტრ კოვალენსკისთან შეხვედრაზე ბრძანა:

„მე მოვახსენე დავითს ჩემი რჩევა დასაცველად მეფობისა, ნიშნად ერთგულობისა, ვითარცა ფიცითა შეკრული მეფეთათვის ქართველთა. რადგანაც არა სურს მას დავითის მეფობა, როდესაც მივსცემ ფიცსა რუსეთისა იმპერატორს, ვექმნები ერთგული და მოვკვდები მისთვის ერთგულებაში“-ო, და მართლაც, სიკვდილამდე რუსეთის იმპერიას ემსახურა.

ექსპოზიცია ოთხ დარბაზში იყო გამოფენილი. აქ ნახავდით ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს, მისი მეუღლის — დარეჯან დედოფლის, უკანასკნელი მეფის — გიორგი XIII-სა და მისი მეუღლის — მარიამ ციციშვილის, დავით, იოანე, ფარნაოზ, ოქროპირ, თამარ და ერეკლეს საყვარელი ქალიშვილის — თეკლე ბატონიშვილის, შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ორენბურგსა და კალუგაში გადასახლებული მისი ვაჟების — ალექსანდრეს, დიმიტრისა და ვახტანგ ორბელიანების პორტრეტებსა თუ რეპროდუქციებს.

გიორგი რომანის (რევაზის) ძე ერისთავი

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გეორგიევსკის ტრაქტატის მინაწერის ასლი — ერეკლე II-სა და საბარათიანოს სარდლის დავით ორბელიანის ხელრთვით.

ექსპოზიციას ამშვენებდა ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფლის ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის, სრუსის მიერ შესრულებული პორტრეტის რეპროდუქცია, თავზე განუყრელი ბოხოხითა და ხანჯლის ვადაზე ჩაფრენილი ხელით, შეთქმულების წარმატების შემდეგ ქართველებს სამეფო ტახტის მომავალ მემკვიდრედ რომ ესახებოდათ. აბაშიძეებისგან რუსეთის ხელისუფალ ერმოლოვის ზეგავლენით „გაწბილებული სასიძოს“ გვერდით, უცნობი ავტორის მიერ შესრულებული, მისი მეუღლის — მარიამ ისაკის ასულ მელიქ-აღამოვას პორტრეტიც იყო წარმოდგენილი.

თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ შეთქმულების ერთ-ერთი მოთავის — ელიზბარ ერისთავისა და მისი მეუღლის — ქეთევან შალვას ასულ ერისთავის ფოტოებს. მართალია, ქეთევანის ფოტოსურათის მნახველი ბარათაშვილის ლექსის ადრესატზე ვეღარ გაიმეორებდა „გიშრისა თმანი ნაშალნი ჰშვენიან სპეტაკს საცმელსაო“, თუმცა პოეტის შთაგონებამ მაინც შემოგვინახა ელიზბარ ერისთავის თანამეცხედრის ძველი ხიბლი. „ქეთევან ჰაეროვანი, ქეთევან ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებით“.

ექსპოზიციის მეოთხე დარბაზი ბოლოს დატოვა ქართველმა გენერალიტეტმა გვერდიგვერდ ეკიდა ფერწერული ტილოები: სენატორ გიორგი იესეს ძე ერისთავისა (მხ. მეზენცევ, 1887), ალექსანდრე ჭავჭავაძისა (მხ. უჩა ჯაფარიძე) და გრიგოლ ორბელიანისა (მხ. პიოტრ კოლჩინ).

ეს გიორგი ერისთავი გახლდათ რუსეთის ყველა ომის მონაწილე, ყველა სამხედრო ჯილდოს მფლობელი, როგორც მას უწოდებდნენ — „ჰერი-ჰა“, „დიდი კნიაზი“, „ბატუშკა“, მაგრამ ყველაზე მაღალი ჯილდო და პატივი მისთვის იყო პასკევიჩთან შეუთანხმებლად 1827 წელს თავრიზის აღება, რისთვისაც სენატორობა უბოძეს და „ტავრიჩესკი“ უწოდეს. „დიდი კნიაზი“ შეთქმულებას თან თანაუგრძნობდა, თან უარყოფდა, თუ ამის თაობაზე რაიმე იცოდა. ამიტომაც ამბობდა ელიზბარ ერისთავი, „ბიძაჩემი მოხუცებულიც არის, კიდეც შეუძლიან, მაგრამ პირში კი არა დაუდგება რაო“.

ეს ის გიორგი ერისთავია, ბარათაშვილის წყალობით ორჯერ რომ ეზიარა უკვდავებას:

ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი,
წინ ერისთავი მოუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!

მეორედ კი პოეტის დის — კატოს ქორწილის შემდეგ პატარძლის მაყრიონის ატენში სტუმრობისას, მასპინძლის სტუმართმოყვარეობით აღტაცებული ტატო ბიძას — ზაქარია ორბელიანს სწერდა: „კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვაო“. მაგრამ „დიდ კნიაზს“ ალბათ ბარათაშვილის შემოქმედებაში მოხვედრაზე მეტად ეამაყებოდა მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვთან მეგობრული ურთიერთობა, რადგან ეს უკანასკნელი დიდად აფასებდა ინფანტერიის გენერალს, რაც ალექსი ერმოლოვისადმი გაგზავნილ ბარათში გამოხატა.

„Эристов старый и почтенный слуга Государю и Россию из первых грузинских фамилий, душевно предан нашему правительству, служил усердно и храбро, Бог знает сколько лет (ибо я его застал в 1803 году уже подполковником) и пользуется общим уважением и почтением“.

ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა ანასტასია ბატონიშვილის ვაჟის, არხანგელსკში გადასახლებული გიორგი ერისთავის (ატამანი) და ვიატკაში გადასახლებული იოსებ მამაცაშვილის ფოტოების ხილვა.

ალექსანდრე ორბელიანი იგონებს: „ჩემი დეიდაშვილი თ. გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ჩვენთან შემოვიდა და განსვენებულის გულით და მყარის სიტყვით მითხრა:

— ალექსანდრე, კომენდანტი და პოლიცმეისტერი ჩვენს ოთახში შემოვიდნენ, სადაც მე და შენი ძმა ვახტანგ ვდგევართ და ორთავ გვითხრეს: ბარონ როზენმა დაგიბარათო. ეტყობა, რომ ჩვენი შეთქმა გამოცხადებულა. ახლა რა ვქნათ. ამის მეტი ჩვენ ვეღარა გამოგვიხსნის-რა, რომ რაც უნდა გვტანჯონ, არ გავტყდეთ“.

ამ საუბარს ესწრებოდა ალექსანდრეს მეუღლე ეკატერინე, რომელიც, ალექსანდრესავე თქმით, „ერია ჩვენს საქმეში, სხვანი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელთაცა ჩემს კატინოს ვალათ დასდეს, რევალუციის ბაირახი შეეკერა“. ამ მანდილოსნებს შორის იყვნენ მანანა ორბელიანი და ელენე ერისთავიც.

* * *

ჟურნალი „კვალი“ 1893 წელს (№11) წერდა:

„ქართლში, მტკვრის გასწვრივ, გადაჭიმულია გრძელი, ვენახებითა და ხილნარით შემკული სოფელი რუისი.

ამ სოფლიდან არის მამაცაანთ გვარი, რომლის დასაწყისი ისტორიულ წყვდიადში იკარგება. ხალხში კი გადმოთქმაა და წერილობით მტკიცდება, რომ ამ გვარს თავისი სახელწოდება სიმამაცის გამო მიუღია. ამბობენ, მამაცაანთ წინაპარნი იარაღით აღჭურვილნი თვალს ადევნებდნენ სხვადასხვა მხრიდან მოსალოდნელი მტრის მოსვლას და ამ შემთხვევის პირველსავე ნიშნებზედ, მდევარს თავს უყრიდნენ და თავიანთი წინამძღოლობით მამაცურად იგერიებდნენ მტერს და სამშობლოს განსაცდელისაგან იხსნიდენო“.

იოსებ მამაცაშვილი საეკლესიო აზნაურის შთამომავალი, ქვეყნის პატრიოტი გახლდათ, იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, სამოციან წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდვილს ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც იკრიბებოდნენ

ძველის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, ამგვარ ოჯახთა შორის თვალსაჩინოდ განირჩეოდა ოჯახი იოსებ მამაცაშვილისა.

ეს ოჯახი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინამორბედი იყო და ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის დროს იოსებ მამაცაშვილს არ შეეძლო შეთქმულთა ბედი არ გაეზიარებინა. გადასახლებიდან დაბრუნებულმა კი დარჩენილი სიცოცხლე სამოხელეო სამსახურს შეალია.

ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, „იოსებ მამაცაშვილი გორის უეზდის სუდიათ რომ იყო, რამთენი პირნი მოარიგა ერთმანეთში წარმოებული საქმე. ვინ იცის რამდენი ხნისა! მგონი 400 საქმემდისინ მოსპო მშვიდობის რჩევით, რომელსაცა ამისთვის მისცა... ნეიდგარდმა ჯილდოდ ანნას ჯვარი“.

ექსპოზიციას განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებდა მემორიალური ნივთები: ალექსანდრე ჭავჭავაძის პაჟთა კორპუსის დასრულების სამკერდე ნიშანი — „მალტის ჯვარი“, ჭავჭავაძეების ოჯახური რელიკვია — მუსიკალური ყუთი ნიჟეგოროდის მარშით; ალექსანდრე ორბელიანის მიერ მეუღლისათვის ორენბურგიდან ჩამოტანილი ღვთისმშობლის ხატი, ნინო ჭავჭავაძის მედალიონი, მანანა ორბელიანის ფერადი ქვებით შემკული მინიატურული ქოლგა.

გენერალი გიორგი ერისთავი

ექსპოზიცია ერთგვარ სამხატვრო სალონსაც წარმოადგენდა, რადგან აქ თავმოყრილი იყო როგორც ქართველ, ისე უცხოელ მხატვართა ნამუშევრების ორიგინალები: ქეთევან მაღალაშვილის ალექსანდრე ორბელიანის პორტრეტი, უჩა ჯაფარიძის ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ბერიძის დიმიტრი ყიფიანი, პიოტრ კოლჩინის გარსევან ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი; გიორგი კორადინის თეკლე ბატონიშვილი, ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი; ანდრეი მორგუნოვის ოქროპირ ბატონიშვილი, ვახტანგ ორბელიანი; მეზენცევის ტილო — სენატორი გიორგი იესეს ძე ერისთავი, ელენ ფრანკენის დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე; ლევ ანფიმოვის — „ალექსანდრ გრიბოედოვი ქართულ საზოგადოებაში“, თბილისელი მხატვრის — ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის „ალექსანდრე ჭავჭავაძე და ალექსანდრ გრიბოედოვი“; პლატონ ჩელიშჩევის კარიკატურები: ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, მანანა ორბელიანი, მაიკო ორბელიანი (დ. აფანასიევის ასლები).

გამოფენა დაიხურა.

იგი მხოლოდ ოთხმოცდახუთმა მნახველმა დაათვალიერა. მათ შორის უბრალოდ, ქუჩაში გამვლელებმაც, რომლებმაც მუზეუმის ფანჯარასთან გაკრული აფიშით გაიგეს გამოფენის არსებობა.

ექსპონატებმა თავთავიანთ ადგილსამყოფელს მიაშურეს. საქართველოზე დარდით სახედაღარული ალექსანდრე ბატონიშვილის სურათიც საცავს დაუბრუნდა. რაფის ნაამბობის მიხედვით, დ. ტერ-დავითიანცი სომხურიდან თარგმნილ წერილში ქართველებს გვამცნობს: „მან ანდერძათ დასტოვა, რომ მისი გვამი წაეღოთ საქართველოში“. სამწუხაროდ, ყველაზე ღირსეული ტახტის მემკვიდრე დღეს თეირანში, შაჰ-აბდულ აზიმის ციხის სომხურ სასაფლაოზეა დაკრძალული და ეპიტაფიაც კი არა აქვს. „...რაისათვის თავსაც ჩემსა არა წარვაგებ მამულისა, რჯულისა და სახელისათვის? ცხოვრება ესე ჩემი არა არს ცხოვრებად წოდება, არამედ განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის“. ამაოდ ელოდებიან ამ სიტყვების ავტორის ნეშტის საქართველოში დაბრუნებას წინაპრები; დიდი ერეკლე და პატარა ერეკლე — მამა და ვაჟიშვილი.

მისი სამუდამო განსასვენებელი ხომ სვეტიცხოვლის ტაძარია.

* * *

როგორც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ (19 აპრილი, №8) ფურცლებიდან შევიტყვე, 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულების 180 წლის იუბილე თბილისის 210-ე საჯარო სკოლაში აღუნიშნავთ. შეთქმულების მნიშვნელობაზე ლექცია წაუკითხავს ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის ჭირისუფალს, მწერალსა და ჟურნალის რედაქტორს — როსტომ ჩხეიძეს.

ბარაქალა, ამ სკოლის დირექტორს, ბატონ ნუგზარ მოლაშვილსა და მის მოსწავლეებს, რომ კარგად ახსოვთ დიდი ილიას ანდერძი: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავალისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“.

ვინც ვერ ან არ ნახა ეს დიდებული გამოფენა, ვინც მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს, სოლომონ დოდაშვილის ქაღალდებში ნაპოვნი პროკლამაციის ტექსტს გავაცნობ: „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა. აქვნდა თვისი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთან ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა, რაისათვის არს ესე ესრეთ. ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამაპაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა.

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?!“

დღეს საქართველოს ბედს ორი ზესახელმწიფო განაგებს.

დღეს აღარავინ ამბობს —

„მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?!“

ქართველებს საკონცერტო რეპერტუარშიღა დაგვრჩა სიმღერა — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და პოეზიაში ლექსის სტრიქონი: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?!“

* * *

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

P. S. თუ ოდესმე კვლავ განმეორდება ეს გამოფენა,

ეკა ბუჯიაშვილი

მე, ბებია, ჩემი ძმა და კიდევ... რიონი

ახლა მე მოგიყვებით ამბავს კაცისა, რომელსაც თითქმის ყოველდღე ვხედავ და თითქმის ყოველდღე მიფიქრია, რომ ასეთი ადამიანების გვერდით ცხოვრება ნამდვილი ღვთის საჩუქარია.

ამიტომაც მის ნაამბობ ისტორიებსაც დროდადრო ვინიშნავ, რადგან ისიც მიფიქრია, რომ მათ თვითკმარი ღირებულების გარდა — ბიოგრაფიაა ხელოვანისა, რომელიც დარჩება ქართული მხატვრობის ისტორიას — ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ერთი პატარა ქვეყნის პატარა ქალაქის ისტორიაცაა, თავისი პერსონაჟებით — ცნობილითა თუ უცნობით, მაგრამ სახასიათოდ რომ წარმოაჩენენ იმ ეპოქის, იმ დროის, იმ გარემოს ფონსაც და თავისებურებებსაც.

კარლო ფაჩულია, ძალიან კარგი მხატვარი — ვისაც არაერთი საინტერესო ილუსტრაცია თუ საგულისხმო შემოქმედებითი ციკლით იცნობს საზოგადოება — და ძალიან კარგი ადამიანი ქუთაისში დაიბადა, იმ სახლში, რიონის პირას რომ დგას, გულგრილად ვერავინ რომ აუვლის ხოლმე გვერდს, არაერთ მხატვარს — იქაურსაც და ჩასულსაც, ქართველსაც და უცხოელსაც — რომ აუსახავს ტილოზე, ზაქარია ფალიაშვილი რომ დაიბადა, მერე მის სახლ-მუზეუმად გადაკეთდა და ერთხელ ბატონი კარლოსთვის თავის მეგობარს ესეც უთქვამს:

— არ გადაგეკეთებინათ, ბატონო, სახლ-მუზეუმად და კიდევ დაიბადებოდა ვინმე.

— იხუმრაო, — მორიდებულად ეღიმება, — მე და ზაქარია ფალიაშვილი დაგვატოლა ერთმანეთსო, თუმცა ეს თვითონ ფიქრობს ასე, თორემ მეც, თქვენც, ირგვლივ მყოფებმაც და, საერთოდ, საზოგადოებამაც კარგად ვიცით კარლო ფაჩულიას შემოქმედების ფასი.

ჩვენ კი...

ჩვენ, ვინც თითქმის ყოველდღე ვხედავთ მას, ყოველდღე ვფიქრობთ იმას, რომ ასეთი ადამიანების გვერდით ცხოვრება ნამდვილი ღვთის საჩუქარია.

... და ვცდილობთ, შევირგოთ და დავაფასოთ ეს საჩუქარი.

* * *

ორ ოთახში ცხოვრობდნენ.

ერთში ბიძა დაბინავებულიყო, მეორეში კი ისინი — თვითონ, თავისი ძმა, ბებია, დედა და დეიდა.

ჭადრაკის თამაში ბიძამ დააწყებინა.

მანვე ასწავლა კარტიც, დომინოცა და ნარდიც, ტანვარჯიშზეც მიიყვანა და ისე ვარჯიშობდა, თითქმის ყველა შეჯიბრზე გამოდიოდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

შინ დაბრუნებული ბიძა დახაზავდა ხოლმე ფურცელს, დააწერდა სახელებს: შოთა, კარლო, ვოვა და ხუთჭიდში (ჭადრაკი, კარტი, ნარდი, დომინო, შაში) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

მერე წერდა ქულებს და გამარჯვებულს სიმბოლურ პრიზებსაც გადასცემდა.

ვიდრე ყველანი ერთად ცხოვრობდნენ, ეს ტრადიციაც ცოცხლობდა. მერე კი, ის სახლი ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმად რომ გადაკეთდა, გაიყვნენ და ცხოვრების რიტმიცა და წესებიც ჭერთან ერთად შეიცვალა.

— ერთხელ ღამით გამეღვიძა. ბიძაჩემი შინ არ იყო. პატარა ვიქნებოდი მაშინ, ასე 8-9 წლის. უცებ ოთახში ლანდი დავინახე. დედას ვაღვიძებ: მგონი ვიღაც არის სახლში-მეთქი.

დაღლილმა დედამ კი, როგორც ჩანს, ძილს თავი ვერ წაართვა და: დაწექი და დაიძინეო, — მითხრა.

დილით აღმოვაჩინეთ, რომ ორი პატეფონი და მთელი ჩვენი ტანსაცმელი წაეღო ქურდს.

ბიძაშვილი გვყავდა სტუმრად და იმისიც თან გაეყოლებინა.

ასე დაგვტოვა შიშველ-ტიტვლები, თანაც როგორ წლებში, როცა რაც გვეცვა, ისიც კი, ვინ უწყის, რამდენჯერ დაკერებულ-დაკემსილი.

გადიოდა დღეები.

გაჭირვებაგამოვლილი დღეები გადიოდა.

საღამოობით ისევ დახაზავდა ბიძაჩემი ფურცელს, ატყდებოდა ხმაური და ყიჟინა და... კიდევ ერთი დღე გადაიკეცებოდა ხოლმე წარსულში.

გაივლის წლები და უკვე სამხატვრო აკადემიაში სწავლისას ერთხელაც რომ შეესწრება, თავისი ფიზკულტურის პედაგოგი ლევან გაჩავა როგორ ეთამაშება ჭადრაკს ვიღაცას, შეუთამამდება და ეტყვის: აი, ეს სვლა რომ გაგეკეთებინათ, უკეთესი იქნებოდაო.

ის კი... შეხედავს, აათვალიერებს, ჩაათვალიერებს... მოგვიანებით ნიჭიერ ახალგაზრდას სამხატვრო აკადემიის ნაკრებში გადაიყვანს და თენგიზ მირზაშვილთან (ჩუბჩიკასთან) ერთად რაიონის პირველობასაც მოიგებენ ჭადრაკში. ჯერ კი ის წუთებია, სტუდენტი პედაგოგს რომ არიგებს ჭკუას და ლევან გაჩავაც გაკვირვებული ათვალიერებს შეთამამებულ ახალგაზრდას.

— აბა ერთი დაჯექი, ვნახოთ, რა მოთამაშეც ხარ.

დაჯდება და... უგებს პედაგოგს

— რა გვარი ხარ? — ეკითხება ის.

— ფაჩულია.

— სახელი?

— კარლო.

კიდევ უფრო ინტერესით შეათვალიერებს და:

— იმ კარლო ფაჩულიასი ვინ ხარ?

— შვილი.

გადაეხვევა, გადაკოცნის.

— მე და მამაშენი... — მღელვარედ აგრძელებს, — მე და მამაშენი ერთად ვიბრძოდით, ერთმანეთს მანქანის ძარაზე ვეჯიბრებოდით ყირის გაჭიმვაში.

მერე...

მერე ის სხვა ბატალიონში გადაიყვანეს.

მერე ბიჭებმა მოიტანეს ამბავი, დაბომბვაში მოჰყვაო.

— მამა ცნობილი ტანმოვარჯიშე იყო. ახლახან ქუთაისელი ტანმოვარჯიშეების შესახებ რომ გამოიცა წიგნი, იქაც მოხსენიებულია. მუზეუმში სურათიც არის მისი.

1942-ში დაიღუპა.

6 თვის ვიყავი მაშინ.

მამის სიყვარულისა არაფერი ვიცი.

ბავშვობაში ვერც ვგრძნობდი უმამობას. ეს მერე, რომ წამოვიზარდე, ომიც დამთავრდა და აღმოვაჩინე, რომ ჩემს ირგვლივ ბავშვებს მამები ჰყავდათ და მხოლოდ მე ვიყავი ობოლი, მაშინ ვიგრძენი, რას ნიშნავდა ეს.

მაშინაც და მერეც...

სიყვარული კი ასეთი ეგრძნო მეზობლის პატარა გოგოსგან — თვითონ 9 წლის იქნებოდა მაშინ, შემოსულა ეზოში მასზე სამი წლით უმცროსი მანონ ბაბუხარდია. მისულა, გადაუხვევია ხელი და სრულიად მოულოდნელად ლოყაზე უკოცნია.

უთაკილია პატარა კარლოს თუ მოულოდნელობისგან დაბნეულა, აუკრავს ხელი და გაწეულა.

— რა უხეში ხარ, შვილო, ბავშვი მოგეფერა, შენ კი... — უსაყვედურია დედას.

წლების შემდეგ თავისი ცხოვრების თანამგზავრსა და მეგობარს ნინო ზაალიშვილს რომ იპოვის, რამდენიმე დღე ქუთაისში რომ მოუწევთ დარჩენა და მოულოდნელად გადაწყვეტენ, ხელი მოაწერონ, ნინო მეჯვარეს ეძებს, ხელისმომკიდე ხომ სჭირდება, და უცებ გაახსენდება ქუთაისში მცხოვრები ნაცნობი გოგონა, ის პატარა მანონი რომ აღმოჩნდება, კარლო ფაჩულიას პირველად რომ აკოცა ლოყაზე და ამდენი წლის შემდეგ ოჯახის მეგობრად და ნათესავად დაბრუნდება მის ცხოვრებაში.

უცნაური დამთხვევები სცოდნია ბედისწერას.

უცნაურივე იყო მათი ბავშვობაც, რადგან იმ წლებსაც, ათასი გაჭირვება რომ გამოიარეს, იმ სახლსაც, იმ უბანსაც, ქალაქსაც და ადამიანებსაც ჰქონდათ რაღაც ისეთი, რაც შიმშილსაც გადაგატანინებდა, წყურვილსაც, სიცივესაც... ან იქნებ სულაც ამ ყველაფერს კი არა, იმ ხანას ჰქონდა ეს „რაღაც“, ბავშვობა რომ ჰქვია, რიონის ნაპირზე რომ უნდა დარჩენილიყო და ვიდრე ცხოვრება ახალ ნაპირებთანაც მიიყვანდა, თავისი წილი იმედი და სიხარული აქედანაც წაეღო თან.

* * *

მთელი ბავშვობა გამორჩეულად მაინც რიონსა და ბებიის სახეს უკავშირდება.

დედა მთელი დღე მუშაობდა — ვიღაცას ხომ უნდა ერჩინა უმამოდ დარჩენილი ოჯახი — და ბებიასთან მიბარებული ძმებიც ხან ეკლესიის ეზოში დადიოდნენ სათამაშოდ, ხანაც რიონის ტალღებში ირთობდნენ თავს. იმ ეზოში დააღამდებოდათ ხოლმე. საღამოს კი, თამაშით დაღლილნი ბავშვებთან რომ ხუმრობდნენ და შინ წასვლა აღარც კი აგონდებოდათ, დაადგებოდათ ბებია თავზე, ეკლესიის ჭიშკარში შეყოფდა თავს და:

— ბიჭო, ქათამი გებულობს დაღამებას და თქვენ რით ვერ უნდა გეიგოთო, — ეტყოდათ და წავიდოდა შინ, იქ დაელოდებოდა შვილიშვილებს.

კარლო ფაჩულია ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე

დაბრუნდებოდნენ ესენიც, „დაღამებას რომ გეიგებდნენ“, მაშინ, დაძუნძგლულები, მტვრიანები, მთელი დღის თამაშით დაღლილნი. დახვდებოდათ ბებო, ჩასვამდა ჯერ ერთს და მერე მეორეს დიდ „ტაშტში“, ცალი ხელით წყალს ასხამდათ, მეორეთი კი ბანდათ, ჭუჭყიან ხელებზე ეფერებოდათ და სიყვარულიანი საყვედურით ეტყოდათ:

— რას გიგავთ, ბებო, ხელები, მალე ალბათ ქინძი ამოგივათო.

...და ისინიც კარგა ხანს შიშით ითვალიერებდნენ გაზუნტლულ ხელებს, აქაოდა ერთ დღეს მართლაც არ ამოინვეროს ქინძი და არ შეიფოთლოს კიდეცო.

— რიონზე არ გაიპარონო, — დაუბარებდა ბებიას დედა, რადგან დროდადრო სახიფათო ადიდება იცოდა რიონმა.

ესენი კი...

რიონის პირას ისხდნენ სულ.

მეზობლად დევი და ლომკა ივანოვები ცხოვრობდნენ. ჩიქოვანი ჰყავდათ დედა, ულამაზესი ქალი, მოდიოდა ხოლმე ქუჩაში რაღაცნაირი ამაყი ნაბიჯებით, თან... სიგარეტს აბოლებდა და ჰქონდა ამ ყველაფერს სხვანაირი, უჩვეულო ხიბლი, თვალის გაყოლებაც ერთ რამედ რომ ღირდა — სად ნახავდით მაშინ კიდევ ასეთ სურათს.

მერე ივანოვ-ჩიქოვანები გახდნენ სულაც. დევი ჩიქოვანს წლების შემდეგ არაერთი სცენარის ავტორობით გაიცნობს საზოგადოება, მაშინ კი ერთი ჩვეულებრივი ქუთაისელი ბიჭები იყვნენ, ძმებ ფაჩულიებზე უფროსები, მაგრამ... ასაკობრივი სხვაობა მათ მეგობრობას ხელს არ უშლიდა. სწორედ მათთან გაიცნობენ რეზო გაბრიაძესაც და დღემდეც გამოჰყვება ეს მეგობრობა. იმ ამბავსაც არაერთხელ გაიხსენებენ შეხვედრებისას, გასაბერი რეზინის ნავით ფოთში ჩასვლა რომ გადაეწყვიტათ ძმებ ივანოვებსა და მათ ძმაკაცებს. ესენიც, უმცროსებიც, სულ მათ ეზოში იყვნენ და ნავის გაბერვაში ეხმარებოდნენ უფროს მეგობრებს, მოგზაურობასა და მარშრუტს რომ გეგმავდნენ.

და აი, დადგა ის დღეც — ახალ ხიდთან ახლოს ჩაუშვეს ნავი რიონში. ჩასხდნენ და ის იყო ხიდს გაუსწორდნენ, წყალში ამოშვერილ რკინებს წამოედო ნავი და მასთან ერთად ჩაეფუშათ დაგეგმილი და ნაოცნებარი მოგზაურობა. მერე შეაკეთეს კიდეც, მაგრამ ისევ რაღაც ხიფათს გადაეყარნენ და არც მათი ნავი და არც მათი ის ოცნება ქუთაისს არ გასცდენია.

ასე გადიოდა დღეები.

დაადგებოდათ დროდადრო ბებია თავზე:

— ქათამიც კი გებულობს დაღამებასო... — დაამუნათებდათ და ასე მიჰყვებოდა დღეს ღამე და ღამეს კი დღე.

წერა-კითხვა არ იცოდა ბებიამ და ფოსტალიონს პენსია — 160 მანეთი — შინ რომ მოჰქონდა, ხელს ხან ერთი ძმა აწერდა და ხანაც მეორე. ბებიაც თავის ნასწავლ შვილიშვილებს ამაყად სამ-სამ მანეთს ჩუქნიდა, ჩაიდებდნენ ჯიბეში, კაცები ეგონათ თავი და დაეშვებოდნენ ისევ რიონის ნაპირას.

არადა: რიონზე არ გაიპარონო, — დაებარებინა ბებიისთვის დედას და ისიც ცდილობდა, როგორ არა, შეძლებისდაგვარად შეემოწმებინა ხოლმე მობარებული შვილიშვილები.

ესენი კი...

— ეკლესიის ეზოში მივდივართო, — დაამშვიდებდნენ და... რიონის ტალღებში ნებივრობდნენ.

ერთხელაც ადრე დაბრუნებულა დედა სამსახურიდან და შინ რომ არ დახვედრიან ბავშვები, მოუკითხავს.

— ეკლესიის ეზოში არიანო, — უთქვამს ბებიას.

მისულა დედა და... რას ხედავს:

ადიდებულ რიონში არიან მისი შვილები და უხელებოდ („ბეზრუკს“ რომ ეძახდნენ) მიაპობენ მღვრიე და აზვირთებულ ტალღებს.

ერთხანს უყურა თურმე დედამ, სუნთქვაშეკრულმა და გულშეკუმშულმა, თავის შვილებს, თვალსა და ხელს შუა რომ შეცვლილიყვნენ, გაზრდილიყვნენ, ცურვაც ესწავლათ და ადიდებულ რიონსაც არ ეპუებოდნენ, მერე კი მდუმარედ გაბრუნებულა შინ და არც მაშინ,

არც მერე,

და არც არასდროს ამის გამო არაფერი უსაყვედურია მათთვის.

არადა... სახიფათო ადიდება კი იცოდა ხოლმე დროდადრო რიონმა.

* * *

მე-6-7 კლასში იქნებოდა, ქართულის მასწავლებელი შუქურა ლომიძე რომ ეტყოდა ხოლმე:

— როდის იქნება, ჩემი მოსწავლე რომ გახდებიო.

...და აი მოვიდა ის დროც.

მაღალ კლასებში მისი მოსწავლეც გახდა და მაშინ იყო სწორედ, შუქურა მასწავლებელმა რომ სთხოვა: „პირველი ნაბიჯის“ ილუსტრაციები დამიხატეო.

პირველ ილუსტრაციასაც მაშინ დახატავს.

ჩარჩოში ჩასვამენ და პიონერთა ოთახშიც გამოაკრავენ. დღეს არც ის სკოლაა და არც იმ ნახატის ასავალ-დასავალი იცის ვინმემ, მაგრამ... ის დღე იყო და ის, ილუსტრაციების ხატვას მოკიდებს ხელს.

აკადემიაში მოწყობამდე ბიჭები ქუთაისში ქირაობდნენ ოთახსაც, ნატურებსაც და ხატავდნენ და ხატავდნენ დაუსრულებლად, თან იმ ხანასაც იხსენებდნენ, მე-6 კლასში სწავლის დროს ქუთაისში სამხატვრო სკოლა რომ გაიხსნა, რომლის პირველი გამოშვება ბევრ საინტერესო მხატვარს აჩუქებს ამ ქალაქსაც და, საერთოდ, ქართულ მხატვრობასაც.

საუკეთესო პედაგოგებიც ჰყავდა ამ სკოლას: ჯაბულო აბესაძე (დირექტორი), ვანო ჭეიშვილი, ძმები არჩილ და სოსო ჩოგოვაძეები, ვალიკო მიზანდარი, გოგილო ნიკოლაძე, პავლე თუმანიშვილი, გიორგი ჩხეტია... თუმცა ეს მერე იქნება, მაშინ კი...

დადიოდნენ ეს პატარა ბიჭები და ქალაქის ღირსშესანიშნაობანი გადაჰქონდათ ფურცელზე.

კარლო ფაჩულიას კი განსაკუთრებით ის ადგილი ამოეჩემებინა, თავლას რომ ეძახდნენ — სოფლელი გლეხები ურემში შებმულ ხარებს უღლიდან რომ გამოუშვებდნენ, სწორედ იმ ადგილას დააბინავებდნენ და თვითონ ბაზარში მიჰქონდათ გასაყიდად პროდუქტები.

ჰოდა, მიიყუჟებოდა კუთხეში თავისთვის და ხატავდა და ხატავდა.

ხარებთან დაკავშირებით ერთი ასეთი ისტორიაც ახსოვს:

ერთხელ ბებიის ძმისშვილი სოფლიდან რომ ჩამოსულა და ურმიდან გამოუშვია ხარები, ძმას, ვოვას სასწრაფოდ მარილიანი წყალი მოუმარჯვებია მათთვის — უყვართო — მერე კი, უკან გამგზავრებისას, სტუმარს რომ შეუთავაზებია ბიჭებისთვის: წამოდით, სოფელში წაგიყვანთო, პატარა კარლო სასწრაფოდ ურემზე მოკალათებულა, მის ძმას კი სოფლამდე ფეხით უდევნია უკან:

— შენც დაჯექი, — დროდადრო რომ გადასძახებდა ურმიდან, ის:

— არა, ცოდონი არიან ხარებიო, — და ისევ ფეხით აგრძელებდა გზას.

სიტყვა გამექცა... იმას გიამბობდით, ერთხელ მეზობელს, ბუსიკა მაგილევსკის რომ ურჩევს, სამხატვრო სკოლაში იარეო, ერთად რომ მიდი-მოდიოდნენ და ერთად რომ არჩევდნენ ადგილებს დასახატად.

ერთხელაც ბუსიკას უთქვამს: წყალტუბოში წავიდეთო. იქ იყო ადგილი, სადაც ქალები, რომელთაც სასტუმროში დაბინავებისა და მკურნალობის ფული არ გააჩნდათ, ღია ცის ქვეშ იკეთებდნენ ტალახის აბაზანებს და ამათაც მეტი რა უნდოდათ — ცოცხალი, უფასო, შიშველი ნატურებიც იქ იყო და ჩუმჩუმად დაიწყეს ხატვა.

ერთხელაც ჩვენი ამბის გმირი დილის ექვს საათზე, მარტო გაპარულა სახატავად.

უცებ სასტვენის ხმა ესმის. ხედავს, მილიციელი მოდის და რაღაცას ანიშნებს. გაიხედა და მეორე მხრიდან მეორე მილიციელი მოდის.

წაიყვანეს განყოფილებაში.

— რას აკეთებო? — ეკითხება მორიგე.

— ვხატავო, — ამოილუღლუღებს.

— მაჩვენე!

დაათვალიერებენ ესკიზებს, დაუბრუნებენ და:

— აწი დილის ექვს საათზე სახატავად აღარ გამოხვიდეო, — ურჩევენ კეთილმოსურნედ.

თურმე იქვე, ძველი შენობიდან, ქალს დაუნახავს. ჯერ კიდევ ცხელი იყო ის ამბავი, რიონის პირას უცხოელი მხატვარი რომ დაეჭირათ „შპიონობის“ ბრალდებით: რიონჰესს რატომ ხატავდიო, ჰოდა იმ ქალსაც ტალახის აბაზანების მოთვალთვალე ბიჭიც, თავისთვის რაღაც ესკიზებს რომ აკეთებდა, „შპიონი“ ჰგონებია და აუწრიალებია მილიცია — არიქა, მოგვხედეთ, თორემ გაიტანეს ქუთაისური საიდუმლოებანი საბჭოეთის საზღვრებს გარეთო.

ასე გადარჩენილა „შპიონობის“ ბრალდებას — და ვინ იცის კიდევ რას — ჩვენი მომავალი მხატვარი.

* * *

რაღაცნაირი მადლი ჰქონდა ქუთაისურ სალობიეებს.

ახალამოზელილ ლობიოსაც სხვა გემო ჰქონდა და იმ ჭიქა ღვინოსაც.

ჭიქა ღვინის გემოსა და ფასისათვის კი ერთ კარგ ქუთაისელს, კოლორიტულ კაცს, 25-ე სკოლის დირექტორს, ლევან კაკაბაძეს ეზიარებინა.

ქალაქში ცნობილი მხატვრის, ოთარ ქანთარიას დას, ამ სკოლის სასწავლო ნაწილად რომ მუშაობდა, შეუთავაზებია: მოდი, ჩვენს სკოლაში ხატვა ასწავლე ბავშვებსო.

დათანხმებია, მაგრამ... ზამთარში, მოგეხსენებათ, ექვს საათზე ბნელა უკვე, დირექტორსაც ხატვის გაკვეთილი მეორე ცვლაში ყველაზე ბოლოს გადაუტანია და კლასში შესვლის დრო რომ მოუვიდოდა ხოლმე ხატვის მასწავლებელს, გულაჩვილებული დირექტორი ეტყოდა:

— რა არის იცი? ცოდონი არიან ეს ბავშვები, გადაიღალნენ ძალიან, თანაც ღამდება უკვე და მოდი, გავუშვათ სახლებშიო.

თვითონ კი ჩავიდოდნენ მეზობელ ქუჩაზე, მაღაზიაში, ფიცრებით ორად რომ გაეტიხრა გამყიდველს, იმ „საიდუმლო“ განყოფილებაში მდგარი ერთი დიდი კასრიდან რიტუალურად რომ ამოიღებდა ხოლმე ნარჩევ თევზებს, მერე ზემოდან დააწყობდა, მერე ღვინოსაც ჩამოასხამდა და...

აი, ასე გადიოდა „ხატვის“ გაკვეთილები: ისხდნენ ერთი — ახალსკოლადამთავრებული, ახალშეწვერილი ბიჭი, და მეორე — ქუთაისში ცნობილი, ჭაღარაშერეული, ლამის ხელმწიფისტოლა კაცი, და ტკბილ-ტკბილი ქართული სადღეგრძელოებით იქცევდნენ თავს.

რამდენჯერ გახსენებია ის ამბავიც:

გეოგრაფიის მასწავლებელი ასწავლიდა სიმღერას. რომელიღაც გუნდში მღეროდა თურმე თვითონ.

სიწყნარე უყვარდა გაკვეთილზე და მკაცრადაც ითხოვდა, ჩუმად მსხდარიყვნენ.

რა წერამ აიტანა მაშინ, დღესაც არ იცის — გვერდით მჯდომ ებრაელ ბიჭს ელაპარაკებოდა და მთელი გაკვეთილი ენა არ გაუჩერებია.

— მოდი აგერ, ფაჩულია! — იხმო მასწავლებელმა.

მისულა ესეც ყურებჩამოყრილი.

— რასაა რომ ელაპარაკებოდი ამდენს?

— კბილი მტკივა, მასწ, და იმას ვუყვებოდი.

— აბა, მაჩვენე, რომელი კბილია?

დააღო ამანაც პირი გულაჩუყებულმა — აქაოდა მითანაგრძნოო — და უჩვენებს.

— კარგად მანახე, ფაჩულია, კარგად, — უთქვამს მასწავლებელს, ამასაც დაუფჩენია პირი რაც შეეძლო და...

უცებ... ისეთი მოხვდა ყბაში, სულ ნაპერწკლები აყრევინა თურმე თვალებიდან.

— წადი ახლა და დაჯექი!..

კი წავიდოდა და დაჯდებოდა, მაგრამ... არა და არ დაავიწყდებოდა ის დღე.

მერეც, წლების მერეც, სკოლა რომ დაუმთავრებია, კაცობაშიც რომ შესულა და ის მასწავლებელი არაერთხელ შეხვედრია სალობიეში, იმას, რაღა თქმა უნდა, აღარ ახსოვდა, ამას კი... შუა ქეიფშიც, თავშიც და ბოლოშიც, ვინ იცის, რამდენჯერ გახსენებია ის ალიყური.

დაუტრიალდებოდნენ თვალწინ წამოყრილი ნაპერწკლები, ირეოდნენ ერთხანს, მაგრამ... ჩანავლდებოდნენ ისევ და ყელში ბურთივით გაჩრილ სათქმელსაც ახალმოზელილი ლობიოს ლუკმასა და ჭიქა ღვინოს გადააყოლებდა ხოლმე.

ჭაღარა შერეოდა უკვე მის მასწავლებელს, მაგრამ...

ჭაღარა ჭაღარად და...

რაღაცნაირი მადლი ჰქონდა ქუთაისურ სალობიეებსაც...

თუ... ქუთაისსა და ქუთაისელი კაცის გულს ჰქონდა სხვანაირი მადლი.

* * *

პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა.

მერე, გოგოები და ბიჭები რომ შეაერთეს, 24-ე სკოლაში გადასულა.

ფიზკულტურის მასწავლებელს, ცნობილი ალპინისტის, ლევან ახვლედიანის ბიძაშვილს, ზურას უთხოვია ერთხელ:

იქნებ რამე დაწერო ალპინისტებზეო.

დაუწერია მასაც და იმ თემას საქალაქო კონკურსზე გაუმარჯვია. ეს წარმატებული მოსწავლეები — გივი ალხაზიშვილიც ყოფილა მათ შორის — თბილისში წამოუყვანიათ და სასტუმროში დაუბინავებიათ მაშინდელ სულხან-საბას ქუჩაზე.

თუმცა ეგ იყო და ეგ, წერა მას მერე აღარ უცდია, მაგრამ წლების შემდეგ რეზო ჭეიშვილს უთხოვია: იქნებ რამე დაწერო ქუთაისზეო, და ის მოგონებები ქუთაისის გაზეთში დაბეჭდილა.

— რახან რეზომ დაბეჭდა, არ იყო ალბათ ურიგოო, — ამბობს, მაგრამ... წერაზე თვითონ არასოდეს უფიქრია.

ან როდის იფიქრებდა, სწავლის პარალელურად ეგრეთწოდებულ „სტეკლოტარაში“ მუშაობდა. იქ მხატვრები ესკიზებს ქმნიდნენ და მუშები ბროლის ჭურჭელს ასხამდნენ. თვითონ კი პლაკატებს ხატავდა — ზოგს კომუნისტურს, საბჭოურ ლოზუნგებსაც, ციტატებსაც ცნობილი მწერლების შემოქმედებიდან და ათას სხვა რამეს. მე-9-10 კლასში სარემონტო კანტორაშიც დაუწყია მუშაობა დამხმარე მუშად — მაშინ ასე იყო: უმაღლესში რომ აბარებდი, შრომის წიგნაკი უნდა გქონოდა, სტაჟითურთ. მერე თბილისში ჩამოსულიც, აკადემიაში რომ აბარებდა გამოცდებს, დამხმარე მუშად მოეწყო დიდუბეში, სარემონტო კანტორაში, ქუთაისის სამხატვრო ფონდიდანაც იღებდა შეკვეთებს და ერთი რომ ჩაეწერა მის შრომის წიგნაკში პროფესიად „დამხმარე მუშა“, ის წიგნაკი კარგა ხანს გამოჰყვება ამ სახით — აკადემიაში ექვსი წელი აბარებდა, ის ექვსი წელიწადი სწორედ ასე გაიტანს თავს და დიპლომის დაცვამდე ამ წიგნაკს „დამხმარე მუშა“ არ აცდება, მერე კი ტელევიზიაში რომ დაიწყებს მუშაობას, ცოტათი გაიუმჯობესებს — სტატუსსაც და მდგომარეობასაც.

არ ყოფილა იოლი მხატვრის ცხოვრება.

ამის მაგალითად ის დღეც ხშირად ახსენდება ხოლმე, ქუთაისში ნახატების გამოფენა-გაყიდვა რომ გაუმართავთ. თბილისში ელენე ახვლედიანს დაეარსებინა მხატვრის დღე და, ამის ანალოგიით, თავიანთ ქალაქშიც მოენდომებინათ აღნიშვნა ქუთაისელ მხატვრებს.

გამოუფენიათ ნახატები.

ვალიკო მიზანდარს, ცნობილ მოქანდაკეს, იაკობ ნიკოლაძის საყვარელ სტუდენტს, დიდ მაესტროს სულაც თავის ჭერქვეშ რომ შეუფარებია თბილისში სწავლისას, ბერნარდ ნებიერიძის ნახატისთვის წაუწერია: გაყიდულიაო!

ისე, ტყუილად, ხალხის მოსაზიდად, დღეს რომ მარკეტინგს ეძახიან, იმ გათვლებით, მაგრამ... არ გაუმართლებია ჩანაფიქრს. ისე დამთავრებულა ის გამოფენა, ერთი ნახატი თუ პლაკატიც არ გაყიდულა.

ეს ის მხატვრები იყვნენ, ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები რომ აკავშირებდა და გამორჩეულად ეძვირფასებოდა მათი სახეებიცა და სახელებიც, წლებთან ერთად რომ გაიზრდებოდნენ და გამორჩეულ ადგილსაც დაიმკვიდრებდნენ ქართულ მხატვრობაში. მაშინ კი...

აი, თუნდაც მაშინ, წყალწითელას პირას რომ ხატავდნენ ეტიუდებს, ხან ბანაობდნენ და ხანაც გართობით იქცევდნენ თავს, ვერც იფიქრებდნენ, რა რთული გზა ელოდათ წინ. ესკიზები მიეტოვებინათ მას, აივენგო ჭელიძესა და ჯეირან ფაჩუაშვილს და ერთმანეთთან შეთამამებულებს აივენგო ამოელოთ თვალში.

მამამისი ვაჭრობის ორგანიზაციაში მუშაობდა თურმე და შვილისთვის ახალი, წარმოიდგინეთ, სულ ახალთახალი წინდები მოუტანია.

ეს ის დრო იყო, სწორედ ის დრო, დაკერებულ-დაკემსილი რომ ეცვათ ყველაფერი — თანაც ქურდი და მამაძაღლი თუკი შეარჩენდათ — და წინდები, თანაც ახალთახალი, არც კი დაესიზმრებოდათ. ჰოდა, წყლისპირას რუდუნებით დაწყობილი აივენგოს წინდებიც ვის გამოეპარებოდა. აუღიათ ბიჭებს ქვა, უსვრიათ წყალში და:

— აგერ, აივენგო, შენი წინდები წაიღო წყალმაო.

ცურვა არ იცოდა აივენგომ, ჩასულა წყალში და ხელის ფათურით ეძებს ფსკერზე, მაგრამ... ამაოდ.

დიდხანს უწვალებიათ ასე და გამოუჩენიათ მერე.

ერთი წელი არ ელაპარაკებოდა ამის მერე მეგობრებს და შემდეგ კი...

შემოურიგებიათ, აბა სხვანაირად როგორ იქნებოდა, მეგობრობას ხომ სულ სხვა ფასი ჰქონდა, წინდებზეც, წყენაზეც, სამყაროზე დიდი ფასიც.

გაჭირვებულ წლებში გამოვლილსა და გამოწრთობილ მეგობრობას — მითუმეტეს.

* * *

მერე სულაც მთელ ციკლს მიუძღვნის ამ ხალხს, ამ ერს, ამ ადამიანებს.

ბევრი ებრაელი ცხოვრობდა მაშინ ქუთაისში და ორი მოდგმის, ორი რჯულისა და აღმსარებლობის ასეთი სიყვარულიანი თანაცხოვრების მეორე მაგალითი იქნებ არც ეგულებოდა ქვეყნიერებაზე.

ბევრი იუმორიანი და თბილი ამბავი აკავშირებს ამ ადამიანებთან. რამდენჯერ ღიმილით გაუხსენებია მეზობელს, რახელის შვილს, მალქას რომ უთხოვია, გადაერბინა გვერდით მცხოვრებ მოხუც ებრაელთან და ეკითხა, კარაქი თუ ჰქონდა. ის კაცი კალათით დადიოდა ხოლმე ქუთაისის ქუჩებში და ვაჭრობდა. სკატინას ეძახდნენ თურმე და მის ეზოში შესულს ასეც დაუძახია:

— სკატინა ბიძიაااა!

შუშაბანდში ქალი იატაკს წმენდდა და რაღაცნაირად შემღვრეულს კი გამოუხედავს.

— სკატინა ბიძიაა! — კიდევ ერთხელ დაუყვირია მეტი დამაჯერებლობისთვის, აქაოდა, აგერ ვდგავარ და ნამდვილად მე გეძახითო.

წამოსულა ის ქალი იატაკისჯოხმომარჯვებული და მასაც ძლივს გამოუსწრია იქიდან, გულამოვარდნილს მიურბენია მალქასთან, სვენებსვენებით უამბნია რაც გადახდა და აი, „სკატინა ბიძიაო“, — კიდევ ერთხელ დაუყვირია თხრობისას, ძლივს მოუსულიერებიათ სიცილისგან გადაბჟირებული მალქა.

— არ გამოვქცეულიყავი და... ვნახავდი, რა სასაცილოდაც მექნებოდა საქმეო.

ისიც კარგად ახსოვს, ნოდარ იაკობიშვილმა, კოწოს რომ ეძახდნენ, მტრედები რომ აჩუქა. კოწოს უამრავი მტრედი ჰყავდა და ერთი წყვილი, დედალ-მამალი, მეზობლის ბიჭისთვის გაემეტებინა.

მასაც მეტი რა უნდოდა, გაუკეთებია სამტრედე, მიუმაგრებია ეზოში მდგარ სათავსოზე, შეუჭრია ფრთები მტრედებისათვის, მაგრამ...

სამზარეულოს სხვენში დაბინავებულან ისინი. ეტყობა, ისე ძალიან შეუჭრია, სამტრედემდე ვეღარ ჩამოუღწევიათ, მერე საერთოდაც გული აუცრუებიათ და როგორც კი მოზრდიათ ფრთები, ისე გაფრენილან, რომ მისი ნალოლიავები სამტრედის ჭერი თვალითაც არ უნახავთ.

ასე — მარცხით დამთავრებულა მტრედების მომრავლების მცდელობა.

— რაღაცნაირი მტრედები კი იყვნენო, — ამბობს, — კოწოს მტრედები იყვნენ სხვანაირები თუ მერე შეიცვალეს ზნე და ხასიათი ამ ფრინველებმა, არ ვიცი, მაგრამ აგერ, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, ჩემი სახლის ეზო სავსეა მტრედებით, მაგრამ ისეთები — ჰაერში მოთამაშე და აკრობატული მანევრებით მობზრიალე მტრედები აღარ მინახავსო.

დრო შეცვლილიყო.

ის ებრაელები, ასე რომ შეთვისებოდნენ და შესისხლხორცებოდნენ ქუთაისსაც და საერთოდ, საქართველოსაც აღთქმულ მიწაზე დაბრუნებულიყვნენ.

სამყარო და ადამიანებიც გადასხვაფერებულიყვნენ და მტრედები ვიღას ედარდებოდა ნეტავ, მაგრამ...

კარლო ფაჩულია მაინც გაკვირვებით იჩეჩდა მხრებს:

— რა უცნაურიაო...

ახლა სხვანაირი მტრედები არიანო.

ისეთები, ჩემს ბავშვობაში რომ მახსოვს, არა და აღარ მინახავსო.

* * *

ერთი ასეთი სურათიც ახსოვს ბავშვობიდან:

როგორ მოდიოდა მათთან ზამთარში ბებიის მეგობარი, მაშიკო. არ იცის რატომ — სითბო არ ჰქონდა შინ და მათთან გამოიზამთრებდა თუ ისე, ცივ და მოსაწყენ თვეებს გადაატანინებდნენ ხოლმე მეგობრები ერთმანეთს — ისხდნენ აგუგუნებულ ღუმელთან იმ ერთ ოთახში, თან ქსოვდნენ, თან რაღაცას ყვებოდნენ... და კუჭკუჭებდნენ თავისთვის, ეგონათ, რომ თავისთვის, თორემ იმ მთისა და ბარის ამბებზე ოთახში მიყუჟულ ძმებსაც ჰქონდათ მიდებული ყური და არანაკლებ ხალისობდნენ მათთან ერთად.

მოგუგუნე ღუმელში კანიანი კარტოფილი იწვებოდა.

ზემოდან დადგმულ სპილენძის თუნგში კი უგემრიელესი წაბლი იხარშებოდა და რაღაცნაირი სურნელითა და სიმყუდროვით ავსებდა ოთახს.

ამ სურნელით გაჯერებულიყო მათი ბავშვობა, ქუთაისური მზითა და ქუთაისელი ადამიანების გულებით გამთბარი, შიმშილიც რომ გამოეცადათ, სიცივეცა და გაჭირვებაც, მაგრამ... რაღაცნაირი სიტკბოება გამოჰყოლოდა მაინც.

იმ ხანის სიტკბოება, ბავშვობა რომ ჰქვია და სადღაც შორს — ან იქნებ არც ისე შორს — რიონის ნაპირზე დარჩენილიყო.

იმ რიონისა, ადიდება რომ იცოდა ხოლმე დროდადრო და მერეც, წლების შემდეგ ცხოვრების მდინარეც რიონივით რომ აზვირთდებოდა თავის კალაპოტში, რაღაცნაირ იმედად, ნუგეშად და მხნეობად წამოაგონდებოდა ხოლმე ის სურათი:

როგორ გაჰყურებს ეკლესიის ეზოდან გულათრთოლებული და სუნთქვაშეკრული დედა თავის უმამოდ გაზრდილსა და დაკაცებულ, ახლა უკვე ასაკშეპარულ შვილებს, იმ პატარა ბიჭებივით უშიშრად, შეუპოვრად და ღირსეულად რომ მიაპობენ ტალღებს, ხან ამღვრეულსა და ხანაც დამდორილ დინებას ცხოვრებისა.

...არადა, ამ მდინარემაც როგორი სახიფათო ადიდება იცის ხოლმე დროდადრო.

მიკო ჭანისპირელი

ჭეშმარიტების ძიების მიზანი — გალმა ნაპირი

ზურაბ ლავრელაშვილის რომანს „ქალაქი მტვერში“ („ჩვენი მწერლობა“, №2-3, 2010) გამოქვეყნებისთანავე გამოეხმაურა კრიტიკოსი მარინე ტურავა რეცენზიით „შეფარვით ნათქვამი“ („ჩვენი მწერლობა“, №16, 2010). რეცენზიაში ვკითხულობთ: „ქალაქი მტვერში“ არაერთგვაროვანი, რთული რომანია, ამიტომაც მისი სრულად აღქმა გამანძილების, დისტანციის გარეშე ადვილი არ არის“. ვეთანხმებით კრიტიკოსს და გვინდა ახლა უკვე ასეთი გამანძილებიდან და დისტანცირებიდან ვცადოთ ამ რომანის შეფასება...

ზოგადად, თანამედროვე რომანი საინტერესო ფენომენია; ის არც ფორმით და არც იდეური თვალსაზრისით ტრადიციულ რომანს არა ჰგავს, უფრო მეტიც — უშუალოდ უპირისპირდება მის აკადემიზმს და თამამად ამკვიდრებს ახალ მხატვრულ ტენდენციებს. „ქალაქი მტვერში“ ამ მხრივ გამორჩეულია. ის არამარტო არღვევს კლასიკური რომანის ჩარჩოებს, არამედ მასში შეაქვს სიურრეალიზმის ელემენტები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ნაწარმოები მთლიანად სიურრეალისტურია; აქ, უბრალოდ, გამქრალია ყოველგვარი ისტორიული და გეოგრაფიული მინიშნებანი; მხატვრულ ფორმაში გადმოცემულია ტრანსცენდენტურობის იდეა, რეალური მოვლენების მიღმა — ზერეალობა.

მწერალი ყოველ ნაბიჯზე ალეგორიას გვთავაზობს, რომელიც მკითხველმა უნდა ამოხსნას. რომანი სავსეა სიმბოლოებით და იდუმალებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის რომანი-იგავი, რომანი-ნიღაბი, ვიწრო ბილიკებით რომ გვატარებს და თავის სახეს მალავს; „არაფერია, საოცრების გარდა“ (ა. ბრენტანო). რომანი ქმნის დაუჯერებელ რეალობას — აქ ერთმანეთს არის გადაჯაჭვული „რეალური“ და „წარმოსახვითი“ და უსახელო ქალაქი ძალიან ჰგავს ნერიუს მილერიუსის ქალაქი-კატასტროფის მოდელს, სადაც ირღვევა ღვთაებრივი კანონები და მოქმედებს დასჯის მექანიზმი. „ღვთის სასჯელი ყოველთვის არის მინიშნება რაღაცაზე“, — გვეუბნება მწერალი...

რომანის მთავარი ქვეტექსტი ეპიგრაფად მოტანილი სახარების ნაწყვეტია: „აჰა, ესერა მტუერი...“

სწორედ მტვერია მთავარი მოქმედი გმირიც... მტვერი იჭრება ყველგან და მტვერს იბერტყავს ყველა: გამომძიებელიც, მღვდელიც, აფთიაქარიც... მტვერი დასდებია პოლიცმეისტერის ქალიშვილის პრუნელის ფეხსაცმელს... მწერალი შეგვახსენებს, რომ სამყაროში ყოველივე მტვრად იქცევა და ამას ვერავინ გაექცევა; რა-

ტომღაც მგონია, რომ მწერალი აღმოსავლური ფილოსოფიის, კერძოდ, ლაო-ძის გავლენას განიცდის, ამავე დროს რომანი გაჯერებულია ინტუიციური ნაკადითაც, რაც ედგარ პოსთან აახლოებს; ჩვეულებრივი ფრაზაც კი მისტიკურ იერს იძენს.

ამაში ერთ-ერთი ფრაგმენტიც ადვილად დაგვარწმუნებს: „ნივთები თითქოს თავისით ჩნდებოდნენ არარადან, ოდენ მოხუცის ნებითა თუ სურვილით და დუქნის სიბნელესავით განუჭვრეტელი, გონისთვის მიუწვდომელი ყოფა, მიწისქვეშა დინებასავით უხილავი და უგრძნობი, მანჯურიელს საარაკო და ზღაპრულ შარავანდედში ჰხვევდა“.

მანჯურიელი გან ბაოს გამოჩენით მწერალი უცნობ გარემოში შეუძღვება მკითხველს და რომანის პირველი მინიშნებაც სწორედ ეგ არის — მუდმივად მდუმარე გან ბაო... როგორც ფილოსოფიური ნაწარმოები, „ქალაქი მტვერში“ იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ აგებულია სოკრატული გაპაექრების მეთოდზე და, ამდენად, მისი განხილვა მხოლოდ დანაშაულისა და სასჯელის ფარგლებში არ იქნებოდა საკმარისი, მით უფრო, რომ ეს თემა ავტორის მიერ არის „შემოგდებული“, ასე ვთქვათ, პროვოცირებულია, თუმცა მწერლის პოზიცია ამ მხრივაც არ არის უინტერესო, — ისიც აფთიაქარისა და გამომძიებლის დიალოგებშია მოქცეული; მწერალს მიაჩნია, რომ საქმის ძიება მარტოოდენ ადამიანური თვალთახედვით არ არის მართებული, ამიტომაც ძიების ჩვეულ მეთოდებზეც უნდა ვთქვათ უარი, რადგან ასეთი ძიება არაფერს ცვლის, ის ვერ აღმოფხვრის დანაშაულს (რომანში დანაშაული ანომალიის სახით არის მოცემული). ქალაქში საზოგადოებრივი შენობები ინგრევა, გამომძიებელი ცდილობს დამნაშავის კვალს მიაგნოს, მაგრამ თანდათან ირკვევა, რომ ანომალია ფარული გეგმის ნაწილია, ეს კი კვალის დაკარგვაა, ჩიხია... ნამდვილი და უტყუარი სამხილი კი მხოლოდ მტვერია... მტვერში ანაბეჭდი არ ჩანს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ესეც არ არის საბოლოო დასკვნა; მწერლის აზრები მრავალჯერ განიცდიან ტრანსფორმაციას, მაგრამ ამავე დროს გზადაგზა იხსნიან ნიღაბს და ნამდვილ სახესაც გვაჩვენებენ:



ზურაბ ლავრელაშვილი

„ანომალია არ არის ცოდვის საზღაური — ის მხოლოდ ჩიხია“.

„ანომალია არც ჩიხია და არც სასჯელი, ის მინიშნებაა, კრიპტოგრამასავით“.

დიალოგი აფთიაქარსა და გამომძიებელს შორის დუალისტური ფილოსოფიის საუცხოო ნიმუშია, როცა ორი ძალა, ორი „მე“ ებრძვის ერთმანეთს — ფაუსტური და მეფისტოფელური, მაგრამ საბოლოოდ ისინი თანხმდებიან: სამყარო ულოგიკოა... ამ დიალოგებში ვლინდება სამყაროს სცენარის ერთადერთობა, ამიტომაც თითქოს ძიებას აზრი არა აქვს; რაც ადამიანურ თვალთახედვას სცილდება, ის გონისათვის მიუწვდომელია, და უძლურია ჩასწვდეს სამყაროს სცენარს: „აკი ამბობენ, რომ უფლის გზანი შეუცნობელია...“

განდეგილ იონასნაირები კი მკრეხელობას არ ერიდებიან და შემოქმედს სამყაროს ახალ პროექტს სთავაზობენ; ამიტომაც გასაგებია, რატომ ელოდება იონა გამომძიებელს, როგორც მხსნელს, რადგან მათ ერთად უნდა ამოხსნან სამყაროს გამოცანა, თუმცა ჯერჯერობით ეს შეუძლებელია და გამომძიებელიც ახალი ანომალიის შესახვედრად მიეშურება.

ყველა შემოქმედის მიზანი, მით უფრო მწერლის, სამყაროს შეცვლაა. ამას მიანიშნებს რომანიც; „ახალი ხელშეკრულება აუცილებელია, ოღონდ არ ვიცი, შიგ რას ჩასწერთ“; „ხალხს არ უყვარს ცვლილება, ორი-სამი კაცი, თუნდაც ქვეყნის სიმართლე მათ მხარე იყოს, უძლურია“.

რომანის გმირები ალეგორიულ სახეებად მოიაზრებიან, ისინი ამა თუ იმ იდეას განასახიერებენ; ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რომანის სახოვანი აზროვნების, ინტელექტუალიზმის, რაციონალიზმის ძალმოსილებას; იგავისებური თხრობით „ქალაქი მტვერში“ ძალიან ემსგავსება ალბერ კამიუს რომანს „ჭირი“.

სინამდვილეა თუ „ოპტიკური ილუზიაა“ ის, რასაც მკითხველი განიცდის რომანის კითხვისას? თითქოს იმავე ძიების პროცესს გავდივართ, რასაც მთავარი გმირი — გამომძიებელი, იმავე წინააღმდეგობებითა და ყოყმანით; მასავით ვექცევით ჩიხში, ძაფის წვერს ვაგნებთ, შემდეგ ვკარგავთ და ვიბნევით, ვიდრე მივხვდებოდეთ, რომ მწერალი ფარულად გვაიძულებს შემეცნების ეს რთული გზა გავიაროთ; რომანის მთავარი პერსონაჟივით მდინარით უნდა გავიდეთ გაღმა ნაპირზე: იგავის პასუხი ხომ გაღმა ნაპირია... რომანში ერთობ ოსტატურად არის ჩართული იგავი ტაძრის მშენებლობაზე... ეს ყოველივე გაფრთხილებაა, რათა მწერის ცხოვრებით არ ვიცხოვროთ, როგორც მკვდარი ქალაქის ადამიანებმა...

„მტვერი ადამიანთა თავებს ედო...
ჟამი გაყინულიყო...
ისინი მწერის ცხოვრებით ცხოვრობდნენ“, — ვკითხულობთ რომანში.

„ქალაქი მტვერში“ თითქოს ზურაბ ლავრელაშვილის წინა რომანის — „მღვიძარება“ — გაგრძელებაა, ოღონდაც სახეცვლილი, ქარაგმული, რაც იმას მიუთითებს, რომ მწერალი მუდმივად რაღაცას ეძებს...

მოკლე წერილში გვერდს ვერ ავუვლით ბიბლიური პარადიგმების ინტერპრეტაციასაც; ასე მაგალითად, მანჯურიელი გან ბაოს დუქანს ნოეს კიდობნის დატვირთვა აქვს, პოლიცმეისტერის ქალიშვილის სახით მარიამ მაგდალელი გვახსენდება, იონას მდინარეში დახრჩობა ნათლისმცემლის თავისკვეთას მიგვანიშნებს: „მხოლოდ თავი ჩანდა წყლის ზედაპირზე“.

ალეგიკური მეტაფორულობა რომანში საოცარ, მომხიბვლელ სიმბოლიზმს ქმნის.

ამის მაგალითია ქალიშვილი ვუალითა და ბაბუაწვერას ყვავილით, ისეთივე იდუმალი, როგორც ლეონარდოს „ჯოკონდა“.

„ქალაქი მტვერში“ მეტად ორიგინალური რომანია როგორც მხატვრული კონცეფციით, ისე ფილოსოფიური ორიენტაციით, რომლის ანალოგიც ბევრი არ მოიძებნება ქართულ სააზროვნო სივრცეში. მის შესახებ ძალზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, რადგან ის ამოუწურავი და შეუცნობია; მისი დანახვაც სხვადასხვა კუთხით არის შესაძლებელი, რაკიღა მრავალწახნაგა ნაწარმოებია.

მტვერი, ანომალია, სასჯელი, ჩიხი, ტაძარი, ხსნის გზა, სიზმრები — ეს რაღაცას მიგვანიშნებს. ეს დაშიფრული კრიპტოგრამაა, რომანის ავტორის გზავნილი მკითხველისადმი...

ერთი ავტორის ორი წიგნი

სალომე კაპანაძე

იცოდა ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით



ჩეკისტის ჩანაწერების ქუდქვეშ ერთობ სიმბოლური სათაური მენიშნა.

ჯემალ ფოცხვერიას შვილისა და ძმისშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა წიგნმა „შავი სათვალე ეკეთა“ მაშინვე უცნაური მოლოდინის განცდა შემიქმნა. დაახლოებით ისეთი, საგულდაგულოდ აკრძალვებით შეფუთულ სიმართლეს რომ ახლავს ხოლმე. თანაც ჩვენი უახლესი ისტორიის ფოლიანტების მიღმა „თბილი, გამჭრიახი, ბრძნული და მუდმივად სევდიანი“ ადამიანის პორტრეტი გამოიკვეთა, რომელიც შინაგანად მაშინაც კი ვერ ემორჩილებოდა „ჰომოსოვეტიკუსის“ სტანდარტებს, როცა ამას განსაკუთრებულად საჭიროებდა და როცა დრო კარნახობდა.

„ძალიან ხშირად მიხდებოდა შავი სათვალე ამეფარებინა არა მარტო თვალებისთვის, არამედ გრძნობებზე, ემოციებზე, განცდებზე, რომ სიცოცხლის უნარი შემენარჩუნებინა და შეძლებისდაგვარად გადამერჩინა ჩემი ცოდვილი სული“ — წერს ერთგან ჯემალ ფოცხვერია.

სწორედ ამ გადარჩენილი სულის აპოლოგიაა ჯემალ ფოცხვერიას უაღრესად სასარგებლო წიგნი — „შავი სათვალე ეკეთა“.

„ჩემი ბიოგრაფიული მოგონებები რა მოსატანიაო“, მოკრძალებით აღნიშნავს ავტორი წიგნის შესავალში, მაგრამ გონიერმა მკითხველმა მაინც შესანიშნავად იცის ასეთ მოგონებათა ფასი და ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს ხოლმე მემატიანის შრომას. მით უფრო, რომ წიგნი სტრუქტურულად კარგად არის აგებული და იგი თანმიმდევრულად მიუყვება ჩვენი უახლესი ისტორიის ყოველ ათწლეულს. ამ წიგნში ბავშვობის მოგონებებიც კი ეპოქის სახეს აირეკლავს და კინოკადრივით აღადგენს ჩეკას საიდუმლო ლაბირინთებში საიდუმლოდ დაცულ მოვლენებს.

უნდა ვაღიარო, ამ სისტემაში დასაქმებული პიროვნებანი ყოველთვის მიტოვებდნენ უაღრესად გამჭრიახი, თუმცა საკუთარი თავისგან გაქცეულ ადამიანთა შთაბეჭდილებას. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იყო რაღაც დრამატული ამ ადამიანების პროფესიული წარმატებული კარიერის მიღმა. ამ დრამატიზმის მიზეზი ალბათ ტაბუდადებული მათი შინაგანი ჭიდილი- ინტერკონფლიქტი უნდა ყოფილიყო არსებულ და სასურველ რეალობას შორის. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ყველას ვერ მოვარგებთ. ჩვენ ჯემალ ფოცხვერიას მოგონებათა წიგნში ვპოვეთ საკმარისზე მეტი არგუმენტი ამ განწყობისათვის. მგრძნობიარე, სამყაროზე შეყვარებული ნაადრევად გარდაცვლილი შვილის — გიას — სახე ხატებად დაყვება იმ სასურველ რეალობას, რომლის მოსაპოვებლად წამოწყებული შინაგანი ბრძოლა იმით დაგვირგვინდა, რომ ჯემალ ფოცხვერიამ მონათვლის ცერემონიის გასაიდუმლოებაზე შეგნებული უარი განაცხადა. „დასამალი არაფერი მაქვს, ჩემი ნაბიჯით, ჩემი შეგნებით მოვედი ღმერთთან, რწმენასთან, მინდა გავქრისტიანდე და თუ შეიძლება ყველა კარი და ფანჯარა გააღეთ. დაე, ყველამ გაიგოს, რომ ერთი განდგომილი უბრუნდება ღმერთს-მეთქი“ — ეს სიმბოლური ეპიზოდი კიდევ ერთხელ ადასტურებს, შეუძლებელია ბრძოლა იმასთან, რაც ადამიანებმა საუკუნეებს გამოატარეს და საკუთარ თავში გამოტანჯეს. ასე მივიდა უფალთან სასურველ რეალობას მონატრებული კიდევ ერთი ადამიანი.

„შავი სათვალე ეკეთა“ ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას იმ სააზროვნო სივრცისკენ მიაქანებს, სადაც პასუხი არ არის განწირული ორაზროვნებისათვის. აქ არის სარწმუნო მასალა ადამიანებისა და მოვლენების ლუსტრაციისათვის. იქ სადაც ჯემალ ფოცხვერია 1956 წლის მარტის მოვლენებს იგონებს შეუძლებელია საბჭოთა ცენზურის კიდევ ერთი ხიზანი- ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი რომანი „გამოცხადებაი“ არ გაგახსენდეს, რომელიც იმავე სიზუსტით მოგვითხრობს ამ ტრაგიკული დღეების შესახებ. მხატვრულ ქსოვილში მოქცეული მარტის მოვლენები, მწერლისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიზმითა და მამხილებელი პათოსით ცხადყოფს პოსტსტალინური ეპოქის არსს. ეს ის დროა, როცა სავსეა ციმბირი, ჯერ კიდევ მუშაობენ ეგრეთწოდებული „ტროიკები“ და რეაბილიტაციის ტალღა ბოლომდე არ ამოქმედებულა. მომიტინგეთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ, მათ ჯერაც სწამთ ცრუბელადების და იმედი აქვთ, რომ მოლოტოვთან-სტალინის ერთგულ მოწაფესთან — გაგზავნილი წერილი შეცვლის ვითარებას.

იმ ღამეს ჯემალ ფოცხვერია თავის ძმასთან მხოლოდ დედის ინტუიციისა და სიფრთხილის წყალობით გადარჩებიან. მხოლოდ მეორე დღეს ხდება მათთვის ცნობილი სისხლიანი ვაკხანალიის შესახებ. საბჭოთა პროპაგანდით გაჟღენთილი რობოტები ვიყავით და ყოველივე ეს გვიან შევიგნეთო, აღიარებს ავტორი. თუმცა მისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა მოვლენების ასეთი ფინალი. „დღეს შორეული წლების გადასახედიდან ბევრ ჩემს თანატოლს ესირცხვილება ამ მოვლენებში თავის მონაწილეობის გახსენება“, — წერს ჯემალ ფოცხვერია, თუმცა როცა მისი მოგონებანი უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის კვალს 1989 წლის 9 აპრილამდე, აფხაზეთის ტრაგიკულ დღეებამდე, 2007 წლის 7 ნოემბრამდე მიყვება — ყველაფერი ცხადი ხდება. ის ეძებს ანალოგიებს, კავშირებს ამ მოვლენებს შორის. ისტორია მისთვის უპირველეს ყოვლისა იდეების ისტორიაა და ამ მოვლენების აღწერით მას თითქოს სურს ზურგიდან ჩამოხსნას მის თაობას ტვირთი იმ იდეების ერთგულებისათვის, რომელმაც 1956 წლის 9 მარტს ახალგაზრდები საპროტესტოდ გამოიყვანა ქუჩაში. თუმცა, ჩემი აზრით, ის თაობა მეხსიერებას მხოლოდ როგორც მსხვერპლი უნდა შემორჩეს. საბჭოთა მანქანა ხომ ვირტუოზულად ახერხებდა ახალგაზრდების დეზორიენტირებას, წინასწარ შემუშავებული სტრატეგიით ებრძოდა საბჭოური მენტალობიდან თავის გამოხსნის უმცირეს გამოვლინებებს.

ამის დასტურად უაღრესად საინტერესოა ჯემალ ფოცხვერიას მონათხრობი ანტისაბჭოთა ორგანიზაციაზე „გორგასლიანი“, რომლის სათავეში მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ვხედავთ. ჯემალ ფოცხვერიას წიგნში კიდევ

ერთხელ დასტურდება მერაბ კოსტავაზე არაერთგზის თქმული. ტოტალური უღმერთობისა და უსამშობლობის ეპოქაში სწორედ მისი ზნეობრივი სიმტკიცისა და ცნობიერების ადამიანებმა შეინარჩუნეს ეროვნული სიფხიზლე.

უაღრესად საინტერესოა ჯემალ ფოცხვერიას მონათხრობი პედაგოგ რუსუდან ჩირაძის საქმე, რომელსაც ანტისაბჭოთა შინაარსის რომანის დაწერა ედებოდა ბრალად.

თვალში საცემია ავტორის განწყობა ამ უსახელო გმირის მიმართ და სამართლიანია მისი პროტესტიც საზოგადოებრივი გულგრილობის გამო, რადგან რუსუდან ჩირაძის გარემოცვაში არავინ აღმოჩნდა, ვინც შთამომავლობას შემოუნახავდა მის სახელს. სამაგიეროდ, ჯემალ ფოცხვერიას გარემოცვაში მრავლად ტრიალებდნენ ისინი, ვინაც თავისი ანტისაბჭოთა წარსულით კეკლუცობდნენ და მენტორული ტონით მოძღვრავდნენ საზოგადოებას ეროვნულის ქადაგებით.

„სიმართლე თავს დაატყდება მატყუარებსა და ცრუმოწმეებს“, — ამბობს ჰერაკლიტე. ჯემალ ფოცხვერიას მოგონებათა წიგნი ნამდვილად არის თავსდატეხილი სიმართლე, რომელიც წლობით დაგროვილ უამრავ კითხვაზე იძლევა პასუხს. ვინ იჯდა იმ გასაიდუმლოებულ თვითმფრინავში, რომელიც 8 აპრილის ღამეს ჩამოფრინდა თბილისში, როგორ დაგეგმა ჩეკამ საიდუმლო ოპერაცია მერაბ კოსტავას ციხეში დასაბრუნებლად, როგორ ებრძოდნენ თამარ ჩხეიძეს. როგორ იხსნეს ქართველმა სტუდენტებმა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი, რა მასალები აღმოაჩინა ავტორმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის არქივზე მუშაობისას. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ღირსებათა, რომელიც ამ წიგნს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

წიგნის კითხვისას ხშირად მახსენდებოდა ნაწყვეტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „გველის პერანგი“ — „არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში, თითქოს გეუბნება, მე ვიცი ის, რაც შენ არ იცი, ღმერთმა გაშოროს ჩემი ხვედრი“.

ჯემალ ფოცხვერიამ წლების განმავლობაში იცოდა ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით. და ეს ცოდნა არ იყო ადვილი სატარებელი. დიდია მისი პასუხისმგებლობა ქვეყნის ისტორიის წინაშე, რადგან ფრანც კაფკასი არ იყოს, „შეუძლებელია სიცოცხლე სიმართლის გარეშე“. ჯემალ ფოცხვერიას მოგონებათა წიგნი „შავი სათვალე ეკეთა“ სწორედ ამის დადასტურებაა.

მაია ჯალიაშვილი

გულის ძახილი

რატომ წერენ მოგონებებს?

იქნებ დაკარგულ დროს დაეძებენ. წარსულის წყვდიადიდან ამოაქვთ ბავშვობის ნათელი მოგონებები და გაფერმკრთალებულ სიცოცხლეს ბედნიერების სხივებით ავსებენ,

„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი“, — ნატრობდა ლადო ასათიანი. საერთოდ, ლამაზად ნატრობენ პოეტები, პროზაიკოსები, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანებსაც ულამაზდებათ ფიქრი, როდესაც ბავშვობას, „ოქროს ხანას“ (ნოვალისი) იგონებენ.

როგორ მოვიპოვოთ უნუგეშოდ დაკარგული დრო? როგორ გავამართლოთ ჩვენი აზრდაკარგული არსებობა? როგორ დავტოვოთ შესამჩნევი კვალი? თანაც ისეთი, რომ უცნობმა სხვებმა გაგვიხსენონ. ამ ფიქრდამღლელ გზაზე საუკეთესო საშუალება დაწერილი წიგნია, რომელიც ერთ მკითხველს მაინც „გულზე მოხვდება“.

მარსელ პრუსტმა უმოწყალო დროის დევნაში რომანების ციკლი დაწერა და მოახერხა დაკარგულის მოპოვება. იგი ერთ ესეში „წინასიტყვაობა წიგნისა „სენტ ბიოვის წინააღმდეგ“ იხსენებს, ერთ თოვლიან დღეს სეირნობიდან შინ გათოშილი როგორ დაბრუნდა, მზარეულმა ჩაი მიართვა ორცხობილასთან ერთად. ჩაიში ჩამბალმა ორცხობილას გემომ კი საოცარი შეგრძნება გაუჩინა, იდუმალი ჯადოსნობით თითქოს წარსულის ჩაკეტილი კარი გაიღო და შორეული ბავშვობის იმ ცინცხალ დღეში შეაბიჯა, როდესაც ბაბუა სწორედ ასე სვამდა ორთქლავარდილ ჩაის და მასაც ასმევდა. ამ „გემომ“ დავიწყებული დღეების რიგი მოიყოლა. ჩაის პატარა ფინჯანში იაპონური წყლის ყვავილებივით ჩაიხატა ბაღი — მანამდე ბუნდოვანი და ფერგადასული — მივიწყებული ხეივნებით, კორდებით, ყვავილნარით. მწერალმა კი დაასკვნა, რომ „ჩვენი ცხოვრების ყოველი წუთი სიკვდილისთანავე სახიერდება და თავს აფარებს რომელიმე მატერიალურ საგანს, დატყვევებულია, სამუდამოდ დატყვევებული, სანამ ამ საგანს არ გადავეყრებით, მისი მეშვეობით განვლილ წუთს შევიცნობთ, ვუხმობთ და ვათავისუფლებთ. საგანი, რომელშიც ის იმალება, შეიძლება არასოდეს შეგვხვდეს და, ამგვარად, ჩვენს სიცოცხლეში არის წუთები, რომელთაც გაცოცხლება არ უწერიათ, რადგან საგანი ისეთი მცირეა, ისეა ჩაკარგული სამყაროში, რომ საეჭვოა, სადმე წავაწყდეთ“.

თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამგვარ საგნებს ხშირად აწყდებიან, რადგან გაფაქიზებული აქვთ თვალი, გამახვილებული აქვთ ინტუიცია და ყოველთვის იმაზე არიან გაფაციცებულნი, ხილულს მიღმა რაღაც სხვა რამ, უხილავი შენიშნონ და მერე ხორცი შეასხან ნაგრძნობ-განცდილს.

ასე დაიწერა მოგონებები, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი: აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ილიას „ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ და სხვა უამრავი, რომლებშიც იხატებიან ბავშვები, ბედნიერნი და მეოცნებენი.

ქართული ლიტერატურის ამ ტრადიციიდან მოდის ჯემალ ფოცხვერია, მართალია, იგი მწერალი არ არის, მაგრამ ეს მოგონებანი, რომლებსაც მოგვითხრობს, მას „პოეტად“ აქცევს, რადგანაც ის ბავშვი, რომელსაც ხატავს, სწორედაც რომ პოეტია ყველა ბავშვის მსგავსად, რომლებიც შეიძლება არც ლექსებს წერდნენ, არც ხატავდნენ და არც მღეროდნენ, მაგრამ მათ ფართოდ გახელილ თვალებში ირეკლება სამყაროს მრავალფეროვნება, მშვენიერება და სიკეთე.

სწორედ ამგვარი მშვენიერებითაა აღსავსე ჯემალ ფოცხვერიას „ჩემი ცხოვრების აღმართი“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2012), რომელშიც მოზაიკურად იხატება თბილისის ეგზოტიკა, მადლი და ის გარემო, რომელშიც იზრდებოდა.

ამ მოგონებათა დასაწერად ავტორს შვილმა, გია ფოცხვერიამ, უბიძგა, რომელიც გაფაციცებით ისმენდა მამის ნაამბობს და თვალწინ წარმოუდგებოდა ფერწერული სურათები გარდასული დროისა.

წიგნში სულისშემძვრელად იხატება მამაშვილური ურთიერთობა. ავტორი ამ მოგონებებს შვილს, ტრაგიკულად გარდაცვლილ რეჟისორსა და მწერალს — უძღვნის და, ამგვარად, საიქიოსა და სააქაოს აერთებს, რადგანაც წიგნის ფურცლებში მარადიული აწმყოა, რომელიც დროს და სიკვდილს აუქმებს. აქ, წიგნის ფურცლებზე მამა-შვილი ყოველთვის შეხვდება ერთმანეთს და გამეორდება სიყვარულის მისტერია. მკითხველი კი კიდევ ერთხელ დაფიქრდება მამაშვილობის ფენომენზე, რომელიც დედაშვილობაზე ნაკლებად „მოჩანს“ ქართულ ლიტერატურაში. რამდენიმე ცნობილ და ქრესტომათიულ ბედნიერ გამონაკლისთან ერთად შეიძლება

გავიხსენოთ ოთარ ჩხეიძის ნოველა „მამაშვილობაში“.



ჯემალ ფოცხვერია წიგნი სიყვარულით სავსეა. მასში წარმოჩენილია, როგორ ყალიბდება პატარა ბიჭი პიროვნებად. ეს „აღმართი“ სწორედ მისი სულიერი განვითარების გზას ხატავს. ამ გზაზე მოჩანს მშფოთვარე, ჭრელი თბილისური ეზო, რომელიც იტევდა უამრავ ფერს, ხმასა და სურნელს და ბავშვის წარმოსახვაში ერთ დიდ თეატრალურ სანახაობას წარმოადგენდა, სადაც ულევად იფრქვეოდა შექსპირული ვნებანი. ეზოში მოსახლეთა ეთნიკური მრავალფეროვნება (აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი...) ხელს უწყობდა, რომ ბავშვი ზიარებოდა სხვადასხვა კულტურის წესსა და ტრადიციას, შეეყვარებინა ქართველთაგან განსხვავებული სჯულისა და ზნეობის ადამიანები.

ავტორი უპირველესად მშობლიურ გარემოს ხატავს, დედასა და ბებიას. მკითხველის წარმოსახვაში სამუდამოდ ჩაიბეჭდება საღამოს სამუშაოდან დაბრუნებული, აღმართზე წვალებით ამომავალი გამხდარი ხატება დედისა, რომლის გამოჩენასაც ყოველდღე გულისძგერით ელოდება პატარა ბიჭი, ამ მოლოდინში ღრუბლებს რომ გასცქერის და იქ საოცარ ქალაქებს, შენობებსა და უცნაურად ჩაცმულ, გარდასული დროის ადამიანებს ლანდავს. ეს მოლოდინი დედისა ყოველდღე რიტუალივით მეორდებოდა. როგორც ავტორი წერს, აღმართზე დედის წამებით ამოსვლა მისი ბედნიერების მწვერვალი იყო. ამგვარად იქმნება დედაშვილობის მეტაფორა, რომელიც ამხელს ამ ურთიერთობის საიდუმლოს — დედის „წამებით“ აშენებულ შვილის ბედნიერებას. ეს დედა გვაგონებს ოთარაანთ ქვრივსაც და თავსაფრიან დედაკაცსაც და კიდევ ერთხელ გვათქმევინებს: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

დედის დაუვიწყარი სიმღერა ოჯახიდან დევნიდა გაჭირვების, შიმშილის, ნავთის ლამპისაგან გამურულ ლანდებს და შემოჰქონდა სიხარულის, ზეიმის განწყობა. ამ სიმღერას ისევე ვერ დაივიწყებდა ავტორი, როგორც იაკობ გოგებაშვილის ქეთო — იავნანას.

წიგნში სხვა პატარა ბიჭებიც იხატებიან, ავტორივით ცელქი, ხალისიანი და მეოცნებენი. მათ შორისაა აზერბაიჯანელი ფოლადა, რომელიც ჯერ ვერ აღიქვამს სიკვდილის შემზარაობას და დედის ცხედართან თავდახრით მდგარი სიყვარულს ეფიცება.

ეს წიგნი სავსეა სიცოცხლის ათასნაირი ჩქამითა და სურნელით, სისხამი ვარდისფერი დილებითა და ნიავით გაგრილებული საღამოებით, მარტოობის, მიუსაფრობის, უსაშველობის სევდითა და მეგობრობის, ნდობის, ერთგულების იმედით. ავტორს აქვს თანდაყოლილი უნარი მიმზიდველი თხრობისა, როგორც სოფლის უძველეს მეზღაპრეებს, ზუსტად მიგნებული სიტყვებით, ფრაზებით დახატული ადამიანები ვიზუალურადაც დაგვანახვოს, მათი ხმის ტემბრი, მეტყველების ინტონაცია თუ ჟესტიკულაცია შეგვაგრძნობინოს. ასე შემოიჭრება ჩვენს წარმოსახვაში არისტოკრატი მართა ჩიქოვანი, ავტორის ბებია, წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული, დარბაისელი, ძველი დიდების ნანგრევებზე ღირსეულად მოსიარულე, ოჯახის ზნეობის შემნახველი. სწორედ დედისა და ბებიის დამოკიდებულება ყოველდღიურ ყოფით მოვლენებთან, გაჭირვებასა და უსაშველობასთან, მათი ღირსეული ამტანობა აყალიბებდა ავტორის სულიერებას.

საგულისხმოა, რომ ავტორი ხატავს უმამო თაობას. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში მოვლენილი თაობაა, რომელმაც მძიმე გზა გაიარა, უპირველესად კი — უმამობა. თუმცა მათ წარმოსახვაში დედებმა და ბებიებმა შექმნეს მამის დაუმსხვრეველი იდეალი, რომლისკენ სწრაფვაც გულისხმობდა მაღალ ზნეობას, კეთილშობილებას, სამართლიანობას, ერთგულებას, რწმენას, სიყვარულს.

ავტორი ზედმიწევნით ხატავს ახლობელთა, მეზობელთა სახეებს. მათი ამბები წიგნში ნოველებივითაა, თავისი სიუჟეტური ქარგით, კომპოზიციითა თუ მოულოდნელი დასასრულით. ასე ვეცნობით ნავთის გამყიდველ მამედას, ექიმბაშ ზინაიდა ხანუმს, აღმოსავლური ჯადოსნური სილამაზით გამორჩეულ შავთვალება ლეილას და სხვებს.

წიგნში ასეთი დიდი სიყვარულით დახატული ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანები — ექიმები, ვაჭრები, მასნავლებლები, განათლების მუშაკები, მეცნიერები, სტუდენტები, „ჯიბის ქურდები“, ფეხბურთელები... ქმნიან შთამბეჭდავ სურათს. ასე შეიგრძნობს მკითხველი XX საუკუნის მეორე ნახევრის ეპოქის სულს, რიტმს, მაჯისცემას.

არასოდეს დაავიწყდება მკითხველს, როგორ ეპყრობოდნენ თბილისში გამოჩენილ გერმანელ ტყვეებს უბრალო ადამიანები, რომელთაც გაეგონათ და თავიანთ თავზე ეწვნიათ ფაშიზმის შემზარავი სისასტიკე.

წიგნში საბჭოთა რეჟიმის მიერ უსამართლოდ დევნილი და შეურაცხყოფილი, ნაწამები ოჯახებიც იხატება, გადასახლებული ადამიანები ყოველი დაცემის შემდეგ ურჩად რომ იმართებიან წელში და სიცოცხლეს ღირსეულად აგრძელებენ.

ვინც თბილისზე დაწერს რამეს, რა თქმა უნდა, რუსთველის პროსპექტს ვერ გამოტოვებს, მის ჯადოსნურ ხიბლს ვერ გაექცევა. ამ შემთხვევაში კი რუსთველის პროსპექტი წიგნის ერთი მთავარი პერსონაჟივითაა, რადგან ისიც ერთგვარი აღმზრდელია დედაქალაქში დაბადებული ბავშვებისა. ამ თბილი და ლამაზი წიგნის კითხვისას ცოცხლდებიან მკითხველისთვის ცნობილი თუ უცნობი ადამიანები, რუსთველის, „მარადიულად ახალგაზრდა“ პროსპექტის, მჩქეფარე ცხოვრებასთან სამუდამოდ გაიგივებულნი, მათ შორის, უპირველესად ნიაზ დიასამიძე, თავისი გონებამახვილური ამბებითა და თავგადასავლებით.

ამ წიგნში მღელვარე დროის დინება ჩანს, რომლის ტალღებშიც უხვად მოჩანს სიწმინდეცა და სიბინძურეც, ერთგულებაცა და ღალატიც, სიყვარულიცა და სიძულვილიც.

მაკა ჯოხაძის ერთ მოთხრობაში, „მკვდარ გუბეში ნასროლი კენჭები“ რომ ჰქვია, ცხოვრება მეტაფორულად ასეა დახატული: „წვიმის შემდეგ გაჩენილ გუბურებში კენჭებს შემთხვევით ისვრიან? მხოლოდ იმიტომ, რომ მკვდარ გუბეებში ნასროლმა კენჭებმა სიცოცხლის პაწია წრეები დალანდონ“.

ადამიანის ცხოვრებას დროის ულმობლობა ხშირად მკვდარ გუბედ გადაქცევს, მაგრამ ბავშვობის მოგონებანი „ცივ, გასარკულ გუბეში“ კენჭებივით ცვივა და ერთმანეთს დადევნებულ სიცოცხლის წრეებს აჩენს.

ამგვარი, სიცოცხლეს დადევნებული წრეებია ჯემალ ფოცხვერიას ამ წიგნშიც, რომელშიც იგი ერთგან წერს: „აღწერო, ან შეეცადო მაინც ყველაფერი დეტალურად წარმოაჩინო, ალბათ, პროფესიონალი მწერლის კალამია საჭირო, მე მხოლოდ ჩემი გულის ძახილის აღბეჭდვა გამომივიდა. ის, რასაც ვგრძნობდი და ჩამრჩა ყმაწვილკაცობიდან მეხსიერებაში“.

მკითხველი კი გასამხნევებლად ეტყვის, რომ მთავარიც სწორედ ესაა, გულის ძახილის აღბეჭდვა. სიტყვები ამიტომაც ასე მორჩილად და ერთგულად დგებიან ამ კეთილშობილური საქმის სამსახურში.

თამაზ ნატროშვილი

მამაცი და უბედური მეფე

კომპრომისი

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ მარტყოფის აჯანყების შემდეგ ქართველმა მოურავმა ერთგულება შეჰფიცა ოსმალეთის ხონთქარს, რომელმაც პასუხად გამოგზავნა სიგელები: მოურავის — ქართლში და თეიმურაზის — კახეთში ბატონობაზე.

მაშასადამე, თეიმურაზს მხოლოდ სახელი ერქვა ქართლ-კახეთის მეფისა, მაგრამ სინამდვილეში ქართლს არ მიიჩნევდნენ მის სამფლობელოდ. ამ გარემოებამ თავიდანვე ჩასახა მომავალი კონფლიქტი.

მუსტაფა ნაიმა მარტყოფის აჯანყების აღწერილობის შემდეგ გადმოგვცემს: „მოურავმა დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამოაცხადა. მან ფული მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: მონა სიწმინდის მეფისა მოურავ-შაჰი“.

მოურავი თეიმურაზ მეფეს ქართლს ეცილებოდაო, — ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე.

ოსმალეთის ხონთქარი გიორგი სააკაძეს „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ ეძახდა და როგორი თვალით შეხედავდა ამას თეიმურაზ მეფე, ძნელი მისახვედრი როდია.

სპარსელი ისტორიკოსის მიხედვითაც, მოურავს სურდა ქართლში მმართველი და მბრძანებელი ყოფილიყო, მაგრამ მასზე მაღალი გვარის დიდებულებს სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა.

აღიარებული შეხედულებით, შუა საუკუნეებში, მეფე მთელი ფეოდალური იერარქიის მწვერვალს წარმოადგენდა. ვასალებს უიმისოდ არსებობა არ შეეძლოთ და, იმავდროულად, განუწყვეტლივ ეურჩებოდნენ და უჯანყდებოდნენ კიდეც. ამგვარი არეულობისას სამეფო ხელისუფლება პროგრესულ როლს ასრულებდა. იგი განასახიერებდა წესრიგს, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერის სიმბოლო იყო, რომელიც ქვეყნის დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა.

დიდ ფეოდალთა პოზიციას, დღევანდელი თვალთახედვით, ეგებ ერთგვარი გამართლებაც კი მოვუძებნოთ; უფრო სწორად — თუკი ვერ გავამართლებთ, გავუგოთ მაინც. როდესაც მავანი თავისი ნიჭით, გონიერებითა და პოპულარობით მეფეს არ ჩამოუვარდება, მეფობის პრეტენზია რომ გაუჩნდეს, რა გასაკვირია?

ნიკიფორე ირბახის რელაციის მიხედვით, ძლევამოსილი მარტყოფის აჯანყების შემდეგ ხალხს მოურავის მეფედ გამოცხადება სურდა, მაგრამ თვით სააკაძემ არ ინებაო. ამბობდა, რომ სამეფოს კანონიერი, ღვთივკურთხეული მეფე უნდა ჰყავდეს და სამშობლოდან გადახვეწილ თეიმურაზს მოუწოდა, დაბრუნებულიყო.

გიორგი სააკაძე სხვებზე, შესაძლოა, ერთი თავით მაღლა იდგა, მაგრამ სამეფო ტახტი, საუკუნეთა განმავლობაში, ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნოდა და იმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ მეფის გვირგვინი სხვა ვინმეს ჩაეგდო ხელში — თუნდაც დიდგვაროვანს, კანონიერ მფლობელზე თუნდაც ათასჯერ ბრძენსა და მამაცს.

„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ — ალბათ, ეს ჰანგი აფორიაქებდა და ძილს უფრთხობდა მარტყოფის გამარჯვების სახელოვან შემოქმედს. ალბათ, უკმაყოფილო იყო, რომ დიდი ამაგი ჯეროვნად არ დაუფასეს. ხალხს მეფობის ღირსად მიაჩნდა, ის კი, გამოცდილი და მთელს აღმოსავლეთში სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი, ომშიც მეფეს უნდა დამორჩილებოდა.

* **გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №16,17**

თეიმურაზის პრეტენზიებს ქართლის ტახტზე ასაბუთებდა ის გარემოება, რომ ქართლის მეფე ლუარსაბი უძეოდ გადაშენდა, ხოლო მისი დაი — ხორეშანი ცოლად ჰყავდა თეიმურაზს და, მაშასადამე: მათი ვაჟიშვილი ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტად ჩაითვლებოდა.

დიდი მოურავი კი სრულიად სხვაგან ეძებდა ქართლის მეფეს. ჯერ იყო და ბაგრატიონთა საგვარეულოს მუხრან-ბატონთა შტოს მიაპყრო თვალი და ქართლის გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონი შეარჩია, მერე კი იმერეთის მეფე გიორგი შეიგულა და მისი ძე — ალექსანდრე მოიწვია ქართლის მეფედ.

მაგრამ ჯერ კიდევ 1555 წლიდან საქართველო ოსმალეთსა და ირანს შორის იყო გაყოფილი. ასე რომ, შაჰ-აბასი ვერ შეურიგდებოდა ოსმალთა გავლენის სფეროში მოქცეული იმერეთის ტახტის მემკვიდრის გამეფებას ქართლში; ანკი ქართლის ფეოდალები როგორ დაისვამდნენ თავზე იმერელ ბატონიშვილს? ისინი თეიმურაზის მეფობასაც ხომ მწყრალად უყურებდნენ.

თითქოსდა ესეც კმაროდა კონფლიქტისათვის, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი, როგორც ირკვევა, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იყო.

ისქანდერ მუნშის სიტყვით, 1626 წელს თეიმურაზ მეფე „უმეცრების ძილისაგან გამოფხიზლდა და წარსულში ჩადენილი დანაშაულის შენდობა ითხოვა. სეფიანთა ირანის ხელმწიფეს სწერდა: უკეთუ თქვენი უდიდებულესობა შეცდომებსა და შეცოდებებს მაპატიებს, ხელახლა გავიყრი ყურში მონობის რგოლს და ამიერიდან მორჩილების შარაგზას ოდნავადაც აღარ გადავუხვევო.

ნუთუ ეს სიტყვები იმ კაცის გონებაში დაიბადა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა უწოდა „სპარსეთის დიდი მტარვალის დაუღალავი მოწინააღმდეგე“, ხოლო ნიკო ბერძენიშვილმა — „სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე“?

მონობის რგოლს ყურში გავიყრიო...

ნუთუ თავმოყვარეობა მაინც არ ჩხვლეტდა, როცა ფეხქვეშ ეგებოდა იმას, ვისაც თავის პოემაში, სწორედ იმხანად რომ წერდა, სავსებით სამართლიანად მოიხსენიებს, როგორც „უწყალო მეფეს, ქრისტიანთა მტანჯველს, უბრალოთა სისხლის მჩქეფელს“ და დასასრულ, უდარებს ბიბლიურ ჰეროდეს რომელმაც სახელი გაითქვა ჩვილ ყრმათა უმაგალითო ჟლეტით, ახალშობილი იესოს მოსასპობად რომ იყო გამიზნული.

ნუთუ აღარ ახსოვდა ღვიძლი შვილების დასაჭურისება სწორედ შაჰ-აბასის ბრძანებით (1618 წ.)? ნუთუ აღარ ახსოვდა საყვარელი ცოლისძმისა და მეგობრის — ლუარსაბ მეფის მშვილდის საბლით მოშთობა იმავე შაჰ-აბასის ბრძანებით (1622 წ.), ნუთუ აღარ ახსოვდა მშობელი დედის — ქეთევან დედოფლის ბარბაროსული წამება კვლავ შაჰ-აბასის ბრძანებით (1624 წ.)? ნუთუ აღარც მშობლიური კახეთის გაუგონარი აოხრებანი ახსოვდა?

მაგრამ თუკი ჩავუკვირდებით იმდროინდელ მოვლენათა მსვლელობას, ცხადი გახდება, რომ სპარსელი ისტორიკოსის მაღალფარდოვანი ფრაზები, გამიზნული თეიმურაზის დასამცირებლად, მხოლოდ ბრჭყვიალა სამოსელია შიშველი და უსიამო სიმართლის დასაფარავად.

მარაბდის ომის მერე ორივე მხარეს სჭირდებოდა სულის მოთქმა. ორივეს რაღაც უნდა დაეთმო ანუ კომპრომისზე წასულიყო.

ათი წლის მანძილზე ნაომარ-ნაოხარი ქართლ-კახეთი შავ დღეში იყო ჩავარდნილი, მაგრამ სეფიანთა ვრცელსა და ძალგულოვან იმპერიასაც თავისი გასაჭირი ჰქონდა.

ისქანდერ მუნშის ცნობით, „უგუნურმა და ცეტმა ხალხმა“ საქართველოში მომხდარი ამბები სეფიანთა სახელმწიფოს სისუსტეს მიაწერა. ოსმალებმაც იფიქრეს, ხელსაყრელი დრო დაგვიდგაო, ორი წლით ადრე დაკარგული ბაღდადის დაბრუნება განიზრახეს და ალყა შემოარტყეს ქალაქს.

ისინი ვარაუდობდნენ, შაჰ-აბასს ბაღდადისათვის აღარ სცალია, ბაღდადში გამაგრებულ ყიზილბაშებს იმედი გაუწყდებათ და როგორც კი გაიგებენ ჩვენი ჯარის მიახლოებას, იქაურობას მიატოვებენ და ბაღდადს უომრად დავიჭერთო.

მაგრამ შაჰ-აბასი სრულიადაც არ აპირებდა ბაღდადის დათმობას. მან საჩქაროდ გაიწვია საქართველოდან ისა-ხან ყორჩიბაში, მისი ომგადახდილი და საკმაოდ შეთხელებული ლაშქარი ბაღდადის შესაწევნად გაისტუმრა და ყარაბაღში საზამთროდ დარჩენილ ყორჩიბაშს მცირე ძალებიღა დაუტოვა ქართველთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად.

ამასობაში ოსმალეთის მოკავშირე ქურთები თავრიზის სანახებს არბევდნენ, რათა ყიზილბაშნი გამოეტყუებინათ ბაღდადიდან. ამგვარ ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ქართველების ნეიტრალიტეტს.

1626 წლის 19 მაისს ირანში მყოფი ინგლისელი აგენტი ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას მოახსენებდა ახალ ამბებს: შაჰ-აბასმა და შირაზის ხანმა (იმამყული-ხან უნდილაძე) დიდძალი მაშველი ჯარი გაგზავნეს ბაღდადისაკენ, რომელიც, უკვე მერვე თვე იქნება, ოსმალთაგან ალყაშემორტყმული არისო; ხოლო საქართველოში მღელვარება არაა მოსალოდნელი, ვინაიდან შირაზის ხანის ძმამ ისინი დააშოშმინაო.

ტომას ჰერბერტის ცნობით, შაჰ-აბასმა „ქართველ ყიზილბაშთა“ პირით დაარწმუნა ქართველები, რომ ამიერიდან მას ეწადა მშვიდობის დამყარება ირანსა და საქართველოს შორის („ქართველ ყიზილბაშებად“ იგულისხმებიან სეფიანთა ირანში აღზევებული მაჰმადიანი ქართველები და, ალბათ, უწინარეს ყოვლისა, ძმები უნდილაძეები).

დაზავების თაოსნობა მოდიოდა ისპაანიდან!

შაჰ-აბასის უშუალო შუამავლად გვევლინება სახელგანთქმული შირაზის ხანის უმცროსი ძმა — დაუდ-ხან უნდილაძე, რომელიც თბილისის ციხისთავად იყო დანიშნული. თეიმურაზთან სწორედ მან დაამყარა კონტაქტები. მათ შორის მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა გაიმართაო.

დაუდ-ხანის არზა და თეიმურაზ მეფის „ვედრების წიგნი“ შაჰ-აბასს მიართვეს. მან შეიწყნარა დაუდ-ხანის შუამდგომლობა. თეიმურაზს ამცნეს, ხელმწიფის წყალობა და შევრდომა თავს მოგევლინაო. პასუხად განაცხადა: მონობისა და მორჩილების გზას ჩემს სიცოცხლეში აღარ ავცდებიო.

თეიმურაზ პირველმა „ოსმალური სამოსელი გაიხადა და ყიზილბაშური სამოსელი ჩაიცვა“ ანუ ზურგი შეაქცია ოსმალეთის ორიენტაციას და ირანთან მორიგება არჩია.

სამაგიეროდ, შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა ქრისტიანი თეიმურაზი (ამით მხოლოდ დაადასტურა შექმნილი ვითარება) და საბოლოოდ აიღო ხელი თავის ავადსახსენებელ გეგმებზე.

ხოლო ყიზილბაშთა შემოსევებით აოხრებულსა და იავარქმნილ ქვეყანას მშვიდობაზე მეტი რაღა უნდა ენატრა?! მარაბდის ომი საუკუნეში ერთხელ შეიძლება გადაიხადო; ერთ დღეში ცხრა ათასი ვაჟკაცის დაღუპვა ხუმრობა საქმე როდია!

ამგვარად, დაუდ-ხანმა წარმატებით გაართვა თავი დიპლომატიურ მისიას და ორივე მხარის სასიკეთოდ დააგვირგვინა. მიღწეული შეთანხმებით, ჩანს, იმდენად აამა შაჰ-აბასს, რომ გაწეული სამსახურის საზღაურად განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნეს.

კათოლიკე მისიონერთა ინფორმაციის მიხედვით, თეიმურაზ მეფემ და დაუდ-ხანმა ერთმანეთს ძმობა და მეგობრობა შეჰფიცეს.

რამდენად მართებული იყო თეიმურაზ პირველის შემობრუნება ირანული ორიენტაციისაკენ?

1614 წელს თავისი სამეფოდან ყიზილბაშთა მიერ გაძევებული თეიმურაზ პირველი წლების მანძილზე ამაოდ ლამობდა, ოსმალთა სამხედრო მხარდაჭერა მოეპოვებინა.

მარტყოფ-მარაბდის შედეგად უკვე ფარ-ხმალ დაყრილ შაჰ-აბასთან მორიგების გზა უფრო გონივრული და რეალისტური ჩანდა, ვიდრე ოსმალთაგან დახმარების ილუზია. სეფიანთა ირანის მბრძანებელს ქართველი მეფის ლოიალური ვასალობაღა ეწადა.

დაუდ-ხან უნდილაძის დიპლომატიური მისიის წარმატებამ ჩიხში მოაქცია გიორგი სააკაძე. მისი დანაშაული შაჰ-აბასის წინაშე განუზომელი იყო — ყიზილბაშთა ლაშქრის ამოჟლეტა მარტყოფში, მკვლელობა ყარჩიღა-ხანისა, სეფიანთა ხელმწიფის ფავორიტი რომ იყო.

ვინ აპატიებდა! ისქანდერ მუნშის თხზულებაში იგი მოხსენიებულია, როგორც პირშავი მოურავი, ცბიერი და შფოთის ამტეხი, ბოროტი და მზაკვარი, უმადური და ბედუკუღმართი, არამზადა და მოღალატე.

სეფიანთა სამეფო კარის მემატიანეს ლანძღვა არც თეიმურაზ მეფისათვის ენანება, ოღონდ მისი მისამართით გამოთქმული უკადრისი ეპითეტები სხვაგვარია: უგუნური და ბედოვლათი, უვიცი და თავხედი, გაყოყოჩებული და უღირსი საქმეების ჩამდენი, დაუდევრობისა და უმეცრების ღვინით მთვრალიო.

მართალია, თეიმურაზი მთელი ათი წლის მანძილზე მკვლავმოუღლელად ებრძოდა ყიზილბაშებს და, მიუხედავად უიღბლობისა და მარცხისა, ქედს არ უხრიდა, მას მხოლოდ და მხოლოდ დაუძინებელ მტრად მიიჩნევდნენ. თეიმურაზს შაჰის კარზე არ უმსახურია სააკაძესავით, ერთგული და გამორჩეული სარდალი არა ყოფილა სააკაძესავით და სეფიანთა სამეფოს ღალატს ვერ დასწამებდნენ.

„უმეცრების ღვინით მთვრალის“ გამოფხიზლება ძნელი არ იყო, მაგრამ მოღალატის მორიგება შაჰ-აბასთან ზღაპრის სიუჟეტად თუ გამოდგებოდა.

ამგვარად, 1626 წელს საფუძველი ჩაეყარა სეფიანთა ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის იმ კომპრომისულ ფორმას, რომელმაც ლამის საუკუნე გასტანა (ხანმოკლე პაუზებით) და, მიუხედავად ზოგიერთი ხინჯისა, საგრძნობლად შეუწყო ხელი ქვეყნის უმძიმეს ჭრილობათა მოშუშებას, ეკონომიკურ მოღონიერებასა და ქართული კულტურის თვალსაჩინო აღმავლობას.

თეიმურაზ პირველმა, როგორც საღად მოაზროვნე პოლიტიკოსს ეკადრებოდა, ხალხის საარსებო ინტერესები საკუთარ განცდებზე მაღლა დააყენა.

გულში ჩაიკლა სატკივარი, სულის სიღრმეში ჩაიმარხა კოშმარული მოგონებანი, ხოლო შურისძიების წყურვილი დროებით დაიოკა, ოღონდ კი ამდენ ვაებათა მერე შვებით ამოესუნთქა სისხლდაცლილ სამშობლოს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაზალეთის ომის სცენარი სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქ ისპაანში დაიბადა და მისი მთავარი ავტორი გახლდათ შაჰ-აბასი. მაგრამ თანაავტორად, ალბათ, ოსმალეთის ხონთქარი უნდა ვაღიაროთ.

ჩანაფიქრის შემსრულებელნი კი თავად ქართველები იყვნენ, რომელნიც გულმოდგინედ თამაშობდნენ ნიჭიერ მარიონეტთა როლებს, აღარც რეჟისორი სჭირდებოდათ და აღარც მოკარნახე. თვითონვე დგამდნენ ტრაგიკულ სპექტაკლს და შავი ლაქებით ამკობდნენ სამშობლოს ისტორიას.

ზემოთ დამოწმებული ცნობა ინგლისელი აგენტისა, დათარიღებული 1626 წლის 19 მაისით, მიგვითითებს, რომ თეიმურაზ პირველის მორიგება სეფიანთა ხელისუფლებასთან წინ უსწრებდა ბაზალეთის ომს, რომელიც იმავე წლის შემოდგომაზე მოხდა.

ედიშა ვაჩნაძე

არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზ პირველი ბაზალეთის ომის ამბავს ასე გადმოგვცემს:

„მივედით, ორგნით შეიქნა შეტევა, შემოტივილი, ხმის ბაიბური არ იყო, ზახილი, არცა კივილი“.

არჩილ მუხრან-ბატონი, ქართლის მეფის ვახტანგ V-ის ძე, თორმეტი წლის მანძილზე მეფობდა კახეთში და თეიმურაზ პირველის ახლობელ პირთა წრეში ტრიალებდა. „გაბაასების“ წინათქმაში გვაუწყებს: თეიმურაზის დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერდს მახლდნენ, გამოვკითხავდი მეფის თავგადასავალს და ისინიც, თვითმხილველნი და მონაწილენი, გარდასულ დროთა ამბებს დაწვრილებით მომითხრობდნენო.

არა ხოტბა, არამედ მართალი დავწერეო, — ამბობს მეფე-პოეტი და დასძენს: ერთადერთი სიცრუე ის გახლავთ, რომ თეიმურაზი და რუსთველი ერთმანეთს ებაასებიანო. სხვათა შორის, არჩილს ცოლად ჰყავდა შვილიშვილი თეიმურაზ მეფისა — ქეთევანი და, ალბათ, ოჯახურ გადმოცემებსაც შეიტყობდა.

ერთი სიტყვით, თეიმურაზ პირველის „ავტობიოგრაფია", ლექსად გადმოცემული არჩილ მეფის კალმით, ძვირფას პირველწყაროდ გვევლინება. სწორედ არჩილის პოემას ეყრდნობოდნენ ხოლმე მომდევნო ხანის ქართველი ისტორიკოსები.

მაშ ასე, უხმაურო ომი ბაზალეთისა 1626 წლის შემოდგომაზე.

ძალზე ძნელი წარმოსადგენია ომი, რომელსაც საბრძოლო ყიჟინა არ სდევდა. რას უნდა ნიშნავდეს ესოდენ გაუგონარი მოვლენა? ეგებ მოასწავებდა უკიდურეს გაბოროტებას, სისხლმოწყურებულ ადამიანს კრიჭას რომ შეუკრავს ხოლმე თუ თავისებურ დარცხვენას — თითქოს მიჩქმალვა სურდათ ომისა, ქვეყანამ არ გაიგოსო?

ანდა რატომ გადაიქცა ბაზალეთის ომი ჩვენი შინაომების სიმბოლოდ? ურჩ ფეოდალთა ამბოხებანი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ უცხო ხილი არ ყოფილა საქართველოში (ისევე, როგორც სხვაგან), მაგრამ მაინცდამაინც ბაზალეთი გვაგონდება, როცა ვუჩივით ქართულ ბუნებაში ჩაბუდებული შურისა და შუღლის თავზარდამცემ ტრადიციას?

ყველაზე არსებითი მიზეზი უხმაუროდ მიმდინარე ომისა და შინაომთა სიმბოლოდ ბაზალეთის ომის აღიარებისა, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ ბაზალეთში ერთმანეთს ებრძოდნენ გუშინდელი თანამებრძოლნი, დღევანდელ მტრებად გადაქცეულიყვნენ გუშინდელი მეგობარ-მოყვარენი. მარტყოფი და მარაბდა ვიღას ახსოვდა! „უჩემოთ ვინ იმღერეთა?" ძალუმად ახშობდა კეთილგონიერებას და კეთილშობილებას.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

სულ რაღაც ერთი წლის წინათ ბაზალეთის ომის უმრავლესი მონაწილენი ერთიმეორის მხარდამხარ იბრძოდნენ მარაბდის ველზე, პაპანაქება სიცხეში. სამშობლოს გადასარჩენად ერთად დაღვარეს სისხლი და უდიდესი მსხვერპლის ფასად წერტილი დაუსვეს საქართველოს „გათათრების" შაჰ-აბასისეულ გეგმებს. მართალია, სრულ დამოუკიდებლობას ვერ მიაღწიეს, მაგრამ საკმაოდ გრძელი ნაბიჯი გადადგეს წინ.

და აი, ერთი წლის შემდეგ ქართველები ერთიმეორის სისხლს ღვრიდნენ ბაზალეთში. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ — ბაზალეთში არანაკლებ ულმობელი ომი გაჩაღდა, ვიდრე მარაბდის ველზე.

სასტიკი ომის სუნთქვა მოსდებოდა ბაზალეთს, ოღონდ უჩვეულო ის იყო, რომ უხმაუროდ და უყიჟინოდ მუსრავდნენ გუშინდელი მოძმენი დღევანდელ მოსისხლე მტრებს.

არჩილ მეფის პოემაში თვით თეიმურაზ პირველი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ ულმობელი იყო ბაზალეთის ომი: „დაუკოდელი ვერ მოვრჩით, იმ წამს არ იყო ტკივილი, თუმც მაშინ ვერ შევიგნევით, მერმე შეგვექნა ჩივილი".

იმდენად იყვნენ გააფთრებულნი, რომ ჭრილობასაც კი ვერა გრძნობდნენ. ჟინი ბრძოლისა და თავგანწირვა სძლევდა ტკივილს, აჩუმათებდა.

როცა ვახსენებთ ბაზალეთის ომს, მყისვე გვახსენდება გიორგი სააკაძის, ზურაბ არაგვის ერისთავისა და თეიმურაზ პირველის სახელები. მაგრამ ამ თავზარდამცემ და დაუვიწყარ ომს მეოთხე გმირიც ჰყავს, ვისი სახელიც, ვაგლახ, დავიწყების ზღვაში ჩაძირულა. დიახ, თითქმის არავის ახსოვს იგი მიუხედავად იმისა, რომ ბაზალეთის ომის ბედი სწორედ ამ მეოთხე გმირმა გადაწყვიტა. სწორედ მისი მეოხებით მოხდა, რომ გამარჯვების სასწორი იქით გადაიხარა, საითაც უნდა გადახრილიყო ისტორიული კანონზომიერების შესაბამისად.

ბაზალეთის ომის მთავარ გმირთაგან მეოთხე გახლავთ ედიშა ვაჩნაძე. განგებამ იგი აირჩია თავის იარაღად და მიანდო საგანგებო მისია.

ვინ იყო ედიშა ვაჩნაძე?

მკითხველთა უმრავლესობას, ალბათ, გაუჭირდება პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე, ვინაიდან ბედმა არ გაუღიმა ედიშას ხსოვნას და ბუმბერაზთა ჩრდილში მიუჩინა ბინა, თუმცა ჩვენი წარსულის მემატიანეთა — არჩილ მეფის, ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებში ედიშა ვაჩნაძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ედიშა ვაჩნაძის სახელი ბაზალეთში დაიგრიალებს.

თურმე ბაზალეთში ელოდა თავისი ხანმოკლე ცხოვრების ყველაზე ელვარე და მღელვარე ჟამი. თითქოს მხოლოდ და მხოლოდ საბაზალეთოდ მოევლინა საწუთროს.

არჩილ მეფის პოემის მიხედვით, სწორედ ედიშა მოუწოდებდა ბაზალეთში საომრად გამზადებულ თანამებრძოლთ: ეცადენით, რომ მოურავი მოიხელთოთ და კარგად დაუხვდეთ, თორემ თუ ცოცხალი გადაგვირჩა, უარეს დღეში ჩაგვაგდებსო.

გულჯავრიანი წარმოთქვამს: „საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წავხდეთ?!"

ვახუშტი ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს ედიშას მოწოდებას: „ეცადენით სიკვდილსა მოურავისასა, რამეთუ იგი აღაშფოთებს ქვეყანასა".

ბუნებრივია, რომ მკითხველს დაებადოს შეკითხვა — ასე როგორ გაიმეტეს ქართველებმა სწორუპოვარი გმირი და მხედართმთავარი გიორგი სააკაძე, მეთაური მარტყოფის აჯანყებისა, რომელმაც „გათათრებისგან" იხსნა ქვეყანა?

სიმართლეს ვერსად გაექცევი. მოხდა საოცარი ფერიცვალება. ძალაუფლების მაცდუნებელმა ხიბლმა მონუსხა და დაატყვევა დიდი მოურავი. გზა-კვალი აუბნია, უფლის სამსახური დაავიწყა და ეშმას დაუყენა მსახურად. მისმა აწეწილ-დაწეწილმა ცხოვრებამ ისევ იცვალა ფერი. შესაშური თავდადება სამშობლოსათვის წალეკა თავკერძობისა და პატივმოყვარეობის მღვრიე ნაკადმა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას უკავშირდება სასახელო მარტყოფიც და საძრახი ბაზალეთიც.

უნიჭიერეს სარდალსა და უშიშ მეომარს შეეჭიდა პირადი ინტერესებითა და ბატონობის წყურვილით დაბრმავებული პოლიტიკოსი. გულზვიადობა გვერდით ამოუდგა გულოვანებას და დაჩრდილა. თავისი ძალისა და ჭკუა-გონების გაზვიადებულმა შეფასებამ, თვითგანდიდების დაუძლეველმა ჟინმა წარმოუქმნა ახირებული აზრი იმის თაობაზე, რომ სამეფო გვირგვინის საკითხი მის ნება-სურვილს უნდა გადაეჭრა.

სრული სიმართლეა, რომ მარტყოფის გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძემ გონიოდან იხმო თეიმურაზ პირველი და ქართლ-კახეთის ტახტზე აიყვანა, მაგრამ მეფემ მეფობა ინება, დიდი მოურავის მარიონეტობა როდი ეწადა. მაშინ სააკაძემ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დასვა ქართლის გამგებლად. მერე ესეც დაიწუნა და ახალგაზრდა, გამოუცდელი ალექსანდრე ბატონიშვილი, იმერეთის მეფის ძე, მოიწვია ქართლში

საბატონოდ. ალბათ ფიქრობდა, უფრო იოლად დავიმორჩილებ და ჩემს ჭკუაზე ვატარებო.

ერთი სიტყვით, არჩილისეული „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ სწორედ დიდ მოურავზე არის ზედგამოჭრილი და შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ეს ფრთიანი გამოთქმა ბაზალეთის ომად გადაქცეული კონფლიქტის (სააკაძესა და ზურაბ ერისთავს შორის) აღწერილობაში გვხვდება:

„ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

ამტკიცებენ ხოლმე, დიდ მოურავს საქართველოს გაერთიანება ეწადაო. ეს დებულება სტალინის მიერ არის ნაკარნახევი (სიჭაბუკეში წაკითხული ანტონ ფურცელაძის აპოლოგეტური თხზულების გავლენით), მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ისევ და ისევ იმეორებენ, ამ დებულებას წყალი არ გაუვაო.

ქართლის მეფედ იმერეთის ტახტის მემკვიდრის გამოცხადებას ვერც ქართლის ფეოდალები მოითმენდნენ და ვერც სეფიანთა ირანის ხელისუფლება შეეგუებოდა ქართლ-კახეთის მოქცევას ოსმალეთის გავლენის სფეროში.

საქართველოს გაერთიანება ეწადაო... და ამ იდეის განხორციელება იმით დაიწყო, რომ ბაზალეთში ერთმანეთს შეატაკა ქართლისა და კახეთის მკვიდრნი. უფრო მეტიც, ერთი ქართლი მეორეს დაუპირისპირა ანუ მუხრან-ბატონისა და ქართლის სხვა ფეოდალთა ჯარი — თეიმურაზ მეფის მხარეზე მყოფი ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახორის ჯარს.

დიახაც საკვირველია, რომ თავისივე ბრძოლით მოწეულ ნაყოფს ერთი სულის შებერვით ქარს ატანდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ბაზალეთში რა ესაქმებოდათ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს მოლაშქრეებს? ეს ხომ ოსმალეთის ხელისუფალთაგან იყო ნაბრძანები!

დიდმა მოურავმა ორ მტრულ ბანაკად გახლიჩა ისედაც დაქუცმაცებული ქვეყანა.

საქართველოს გაერთიანების წადილი როგორ უნდა მივაწეროთ ღვთივკურთხეული მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალს, რომელიც ოსმალთა მიერ „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანად“ იყო აღიარებული?

განა მარტყოფ-მარაბდის შემდეგ უკანდახეულ შაჰ-აბასთან მორიგების გზა, რომელსაც თეიმურაზ მეფე დაადგა, უფრო გონივრული არ იყო, ვიდრე ყიზილბაშთა წინააღმდეგ ოსმალეთის დახმარების ხელახლა ძიება?

თეიმურაზ მეფის პოლიტიკური კურსი გაცილებით ხელსაყრელი იყო მრავალ ჭირგამოვლილ ქვეყნისათვის. ხოლო მორიგების თაოსნობა, ვიმეორებ, ისპაანიდან მოდიოდა. საქართველოს დაპყრობაზე იქ აღარც კი ოცნებობდნენ.

ბაზალეთის ომი არ ყოფილა სამოქალაქო ომი ანუ იდეათა შეჯახების ასპარეზი. ჩვენდა სავალალოდ, ეს იყო ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების მეორეხარისხოვანი ეპიზოდი, სცენის კულისებში რომ გათამაშდა.

ოსმალეთის ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელის თანახმად, ბაზალეთის ომის წინ სააკაძისათვის დახმარების გაწევა დაევალათ ჩილდირის, ბათუმის, ტრაპიზონისა და არზრუმის ფაშებს, იმერეთის მეფეს, ოდიშისა და გურიის მთავრებს (ეტყობა, ყველამ ვერ მოასწრო ჩამოსვლა).

გიორგი საკაძის გმირული შარავანდედი ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, ცილს ხომ არ ვწამებთო? ეგებ, სხვები უფრო სცოდავდნენ? დიდი მოურავის მეტოქენი, რა თქმა უნდა, უმანკონი და უზაკველნი არა ყოფილან.

უგვირგვინო მეფობის მეორე პრეტენდენტს — ზურაბ ერისთავს არაფრად ეპიტნავებოდა მოურავის უზომო განდიდება ანუ მისი „უფროსობა“ თვითონ ზურაბზე და მთელს ქართლზეც. სამი-ოთხი წლის შემდეგ ისიც წაეპოტინება ქართლის რეგენტობას. „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ — ამ დევიზს არც ზურაბ ერისთავი იწუნებდა.

რაც შეეხება თეიმურაზ მეფეს, რასაკვირველია, მასაც ძალზე ეუცხოებოდა დიდი მოურავის აღზევება და უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ სრულიად უდროოდ უხსენებდა მოურავს წარსულში ჩადენილ ცოდვებს. ანგარიშს აღარ უწევდნენ, რომ ცოდვები გამოისყიდა. ერთი სიტყვით, სხვებიც სცოდავდნენ, მაგრამ...

მაგრამ ახლა ყური ვათხოვოთ თავად დიდ მოურავს. იოსებ ტფილელი თავის პოემაში „დიდმოურავიანი“ რამდენჯერმე ათქმევინებს სინანულით გამსჭვალულ სიტყვებს: „პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების, რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების“ ანდა: „რაცა მოჰხდა, სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი, ყმა არ უნდა პატრონისა ბრძოლისა და შებმის მდომი“.

თუკი ხვდებოდა, რომ ფეოდალის ამბოხება მეფის წინააღმდეგ განწირული იყო დასამარცხებლად და დასაძრახად, თუკი იცოდა, რაც მოხდებოდა და არ ეწადა ეს საზარელი ომი, მაშ ვინ უბიძგებდა და ვინ აძალებდა, რომელი ეშმა შეუძვრა სულში, რატომ შეატაკა ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები? რატომ განწირა ათასობით ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე? „სისხლის წვიმების“ ეპოქაში კიდევ ახალი სისხლისღვრა სჭირდებოდა ისედაც სისხლდაცლილ ქვეყანას?

ბაზალეთის ომის დაწყებამდე ზურაბ ერისთავი და კახეთის თავადები თეიმურაზ მეფეს მიმართავენ: ვიცით, მფარველად ღმერთი გყავსო; ურყევ რწმენას გამოთქვამენ, ყმის გამარჯვება პატრონზე არასოდეს გვსმენიაო. ფიცს დებენ, სასიკვდილოდ თავს გადავდებთ, არავის შევეპუებით და ღვთის წყალობით სამართალი გაიმარჯვებსო.

თავის მხრივ, თეიმურაზ მეფე ამაყად აცხადებს: „მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს, არ ვიბრძვი მე ომარითა“ (ომარი ერქვა ალაჰის მოციქულ მუჰამედის უახლოეს თანამებრძოლს). თეიმურაზი, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ ბაზალეთში დიდი მოურავის მხარეზე იბრძოდნენ ოსმალები და გამაჰმადიანებული მესხნი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ მეტყველებს, რომ ედიშა ვაჩნაძის მოწოდებას შთააგონებდა სამშობლოსა და ჭეშმარიტების სიყვარული.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ გიორგი საკაძეს ორთაბრძოლაში გამოუწვევია თეიმურაზ პირველი. რაინდული სულისკვეთებით უხვად შემკული მეფე მზად იყო, რომ შერკინებოდა მოსისხლე მტრად გადაქცეულ მოურავს, მაგრამ დაუშალეს. ზურაბ ერისთავმა ასე მოახსენა: ხელმწიფე ხელმწიფეს უნდა შეებასო, არათუ თავის ყმასაო.

სხვა უნდა გასულიყო ორთაბრძოლაში მეფის მაგივრად და ეს პატივი წილად ხვდა სწორედ ედიშა ვაჩნაძეს. მისი ზემოთქმული მოწოდება მიგვანიშნებს, რომ ყველაზე მეტად იგი ნატრობდა მოურავთან შებრძოლებას და აუხდა კიდეც საწადელი. აკი ამბობდა: „საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წავხდეთ?!“

არჩილ მეფე, ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი ბატონიშვილი ერთხმად გვაუწყებენ, რომ ედიშა ვაჩნაძე უმუზარადოდ გასულა ბრძოლის ველზე.

სავსებით გასაგები იყო გიორგი საკაძის ამგვარი შემართება მარაბდის ომში ყიზილბაშთათვის თავზარის დასაცემად, მაგრამ უმუზარადო ედიშა დიდ მოურავს როგორ შეაშინებდა?!

ალბათ ახალგაზრდულმა თავმოწონებამ სძლია და უსაზღვროდ გაათამამა. თითქოს წარმოთქვამდა თავდაჯერებით: არც მოურავისა და არც სიკვდილის არ მეშინიაო.

არჩილ მეფის პოემაში საყვედურიც ისმის ედიშას მისამართით: „უმუზარადოთ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია“.

ედიშა, „ვითაც ელვა სიჩქარით“, დაიძრა მოურავისკენ, მიუახლოვდა და შუბი აძგერა. საკაძემ მარჯვედ დაახვედრა ფარი და შუბი შეიმტვრია. ახლა მისი ჯერი დადგა და ედიშას ფარმა შეიმტვრია საკაძის შუბი. მერე ედიშამ ხმლით შეუტია, მუზარადი გაუტეხა, მართალია „გერში ვერ ააღებინა“ (ე.ი. ჭრილობა ვერ მიაყენაო), მაგრამ „ნამეტნავად შეაღონა მოურავი“.

გიორგი საკაძემ ხმამაღლა შეუძახა: ნეტავი იმ ყმასაო, ვინც თავის პატრონს ენაცვალოსო; ხმალი დაჰკრა შიშველ თავს და შუაზე გაუჩეხაო.

ასე დაიღუპა ოცდაოდე წლის თავგანწირული რაინდი ედიშა ვაჩნაძე ბაზალეთის ომში და მისი სახელი სამარადისოდ გადაეჭდო ამ ავადმოსაგონარ ალაგს.

მაგრამ ამაოდ როდი გარჯილა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „იმ ყმაწვილის ხმლის ცემას მოურავი უღონო შეექნა. თვითონ ომი ვეღარ შეიძლო და სხვათა ომს უმზერდა“.

მთავარსარდლის გამოთიშვა ბრძოლიდან, უთუოდ, გულს გაუტეხდა მის მეომრებს.

ბერი ეგნატაშვილი ამბობს, ბაზალეთის ომში კაცი არ დარჩენილა დაუჭრელი, თეიმურაზიც და მოურავიც დაიჭრნენო. ამ შემთხვევაში ბერი ეგნატაშვილი უფრო მართალი უნდა იყოს. ჭრილობა რომ არა, ასე იოლად როდი შეღონდებოდა გიორგი სააკაძე და თუკი ვენდობით ამ ცნობას, ალბათ, სწორედ ედიშა ვაჩნაძეს დაუჭრია დიდი მოურავი.

განგება თითქოს ამ ერთი საბედისწერო შერკინებისათვის ამზადებდა და წვრთნიდა ედიშას. ამ ერთადერთი ნახტომით ეწერა შესვლა უკვდავების სამყაროში. განგებამ წილად არგუნა ხანმოკლე გამოჩენა ისტორიის ავანსცენაზე. მართლაც. რომ მეტეორივით ჩაიქროლა. ერთდროულად გამოსცადა თავბრუდამხვევი აღზევებაც და მწარე აღსასრულიც.

კითხულობ ქართველ მემატიანეთა ნაწერებს, ყოველ სიტყვას ჩაჰკირკიტებ და გულზე კაეშანი განვება უბადლო რაინდის ნაადრევი სიკვდილის გამო.

ყმაწვილიო, ასე მოიხსენიებს ფარსადან გორგიჯანიძე. მაშასადამე, ოცი წლისაც არ იქნებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სახელად ედიშერი ერქვა. ჩანს, მოფერებით ეძახდნენ „ედიშას“.

ვკითხულობთ გარდასულ ჟამთა აღწერილობას და ეგებ მოგველანდოს კიდეც მეფის ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი, უმუზარადო და შუბშემართული რომ მიისწრაფვის ბაზალეთის ომის მთავარი ავტორის დასახვედრად. უნდა შეერკინოს მთელს დუნიაზე სახელგანთქმულ გმირსა და სარდალს. არც მისი დიდი სახელი აკრთობს, არც მისი ღონე აშინებს. წარბშეუხრელად უსწორებს თვალს მოსალოდნელ განსაცდელს, რადგან მტკიცედ სწამს, რომ ამას მოითხოვს საქვეყნო საქმე და მამულიშვილის ადამიანური ღირსება.

საბრძოლველად გულანთებული ჭაბუკი მეფის ცხენს მიაგელვებს და სიცოცხლეზე მეტად სწყურია — ანგარიში გაუსწოროს მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ ფეოდალს, რომელიც განასახიერებს იმ ძველისძველ სატკივარს, დღენიადაგ რომ სტანჯავდა საქართველოს და ფრთებს უკვეცავდა.

ჭაბუკი გამალებით მიეშურება იქით, სადაც ელოდება სიკვდილი გიორგი სააკაძის ხელთაგან. და, ვაი რომ, ვერც სახელ-დიდებას მოიხვეჭს თავისი უმაგალითო თავგანწირვით. მომავალში კერპად შერაცხულ გმირზე ხმლის აღმართვას ავად ჩამოართმევენ ანდა გულგრილი დუმილით დააჯილდოებენ.

მაგრამ ედიშა სახელ-დიდებისათვის როდი მიელტვის საბედისწერო ორთაბრძოლას. იგი უყოყმანოდ თმობს ამქვეყნიურ სიამეთ, ოღონდაც ვალი მოიხადოს სამშობლოს წინაშე და ერთგულება დაუმტკიცოს ღვთივკურთხეულ მეფეს.

ერთი ჭრილობაც რომ აგემო გოლიათს, გამარჯვება აღარ უწერია!

ბაზალეთში ალაგმეს უგვირგვინო მეფობის ყველაზე მძლავრი პრეტენდენტი და ბაზალეთის ომმა უკვდავება მიანიჭა ედიშას სახელს.

ისევ და ისევ მოგელანდება, რომ შუბშემართული ჭაბუკი ცხენს მიაჭენებს უკვდავებისაკენ გაჭრილ ვიწროსა და კლდოვან ბილიკზე.

ბაზალეთში დამდგარა მისი ცხოვრების უკანასკნელი დღე — ყველაზე მწარე და, იმავდროულად, ყველაზე ლამაზი.

უსასრულო გზაზე მარადიულ საგზლად მიჰყვება ვეფხისტყაოსნის აფორიზმი: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“.

და წარსულის ამსახველ მატიანეებს სათუთად შემოუნახავთ მომხიბლავი სახელი — ედიშა ვაჩნაძე.

იყო თუ არა მკვლელობა შეკვეთილი

1630 წლის 18 აგვისტოს სხვილოს ციხე-სიმაგრეში (შიდა ქართლი) მოხდა მკვლელობა.

მოკლულის ვინაობა — ქართლის ვალი (ანუ შაჰის ნაცვალი) სვიმონ-ხანი. ხანდახან მეფედაც მოიხსენიებდნენ ხოლმე. სარწმუნოებით მაჰმადიანი.

მკვლელის ვინაობა — ზურაბ არაგვის ერისთავი. სარწმუნოებით ქრისტიანი.

ქართლის ბაგრატიონთა ახალგაზრდა ნაშიერი მოკლეს ძილში — ნაქეიფარი, უიარაღო, უმწეო. ამქვეყნიდან წასვლას იმქვეყნად ვერც კი მიხვდებოდა და ვეღარც გაოცდებოდა, რომ იგი განწირა იმ კაცმა, ვისაც უზომოდ ენდობოდა და მამობილად თვლიდა.

თითქოს ყველაფერი ნათელია. ცხედარიც ადგილზე არის და არც მკვლელია საძებნელი.

მაგრამ პოლიტიკური მკვლელობისას, დღესაც და წარსულში, მყისვე იბადება ხოლმე ეჭვი, რომ ბრალდებულთა ოდენობა ერთი კაცით არ შეიძლება შემოიფარგლოს. თითქმის ყოველთვის წამოიჭრება კითხვები — ვინა დგას მკვლელის ზურგს უკან? ვინ ჩააგონა დანაშაული? ვინ მოიხვეჭს სარგებელს ჩადენილი ბოროტმოქმედების შედეგად?

ამგვარი კითხვები, საკმაოდ ხშირად, უპასუხოდ რჩება და საიდუმლოების ფარდას ახდა არ უწერია. ეჭვი და თუნდაც საფუძვლიანი ვარაუდი ჭეშმარიტების ადგილს ვერ დაიჭერს. იდუმალების ნისლი, ალბათ, ვერასოდეს გაიფანტება.

სვიმონ-ხანის მკვლელობასთან დაკავშირებით წლების მანძილზე ტრიალებდა ბრალდება თეიმურაზ პირველის მისამართით. მაგრამ ვერც მაშინ გაირკვა ვერაფერი და დღესაც არ არის ეჭვმიუტანლად დადგენილი, მიუძღოდა თუ არა ბრალი კახეთის მეფეს — ქართლის მეფის მკვლელობაში.

ისევ ეჭვებისა და ვარაუდების ტყვეობაში ვიმყოფებით. ლამის ოთხი საუკუნე გასულა მას შემდეგ და, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია კატეგორიული მსჯავრის გამოტანა, როდესაც მხოლოდ არაპირდაპირი სამხილები მოგვეპოვება. მოწმეთა დაკითხვა და დაპირისპირება, ვაი რომ, გამორიცხულია.

ჩვენში, არცთუ იშვიათად, მავანთა და მავანთა უკიდეგანო ამბიციების დასახატავად იმოწმებენ ხოლმე არჩილ მეფის სტრიქონებს: „ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

უკეთესად მართლაც რომ ვერ იტყვი! მეფე-პოეტის სახელი მარტოოდენ ამ აფორიზმითაც შეიძლება დარჩენილიყო ძველ მელექსეთა გაცხრილულ ნუსხაში.

„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ რასაკვირველია, საყოველთაოდ გავრცელებული ფენომენი გახლავთ. მაგრამ საქართველოში, ეტყობა, უფრო ღონივრად იყო ფესვგადგმული, უფრო გამოკვეთილი იერი ჰქონდა. საისტორიო წყაროებში შემონახული მასალა თვალსაჩინოდ ადასტურებს ხსენებულ აფორიზმს, უკურნებელი „ქართლის ჭირის“ გასაღებად რომ გამოდგება. საუკუნეთა შარაზე ჩრდილივით მოგვდევდა, წარმატებით მოუღწევია ჩვენს დრომდე და, ალბათ, მომავალშიც არ გაგვეყრება.

როგორც ზემოთ ითქვა, ეს აფორიზმი გვხვდება პოემის იმ ეპიზოდში, სადაც თეიმურაზ პირველი მოგვითხრობს ბაზალეთის ომის პრელუდიას ანუ გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის ქიშპობას.

ბაზალეთის ომში დამარცხებამ დიდ მოურავს სამშობლოდან გადახვეწა აიძულა.

ბურთი და მოედანი ზურაბ ერისთავს დარჩა. იგი სააკაძის ხელთ იყო გაზრდილი, მისი ცოლისძმა იყო. უგვირგვინო მეფობის ჟინიც, ეგებ დიდი მოურავისგან გადაედო.

თეიმურაზ მეფის სიძე რომ გახდა, კიდევ უფრო გაშალა ფრთები.

„ქართლის ცხოვრება“ ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს არაგვის ერისთავის „განდიდებას“; პირველად: „ხოლო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა უდებდა მოურავსა თავსა“.

ამას მოჰყვა ბაზალეთის ომი.

მეორედ: „ამა ჟამსა შინა უფრო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა დაუდვა ბატონს თეიმურაზს თავი“.

არაგვის ერისთავი უკმაყოფილო იყო იმით, რომ დიდ მოურავთან ერთად ოსმალეთში გადახვეწილი ქაიხოსრო მუხრან-ბატონის სამფლობელო თეიმურაზმა თავის ვაჟს მისცა, თუმცა ბაზალეთში გამარჯვების შემდეგ თავად ზურაბი ფიქრობდა სამუხრანოს დაპატრონებას.

ამიტომაც განუდგა თავის სიმამრს. ქართლის ტახტის უზურპატორად მიჩნეული მეფე კახეთისა ქართლიდან განდევნა და კანონიერი უფლებანი აღუდგინა ქართლის ბაგრატიონთა ჩამომავალს — ათიოდე წლის წინათ შაჰ-აბასის მიერ ქართლის გამგებლად დანიშნულ სვიმონ-ხანს, რომელსაც იმხანად მხოლოდ თბილისი და სომხით-საბარათიანო ეჭირა.

განდიდებულ-აზვავებულ ფეოდალს არაფრად ეჭაშნიკებოდა ორთავ ტახტზე ერთი მეფის ბატონობა. მისი გულისწადილი ის იყო, რომ თეიმურაზი კახეთში დატეულიყო, სვიმონს ქართლში ემეფა და მათი მრჩეველი თუ საქმეთა წარმმართველი თვითონ ყოფილიყო.

ზურაბ ერისთავის გარჯით ქართლის ტახტზე წამოსკუპებული სვიმონ-ხანი დიდად ემადლიერებოდა თავის მწყალობელს, სიყვარულით „მამას“ ეძახდა, იყო მისი მორჩილი და მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა.

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ამისი მხილველი და უღონო ქმნილი ბატონი თეიმურაზ წარვიდა წინაშე ყეენისა და უფადარიდამ მოსწერა ზურაბს: შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა. გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი, და სვიმონისა“.

ირანის ახალ შაჰთან საჩივლელად წასული თეიმურაზი ნუთუ აინუნში არ აგდებდა იმ გარემოებას, რომ ისპაანში ფრიად კმაყოფილნი იქნებოდნენ ზურაბ ერისთავის მიღწევით — ყიზილბაშთა დაუხმარებლად, წვეთი სისხლის დაუღვრელად რომ გააბატონა ქართლში მაჰმადიანი სვიმონ-ხანი.

ნუთუ არც იმას უწევდა ანგარიშს, რომ სეფიანთა სამეფო კარზე უდიდესი გავლენით სარგებლობდა მკვიდრი ბიძა სვიმონისა, ირანის ყულარაღასი ხოსრო-მირზა (შემდგომში — როსტომ, მეფე ქართლისა), ვისი წყალობითაც ირანის ტახტზე ავიდა შაჰ-სეფი, შვილიშვილი შაჰ-აბასისა, და ამიტომაც, როგორც წერენ, „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა“.

თეიმურაზს, ალბათ, იმამყული-ხან უნდილაძე ეგულებოდა იმედად. ევროპელთაგან ირანის „მეორედ მეფედ“ წოდებული ხანი შირაზისა, უთუოდ, შეაწევდა სიტყვას ურჩი ფეოდალის მიერ დაჩაგრულ ქართველ მეფეს.

ზურაბ ერისთავი, ისევე როგორც გიორგი სააკაძე, ყიზილბაშთა დროშებქვეშ იყო ნამსახური და, გიორგი სააკაძესავით, მასაც მოღალატედ თვლიდნენ ისპაანში — მიუხედავად ახლახან გაწეული სამსახურისა.

ასე რომ, მთლად უიმედოდ როდი გამოიყურებოდა თეიმურაზის გამგზავრება ირანს — ქართველ ფეოდალზე საჩივლელად.

ამავე დროს, იტალიური წყაროს ცნობით, ზურაბ ერისთავს იმერეთიდან ესტუმრა ზებედე ეპისკოპოსი და მკაცრად გაკიცხა იმის გამო, რომ მისი გამოისობით დაიწყო არეულობა ქვეყნისა და გაბატონდა მაჰმადიანი მეფე, ვისაც მიბაძავენ ქვეშევრდომები და უღვთო რჯული მთელ ქართლს მოედებაო.

დასასრულ, ღვთისმსახურს ასე გაუფრთხილებია აზვავებული ფეოდალი: დროზე გამოასწორე შეცდომა, თორემ მახვილი ღვთისა შენს თავზე დაეშვებაო.

ზებედეს სიტყვებს ზურაბის სული ძალუმად შეუნჯღრევია.

არ ვიცით, თეიმურაზის მუქარამ გასჭრა თუ ეპისკოპოსის მუქარანარევმა ქადაგებამ დააფრთხო უშიში და ამაყი ერისთავი.

ეგებ სინდისის ქენჯნა აღუძრა თეიმურაზის წერილმა? აბა რა სათქმელია, სინდისი სათოფეზე არ ეკარებოდა არაერთი ავკაცობის ჩამდენ ფეოდალს, ხევსურეთში სისხლიან საქმეებს რომ თავი დავანებოთ, ჯერ თავის გამზრდელსა და მფარველს გიორგი სააკაძეს განუდგა, მერე თავის სიმამრს — თეიმურაზ მეფეს.

ეგებ ორ ცეცხლს შუა მოქცეული დარეჯანის ხვეწნა-მუდარამ აუჩვილა გული? ქალს იქით მამა ებრალებოდა, აქეთ ქმარს ვერ უტეხდა ხათრს. ეგებ ყველა ღონე იხმარა, რომ შეერიგებინა მტრად გადაკიდებული მოყვარენი?

1628 წლის 14 დეკემბერს გორში რომიდან ჩამოვიდნენ თეათინელთა ორდენის მისიონერები პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო. მომდევნო წლებში მათ შეუერთდნენ არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, კრისტოფორო კასტელი, ჯუსტო პრატო და სხვანი.

ისინი რომის პაპის აგენტები იყვნენ, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოება უნდა გაევრცელებინათ. ხოლო ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის მომავალს უკავშირებდნენ ანუ შემწეობას ელოდნენ ევროპიდან. დასავლური სამყაროს მხარდაჭერა სწყუროდათ, რათა თავი დაეცვათ აღმოსავლეთის ტოტალური შემოტევისგან, წალეკვით რომ ემუქრებოდა ქართულ მიწას, ქართულ სულსა და ქართულ სიტყვას.

1630 წლის 3 აგვისტოს პიეტრო ავიტაბილე, წინამძღვარი თეათინელთა მისიონისა, დროებით გაბრუნდა რომში თავისი კოლეგების ჩამოსაყვანად.

ჯაკომო და სტეფანო გორიდან რომს გაგზავნილ წერილში (დათარიღებულია 1630 წლის 18 ნოემბრით) საქართველოში მომხდარ ახალ ამბებს აუწყებს პიეტრო ავიტაბილეს.

ჯაკომოს სიტყვით, აგვისტოს შუა რიცხვებში სვიმონ-ხანი წასულა საამილახოროში, რათა იქაური მამულები, რომლებიც ქართლიდან განდევნილი თეიმურაზ მეფის მომხრეებს ეჭირათ, თავისიანებისათვის გაენაწილებინა.

ამასობაში, ზურაბ ერისთავი, სამი ერთგული აზნაურის თანხლებით, მოულოდნელად თავს დაესხა სვიმონ-ხანს, რომელიც სხვილოს ციხე-სიმაგრეში დიდი ლხინის შემდეგ ტკბილ ძილს მისცემოდა; მძინარეს თავი მოჭკვეთა და ხელში მიაჩეჩა თავის სიძეს — გიორგი ჩერქეზს, რათა დაუყოვნებლივ მიერთმიათ ძღვნად თეიმურაზ მეფისათვის.

მერე გაეშურა თბილისის მახლობლად მდებარე სოფელ წავკისში, სადაც ს

მაშასადამე, სვიმონ-ხანის მკვლელობა ხელსაყრელი გამოდგა, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზისათვის და სწორედ მას მოუტანა სარგებლობა.

ფარსადან გორგიჯანიძე, როსტომ მეფის გაზრდილი და მისი უერთგულესი მოხელე, სვიმონ-ხანის მკვლელობის ამბავს ასე გადმოგვცემს:

თეიმურაზმა ერთი ჩერქეზი, სახელად გიორგი, შეუჩინა ზურაბ ერისთავს, თავისი ასულის მიცემას და თიანეთის ბოძებას შეჰპირდა სვიმონ-ხანის მკვლელობის საზღაურად. ჰგმეს პატრონყმობა და შეცვალეს ღმერთზე ფიციო.

ეს ცნობა ზოგჯერ დაეჭვებას იწვევს ხოლმე, ვინაიდან თეიმურაზ მეფე სვიმონ-ხანის მკვლელობისათვის ჯილდოდ თავის ასულს ვერ შეჰპირდებოდა ზურაბ ერისთავს, რომელიც ოთხი წლით ადრე დაქორწინდა მასზე. მაგრამ ეს ლაფსუსი ვერ გააქარწყლებს აღნიშნულ ცნობას. საქმე ისაა, რომ იგივე ინფორმაცია (მითითებული ლაფსუსის გარეშე) დამოწმებულია ე.წ. „პარიზის ქრონიკის“ ფურცლებზე:

„იმავ წელიწადს ამდონი ისარჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და სიძე ერისთავი ზურაბ და მისივ ყმა, ჩერქეზი გიორგი, მოღალატეთ შეუყენა და მძინარე ბატონი სვიმონი ცხვილოს დააკვლევინა“.

ორივე ავტორის თხრობა უნდა ეყრდნობოდეს როსტომ მეფის გუჯარს, 1648 წლით რომ არის დათარიღებული.

ივანე ჯავახიშვილი, აღძრულ საკითხზე მსჯელობისას, ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ თეიმურაზის როსტომთან შერიგებისას (მომდევნო ხანებში) მისთვის კახეთის სამი სოფელი მიუცია „ნასისხლად“ და ამით თითქოს თავისი ერთგვარი მონაწილეობა და ბრალი დანაშაულის ჩადენაში მდუმარედ დაუდასტურებია.

ნიკო ბერძენიშვილი უფრო კატეგორიულად წერდა: „თეიმურაზ მეფე იმდენს ეცადა, რომ მამულით გაუმაძღარი ერისთავი გადაიბირა. სიმამრმა სიძეს სვიმონ-ხანის მოკვლა შეუკვეთა და ჯილდოდ თიანეთს შეჰპირდა“.

მაშ შეკვეთილი ყოფილა მკვლელობა სვიმონ-ხანისა?

არ არის გამორიცხული კიდევ ერთი ვარაუდი — ყველაზე სარწმუნო და დამაჯერებელი: ზურაბ ერისთავმა მოკლა სვიმონ-ხანი ყოველგვარი დავალებისა თუ შეკვეთის გარეშე, მაგრამ ცხადზე ცხადია ისიც, რომ ეს ჩაიდინა შემკვეთად შერაცხული თეიმურაზ მეფის საამებლად, სიძე-სიმამრს შორის ჩატეხილი ხიდის გასამთელებლად.

თეიმურაზ პირველი ყველაფერს იღონებს, რომ წამოყენებული ბრალდება წაშალოს და სეფიანთა სამეფო კარის წინაშე თითქოსდა ახერხებს თავის გამართლებას... ზურაბ ერისთავის მოკვეთილი თავით.

დასასრული შემდეგ ნომერში

ცირა ყურაშვილი

ორი ჩანახატი

„...თავი — აუცილებლად!“

ქუთაისის ბულვარი — ძველიდან ახალი. ბაღს აღარ — სასაფლაოს ჰგავს. ამაზე ყველა თანხმდება. ბულვარია მაინც. დროგაჩერებული, ზედროული.

ნოემბრის დასაწყისია, ბაღის გრძელ სკამებზე თბილა, ნამი და სისველე ამშრალია. გულისხმეთქვით ჩავლილ საპარლამენტო არჩევნებს ავანსცენა შეუცვლია, მხოლოდ ბაღისკიდის „პარლამენტის“ ძირითადი შემადგენლობაა უცვლელი. პოლიტიკური ამინდი არა, აქ მხოლოდ ბუნებრივი და ფატალური გამოხშირვის კანონი მოქმედებს.

ბანკები ხალხით არის გადატენილი, საარჩევნო კომისიის წევრობის ანაზღაურების მიღებისთვის რიგებია, რიგში ვარ მეც, ოღონდ მას ბულვარში, სუფთა ჰაერზე ველოდები.

მახლობელ მერხზე ბაღისკიდის „პარლამენტარები“ სხედან, პენსიონრები, ძველი ბიჭები, ქურდულ გარჩევათა მომსწრენი და ხუმრობა-გლახაობაში ჭიპმოჭრილნი: ჯიხურიდან გაზეთი გამოუთხოვიათ, კითხულობენ, კვიმატობენ, ზოგნიც ფეხზე დგანან და ასე, ზეზეულად ატანენ გემოს ხუმრობას: — „გგონია კაჟი ქვით ნონას ვერ დაიგდებ? ა, ელაპარაკე ახლა ამას...ქვაკაჟს რა ძალა აქვს?!“

დიდი ენერგეტიკა აქვსო, ბატონმა რეზომ, ერთხელ, აქეთ ჩამოსეირნებისას: „კაჟი ესე, ტვინით სავსე გაქვავებული თავის ქალააო“, და პაოლო იაშვილის ქუჩას რომ შევუყევით, ნაღვარევში ერთ დიდ ქვაკაჟს, როგორც ექსპრომტს, ისე გადავაწყდით.

— პაოლომ „ქიმერიონში მაგიდებს ჩამოუარა, ფული ითხოვაო, სირცხვილით გაწითლებული 20-იანი წლების პრესის მიმომხილველი წერს და ეს იყო პაოლოს „შემოწირულობის ექსპრონტიო“. — ჩვენი „ექსპრონტიც“ ესაა — მოულოდნელად ნაპოვნი ქვაკაჟი. ამ „ექსპრონტით“ არის ამოგებული სოლომონ პირველის ქუჩაზე, ქვემოთ, საფიჩხიის თავდაღმართში გალავანი და ამითვეა მოფენილი გალავანსიქით იგივ ეზო ბატონი რეზოსი. მეც ხომ იისფერ, თუ იასამნისფერზოლიან ქვაკაჟს მამსგავსებს.

მეგაზეთეს კი ჯიხური მიუტოვებია და იქვე, თავზე ადგას „პარლამენტარებს“, ისინიც გაზეთს უცერემონიოდ უბრუნებენ. „კაჟის ფხვნილი არის თურმე, რაც არის. ა, კიდო, არ სჯერა... მაგ ქვაკაჟს გარეცხავ და ჩადებ წყლიან ქილაში. დაიწყებს გახსნას წყალში. დალევ — დაგაკლებინებს, რაფერ, იცი? ჩაიხედავ სარკეში: ყურები, ა, აგერ, მოსულა ცხვირთან... ოღონდ ვიდრე მკურნალობას შეუდგები ჯერ თავი უნდა გაიზომო. თავი -აუცილებლად!“.

„ზანგი არა, ჩასწერეთ მავრი“...

„გთხოვთ ამ ტრაგედიის მკითხველებს წაკითხვის წინად ტექსტი ასე შეასწორონ: „საცა ნათქვამია ზანგი, ყველგან ზანგის მაგივრად მავრი ჩასწერონ“. ეს „ოტელოა“, ვენეციელი მავრი, ივანე მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ, დაბეჭდილი ტფილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში, 1888 წელს. სტამბა ექვთიმეს საკუთარ სახლებში ჰქონია (ასეა მითითებული ფორზაცზე). წიგნის ბოლო ფურცელი მთარგმნელს შეცდომების გასასწორებლად დაურთავს: „გთხოვთ ამ ტრაგედიის მკითხველებს წაკითხვის წინად ტექსტი ასე შეასწორონ: „საცა ნათქვამია ზანგი, ყველგან ზანგის მაგივრად მავრი ჩასწერონ“. რა ხდება? „ქსენოფობიის“ შიშნეული აჩრდილი დასდევს თუ კეთილხმოვანებას ელტვის მთარგმნელი? დაუზარელ მკითხველსაც, ქსენაფონტე მიქაუტაძეს (ხელრთვაც ერთვის-ქსენაფონტე მიქაუტაძე) 1900 წელს მორჩილად გადაუხაზავს მითითებული სიტყვები და საუცხოო, დახვეწილი, სტამბურ შრიფტს, — დღევანდელ „ლიტერატურულს“ — მიმგვანებული კალიგრაფიით უსწორებია — ზანგი — მავრი... მარგინალიიდან ასე ჩანს, ყოველშემთხვევაში. საუკეთესო თანაზიარება, თანაარსებობა (კოჰაბიტაცია) მთარგმნელ — მკითხველისა, ივანე მაჩაბლისა და ქსენაფონტე მიქაუტაძისა. არმცნობთა და ვერ დამნახავთა (არც დაიჯერებდნენ), დღევანდელი, აზიური, ჩინურ-ინდო-აფრიკული სახეებით გადაჭრელებულ-გადამავრებულ საქართველოსი.

იყვნენ სხვა მკითხველებიც, სხვა ინტერესით, სხვა ხასიათით, რა ვუყოთ, მერე, სულ სხვა წლებში, აქეთ და აქეთ!

საუცხოოო კალიგრაფია: თეო! (სახელი ხაზგასმულია) 1933 წელი, 26 აგვისტო, შაბათი დღის 10 საათი, ჩვენი ბიბლიოთეკის ფანჯარასთან ჩაიარა მიშამ (მიშა ხაზგასმულია) ავტოთი. ამოიარა 1 საათზე, ჩაიარა კიდევ 5-ზე, რამი (რამი ხაზგასმულია). წარწერას რეზოლუციასავით ადევს კიდეში სხვა ხელწერა, გაკრული ხელით: „გეტყობათ, რომ შეყვარებული ხართ“. ყმაწვილის ხელია, მამრის ხელი.

ქუთაისი, ანტონ ლორთქიფანიძის წიგნ-საცავ სამკითხველო, ხვატია, ბულვარში თუ შეირხევა სიო მსუბუქად. ორი დღეა მარიობამდე, ეს დღე ერთ ჯაჭვში ჩააბამს და გაათანაბრებს მთარგმნელ- წამკითხველს დღევანდლამდე.

ივანე მაჩაბელი — „ზანგი არა, ჩასწერეთ მავრი“...

---

1. ზანგი — კაცი შავი, ზანგელა (უცხ. შავწითელი)

2. მავრი — სხვათა ენაა, ქართულად ლურჯი ჰქვიან, სულხან-საბა

როსტომ ჩხეიძე

და სიყვარულის ასე მოთმენა

პიესაში წარმოსახული ცხოვრება ყველასთვის ადვილი აღსაქმელი გახლდათ, ადვილი შესათვისებელი და ყველას გულში ხვდებოდა.

— ხანუმა, აკოფა, თავადი ფანტიაშვილი — სულ ჩვენები არიან, ჩვენი ენით ლაპარაკობენ; ამათი ლაპარაკი, დარდი, მხიარულება, ამათი ავი და კარგი, ნაკლი და ღირსება გვესმის, არც გვეუცხოება, — ყველა ეს ჩვენის თვალით გვინახავს, ჩვენის ყურით გაგვიგონია.

ამიტომაც იყრიდა დიდძალი ხალხი თავს ამგვარ წარმოდგენაზე.

ეს გარემოება იზიდავდა თეატრში.

— მოსაწონია თუ არა მაჭანკალ-ხანუმას ოინბაზობა, მატყუარობა, აკოფას ლოთიბაშობა და ქეიფობა, ფანტიაშვილის სასაცილო და არასაქებური საქციელი, — ეს სულ სხვა საქმეა, ამას ყველა ისე განსჯის, როგორც ჭკუა და გონება უჭრის, როგორც განათლება, გონების განვითარება, ზნეობის სიდიდე ხელს უწყობს.

სტრიქონსა და სტრიქონს შუა აშკარად გამოსჭვივის, რომ თვითონ ილია დიდად არაა მოხიბლული არცერთი ამ პერსონაჟით და ღრმა გონების საზრდოდ მაინცდამაინც არ მიიჩნევს, მაგრამ თუკი ხელაღებითაც არ იწუნებს და დიდძალი ხალხის ასეთ დაინტერესებას საკმაო ანგარიშს უწევს, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ ხედავს და გრძნობს ამ პიესის რაღაც ხიბლსა თუ მადლს, რაღაც ანდამატს, ადვილად რომ ვერ გაიმეტებ და... ვერც თავს დააღწევ:

— ასე თუ ისე ამგვარი სურათები მაინც დააფიქრებს კაცს, სამუშაო მასალას მისცემს მის გონებას.

თავშეკავებული სტილი ავალებდა ავტორს ამ შემთხვევაში ქებაც მოზომილად გამოეთქვა და კრიტიკული დამოკიდებულებაც, მაგრამ როდესაც 14 დეკემბრის დადგმის შთაბეჭდილებით ანთებული აღმტაც სიტყვებს არ დაიშურებდა, აგერ დამუნათებაც მკვეთრად იჩენდა თავს: არც შინაარსია სახარბიელო და არც კომპოზიციური აღნაგობა რიგიანიო.

დიახ, ეს არ არის მეორეხარისხოვანი კრიტიკული შენიშვნა. მოგეხსენებათ, როდესაც შინაარსი ვერ ტოვებს სახარბიელო შთაბეჭდილებას და ვერც კომპოზიციური ქარგაა მაინცდამაინც მარჯვედ აგებული, თხზულება დიდი რამ მონაპოვარი არ უნდა იყოს.

ასეთ დროს ბევრს არაფერსღა ნიშნავს, სპექტაკლის მსვლელობა ერთ განუწყვეტელ გულითად ხარხარად თუ გადაიქცეოდა.

მასობრივი კულტურის ყოველი წარმატებული ნიმუშის ბედი ისაა, რომ მალევე უნდა გაქრეს და ამოიშალოს საზოგადოებრივი ცნობიერებიდან. და თუნდ განუწყვეტელი გულითადი ხარხარიც თან მიჰყვეს აწ უკვე ყავლგასულს და თავისი ადგილის დამთმობს სხვა ასეთივე თხზულებისათვის.

მაგრამ „ხანუმას“ ყავლი რომ არ გაუვიდოდა და შერჩებოდა და შერჩებოდა ქართულ სცენას?

მარტოდენ სანაკვესო სიტყვათა ბრწყინვალება და ელვარება შეუნარჩუნებდა სცენურ სიცოცხლეს და კინემატოგრაფისთვისაც ასეთი ხელსაყრელი სცენარი აღმოჩნდებოდა?

სანაკვესო სიტყვა თავისთავად მხატვრული მოვლენაა, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი, მაგრამ სრულიად უკმარი — თხზულების უკვდავებისათვის. ფრაზებად რატომაც არა, კიდეც გამოიყენებ, მაგრამ ჩონჩხი კი ნაწარმოებისა აღარაფრად გამოგადგება.

ან რა ისეთი გამოსადეგია, ვთქვათ, სწორედაც „ხანუმას“ ჩონჩხი — ბანალური, მელოდრამატული სიუჟეტი, თანაც საკმაოდ მარტივი, ადვილად რომ უნდა დაეთმო ადგილი სხვა ბანალური და მელოდრამატული, თუნდ სულ ოდნავ უფრო რთული სიუჟეტური ქარგისათვის. ცოტა დაითვლება ამისთანა სიუჟეტი თუ რა!..

მაშ რა არის ის მადლი, ის ძარღვი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ათქმევინებდა: ჩვენს სასცენო ლიტერატურაში, ნამეტნავად ახლებში, ამ პიესას არა სჯობია რაო?!

მაინც რითი წაეჭარბებინა სხვა პიესებისათვის, ნამეტნავად კი ახლებისათვის?

მარჯვე მასალად რომ აღიარებდეს და მეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდეს, „ჩვენს სასცენო ლიტერატურას“ კი არ იტყოდა, არამედ — „ჩვენს რეჟისორულ და სამსახიობო ხელოვნებას“.

მასალამდე არ აქვეითებდა.

და მაშ?..

მოქმედ პირთა ხასიათები ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო მანამდე, დრამატურგიაშიც და ბელეტრისტიკაშიც ყველა — გარდა მთავარი გმირისა: მაჭანკალი ხანუმასი.

თვითონ მაჭანკლის სახეც არ ყოფილა ავქსენტი ცაგარელის მიგნება და ილია ჭავჭავაძესაც გამოეყვანა ამ ხელობის ქალი თავის ადრეულ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ის სუტკნეინა ხორეშანი, რომელიც ავტორს დაენანებოდა მოთხრობის რიგით, თუნდაც კოლორიტულ პერსონაჟად და, მის ამბავს პიესის ქარგაში რომ მოაქცევდა, საკუთრივ მას გარდასახავდა მთავარ გმირად. და პიესასაც, შესაფერისად, „მაჭანკალი“ დაერქმეოდა.

დრამატულ საზოგადოებას კი თავმჯდომარეობდა და ისედაც ცოტას არ იღვწოდა ქართული თეატრის საბოლოო დასამკვიდრებლად ჩვენს კულტურულ სივრცეში, — ეს „მეფე ლირის“ თარგმნაო, ეს რეცენზიებიო, — ეს პიესების გამოქვეყნებისათვის გზის გახსნა „ივერიის“ ფურცლებზეო... მაგრამ თვითონ როგორღაც ვერ მოერგებოდა დრამატურგობას. „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“ მართლაც სცენებია და იოსებ გრიშაშვილი არაფერს აჭარბებდა, როდესაც ირწმუნებოდა: ილიას სპეციალურად პიესები არ უწერია, რადგანაც არ ყოფილა დრამატურგი ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მას უფრო აინტერესებდა ცალკე ტიპები: ჭრიაშვილი, კაკო, ხორეშან, ლუარსაბი, აზნაურის ქვრივი და სხვანიო.

სამუდამოდ დარჩებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში გლახა ჭრიაშვილის სახე, რომელიც განზოგადებულ, სიმბოლურ შინაარსს შეიძენდა და სათქმელის გაჭიანურებას, გაუგებრად გამოხატვას, აბდაუბდობას გაუიგივდებოდა. კომიკური სახე კი გახლდათ, გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი თუ ავქსენტი ცაგარელი შესაფერის სიუჟეტურ ქარგასაც რომ გამოუნახავდნენ, მათ რომ ეპოვნათ ეს ხასიათი, მაგრამ აქ ეს სიუჟეტი ვერ გამოეძებნებოდა და დარჩებოდა მარტოდენ ორიგინალურ ხასიათად, ჰაერში რომ გამოეკიდებოდა და... ლიტერატორთა საზრდოღა შეიქნებოდა.

მაშინდელი თეატრალური მიმომხილველები რომ აღიარებდნენ, „სცენებს“ არ გააჩნია სცენური მოძრაობა და სასცენო ეფექტიო, ამასაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ: მოქმედ პირთა ყოველი სიტყვა და მიხრა-მოხრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდანაა გამჭრიახი თვალით გადმოტანილიო.

და იოსებ გრიშაშვილი თავის მხრივ დასძენდა:

— აქ არის შესანიშნავი დიალოგი, ილიასებური, ხალხურ ფოლკლორზე აშენებული სიტყვა-პასუხი და ბუნებრივი, ქართული კონსტრუქციით აყვავებული სტრიქონები. ილიას ამ ოსტატობაში ბადალი არა ჰყავს.

ამასაც გვამცნობს, რომ მუდმივი დასის დაარსების შემდგომ „სცენებს“ დადგმას (რეჟისორებს უფრო შესაფერის სათაურად „გლახა ჭრიაშვილი“ რომ შეერჩიათ) მიეცა უფრო დისციპლინური ხასიათი და გლახა ჭრიაშვილის როლს შესა-

---

*** გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №17**

ნიშნავად ასრულებდა კოტე ყიფიანი, აზნაურის ქვრივისას კი — ნატო გაბუნია.

მაგრამ ეს მაინც წამიერი ეფექტი გახლდათ, მალევე რომ გადაივლიდა.

ლიტერატორთა საზრდოღა შეიქნებოდაო...

უსიუჟეტოდ, აბა, პიესა?!.

დადგებოდა ასეთი დროც და მოვიდოდა ისეთი ლიტერატურული სკოლაც — აბსურდისტებისა — სიუჟეტს რომ გააქრობდნენ პიესიდან, მაგრამ იმ სკოლას თავისი ესთეტიკა ჰქონდა, თავისი ბუნება და სტილისტიკა და ასე თუ ისე გამართლებოდა ეს რკალი დრამატურგიულ-თეატრალური ხელოვნების ისტორიაში... მაგრამ, აი, რეალისტური მანერით წარმოსახულ სურათებს ვერ გაწვდებოდა მარტოდენ გლახა ჭრიაშვილის ხასიათი, თუმც აბსურდისტებისათვის სწორედაც მისწრება იქნებოდა ეს სახე, თვითონ რომ მიეკვლიათ — აბსურდული მეტყველებისაგან დიდად არ განირჩევა ამ პერსონაჟის სიტყვა-პასუხი და აზროვნების მანერა, თუმც... სტილისტიკა სტილისტიკაა და არც ილია ჭავჭავაძე ითხოვდა რეჟისორთაგან თავისი ამ თუ სხვა პიესების ტრიუმფალურ მსვლელობას სცენაზე — მხარს ოდნავ რომ შეუდგამდა ახალჩამოყალიბებულ თეატრალურ დასს, ესეც ძალზე გაახარებდა და...გულმტკივნეული გახედავდა სათავადაზნაურო ბანკს: რამდენ რამეს ჩამომარჩინე, არადა უშენოდაც რომ არ გაეძლება არც ქვეყანას და არც თუნდ ახალწამოჩიტულ თეატრს, კიდევ ერთხელ რომ ლამობს ფეხზე დადგომასო!..

ნატო გაბუნია

ახალ სიუჟეტს ვერც სხვას მოიფიქრებდა, პიესას რომ მოხდენოდა, და ისევ „კაცია-ადამიანის“ ინსცენირებას განიზრახავდა. თვითონ „გადმოკეთებად“ მოიხსენიებდა, თუმც დადგმისას — 1881 წლის 31 მაისს — ამჯობინებდნენ აფიშაზე ორმოქმედებიანი კომედია წაეწერათ. თითქოსდა სრულიად დამოუკიდებელი თხზულება ყოფილიყოს.

არადა, სიუჟეტურადაც პირდაპირ მიჰყვებოდა მოთხრობის იმ მონაკვეთს, ლუარსაბ თათქარიძის დაქორწინების ამბავი რომ არის მოთხრობილი, მთელი აბზაცებიც შეუცვლელად გადმოინაცვლებდა, ეგაა, წინ წამოიწევდა მაჭანკლის სახე, როგორც ამ მოვლენის შუაგულში მდგარი პირისა, თავის სასარგებლოდ რომ უნდა დაეხლართა ორი ოჯახის დამოყვრების წადილი, მაგრამ თვითონვე დარჩენილიყო ყველაზე მეტად გაცუცურაკებული.

მაჭანკლობის ინსტიტუტი საკმაოდ გახლდათ ფეხმოკიდებული — თან ძრახავდნენ, დასცინოდნენ, და თან უიმისოდაც არ გაეძლებოდათ. ნდობოდნენ? როგორ ნდობოდნენ, როდესაც წინასწარვე იცოდნენ, რომ იგი სხვას არაფერს ცდილობდა, თუ არა ორივე მხარის მოტყუებას — ქალისიანებისაც და ვაჟისიანებისაც. მაგრამ როდესაც სხვა გზა და საშუალებაც ვერ გამოეძებნათ, ისევ მაჭანკლისათვის უნდა მიეკითხათ — გაიძვერასათვის, თაღლითისათვის, თითლიბაზისათვის. უმეტესწილად, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს უმეტესწილობა ჩანდა ზედაპირზე და მაჭანკლობაც უპირველესად სწორედ ამიტომ აღიქმებოდა ხალხის თვალში გაიძვერათათვის, თვალთმაქცთათვის სარფიან ხელობად.

განა არა — თვითონ მაჭანკლებიც რჩებოდნენ არცთუ იშვიათად მოტყუებულნიც და განწბილებულნიც, და როდესაც მათი სახე მოთხრობაში ჩაიხატებოდა თუ სცენაზე წარმოდგებოდა, მწერლებს ერჩივნათ, ეს გაცუცურაკებული მაჭანკალი გაეხვიათ მხატვრულ საბურველში — საზოგადოებაც უფრო გაეხალისებინათ და ეგებ პირადადაც გადაეხადათ სამაგიერო. ისე როგორ იქნებოდა, რომ მათ საახლობლოში ვინმე არ აღმოჩენილიყო მაჭანკლისაგან მოტყუებული.

საზოგადოებრივი დაკვეთის აღსრულებასავით გამოდიოდა.

აკი ვაჭრისა და ვაჭრობის წარმოსახვაც ბელეტრისტულ თუ დრამატურგიულ ქმნილებაში ხალხის განწყობილებას აირეკლავდა და კომიკურად ამიტომაც წარმოდგა მთელი გალერეა ვაჭართა სახეებისა გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა თუ ავქსენტი ცაგარელის კომედიებში, თვით იმ „ხანუმაშიც“, რომელიც აშკარად გამოირჩა დრამატურგიის საერთო ფონზე, ოღონდ გამოირჩა არა ვაჭრის — მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცის — თავისებურად გამოხატვის წყალობით, არამედ იმ ხანუმასი, რომლის ხელობაც სცენაზე გარკვეული სტერეოტიპის იერს შეიძენდა, რაკიღა თაღლითის, ცრუპენტელას ჩარჩოში მოექცეოდა.

პირველივე სპექტაკლში — ბარბარე ჯორჯაძის „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ — რითაც მუდმივი თეატრალური დასი დაიწყებდა თავის მოღვაწეობას, მაჭანკალიც გამოჩნდებოდა ერთ-ერთ პერსონაჟად, და სწორედ ისეთად, ლავრენტი არდაზიანის „მორჩილიდან“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“ რომ ახსოვდა საზოგადოებას — ლირფად, ცრუდ, პირში მაქებრად...

ენერგიულად ტრიალებს მაჭანკალი, აქეთ ვაჟს ატყუებს და იქით ქალს, მაგრამ ბოლოს ისევ თვითონ რჩება გაწბილებული, რაკიღა უგასამრჯელოდ უნდა დატოვონ.

აგერ „მაჭანკალიც“ მოჰყვებოდა ბარბარე ჯორჯაძის კომედიას.

და უცებ „ხანუმა“, რომელიც ისე გამოცალკევდებოდა სტერეოტიპული წარმოდგენისაგან — სცენასა თუ ყოფით რეალობაში — რომ ამ სახეთა ხორცს ხორცთაგანს და სისხლს სისხლთაგანს ხალხისათვის საყვარელ პერსონაჟად გადააქცევდა.

ხანუმას სახის რელიეფურად და კოლორიტულად წარმოსახვისათვის ყოფითი რეალობიდან გადმოტანილი ამბებით რომ ისარგებლებდა დრამატურგი, პირველ ყოვლისა თვითონ ნატო გაბუნიას ცხოვრებისეულ ეპიზოდებს დაესესხებოდა, მეუღლე სიცილით რომ ჰყვებოდა ხოლმე და ასიკოც სხვებთან ერთად მხიარულობდა, ვიდრე არ აღმოაჩენდა, რომ ეს ეპიზოდები და ეს ხასიათი მისწრება გახლდათ კომედიისათვის.

ის კი არა, გასაკვირი იქნებოდა, ეს პერსონაჟი ავქსენტი ცაგარელს დაუხატავი რომ დარჩენოდა ანდა იმ ერთგვარ სტერეოტიპში მოქცეულიყო.

ამგვარ როლებში ნატო გაბუნია თავისუფლად რომ გრძნობდა თავს, ილია ზურაბიშვილი მოცურავესაც კი შეადარებდა — საუკეთესო მოცურავეს ზღვის ტალღებში.

მაჭანკლობა ჰყვარებოდა ნატო გაბუნიას და არამცთუ სიხალისეს, ოინბაზობასაც არ აკლებდა ამ საქმეს, ასე რომ, ასიკოს ასარჩევადაც დაგროვებოდა ამბები, რომელი რომლისათვის ემჯობინებინა.

თუნდ აგერ: ერთ უშვილო კნეინას ძალად შვილი ვაყოლე, ლოგინში ტყუილად ჩავაწვინე და სხვისი ახალდაბადებული ლოფლოფი ბავშვი შევუგორეო, — ხანუმა რომ იკვეხნიდა სცენიდან, თურმე ნატოს გადახდენოდა ეს ამბავი სოფელ ხვედურეთში და სატრაბახოდაც ჰქონდა.

ავქსენტი ცაგარელი მეორე მაჭანკალს — ქაბატუას — სწორედ ისეთს წარმოგვიდგენდა, ბარბარე ჯორჯაძისა თუ ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა რიგში რომ დგებოდა, და თუმც ხანუმაც ტყუილების ბადეს მოქსოვდა — და ოსტატურადაც, ამ მხრივ საკმაოდ გაწაფული — ორი ახალგაზრდის სიყვარულს მოევლინებოდა მფარველად და გადამრჩენად და დრამატურგიული სიახლეც ეს გახლდათ — ნაცვლად ერთგანზომილებიანი სახისა, რთული ხასიათი რომ გამოიკვეთებოდა მაყურებლის თვალწინ.

თან რაოდენ მარჯვე ოინებს დაატრიალებდა?!

ამას უკვე მოხერხებულობად და სიმარჯვედ ჩამოართმევდნენ და აღარც იმ გარემოებას მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ეს ყოველივე მაინც პირადი შურისგების მოტივით ხდებოდა და არა ამაღლებული იდეალის.

ცალკე ქაბატუას უნდა აზღვევინოს და ცალკე ვანო ფანტიაშვილს.

აკი კიდეც დაექადნებოდა მათაც და ყველას, ვისაც მისი გაწბილება გაახარებდა:

— მაშ ხანუმა ცოცხალი რათ უნდა იყვეს, რომ იმას დამმარცხებელი გამოუჩნდეს ვინმე!

და თურმე ძალიც შესწევდა ქადილისა, თორემ დამუქრებით ისინიც დამუქრებოდნენ და თითქოს საწადელისთვისაც მათ უნდა მიეღწიათ, ხანუმას ფანტაზია და გარდასახვის ხელოვნება რომ არა — ვოდევილს რომ დადგამდა და დაწყობილ საქმესაც ჩაუშლიდათ, სონასა და კოტეს სიყვარულსაც ვეღარაფერი გადაეღობებოდა.

არადა, რა ჯავარზე იყო ვანო ფანტიაშვილი!

— მამა ჩემი არ წამიწყდება, კაცმა უნდა კეტს წამოავლოს ხელი და სულ თავპირი დაგამტვრიოთ, თქვე კუდიანებო, თქვენა! ქვეყანას ატყუვებთ და სულ რაღაცას თვალთმაქცობთ!.. ფულებს რომ იჩხრიალებთ და ტარტაროზის მსგავსებს ასაღებთ, მადლობას ვინ გეტყვით! ეს ჯადო, ესა.

ან ქაბატუა კი ნაკლებ ჯავარზე დადგებოდა, ვანო ფანტიაშვილის გადაბირებით გულმოცემული?!

— გადი, ეხლავ დაიკარგე, თორემ პოლიციას თავზე დაგახვევ, შე მთვარის გიჟო, შენა!

მაჭანკლები კიდეც უნდა დაძიძგილავებულიყვნენ მაყურებლის სასეიროდ, ჭიას რომ მოიკლავდნენ ხანუმასა და ქაბატუას ხელდახელ შებმით, ხანუმა თითქოს კუდამოძუებული რომ უნდა გამობრუნებულიყო თავადის სახლიდან, მაგრამ წინ იდო კომედიის მთავარი სცენა და იმ სცენას კიდეც უნდა გადაეწყვიტა არამარტო შეყვარებულთა ბედი, არამედ ხანუმაც შეემოსა უჩვეულო კოლორიტულობითაც და... თურმე უკვდავების შარავანდითაც.

ვანო ფანტიაშვილს მაკარ ტყუილ-კოტრიანცის ქალი — სილამაზითაც განთქმული და დიდძალი მზითევითაც აღვსილი სონა — უკვე თავის გვერდით რომ ეგულებოდა, მის ძმისწულს უნდა დარჩენოდა ხანუმას მსახიობური — და დრამატურგიულიც — უნარის წყალობით.

სწორედ მსახიობური და დრამატურგიული უნარის გამჟღავნება გახლდათ, პიესის მძაფრი მუხტითა და შთაბეჭდილებით აღვსილი ნატო გაბუნია სასწაულს რომ დაატრიალებდა სცენაზე და არტისტული ხელოვნების ძლევამოსილების მხილველს გახდიდა ყველას, ისედაც რომ ლამის დახოცილიყვნენ სიცილით, და ილიას რომ შესჩიოდნენ: რას გვემართლება ასიკო, ფერდები რომ აღარ შეგვარჩინა, ისე დაგვაოსა სიცილ-ხარხარითო, — ის ბევრი ვერაფრით ანუგეშებდათ: რა გიშველოთ, განა მეც თქვენს დღეში არა ვარო?!.

და აღარავინ ამტყუნებდა მსახიობებს, იძულებულნი რომ ხდებოდნენ, დროდადრო წარმოდგენა შეეწყვიტათ და დალოდებოდნენ, ვიდრე სიცილის ვულკანი ცოტაოდნავ მაინც ჩანავლდებოდა.

ნიკო ლომოური არ აჰყვებოდა იმ უჩვეულო აჟიოტაჟს, „ხანუმას“ რომ გამოეწვია და სრულიად არ დააკმაყოფილებდა მახვილი რეპლიკები თუ კომიკური სიტუაციები. ის კი არა: გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის ჩარჩოს ოდნავადაც ვერ გასცილებია და ძველი ურთიერთობების გატკეპნილად გადმოცემა ამიტომაც უმჯობინებია ცვლილებათა და სიახლეთა შემჩნევა-წარმოჩენასო, — ფიქრობდა. და არც კრიტიკულ გამოხმაურებას მოერიდებოდა „დროების“ ფურცლებიდან (1884, №112).

ხალხის ცხოვრებაში ღრმად ჩახედვის სურვილს ძალიანაც მოუწონებდა, მაგრამ ამ მხრივ გადამეტებას კი ვეღარ. ჭარბად ეჩვენებოდა მოქმედების აღწერის ფოტოგრაფიულობა — ასე მოიხსენიებდა იმ მანერას, რასაც ნატურალიზმს უფრო უწოდებენ ლიტერატურისმცოდნეობაში.

თვითონ ნიკო ლომოურის ბელეტრისტიკისთვისაც ნიშანდობლივი გახლდათ ხალხის ცხოვრებაში ღრმად ჩახედვის წადილი, ოღონდ მისი მხატვრული ძიებანი რეალიზმის სტილისტიკას არა სცილდებოდა და ამიტომაც მოჭრიდა ყურს ცოტა არ იყოს ნატურალისტური აგება სიუჟეტისა — მის მოთხრობებთან შედარებით, თორემ რომელი ნატურალისტი ავქსენტი ცაგარელი გახლდათ.

ასეა თუ ისე თავის შენიშვნას გულწრფელად უზიარებდა, რაკიღა შიშობდა, ამ გზით სიარული ხეირს არ დააყრისო: დრამატურგი არ უნდა ჩავიდეს ჭაობში, არ უნდა გახდეს ჭაობის მცხოვრებთა თანატოლიო.

არც დამდაბლებულაო, — ათწლეულთა შემდგომ გამოექომაგებოდა კომედიოგრაფს სოლომონ ხუციშვილი, — პირიქით, ავქსენტი ცაგარელმა უხასიათო ადამიანების, ზნედაკარგულ პიროვნებათა, თავნება და გულქვა პერსონაჟთა დახატვით სწორედაც მათ წინააღმდეგ გაილაშქრაო.

და არც „ხანუმას“ ფოტოგრაფიულობა მოეჩვენებოდა ყურმოსაჭრელად თუ უსიამოვნოდ, და თუ ეს ელემენტი მართლაც მოჭარბებულიყო, კომედიას უხდებოდა და დასაძრახიც არაფერი გახლდათ.

ისე კი, თუ დრო და გარემოება მოითხოვს, არც ჭაობში ჩასვლას უნდა მოერიდოს მწერალი.

* * *

სიცილ-ხარხარად და... არც მწვავე ქვეტექსტები აკლდა მხიარულ წარმოდგენას.

ზოგიერთი პოლიტიკური ქვეტექსტი, იმჟამად საკმაოდ გამჭვირვალე, დროთა ვითარებაში მიმქრალდებოდა და მემუარული გადმოცემები და მეცნიერული ჩანიშვნანი რომ არა, ჩვენით ვეღარც მივხვდებით, ამა თუ იმ პასაჟში რაიმე თუ იფარება ისეთი, თავის დროზე მაყურებლის მღელვარებას რომ იწვევდა და საპროტესტოდაც მომართავდა სამთავრობო ძალადობათა წინააღმდეგ.

აგერ აკოფას სიმღერას რომ ამოვიკითხავთ „ხანუმას“ ტექსტში:

— ოდეს ზღვა დაშრეს, დიდედაჯან, ქვიშა გამოჩნდეს, თევზი მთას წავიდეს სიარულითა, მგელი თხას მისდევს ჭიანურითა.

მარტოდენ სახუმარო სტრიქონებად აღვიქვათ და ჩვენი ხალხური პოეზიიდან ერთბაშად წამოგვაგონდება ამ ყაიდის იუმორისტული ნიმუშები, უცნაური და სახალისო ხილვებით სავსე.

არადა, თურმე ეს სტრიქონები გამოძახილი ყოფილა ტფილისში გამოთქმული იმ თითქოსდა იუმორისტული ლექსისა, სინამდვილეში პოლიტიკურ სატირად რომ წარმოგვიდგება, რაკიღა მისი მწვავე, შეუნიღბავი ქვეტექსტი მიმართული გახლდათ გიორგი მუხრანბატონის მიერ 1872 წელს რუსულად გამოცემული წიგნაკის — „ნაციონალური ინდივიდუალობისა და მსხვილ სახალხო ერთეულთა საგანმანათლებლო მნიშვნელობის არსის შესახებ“ — წინააღმდეგ, თვითსტომთ რომ უქადაგებდა და უჩიჩინებდა ეს წარჩინებული გვამი ქართული ენის გაქრობისა და რუსულ ენასთან შერწყმა-შენივთების უზომო სიკეთეს, რაკიღა წარმატებანი და საკაცობრიო ბედნიერება გარდუვალად მოითხოვდა პატარა ერებისაგან — გამოთხოვებას თავიანთ ხალხსნობასთან, ენასთან, ზნე-ჩვეულებებთან, ცხოვრების თავისებურებებთან, და დიდ ერებთან შერწყმა-შეერთებას.

ერების „სიდიდესა“ და „სიპატარავეს“ გიორგი მუხრან-ბატონიც, რუსული იმპერიული პროპაგანდის კვალობაზე, მოსახლეობის რაოდენობით განსაზღვრავდა და არა კულტურის თვითმყოფადობითა და დიდებულებით, ხანგრძლივობითა და გამძლეობით.

ჰოი, რა მღელვარებასა და პროტესტს გამოიწვევდა ამ წიგნაკის გამოჩენა ჩვენს საზოგადოებაში — ეს ილია ჭავჭავაძეო, ეს აკაკი წერეთელიო, ეს სერგეი მესხიო, ეს ბარბარე ჯორჯაძეო, ეს პეტრე უმიკაშვილიო... გაბრიელ ეპისკოპოსიც მოვალედ მიიჩნევდა თავს, რათა საკმაოდ მწვავედ გამოხმაურებოდა წიგნაკის სულისკვეთებასა და შეხედულებებს და შეეგონებინა დაბნეული ავტორისათვის ამგვარ მოსაზრებათა გავრცელების მავნებლობა და ამგვარი გზით მიღწეული „სიკეთისა“ და „ბედნიერების“ ანტიკაცობრიული, დანაშაულებრივი არსი.

ტფილისელი მოქალაქენი კი იმ სატირულ ლექსს შეთხზავდნენ, ავქსენტი ცაგარელის კომედიიდან კვლავ რომ უბრუნდებოდა ხალხს და სცენიდან წარმოთქმული კიდევ უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ხალისობდა, როგორ არა, აკოფ დარდიმანდიანცი!..

* * *

რას გვემართლება ასიკო, ფერდები რომ აღარ შეგვარჩინა სიცილითაო...

ეს სიცილი ედგა ყურებში იოსებ ჯუღაშვილსაც, უკვე გასტალინებული და გაიმპერატორებული ამ პიესის ეკრანიზებას რომ შეუწყობდა ხელს. იმას იმ წუთას სრულიად არ ანაღვლებდა არც ავქსენტი ცაგარელის პიესის მხატვრული ღირსებანი და არც სიცილისა და კომიზმის მარადიული და დაუშრეტელი ძალა, ეროვნული იუმორის გამოხატულება და დადასტურება. „სამამულოდ“ სახელშერქმეული ომით გათანგულ ხალხს ცალკე პატრიოტული სულისკვეთების ფილმები ესაჭიროებოდა სულიერი სიმხნევის შესანარჩუნებლად და ცალკე კიდევ კომედიური შინაარსისა, გულს რომ მოიოხებდა წამიერ თავდავიწყებაში ჩაძირული.

და, აი, ამისათვის საუკეთესო ნიმუში, კომედიური მელოდრამა „ქეთო და კოტე“ — „ხანუმას“ კინოვერსია.

უნებურად ასე დაემთხვეოდა ხელისუფლებისა და ხალხის ინტერესები.

ის, ხელისუფლება — წამიერ სატყუარას გადმოაგდებდა.

ეს, ხალხი — იმ წუთასაც დაიშოშმინებდა არამარტო ომით, არამედ უფრო ტერორით შეძრულ სულს და შვებასაც იპოვნიდა ხანუმას კომიკურ ოინებში, მიუხედავად იმისა, რომ კინოვერსიაში ხანუმა ოდნავ უკან გადაინაცვლებდა და მხიარული ამბის შუაგულში უკვე შეყვარებული წყვილი მოექცეოდა.

აკი სათაურიც შესაფერისი დაერქმეოდა.

თუმც მოგვიანებით კვლავ ავქსენტი ცაგარელის სახელწოდებითვე რომ დაიდგმოდა „ხანუმა“ რუსთაველის თეატრის სცენაზე, მიუხედავად ძველი სათაურისა, სპექტაკლის შუაგულში აღარც ხანუმა იდგებოდა და აღარც შეყვარებული წყვილი და სიუჟეტის სადავეებს აკოფ დარდიმანდიანცი და ვანო ფანტიაშვილი მიიტაცებდნენ — რამაზ ჩხიკვაძისა და ეროსი მანჯგალაძის ბუნებითი იუმორი, კომიზმი, იმპროვიზაციის ნიჭი აღმოჩნდებოდა ის ძალა და მადლი, რაც ავქსენტი ცაგარელის პერსონაჟებს ახლებური სიცოცხლით აღავსებდა და გულიანი სიცილ-ხარხარი მათი — სახელდახელოდ მოფიქრებული — მახვილგონივრული, პარადოქსული რეპლიკების წყალობითაც ძლიერდებოდა, სპექტაკლს დიდებულ, დაუვიწყარ სანახაობად რომ აქცევდა.

ერთი დადგმა მეორეს არა ჰგავდა.

ანკი როგორ დაემგვანებოდა, როდესაც აკოფ დარდიმანდიანციც და ვანო ფანტიაშვილიც თავს არა ზოგავდნენ, რომელი უფრო მახვილ ხუმრობას მოიფიქრებდა, რომელი უფრო მოულოდნელ და პარადოქსულ რეპლიკას გადმოისროდა.

მათ ჩრდილში მოქცეულიყო ხანუმა — სალომე ყანჩელი, პიესის გატკეპნილ ტექსტს რომ მიუყვებოდა, თავისთავად იუმორით გაჟღენთილს, მაგრამ ხუმრობა-ანცობის ფოიერვერკის ფონზე, ჩხიკვაძე-მანჯგალაძის ტანდემს რომ დაენთო, აღარ კმაროდა შეუცვლელად წარმოთქმული ფრაზები თუ რეპლიკები.

თან სულ დაძაბული გახლდათ, მოულოდნელი რეპლიკის პასუხად თავისი ტექსტი რომ არ არეოდა.

და, აი, ერთხელ მასაც მოადგებოდა ბაგეზე იმპროვიზებული ფრაზა და კიდეც შეაგებებდა აკოფა-რამაზ ჩხიკვაძეს, რომელიც შეცბუნდებოდა მოულოდნელობისაგან და თავს ვეღარ შეიკავებდა, რომ გაოგნებულს არ აღმოხდომოდა:

— ვااااა!..

და გახალისებული ხანუმა-სალომე ყანჩელი არც ამ ამოგმინვას აპატიებდა:

— ვაა და ზახრუმაა!..

წელს ძლივს აითრევდა აკოფა იმ სურათში, რაკიღა ტაშის გამაყრუებელი გრიალი იმ წუთას სალომეს და მხოლოდ სალომეს ეკუთვნოდა, რაკიღა იმპროვიზაციაში მის ჩართვას მაყურებელი, რომელსაც ათჯერ, ოცჯერ, ოცდაათჯერ ენახა ეს სპექტაკლი, კიდევ რაღაც ახლის მაუწყებლად მიიჩნევდა.

სპექტაკლის შემდეგ რამაზ ჩხიკვაძე და ეროსი მანჯგალაძე მოითათბირებდნენ და სალომე ყანჩელს განუცხადებდნენ: დღეს რაც იყო, იყო, ამის მერე მხოლოდ ტექსტის წარმოთქმას დასჯერდი, თორემ ჩვენ უკვე შეთამაშებულნი ვართ ერთმანეთთან და მოულოდნელ რეპლიკებზე ვახერხებთ პასუხის გაცემას, შენთან კი შეიძლება დავიბნეთ და სიტყვები აგვერიოსო. სულ დაძაბულნი ხომ არ ვიქნებით, ასე ძალიან გაგვიძნელდებაო.

— აჰა, აგერიოთ, არა? — ნიშნს მოუგებდათ ხანუმა, — მე რომ ვარ სულ დაძაბული, ის კარგია ხომ? ახლა თქვენც გამოსცადეთ.

და ისინი, შეფიქრიანებულები, შესთავაზებდნენ: ოღონდაც იმპროვიზაციას მოეშვი და ჩვენც მოგერიდებით, ერთმანეთთან კი, რა გინდა, რაც იმ წუთას ენაზე მოგვადგება, ვიტყვით და ვიტყვით, შენ კი შენთვის ითამაშებ მშვიდადო.

ასეც მორიგდებოდნენ.

თუმც რამაზ ჩხიკვაძე სიფრთხილით მაინც იფრთხილებდა, ეს „ვااااა“ აღარასოდეს წამომცდესო.

და სალომე ყანჩელს საამაყოდ დარჩებოდა:

— მაშინ რამაზი ხომ ერთი კარგად დავაბორიალეო!..

ამდენი ხანი გასულიყო, მაყურებელთა ამდენი თაობა გასცილებოდა წუთისოფელს.

და ახლა სხვანი იმეორებდნენ იმ განცდასა და განწყობილებას: დავიხოცეთ სიცილითაო.

და ახალ რეცენზიაში ისე შეიძლება აღნიშნულიყო ეს სტრიქონები: რომ გენახათ, ხარხარებდა ყველა, დიდი თუ პატარა, იმ სასიამოვნო ხარხარით, რომელსაც მართლადა მხიარულების სიცილი ჰქვია, — რომ ავტორს ილია ჭავჭავაძის თეატრალური მიმოხილვა ან არ ხსომებოდა და ან საერთოდაც არ წაეკითხა.

„ციმბირელიც“ ასე თუ ისე მალევე მოჰყვებოდა იმ კომედიებს — 1886 წელს დაწერილი სცენას 1888 წლის 18 მაისს იხილავდა და, იმ წარმატებებს მთლად თუ ვერ გაიმეორებდა, არც არაფერს წაახდენდა.

აი, „ჭკუისა მჭირს“ და „როგორც მოხვალ სვინაო...“ — ერთი 1897 წელს შეთხზული და მეორე 1900 წელს — ვეღარ დაამშვენებდა სცენას და თეატრალებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდათ, რომ ავქსენტი ცაგარელის ნიჭი სულ უფრო და უფრო ფერმკრთალდებოდა.

ღვინოში ჩაძირულიყო, იქღა ეძებდა შვებას და ვეღარ ამოეფრქვია ის იუმორი და მახვილგონიერება, ერთბაშად მწვერვალზე რომ აეტყორცნა ახალგაზრდა კაცი.

ის კი არა, მკაფიოდ ვეღარც გაერჩია ჟანრობრივად თავისი თხზულებანი და იმავე 1900 წელს კიდევ ერთ პიესას რომ დაწერდა, რომელიც პრემიერაზევე მოიხსნებოდა — „ცისარტყელას“, დიდი ამბით კი წააწერდა: კომედიაო, — მაგრამ კომედიისა იმას არაფერი ეცხო და იოსებ გრიშაშვილი ავქსენტი ცაგარელის პიესების სრული სიის შედგენისას ამ ნიმუშს, ნაცვლად კომედიებისა, ორიგინალური დრამების რკალში მოაქცევდა და დასძენდა: არამცთუ დრამა, ტრაგედიაც კი არისო.

გადმოკეთებული კომედიები თუ ვოდევილები არაერთი მოეძევებოდა იმ ხანისა, როდესაც მონდომებით ჩართულიყო თეატრალურ ცხოვრებაში. მათგან ორის — „ბაიყუში“ და „ორი მეძებარი ერთ ნაკვალევზე“ — პირველწყარო ფრანგული გახლდათ, თუმც ჩვენს კომედიოგრაფს მათი რუსული ვერსიებით ესარგებლა, სხვანი კი — „ოინბაზი“, „მიტო ანციშვილი“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ — რუსული დედნებიდან გადმოეღო ქართულ გარემოსთან მისადაგებით, მხოლოდ ერთია ქართული მოთხრობის ინსცენირება — „მკითხავი“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ მიხედვით რომ მომზადდებოდა ნატო გაბუნიას საბენეფისოდ. კიდეც წარმოადგენდნენ 1885 წლის 23 იანვარს და... იქვეც მოთავდებოდა ამ ინსცენირების ბიოგრაფია, აკვანშივე სულამომხდარის.

თავი IV
აქა ამბავი ხელში ატაცებისა

რა ვქნა, არ გამომივიდა, გულით კი მოვიწადინეო, — საფიქრებელია, რომ თვითონაც ძალზე განიცდიდა ავქსენტი ცაგარელი „მკითხავის“ წარუმატებლობას.

რაღა ეს არ გამოუვიდაო, — არა, ეჭვით კი არაფერს იეჭვებდა, გული უთუოდ დაწყდებოდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იმედოვნებდა, რომ ავქსენტი ცაგარელის თანაავტორობით მაინც გააღწევდა წარმატებით სცენაზე და ფეხსაც საფუძვლიანად მოიკიდებდა, მაგრამ, ეტყობა, ჯერჯეობით ეს სწრაფვა მიუღწეველი რჩებოდა.

ნეტა ოდესმე თუ აღსრულდებოდა?

შექსპირის პიესების თარგმნაც და სცენური ხორცშესხმის პროცესიც უკვე უიმისოდ მიმდინარეობდა — მარტოდენ ივანე მაჩაბელს გადაბარებული — და თვითონ რეცენზენტ-მიმომხილველის საქმეღა რჩებოდა, რასაც ჩვეული ხელოვნებით განაგრძობდა და 1890 წლის საშემოდგომოდ თეატრალური ამინდის გამოკეთებას საგანგებოდ რომ აღნიშნავდა — ჩვენი ღარიბი სცენის მიერ რამდენიმე ახალი პიესის მოპოვებას — ამ ახლებში ორი დრამა ყველაზე მეტად მიიზიდავდა მის ყურადღებას და კიდეც განსჯიდა და შეაფასებდა მათ მნიშვნელობას.

ამ ორთაგან ერთი ავქსენტი ცაგარელის „ქართველი დედა“ გახლდათ (ილია დაჟინებით „ქართვლის დედად“ რომ იხსენიებდა!), 9 დეკემბერს წარმოდგენილი ნატო გაბუნიას საბენეფისოდ, ავტორი კახელ ქალებს რომ უძღვნიდა და თავფურცელზე კი წააწერდა: მიბაძვაო. მხოლოდ ასე ზოგადად. და იოსებ გრიშაშვილი დააზუსტებდა, რომ პიესა გადმოკეთებული გახლდათ ფრანგი მწერლის არნოს დრამატურგიული თხზულებიდან, რომლის რუსული თარგმანიც 1889 წელს გამოქვეყნებულიყო და ქართველ დრამატურგს სწორედ აქედან ესარგებლა.

არნოს ძველი აღთქმის სიუჟეტი გამოეყენებინა, სახელდობრ, ძმებ მაკაბელთა ამბავი, ქრისტეს დაბადებამდე 164 წელს მომხდარი მღელვარება სირიელთა უღლის გადასაგდებად, ძმები დედის შთაგონებით რომ ააფრიალებდნენ აჯანყების დროშას. ავქსენტი ცაგარელს შეენაცვლებინა იერუსალიმი კახეთით და ამბავი XVIII საუკუნის საქართველოსათვის მოერგო, თუმც მაინც უფრო ზოგადად, მიხვედრით რომ მიხვედრილიყავი ამ ეპოქას, თუმც უშუალო ეპიზოდი კი ვერაფრისათვის მიგემსგავსებინა.

საცენზურო კომიტეტს რომ წარუდგენდნენ პიესას ნებართვისათვის, ის ძალიან გააჭიანურებდა და მიზეზს მაშინაც ყველა ამოიცნობდა და არც მკვლევარებისათვის დარჩებოდა დაფარული — ხელისუფლება ძალიან დაშინებულიყო „სამშობლოს“ დადგმით გამოწვეული ეროვნული აღტკინებით, სპექტაკლი ეროვნული დღესასწაულის რანგში რომ აიზიდებოდა და სულიერი მხნეობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვისათვის კიდევ ერთ მძლავრ ბიძგად იქცეოდა.

კარგა ხანს არც ჩაცხრებოდა მთავრობისათვის საშიში აჟიოტაჟი და ექო იტრიალებდა და იტრიალებდა საზოგადოების ყველა ფენაში, და რა გასაკვირია, რომ ყოველ ამგვარ მოსალოდნელობას წინასწარვე დაეფრთხო საცენზურო კომიტეტიც და დიდ ყოყმანშიც ჩავარდნილიყო — ვერც აკრძალვა გაებედა და ნებართვა ხომ არ ემეტებოდა და არა.

ანტისახელმწიფოებრივ აქტად მიაჩნიათ მისი დადგმაო, — ასე გამოვიდოდა ხმა.

ჯერ „სამშობლოსათვის“ მიცემულ ნებართვას ნანობდნენ და კიდევ სანანებლად ხომ არ უნდა გაეხადათ საქმე.

ოღონდ მაინც სიფრთხილეს ამჯობინებდნენ — ტექსტის უკან გადმოგდებას მოერიდებოდნენ, ვაითუ აკრძალვას სახალხო პროტესტი მოჰყოლოდა. ამიტომაც დაელოდებოდნენ, თუ რა გამოხმაურება მოჰყვებოდა გაჭიანურებასა და ანტისახელმწიფოებრივ აქტად შერაცხვას ამ ისტორიული დრამისა. რაკიღა აკრძალვის ნიშანი არ დაესვათ, ყოველთვის ექნებოდათ საშუალება მათებური აბრუნდისა სახალხო მღელვარების ჩასაშოშმინებლად: ჭორი მოგვიგონეს პოპულარობას დახარბებულმა ადამიანებმა, თორემ ნებართვის გაცემა განზრახული გვქონდა, ეგაა, უამრავი საქმეებით გაძეძავებულებმა ვეღარ მოვახერხეთ დროულად გვეცნობებინა თეატრალური დასისათვის, რომ სპექტაკლის დადგმაზე ზრუნვა უკვე დაეწყოთო.

დრო გადიოდა.

იგვიანებდა ნატო გაბუნიას ბენეფისიც.

და მსახიობი თხოვნით მიმართავდა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსს დონდუკოვ-კორსაკოვს, რათა იგი პირადად ჩარეულიყო და დაევალებინა საქმეში ჩახედული კაცისათვის გადასინჯვა პიესისა, რომელიც რატომღაც ანტისახელმწიფოებრივ აქტად ცხადდებოდა.

ხელისუფალი ოფიციალურ თხოვნას გაითვალისწინებდა და ბიუროკრატიული წესის თანახმად შუამდგომლობით მიმართავდა საცენზურო კომიტეტს 1890 წლის 31 იანვარს, და ისინიც პიესას დასკვნისათვის გადასცემდნენ იმხანად ცენზორად მომუშავე რაფიელ ერისთავს.

რაფიელი ჯერ ისედაც მოწადინებულიყო ყოველი სასიკეთო საქმის ხელშეწყობას და არც სხვა შემთხვევაში დაერიდებოდა არავის, რათა ნებართვა გაეცა, და ამჯერად სამოქალაქო ნაწილის უფროსის შუამდგომლობა, თუნდაც ფორმალური და ყალბი, საშუალებას აძლევდა პიესისათვის გზის გაკვალვისა და... ნატო გაბუნია მალევეც წამოიღებდა საცენზურო კომიტეტიდან ხელმოწერილ ეგზემპლარს.

პიესას კი ეღირსებოდა სცენური სიცოცხლე, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ვერ დარჩებოდა კმაყოფილი სპექტაკლით: აქ არცერთია იმისთანა სახე ადამიანისა თუ ცხოვრებისა, რომ მნახველმა თქვას — აი, ამ დროს რა შესძლებია, რა კაცები შეუქმნია, რა ავ-კარგიანობა, მეტ-ნაკლებობა ჰქონია; აი, მაშინდელი კაცი, რა აზრით, რა ფიქრით, რა გრძნობით, რა ძლიერებით თუ უძლურებით შეჰბმია თავის საკუთარ თუ საქვეყნო საქმეს და რა ზნე-ჩვეულებას უტარებია დროთა ვითარების გზაზეო.

რეცენზენტი ნაკლად არ ჩამოართმევდა ქართული ვერსიის ავტორს, რომ დრამის ამბავი წარმოსახვით მისადაგებოდა გარკვეულ ხანას ჩვენი წარსულისა. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ იყო, რომ ისტორია ესწავლებინა მკითხველისა თუ მსმენელისათვის, ისტორიული ქრონიკა დაეწერა ეპიზოდებისა თუ დეტალების ზუსტი აღნუსხვით. თუ სურდა ისტორიული ღირსება მიენიჭებინა თავისი დრამისათვის, უსათუოდ მოვალე გახლდათ სული და გული ეპოქისა ამ ამბავში ჩაენასკვა, ჩაესახა და დრამის სვლაში გადაეხსნა, გადაეშალა საგრძნობლად და დასანახავად.

ჩვენში ეს საქმე მეტად ადვილად მიჩნეულიყო.

— ოღონდ თხზულება მონოლოგებით და დიალოგებით იყოს დაწერილი, სცენებად და მოქმედებად დაყოფილი, შიგ ორიოდე ალაგას ქალისა თუ კაცის სიკვდილიც ჩაკერებულ იქნას და ავტორს არ უჭირდება სთქვას „დრამა არისო“ და ამ სახელით მოედანზე გამოიტანოს.

ასე გახლდათ სხვა დრამებიც და ასეთი აღმოჩენილიყო ავქსენტი ცაგარელის ეს დრამატურგიული მცდელობაც, რო-

მელიც თურმე ვერც თავს გაიმართლებდა და ვერც შეირჩენდა ამაოდ დაჩემებულ დრამის სახელს.

საგნად რომ დაესახა ჩვენება ქართველთა მამულიშვილობის და ვაჟკაცობისა, არც მამულიშვილობა და არც ვაჟკაცობა სადრამო განსაცდელში არ მოქცეულიყო, რათა გრძნობათა ჭიდილში გამოკვეთილიყო, რა ქარტეხილში ჩავარდნილიყო ამ გრძნობათა მქონებელი კაცი, რა წვა-დაგვა გამოევლო და ამ განსაცდელიანი ქარტეხილიდან როგორ გამოეტანა თავი გამარჯვებულ გრძნობას. სული და გული ადამიანისა თავისით არ მოქმედებდა, თვისდა ბუნებისამებრ არ იშლებოდა და არ იხსნებოდა მოქმედებაში.

ვერც იმას მოუწონებდა ილია ჭავჭავაძე დრამატურგს, რომ მტერნი გამოუკლებლივ კაცისმჭამელებად წარმოჩენილიყვნენ, სისხლის მსმელებად და ადამიანობაზე პირწმინდად ხელაღებულად, ქართველები კი სრულქმნილნი რო ჩანდნენ.

— ეს გრძნობის ჭეშმარიტს გზაზე დაყენება კი არ არის, გრძნობის წაწყმედაა, გაყალბებაა, დაბრმავებაა, ეგ ცეცხლია, ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალების უმალვე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში — ნატისუსალი. ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაცდურია ყოველ გაუწურთნავ და გონება-გაუხსნელ კაცისათვის.

დრამაში ქართველებს გაჰქონდათ გამარჯვების ბურთი მოედნიდან.

და გამარჯვებას გადაჩვეული ახლანდელი ქართველი ამას რომ ხედავდა, აღტაცებას ვეღარ ფარავდა.

და ილიას გული წყდებოდა, რომ ავტორისაგან შეთხზულ გამარჯვებაში უნდა გვეძებნა მიზეზი ტაშისცემისა სპექტაკლის დროს და არა თვითონ დრამის ღირსებაში.

— ეს ამისთანა აღტაცება ისე ჰგავს ჭეშმარიტს აღტაცებას, როგორც მართალი სიცილი იმ სიცილს, რომელსაც კაცი კაცს ღიტინით განგებ მოჰგვრის ხოლმე მაშინაც, როცა კაცს სულაც არ ეცინება, როცა სასაცილო არა არის-რა. ესეთი ფესვ-გაუდგმელი, გულთ-ჩაურჩენელი, ესეთი ტყუილი აღტაცება გროშადაც არა ღირს და უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი...

გული წყდებოდა, რომ მთელი ოთხი მოქმედების განმავლობაში დრამის ნასახიც ვერსად აღმოეჩინა.

თვით დედა, თავი და თავი მოქმედი დრამისა, ისე გამოსახულიყო, თითქოს მეტხორციაო, და სრულიადაც რომ გამოკლებულიყო, პიესას თითქმის არა დააკლდებოდა რა.

ამასთან, რაღაც უგრძნობელი და გულქვავი რამ გახლდათ — დედაშვილურ გრძნობას, თავისთავად ასეთ მოსალოდნელს, ასეთ სასურველსა და საპატიოს, მის გულში არავითარი ადგილი არ ეპოვნა, და ამიტომაც მის მიერ შვილთა გაწირვას მამულისათვის არავითარი ფასი აღარ ჰქონდა:

— გაწირვა მაშინ არის დიდსულოვნების საქმე, როცა გამწირველი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ვხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დააკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან.

ეს ხომ ის ზოგადი ქარგაა, რომელიც სამი ათეული წლის წინათ თვითონ ილიას მოფიქრებოდა სრულიად დამოუკიდებლად ფრანგი ავტორისა და კიდეც შეექმნა დრამატული პოემა „დედა და შვილი“, როგორც სურათი არა წარსულის, არამედ მომავალი ცხოვრებისა (1860 წლის პირველი მონახაზი 11 წლის შემდგომ საბოლოო რედაქციით გაიმართებოდა), და ეს თხზულება ილიას სწორედ იმ მხატვრულ კონცეფციაზე ამოეზარდა, რისი არარსებობაც „ქართველი დედის“ უმთავრეს ნაკლად მიაჩნდა, და რასაც მკითხველის თვალწინ უნდა დაეყენებინა გულისჭიდილი დედისა დედაშვილური და მამულიშვილური სიყვარულის გამო, რომელთაგან ან ერთი უნდა გაწირულიყო და ან მეორე, რაკიღა ტრაგიკულ რეალობას ეს გარდუვალობა მოეტანა.

— ორივე სიყვარული კანონიერია, ბუნებრივია, და მით ორივე დიდს გრძნობას წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში, ძნელად გასაწირს, ძნელად გასამეტებელს და, რამოდენად ან ერთი, ან მეორე, ძნელად გასაწირია, ძნელად გასამეტებელი, იმოდენად თვით განწირვა დიდია, საპატიო და სახელოვანი.

სწორედ ასეთი გახლდათ ნატო გაბუნია „დედა და შვილის“ დადგმაში, პირველად 1882 წელს რომ იხილავდა მაყურებელი, გულისჭიდილით შეპყრობილი დედის განცდებს დახვეწილი ოსტატობით რომ წარმოსახავდა და ამ ჭიდილის მხილველს ხდიდა.

აქ კი:

ნაცვლად იმისა, გრძნობათ ამ ჭიდილში ამოშუქებულიყო დიდსულოვნება და ადამიანობა დედისა, ქალი სცენაზე შემოდიოდა წინდაწინვე გადაწყვეტილი აზრით და მაყურებელს არწმუნებდა, ჩემი ქვეყნისათვის გავზარდე ჩემი ხუთი შვილი, საქართველოსათვის ვაწოვე ჩემი ძუძუო, და სხვა აღარაფერი ანაღვლებდა, დაე დახოცილიყვნენ, ამას რატომღა უნდა განეცადა მწარედ, და ილიას ლამის პარტერიდან შეეძახა: ნუთუ დედაშვილური სიყვარული ისე ცოტა რამაა, რომ უომრად, უბრძოლველად ლაჩარსავით დანებდეს თუნდ იმისთანა დიდპატიოსანსა და დიდმშვენიერ გრძნობას, როგორიც მამულიშვილური სიყვარულიაო?!.

აფსუს, ნატო გაბუნია ამჯერად მეტად სწორხაზობრივსა და მარტივ სახეს რომ ქმნიდა.

ილიას შეტყობით, არც იმას მოეხდინა მაყურებელზე სასიამოვნო შთაბეჭდილება, დედა სადაც მოხვდებოდა და წამდაუწუმ გაიძახოდა: შვილები მამულისათვის გამიზრდიაო. ერთხელ თქმა კი ზედმეტი გახლდათ, და ეს განცდა მოქმედებას თავისთავად უნდა ეღაღადა, არამცთუ ეს ყოვლად შეუწყნარებელი ჩიჩინი, რაც ბაქიობას და თავმომწონეობას უფრო მოასწავებდა, ვიდრე სიწრფელეს, და მაყურებელი ისე აღიქვამდა, როგორც ყვედრებასა და დამუნათებას: აი, თქვენთვის რამხელა სიკეთე გამიწევიაო.

და ილიას უკვირდა, როგორ ვერ მიმხვდარან ვერც დრამატურგი, ვერც რეჟისორი და ვერც მსახიობი, რომ დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანადო.

იმ ხუთ გაწირულ შვილსაც მხოლოდ უგულოდ თუ მიადევნებდი თვალს, რაკიღა შვილები ყვებოდნენ, ვისთვის რა კაცობა დაეწერა შუბლზე ავტორს წინასწარვე.

თუ ძალიან მოინდომებდი, ერთადერთ სადრამო მდგომარეობაში შესაძლოა უსუფ-ფაშა დაგენახა, და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ კაცში მოჩანდა გრძნობათა ცოტაოდენი ჭიდილი, მაგრამ ესეც თუ მოქმედების მსვლელობას თავისთავად გამოეწვია ავტორის დაუკითხავად, ავქსენტი ცაგარელს მაინც შეეშველებინა ხელი ამ სახის დამუშავებისათვის, რომ ამ გამხეცებულ ადამიანში გათვალსაჩინოებულიყო სახელის მოპოვების სურვილიც და მამაშვილური სიყვარულიც და ეს სურვილი და სიყვარული ერთმანეთს რომ შეეჭიდებოდა, თუნდაც გაკვრით, მსმენელის დაღლილი გულისყური მაინც ფხიზლდებოდა და ესეც საქმე გახლდათ.

მაგრამ ეს რას უშველიდა დადგმას, როდესაც გული დრამისა გახლდათ ფუჭი და მარტო კანი, ნაჭუჭი, თუნდ წარწერებით აჭრელებული, რას უშველიდა — გული დრამისა ხომ უნდა გამოეხსნა თვითეულ მოქმედ პირსა და სცენას, ისე, როგორც გორგალი ძაფსა, და სადაც ეს გორგალი არ მოიპოვებოდა ან ავტორს არ დაეხვია, იქ ამაო გახლდათ ძაფების ტყუილუბრალო ცოდვილობა, წევა და გრეხა.

განა ეს ნაკლოვანება უმნიშვნელოდ ჩაითვლებოდა? ილია დაურიდებელი გახლდათ — ის და დრამა ერთმანეთში ისევე ვერ მოთავსდება, როგორც ცეცხლი და წყალიო.

მხოლოდ და მხოლოდ რეცენზიის დაწერა განეზრახა, მაგრამ ისეთი სიღრმით ჩაუკვირდებოდა პიესის გადმოკეთებისა და მისი გასპექტაკლების გარემოებებს, რომ — სოლომონ ხუციშვილისა არ იყოს — მსჯელობისას გამოჰკვეთდა არსს ისტორიული თხზულებისა, მეთოდს ამ ყაიდის ქმნილების აგებისა, ბელეტრისტული იქნებოდა, პოეტური თუ დრამატურგიული.

— ეს წერილი არის თეორიული მითითება, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორიული თხზულება, როგორ უნდა იქნეს გაგებული ისტორიული წარსული, რომ მასში არ იყოს მოცემული სიყალბე და ცალმხრივობა, როგორი უნდა იყოს ისტორიული პიროვნება, რომელიც ეპოქის სულს და შინაარსს უნდა ეთანხმებოდეს...

სოლომონ ხუციშვილი მსჯელობისას გაიხსენებდა ილიას პოემას „აჩრდილი“, რომელიც მწერალს არ ჩაეფიქრებინა ისტორიულ თხზულებად, მაგრამ მაინც სწავლობდა და ეძიებდა ცნობებს დოკუმენტებში — წარსულის დამახასიათებელს, და ეს იმიტომ, რომ ამ ნიშანდობლივ მხარეთა, დეტალების შესწავლა და გათვალისწინება აუცილებელი გახლდათ მთლიანობის, წონასწორობისა და სრული ეფექტიანობის დაცვის თვალსაზრისით:

— რაც, სამწუხაროდ, ავქსენტი ცაგარელს არ გაუკეთებია.

და მაშ დადგმაც როგორღა ივარგებდა!..

ვერა, ვერ იყო „ქართველი დედა“, როგორც ხელოვნების ნიმუში, რითიმე საგულისხმო.

და მაშ... მაშ ის რაღა იყო, სპექტაკლის ჩამთავრების შემდეგ ავქსენტი ცაგარელს ხელში რომ აიტაცებდა მაყურებელი და ისე ატატებულს ჩამოაცილებდა კიბეზე?!.

აღფრთოვანებულ მაყურებელთა შორის უთუოდ ის ადამიანებიც ერივნენ, ილია რომ ასე კილავდა მათ გულისთქმას: გამარჯვებას გადაჩვეულ ქართველთა მოჩვენებითი ბედნიერება სცენაზე მომხდარი ჰეროიკული ამბებითო, — მაგრამ საერთო განწყობილება კი მათი განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო, თორემ ილია არ გაამართლებდა ამ აღტკინებულ აქციას. თვითონაც თუ არ შეაშველებდა ხელს ჰაერში აცურებული ასიკოს ჩამობრძანებას კიბეზე, ტაშს ხომ მაინც დაუკრავდა აღტკინებული ხალხის შესაგულიანებლად და მისგან ესეც სავსებით კმაროდა, რათა მაყურებელს ერწმუნა თავისი საქციელის სისწორე და სპონტანური ამოფრქვევა შესაფერისადაც დაეგვირგვინებინა. და შინ დაბრუნებულთ კი სიამაყით გაეხსენებინათ ის წუთები, მათ ადგილას ყოფნას ბევრი რომ ინატრებდა.

ილია აკი მაყურებლის ამ საქციელს მიაწერდა ავქსენტი ცაგარელის დიდ დამსახურებას ჩვენი სცენის წინაშე.

მერე რა, რომ ისტორიული დრამა თუ ტრაგედია ვერ აღმოჩენილიყო მთლად ასიკოს ამპლუა და არა რაღაც შემთხვევითი და ადრე თუ გვიან გამოსასწორებელი, არამედ სავსებით მოსალოდნელი მარცხიც განეცადა.

„ქართველი დედა“ ვერ ჩაფარცხავდა მისი კომედიების განსაკუთრებულ ზეგავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ისტორიული დრამა მხოლოდ საბაბი იქნებოდა ხალხისათვის, თავიანთი სიყვარულის გამოსახატავად.

— ამ სიხარულის და ტაშის გამოწვევაში „ქართვლის დედა“-ს გრძნობა სამართლიანობისა არავითარ მონაწილეობას არ აკუთვნებს, ჩვენის ფიქრით.

არავითარსაც მთლად ნუ ვიტყვით, რადგანაც ეს ხომ ის ჟამია, როდესაც იმპერიული ხელისუფლება ლამობს ამოშანთოს ქართველობის ცნობიერებიდან ისტორიული წარსული, თითქოსდა ჩვენი ისტორია 1801 წლიდან იწყებოდეს!.. და, აი, თურმე მანამდეც ვარსებობდით, მანამდეც ვიღვწოდით და ვიბრძოდით, მანამდეც გვყოლია ქვეყანაზე მოფიქრალი ადამიანები, და იმ წარსულის სცენური გაცოცხლების საშუალება რომ გამოეტაცათ ხელისუფალთათვის, წარსულის არსებობა თვალნათლივ რომ დასტურდებოდა, პროტესტის ასე ახდილად გამოთქმის შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ.

ამას უფრთხოდა მთავრობა, სხვას კი არაფერს, ნებართვას რომ აჭიანურებდა.

მაინც ვერ აცდენოდა.

რაღაც უჩვეულო მხატვრული ღირსებებით ვერც დავით ერისთავის „სამშობლო“ დაიკვეხნიდა, იმჯერადაც პატრიოტულ სულისკვეთებასა და სცენაზე ქართული დროშების გამოტანას რომ აღეფრთოვანებინა ხალხი და კიდეც გადაიქცეოდა ის სპექტაკლი და ის დღე დიდ ეროვნულ მანიფესტაციად, დაუვიწყარ ნიშანსვეტად რომ შემორჩებოდა არამარტო კულტურული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას.

„ქართველი დედა“ იმ მხატვრულ დონესაც ვეღარ შეწვდომოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ხაზებში სარდუსა და არნოს პიესებიც ჰგავდა ერთმანეთს და, შესაბამისად, მათი ქართული ვერსიებიც.

არადა, ილიას აღარ აკმაყოფილებდა მარტოდენ პატრიოტული თემატიკის ხარჯზე გაღვივება ეროვნული გრძნობებისა და ესწრაფოდა „სამშობლოს“ გადამეტებოდა კიდეც ამავე სულისკვეთების ახალი დადგმა, არამცთუ უკან გადადგმული ნაბიჯი ყოფილიყო.

თუ თეატრი ტაძარი იყო, მაშ სულ ამაღლებული უნდა ეძია და შესაფერის საბურველშიც გამოეხვია.

თუ თეატრი სკოლა იყო, მაყურებლის აღზრდასა და გემოვნების სრულყოფას უნდა ცდილიყო და არა მის გემოვნებამდე დაქვეითებულიყო.

ამიტომაც არ მიუთვლიდა წარმატებად აჟიოტაჟის გამოწვევას და მკაცრად მოეპყრობოდა მისთვის ასერიგად საპატივსაცემო დრამატურგის ამ მცდელობას.

არადა, როდესაც შენს ბუნებრივ შემოქმედებით გარემოს გამოსცილდები...

ავქსენტი ცაგარელი არა ყოფილა უილიამ შექსპირი, კომედიებიცა და ტრაგედიებიც ერთი რანგისა შეექმნა, ერთ რანგს ვინ ჩივის, ვერც მიხვდებოდი, „ქართველი დედის“ დამწერს ისეთი კომედიები თუ დაეწერა, არამცთუ ერთბაშად მოეხვეჭა პოპულარობა, ყოველთვისაც რომ მოათქმევინებდა სულს ქართულ თეატრს, მომხიბლავ გამოსხივებად რომ ჩაეწვნოდა ხოლმე მის რეპერტუარს.

შექსპირობას არც ჩემულობდა, ეგაა, ანგარიშს გაუწევდა მაყურებლის გულისთქმას და მოიწადინებდა იმ ჟანრშიც მოესინჯა თავისი უნარი და, რაკიღა შესაფერისი ამბავი ვერ ამოეღო ჩვენი წარსულიდან სიუჟეტის გასაშლელად, გადმოკეთება ეყაბულა. თან, შესაძლოა გულის სიღრმეში ის შეგრძნებაც უფეთქავდა, რომ დავით ერისთავმა სწორედ გადმოკეთებული პიესით მიაღწია იმ უჩვეულო ამოფრქვევას ეროვნული სულისდგმისა და ეგებ გადმოკეთება დაბედებოდა ასე სასიკეთოდ ტრაგედიის ჟანრს... და ამ ტრადიციის გაგრძელებაც პოპულარულ კომედიოგრაფს ეთავა.

ასეა თუ ისე, ისტორიული დრამაც „ლეკის ქალი გულჯავარ“ რომელიღაც უცხოური თხზულებით იქნებოდა შთაგონებული, თუმც პირველწყაროს არც თვითონ მიუთითებდა და ვერც მკვლევარები მიაგნებდნენ. წარწერა: აზრი ნასესხებიაო, — მეტყველებდა ავქსენტი ცაგარელის კეთილშობილებაზე — სხვისი არაფერი მიეთვისებინა, მაგრამ ორიგინალი დაფარული რჩებოდა და, ეტყობა, დიდადაც არ მოიკლავდნენ თავს მის მოსაძებნად, რაკიღა ვერ გამოდგებოდა ეს პიესა იმ რანგის მხატვრული ქმნილება, ყველაფრის შეტყობა-დაზუსტება რომ მოგინდება მის ირგვლივ.

ისე ისტორიული დრამის დაწერამდე ამავე სათაურის — „გულჯავარ (ეპიზოდი ერეკლე მეფის დროიდან)“ — პოემა უკვე შეექმნა და მისი დასაწყისი — პირველი ოთხი თავი — კიდეც გამოექვეყნებინა „ივერიის“ 1885 წლის მე-3 ნომერში და... გაგრძელების ნებართვას კი ცენზურა აღარ მისცემდა.

პოემის ეს დაუბეჭდავი ნაწილი, V-IX თავები, ილიას ქაღალდებში რომ აღმოჩნდებოდა, თანაც ორ ვარიანტად, პავლე ინგოროყვა საგანგებოდ შეაჯერებდა ორივე ტექსტს: ერთს — უშუალოდ ავქსენტი ცაგარელის ხელიდან გამოსულს, მეორეს კი — თვით ილიას მიერ დამუშავებულ რედაქციას, მითუმეტეს, რომ პოემის გადაკეთებაზე „აჩრდილის“ შემოქმედი საფუძვლიანად გარჯილიყო — ამას მოწმობდა რედაქციის შავი პირები, ნასწორები და შეკეთებული. ტექსტის გადამუშავების შემდეგ ილიას თავისი ბოლო რედაქცია

გადაეთეთრებინა და ნაწილობრივ ჩაენიშნა ავქსენტი ცაგარელის სტრიქონებს შორის, ხოლო ნაწილობრივ ცალკე ფურცელზე გადაეწერა. ასე შეესწორებინა V, VI, VII და VIII თავები, IX კი უცვლელად დარჩენილიყო.

ორივე ვარიანტის შედარება პავლე ინგოროყვას აფიქრებინებდა, რომ ამ V-VIII თავების ავტორობა ისევე შეიძლება მიკუთვნებოდა ილია ჭავჭავაძეს, როგორც ავქსენტი ცაგარელს, რადგანაც ილიას სრულიად შეეცვალა პოემის ტექსტი, ისე არსებითად, რომ თითქმის არცერთი სტრიქონი ცაგარელისა არ დაეტოვებინა პირვანდელი სახით. ადგილ-ადგილ შეცვლილი ჩანდა თემატური დეტალებიც კი. ასე რომ, ამ მეორე ვარიანტის სახით ხელთ გვეპყრა არა უბრალო შესწორება ავქსენტი ცაგარელის პოემისა, არამედ ილიას დამოუკიდებელი პოემა ამავე თემაზე.

ნეტა იმ გამოქვეყნებულ ოთხ თავსაც ასეთივე რედაქციული ცვლილება ხომ არ განეცადა? მართალია მათი ხელნაწერი არ შენახულიყო და პირდაპირი ჩვენება არ გაგვაჩნდა, მაგრამ პავლე ინგოროყვა პირწმინდად სტილური ანალიზით დაიდასტურებდა, რომ პოემის ეს პირველი ოთხი თავიც ასევე ილიას მიერ უნდა ყოფილიყო შეკეთებული.

— სტილი ამ ოთხი თავისა უდგება არა პირველ ვარიანტს (ცაგარელისეულს), არამედ მეორე ვარიანტს, ილიას რედაქციას.

მაშ რა გამოდიოდა?

პავლე ინგოროყვა პოემას ველარ დაუტოვებდა მარტოდენ ავქსენტი ცაგარელს, როგორც მანამდე მიეკუთვნებინათ, რაკიღა ისტორიულ ეპოსში დროებით გადასახლებულ კომედიოგრაფს ეკუთვნოდა ამბის საერთო მაგისტრალი, ხოლო პოემა არსებული სახით ილიას თანამშრომლობითა და რედაქციით ყოფილიყო შესრულებული.

სულ სხვა მნიშვნელობა მიენიჭებოდა, სულ სხვა სიმაღლე გახლდათ ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა უილიამ შექსპირის „მეფე ლირისა“ და სულ სხვა — ავქსენტი ცაგარელთან ერთად შესრულება პოემისა „გულჯავარ“, მაგრამ ამჯერად ფორმალური მხარე ირკვეოდა — თუ რა წვლილი მიუძღოდა ილიას ან ერთ ნამუშევარში და ან მეორეში, და ამ მხრივ დაწყვილდებოდა ეს ორი თხზულება პავლე ინგოროყვას ძიებისას — ილიას ნაწარმოებთა კომენტირებისას.

ერთი ქართული დრამატული ხელოვნების მწვერვალზე აღმოჩნდებოდა.

მეორე კი, აბა...

შედარებაც უხერხულია.

თუმც ამჯერად ამ ყოველივეს გახსენება იმას გამოეწვია, ავქსენტი ცაგარელი ამავე სიუჟეტზე პიესასაც რომ ააგებდა და... ილიას აქ უკვე აღარ ჩაიზიარებდა. პოემას ილიას დაუტოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ ილია არ ეცილებოდა თანაავტორობაში და გამოქვეყნებითაც მარტოდენ ავქსენტის სახელით გამოაქვეყნებდა — უშურველად აჩუქებდა თავის წვლილს და მარტოდენ რედაქტორობას იყაბულებდა, თორემ პოემის დრამატურგიულ ვერსიას ხომ არ გაეკარებოდა და არა.

ხლართანიო, — ასე მოიხსენიებდა ამ ისტორიულ დრამას იოსებ გრიშაშვილი, პირველად 1897 წლის 23 თებერვალს დადგმულსა და დიდად პოპულარულს.

ის კი არა, ვიქტორ დოლიძე ოპერას — „ლეილა“ - რომ შექმნიდა, ლიბრეტოს ამ ისტორიული დრამიდან გადააკეთებდა. „ხანუმას“ ასერიგად გაემართლებინა და ვითომ „გულჯავარი“ რატომ უნდა ყოფილიყო ნაკლები?!

... რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო, — ვინ იცის, ეს რუსთველური სტრიქონები უტრიალებდა გონებაში ილია ჭავჭავაძეს, ხალხის ხელში ატატებულ ავქსენტი ცაგარელს რომ შეჰყურებდა, ანანავებულსა და ზეციკენ ასწრაფებულს და... ტაშს კი მაინც მიაყოლებდა, მერე რა, რომ დღევანდელმა დღემ გაგვაწბილა, ასიკოს ეკუთვნის მაყურებლის ეს აღტაცება, ვის, თუ არა სწორედაც ასიკოსო.

თავი V
გასტროლეგის პოლიტიკური მისია

წერის ეშხში შევიდოდა.

ეს ახალი ჟანრი გახლდათ მისთვის, აქამდე მოუსინჯავი — მემუარები, მაგრამ კარგადაც აუღებდა ალღოს და მოხდენილი იუმორით შეზავებული, ენაწყლიანი თხრობა მუდმივი დასის დასახვისა და საქართველოში საგასტროლო მოგზაურობის ქრონიკებს აღადგენდა, და სანდო სურათს რომ წარმოსახავდა საზოგადოებრივ-კულტურული რეალობისა, თხრობის მდინარებაც მოითხოვდა და თვითონაც ხალისი გაუჩნდებოდა, რომ ყველაფერი ამ ექვსი ფელეტონით არ მოთავებულიყო და „მოგონებანი“ გაცილებით ვრცელ თხზულებად წარმომდგარიყო.

და მკითხველს რომ გამოეთხოვებოდა მეექვსე ფელეტონის ბოლოს, მაინც დაატანდა:

— თუ ინებებთ და ნებას დამრთავთ, კიდეც მალე გამოგელაპარაკებით.

წერის ეშხში შევიდოდაო...

დაპირებაც ამისა გახლდათ.

მაგრამ ამდენს აღარ დაანებებდა ლოთური ყოფა და გატეხილი ჯანი, შთაგონებას ვერაფრად შეეწეოდა სასოწარკვეთილება და... ჩინებულ დასაწყისს შესაფერისი გაგრძელება ველარ მოჰყვებოდა.

არადა, „მოგონებათა“ შექმნა იმავე გაგულისებასა თუ განაწყენებას გამოეწვია, რაც აკაკი წერეთელს მწვავე ეპიგრამას დააცდენინებდა: უმიკაშვილმა პეტრემა ჟურნალში სწერა კრიტიკა, გამოიბერა სიბრძნითა, იკოლიტა და იტიკა, სხვისი გალახვა უნდოდა, თავისვე თავში იტიკა; სადაც ის ახალ აზრებს ჰკრებს, ჩვენ მონელებულს ვყრით იქაო!

1900 წლის 2 იანვარს დრამატული საზოგადოების კრება მიეძღვნებოდა ქართული თეატრის 50 და მუდმივი დასის შექმნის 20 წლისთავს. იქ კი საპატიო სტუმრებად აირჩევდნენ გაბრიელ სუნდუკიანცსა და ავქსენტი ცაგარელს, რომელთაც თავშეყრილი საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოებდა.

საღამოს წარმოადგენდნენ გიორგი ერისთავის „გაყრას“, დილით კი მოისმენდნენ ორ მოხსენებას: ნიკო ავალიშვილის „ქართული თეატრის მოკლე მიმოხილვა (1855-1900)“ და პეტრე უმიკაშვილის „ქართული თეატრი და ლიტერატურა“.

ეს მეორე მოხსენება გახლდათ, ულმობლად რომ დაერეოდა ქართველ დრამატურგებს და ერთი ერთმანეთზე აფარებდა.

გიორგი ერისთავი იყო და:

უკეთეს ორიგინალურ დრამატულ თხზულებებად მიჩნეული მისი „გაყრა“ და „დავა“ ევროპულ თხზულებებთან შედარებით, თუნდ მეორე და მესამეხარისხოვანი მწერლებისა, ხორცშეუსხმელ გეგმად მოჩანდა, დაუმუშავებელ ესკიზად და არა განვითარებულ, შალაშინგაკრულ დრამად.

ზურაბ ანტონოვი იყო და:

ამ შემთხვევაში ტექნიკის მხრივ უფრო მაღლა იდგა გიორგი ერისთავზე, თორემ...

თურმე ამ შეფასებას კიდევ რა უშავდა. ესეც ალბათ ერთგვარი შეღავათი გახლდათ მისი ტრაგიკული, იდუმალებით მოცული აღსასრულის გამო.

აკაკი წერეთელი იყო და:

მისი დრამები მარტოდენ სურათები გახლდათ, დრამის ტექნიკას სრულიად მოკლებულნი.

ავქსენტი ცაგარელი იყო და:

მისი პიესები მთლად მარტივი სურათები გახლდათ, ოხუნჯური ფრაზებით შევსებული.

ვალერიან გუნია იყო და:

მისი პიესები ფეერიებს ჰგავდა, მაშინ, როდესაც დრამას ევალებოდა ეჩვენებინა სულის სიცოცხლე ანუ ვნებათა ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვება ან დამარცხება.

კიდევ კარგი გადმოკეთებული ან თარგმნილი თხზულებანი მაინც წარმოდგებოდნენ უკეთესად, ვიდრე ორიგინალური პიესები, და აკაკი წერეთელსა და ავქსენტი ცაგარელს — კოტე მესხსა და ვასო აბაშიძესთან ერთად — ამ მხრივ მანც გაეწიათ გარკვეული სამსახური ქართული თეატრისათვის.

ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინა პეტრე უმიკაშვილს და ამ მოხსენებას შევსებული სახით „მოამბის“ ფურცლებზე რომ გამოაქვეყნებდა იმავე წლის პირველივე ნომერში, იქვე დაიბეჭდებოდა აკაკი წერეთლის ეპიგრამაც.

„განთიადის“ შემოქმედი ასე მოიოხებდა გულს.

ავქსენტი ცაგარელი კი, ეგებ არანაკლებად განაწყენებული, სხვა გზას აირჩევდა — უფრო თავშეკავებულს, მაგრამ უფრო საფუძვლიანსაც.

ეგებ მანამდეც უტოკავდა გულში თავისი თეატრალური კარიერის გახსენების წადილი და ის მოხსენება ბოლო წვეთი აღმოჩნდა ამ ჟანრში გადასანაცვლებლად.

ეგებ ერთბაშად მოისაზრა ამ საქმის აღსრულება — რაღა სხვებს მივანდო ამ თემის გამომზეურება, ვინ იცის, რა და როგორ გაიხსენონ და აღადგინონ, არა სჯობს მე თვითონვე წარმოვსახო თუნდაც ის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, მერე გული რომ აღარ დამწყდესო?!.

იუბილე იმისა გახლდათ, რომ რაღაც-რაღაცები არაერთს უნდა ეთქვა მუდმივი დასის შექმნის ირგვლივ, მაგრამ რაკიღა პეტრე უმიკაშვილისაგან ვრცელ საუბარს მოელოდნენ, განსაკუთრებული ინტერესითაც დაუგდებდნენ ყურს — მთელი ისტორია გადაგეშლება თვალწინო.

მაგრამ... იგი იქ მოათავებდა თავის თხრობას, საიდანაც უნდა დაეწყო.

გიორგი ერისთავსა და მიხაილ ვორონცოვს რომ გაიხსენებდა, ყველას ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, რომ ამ ამბებს ერთგვარ წინასიტყვაობად გამოიყენებდა ნამდვილ საგანზე გადასვლისათვის. ცოტა გაჭიანურებული წინასიტყვაობა გამოდიოდა, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა, როდესაც პირველად უნდა ამოსახულიყო კანთიელი სურათი სამუდამო სცენის დაარსებისა.

ის კი ატარებდათ, ატარებდათ მიხვეულ-მოხვეული გზებით, რას აღარ უამბობდათ, რას აღარ გადაწვდებოდა და... სწორედ იქ შეჩერდებოდა, სადაც იწყებოდა ეს შესანიშნავი ხანა ჩვენი თეატრალური ცხოვრებისა.

და ავქსენტი ცაგარელს რომ აღარც ეგონა, კიდევ რაიმე თუ შეძრავდა და ააფორიაქებდა, ძალთა ისეთ მოზღვავებას იგრძნობდა და კალამსაც ისე წაეტანებოდა, თავს დაირწმუნებდა, მუდმივი დასის შექმნის ისტორიასაც აღვადგენ და ჩემს თვალწინ ჩავლილ თეატრალურ ცხოვრებასაც ნაბიჯ-ნაბიჯ ავკინძავო.

ყველაფერი ისე შემზადებულიყო პროფესიული თეატრალური დასის ჩამოსაყალიბებლად, შორს აღარ გადაიწევდა, და 1878 წელს ბევრი ადამიანი რომ მიაწყდებოდა სცენისმოყვარეთა გუნდს წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად, ქართველი თუ რუსი, ფრანგი თუ სომეხი, თავადი გნებავთ, აზნაური თუ გლეხი, და რეპეტიციებიც სულ უფრო გაცხოველდებოდა როგორც ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიაში, ისე დიმიტრი ყიფიანისა და ნიკო ავალიშვილის ოჯახებში, საყოველთაო მისწრაფება 1879 წლის ნიშანსვეტური თარიღით დაგვირგვინდებოდა.

დიმიტრი ყიფიანის ხსენება სულს აუმღელვარებდა და თითქოს ახლაც ყურში ჩაესმოდა მხურვალე სიტყვები, მეთერთმეტე მცნებასავით გულს დაჭდეული:

— ყმაწვილებო, საძნელო საქმეს მოჰკიდეთ ხელი და გულს ნუ გაიტეხთ, ნუ შედრკებით! ყველა საქმის დაწყება, რაც უნდა მცირე იყოს იგი, საძნელოა, მაგრამ თუ გულმოდგინეთ და მუყაითად მოეკიდებით მას, საქმე კაცს ვერ გაექცევა და თქვენ ჭირნახულიც უუტკბილესი იქნება.

ერთი რეპეტიციაც თუ კრებაც არ მოაგონდებოდა დიმიტრის სახლში ისეთი, რომ იმ სულმნათს მსახიობებისათვის არ ეთქვას რაიმე სანუგეშო, გამამხნევებელი თუ შემაგულიანებელი დარიგება.

ერთ რეპეტიციაზე სუფლიორობასაც იკისრებდა, რაკიღა ყველა მონაწილეობდა დადგმაში და ზედმეტი კაცი არავინ ჰყავდათ. პირველივე მოქმედებაში დაღლილობას რომ შეატყობდნენ, მისცვივდებოდნენ და ძალით წაართმევდნენ წიგნს ხელიდან.

გიორგი თუმანიშვილიც ჩაერთვოდა სცენისმოყვარეთა საქმიანობაში და გადამწყვეტ როლსაც შეასრულებდა მუდმივი დასის დაარსებაში. თავიდანვე ურჩევდა და ეხმარებოდა მსახიობებს, რომ ცოტ-ცოტად შეეძინათ სასცენო ტანისამოსი. მისი და ნიკო ავალიშვილის თაოსნობით იმ სამოსს შეიძენდნენ, უმთავრესად ჩვენებური პიესებისათვის, და აქეთ-იქიდან შემოწირულობანიც იმდენი შემოუვიდოდათ, რომ მუდმივი დასის ჩამოყალიბებისას უკვე ძალზე ცოტაღა ესაჭიროებოდათ საქირავებელი ტანსაცმელი.

რეპერტუარითაც უკვე თავს გამოიდებდნენ.

და ჰა, მოაწევდა ჟამი.

— შემდეგ დიდის შრომა-მეცადინეობისა ქართული თეატრის მოთავეთა და არა ნაკლებ შრომა-წვალებისა (მათი ხელმოკლეობის გამო) ახალგაზრდა არტისტებისა, რომელთაც ბევრი გაჭირვება, სიცივე და შიმშილი აიტანეს ამ სასიქადულო საქმეზე დამდგართა, როგორც თეატრის საქმეა, — შემდეგ ამ ათასგვარი ვაი-ვაგლახისა და დაბრკოლებისა — 1879 წლის გაზაფხულისთვის მზად იყო სამუდამო დასი, შემდგარი უუნიჭიერესს არტისტებისაგან, რომელთაც დღეს აქამომდე არამც თუ სამაგიერო, სანაცვლო, არამედ ფერმკრთალად მიმბაძავიც კი ვერავინ გამოუჩნდათ, მეტადრე ზოგიერთებს!..

მუდმივი დასის შემადგენლობიდან გაიხსენებდა კოტე ყიფიანს, ზაალ მაჩაბელს, ნიკო შიშნიაშვილს, ნოდარ ჯორჯაძესა თუ ადამ ჩუბინაშვილს, მაკო საფაროვს, მარიამ ყიფიანსა თუ ბარბარე კორინთელს. ვასო აბაშიძე 1878-79 წლებში ქალაქ შუშაში მასწავლებლობდა და დროდადრო თუ ახერხებდა ჩამოსვლას, მუდმივი დასის დაარსების შემდეგ კი აღარც მოშორდებოდა სცენას.

ბევრი სცენისმოყვარე არ ისურვებდა მუდმივ დასში ჩაწერას და დატოვებდა სცენას, თუმც დაპირებით მხურვალედ დაპირდებოდნენ: აუცილებლობისას თქვენს გვერდით გვიგულეთო.

შექმნით თუ შეიქმნებოდა პროფესიული დასი, მაგრამ მოთავეებს ეჭვი გაუჩნდებოდათ, ვაითუ დაგვეფანტონ და ძლივძლიობით თავმობმული საქმე ჩაგვეშალოსო. და გამოსავალს საგასტროლო მოგზაურობაში იპოვნიდნენ — ზაფხულში დასს საქართველოს დაბა-ქალაქები უნდა მოევლო.

ბარგს, რასაც უფრო საჭიროდ მიიჩნევდნენ, ორ უზარმაზარ სკივრში ჩაალაგებდნენ. და გიორგი თუმანიშვილი თვლით რომ ჩააბარებდათ, დასძენდა:

— თუ ვინიცობაა სხვა ტანისამოსი დაგჭირდეთ, მოიწერეთ და მაშინვე გამოგიგზავნით, სადაც იქნებით.

რას იფიქრებდნენ, გორშივე თუ დასჭირდებოდათ.

და აი ივნისის ერთ მშვენიერ დილას ახსენებდნენ ღმერთს, გადაიწერდნენ პირჯვარს და მატარებლით დაადგებოდნენ გზას.

კაცები ვინ იყვნენ და: ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, ნოდარ ჯორჯაძე, გრიგოლ ყიფშიძე და ავქსენტი ცაგარელი. გორში წამოეწეოდათ ადამ ჩუბინაშვილი მოსაკლისებული ტანსაცმლით. ის ადმინისტრატორობდა და რეკვიზიტისა და სხვა სასცენო საჭიროებათა მოპოვება მას ევალებოდა — სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. ჰყავდათ საკუთარი მეპარიკეც — დათიკო ამირაჯიბი.

ქალები ვინ იყვნენ და: მაკო საფაროვი, მარიამ ყიფიანი, ბაბო კორინთელი და ნატო გაბუნია.

კაცები — 21 წლიდან მოკიდებული, სულ უფროსი 27-29 წლისა თუ იქნებოდა.

ქალები — 18-21 წლისანი.

და მემუარისტი რომ არც გვაცნობებდეს, განა ისედაც ადვილი წარმოსადგენი არ არის, რაოდენ სასიამოვნო და მხიარული მოგზაურობა ექნებოდა არტისტთა ამ ჩინებულ გუნდს, მშვენიერი სურათებისა და ძვირფას მოძმეთა ნახვის იმედებით აღფრთოვანებულთ, მითუმეტეს, ბევრი მათგანი კორტოხს არც გასცილებოდა?!.

სიმღერა, ხუმრობა, ხარხარი.

და საუზმეს რომ გაშლიდნენ და ყველა შემოუსხდებოდა, საბოლოოდ შეიგრძნობდნენ თავს ერთი ოჯახის შვილებად, და-ძმებად.

— ძნელია ასეთი სხვა სიტკბობა იგემოს კაცმა... ძნელი წარმოსადგენია ის და-ძმური გულ-წრფელი სიყვარული და პატივისცემა ერთმანეთისა, რომელიც მაშინ ჩვენ შორის სუფევდა.

საერთო განწყობილებას ამცნობს მკითხველს, თორემ იმ განცდას, რასაც ასიკო შეეპყრო ნატო გაბუნიას მიმართ, მთლად დაძმურს ვერ დაარქმევდი. ეგაა, შორით დაგვას, შორით ალვასა და კვდომას არა სცილდებოდა — ჯერჯერობით... და არც ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვის ურთიერთობა გამოემწყვდეოდა ამ ჩარჩოში.

ის, რომ ქალები უამათოდ ფეხსაც არ გადადგამდნენ, თუმც გზაზე ხშირად ხვდებოდნენ ნაცნობ-ნათესავებს; და რომ კაცები ისე არ წავიდოდნენ სადმე სასეირნოდ ანუ უცნობ ადგილთა დასათვალიერებლად, თანამგზავრებიც თან რომ არ წაეყვანათ; და რომ სხვადასხვა დაბა-ქალაქში მასპინძლები, ამ მეგობრული განწყობილების შემხედვარენი, არასოდეს მიიწვევდნენ რამდენიმე რჩეულს სანადიმოდ და გამოუკლებლივ მიიპატიჟებდნენ ყველას ერთობლივ, — ავქსენტი ცაგარელისათვის გახლდათ არა კერძო შემთხვევა, მოგზაურობას რომ გაუადვილებდათ, არამედ დაუკვირდებოდა იმ გარემოებასაც და მკითხველსაც შეგონებად გაუზიარებდა, თუ რაოდენ სასურველი და დაუვიწყარი ნაყოფი მოეტანა დასის მიერ დასავლეთ საქართველოში მიმოსვლას:

— ბევრმა მიჰბაძა დასს, ბევრი მიემხრო მას და დღეს თვალსაჩინო არტისტები არიან... დღეს არამც თუ საქართველოს დაბა-ქალაქებში, იშვიათი სოფელი მოიპოვება, სადაც ქართული წარმოდგენა ათასში ერთხელ მაინც არ იმართებოდეს. მე ეს დიდებულ მოვლენად მიმაჩნია (შედარებით), და ამ მოვლენის სათავე იწყება დრამატიული დასის მოგზაურობიდან უფრო...

ეს არა ყოფილა გაზვიადება.

მოგზაურობა, ერთი მხრივ, თუ თვითონ დასს ჰკრავდა მეგობრულადაც და პროფესიულადაც, მეორე მხრივ, ეს ზეგავლენაც არტისტული მიდრეკილების ადამიანებზე ისეთი თვალნათლივი გახლდათ, ავქსენტი ცაგარელის ამ მტკიცებას ადვილად დათანხმდებოდა ყოველი მსახიობი და მაყურებელი, ვინც კი თეატრალური ცხოვრების მდინარებაში მეტნაკლებად გათვითცნობიერებულიყო.

ის ენთუზიაზმი და უსაზღვრო აღტაცება, რაც გორში დახვდებოდათ, მოასწავებდა მოგზაურობის დიდებულ მსვლელობას. გაზეთებიდანაც იცოდნენ და ამათაც წინასწარვე შეეტყობინებინათ იქ ჩასვლის განზრახვა, რათა ბინა და სათეატრო დარბაზი დაებევებინათ, და მოელოდნენ საპატივსაცემო დახვედრასაც, რატომაც არა, მაგრამ ასეთს?!.

— სადგური წარმოადგენდა ხალხის ზღვას, რომელიც ჩვენს დანახვაზედ აღელდა, შეირყა და „ვაშას“ ძახილით მოგვეგება... მოპატიჟე ბევრი გამოგვიჩნდა და ორ-ორ, სამ-სამ კაცს გვთხოვეს თავიანთ სახლში ჩამოხტომა...

ასე დაცალკევება არ გამოვიდოდა — რეპეტიციები სჭირდებოდათ, ტანისამოსის არჩევა, რაღაც-რაღაცების გარკვევა და წამდაუწუმ სად ეძებნათ ერთმანეთი... მაგრამ გორის საზოგადოების ეს თავგამოდება ძალიან ააღელვებდათ და გულში სიამედ ჩაეღვრებოდათ:

განსაკუთრებით დაამახსოვრდებოდა მსახიობი აღალო თუთაშვილი, თავადი ნიკო დიასამიძე და მისი და ნინო დიასამიძე-ერისთავისა, მთელ დასს რომ მიიწვევდნენ თავისთან იმჟამადაც და შემდგომაც ყოველთვის, როგორც კი საამისო საჭიროება შეიქნებოდა, და ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ, ოღონდაც მსახიობებს რაიმე მოესურვათ.

აღალო თუთაშვილი ჯერ კიდევ მუდმივი დასის შექმნამდე წერდა პიესებს და სცენისმოყვარენი თავიანთ რეპერტუარს მისითაც ავსებდნენ, თეატრზე გადაგებული საკუთარ სახლს მუქთ სასტუმროდაც შესთავაზებდა არტისტებს და ესენიც გორში ისე არ გაივლ-გამოივლიდნენ, სადილ-ვახშმისა და ღამის გასათევად მისთვის არ მიეკითხათ.

ნიკო დიასამიძის პიროვნულ ბუნებას ორ სტრიქონში ჩაწურავდა აკაკი წერეთელი: ძვირად შემხვედრია შენებრ წმინდა მეგობარიო.

არც მის სიფიცხეზე დახუჭავდა თვალს, მაგრამ ლიტერატურასა და კულტურაზე გადამკვდარობასაც ისიც ისევე უფასებდა, როგორც ყველა — უშუალო მონაწილენიც მისი ორშაბათობებისა („ვეფხისტყაოსნის“ გარჩევა იქნებოდა თუ ახალ პოეტურ თხზულებათა წაკითხვა) და გულშემატკივარნიც. ეს ტფილისში, სოლოლაკში, ხოლო გორში მის სახელს დაუკავშირდებოდა თეატრის შენობის („როტონდად“ სახელდებულის) აშენება აღალო თუთაშვილსა და სოფრომ მგალობლიშვილთან ერთად, და ახლა კი, ამ დიდი წამოწყების შემყურე ბავშვივით აედევნებოდა მუდმივი დასის პირველ წევრებს და ემუდარებოდა: რამე მომთხოვეთ, ან თეატრში რა გაკლიათ და ან ცხოვრებაშიო.

ამათაც სათხოვარის მეტი რა ჰქონდათ და... ერთხელაც არ დაიხევდა უკან ნიკო დიასამიძე, ვისი დაც, კნეინა ნინო, არანაკლებ გადაეგებოდა ჩვენს თეატრალებს, და იოსებ გრიშაშვილს გაეხარდებოდა, ავქსენტი ცაგარელის მემუარული ჩანაწერები საშუალებას რომ მისცემდა კომენტარების დართვისა, რათა მკითხველისათვის შეეხსენებინა, რომ ნინო ერისთავი არ იყო დასავიწყებელი მოღვაწე — მისეული თარგმანი ჟორჟ სანდის „ლელიასი“ ილია ჭავჭავაძეს გამოექვეყნებინა „ივერიაში“, საგულისხმო გახლდათ მისი კრიტიკული გარჩევა გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობისა „ანუკა ბატონიშვილი“, და ქარგვის დიდი ნიჭითაც დაჯილდოებულიყო.

წარმოდგენები „როტონდაში“ გაიმართებოდა, ხიდის ყურთან, ქალაქის ბაღში. და მემუარისტი გულდაწყვეტით ჩაურთავდა, რომ ცოტა ხნის წინათ ბაღის თითქმის ნახევარზე მეტი მტკვარს წაეღო და... ჯერაც იმ მდგომარეობაში იყო.

„როტონდა“ გადაივსებოდა ხოლმე.

და მსახიობებს სიამე ეფინებოდათ — სად დავტიოთ ამდენი ხალხიო.

გორელები დიდპატარიანად ესწრებოდნენ სპექტაკლებს და სოფლებიდანაც ემატებოდა თავადაზნაურობა.

დარბაზში რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა, ბევრი ორმაგ ფულს იძლეოდა, ოღონდაც კარებიდან და ფანჯრებიდან გვაყურებინეთო. ესენიც გადახსნიდნენ კარ-ფანჯრებს და მთელი ხალხი, ბაღი რომ გადაევსოთ, მაყურებლებად გადაიქცეოდა ხოლმე.

— მეტი იქნება ვსთქვა, რომ ამ წარმოდგენების გამო საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

სპექტაკლს აუცილებლად მოსდევდა ვახშამი — ან ოჯახში ანდა სასტუმროში, და ხშირად სუფრაზე მსხდომთ თავზეც დასთენებიათ. სადილს კი გაურბოდნენ სტუმრად, ვაითუ წარმოდგენის დროს ძალიან მხიარულად ვიგრძნოთ თავიო.

ამასობაში დადგებოდა დრო გორელებთან გამოთხოვებისა. სადგურში მთელი გორი გააცილებდათ და ესენიც გულნაღვლიანნი გაუდგებოდნენ გზას ძვირფასი საზოგადოების დატოვების გამო, ისინიც არანაკლებ გულნაკლულნი დარჩებოდნენ — ისე შეჩვეოდნენ და შეთვისებოდნენ, მათი მოშორება აღარ უნდოდათ.

ხაშურსა და სურამში ბევრი ნაცნობი დახვდებოდათ და აღტაცებით გააცილებდნენ.

სურამში მატარებელს წინ და უკან ორი ორთქლმავალი დაებღაუჭებოდა და სტვენა-ხვნეშით შეუდგებოდა აღმართს. და კორტოხზე ამავალნი ვაგონის ფანჯრებს მიაწყდებოდნენ ახალი სანახავით ანთებულნი.

— რამდენიმე წუთის შემდეგ სურამს ისე დავსცქეროდით, როგორც მთაწმინდის გორიდან რომ გადმოხედო ტფილისს. რომ არ შეიძლება ამ დიდებული სანახაობის წარმოდგენა.

ასიკოს პოეტური ბუნება თვალნათლივ უნდა გადაშლილიყო ლიხის ქედის ლაკონიურ და ტევად წარმოსახვაში, ამასობაში ქუთაისს რომ მიადგებოდნენ და მათ შესახვედრად გამოშლილ უამრავ ხალხს წარუდგებოდნენ. ყველაზე ადრე, რა გასაკვირია, კოტე მესხი შეენიშნათ, ყველაზე წინ რომ დარჭობილიყო ჭოტივით ბაქანზე და მოუთმენლად ელოდათ.

სპექტაკლისათვის მასპინძლები ცირკის შენობას შესთავაზებდნენ — კარგა მოზრდილ ოთხკუთხა ხის სახლს, უჭეროსა და მხოლოდ თუნუქით გადაჭედილს.

მეტი რა გზა ჰქონდათ, თორემ:

— ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, რომელსაც კი უნახავს ქუთაისი მკათათვის სიცხეებში, რა ყოფაში ვიქნებოდით ამ გახურებულ თუნუქის ქვეშ!

სცენისა და დეკორაციების შეკეთებას რომ დაიწყებდნენ, ცოტა ნირწამხდარნი იქნებოდნენ. თუმც ეს ასე პირდაპირ არ წერია მემუარულ თხზულებაში, მაგრამ სტრიქონებს შორის ისე აშკარად გამოსჭვივის!.. და მითუფრო გაეხარდებოდათ მუქთა დეკორატორის გამოჩენა — დათიკო მესხის, ცნობილ მსახიობთა, ეფემია და კოტე მესხების, ძმისა და თვითონაც არტისტის. ახალ შპალერსაც გააკრავდა კედლების ჩარჩოებს, ფარდასაც დაჰკიდებდა, რაღაცებსაც დახატავდა კედლებზე და მშვენიერ სცენასაც მოაწყობდა. წარმოდგენებშიც ხომ მიიღებდა მონაწილეობას.

მანამდე ორ კვირაში ერთხელ ორ-სამ კაცთან ერთად თაოსნობდა ახალ-ახალ დადგმებს ქუთაისში, მაგრამ...

მიზეზს მიხვდით?

ავქსენტი ცაგარელიც ამ დიდებული საქმის მსვლელობისას შექმნილ დაბრკოლებებს ჩვენი საზოგადო ქართული სენით ახსნიდა — ერთი მხრივ, ხელმოკლეობითა და, მეორე მხრივ, ცუღლუტობით:

— ორი და სამი კაცი რას გააწყობდა იქ, სადაც ათი და ოცი უკუღმართი იყო?

ვაი ვაგლახით კი აბამდნენ თავს დადგმებს, მაგრამ მათ მცდელობას ის ნაყოფი გამოეღო, რომ თუნდაც ტფილისურ დასს მომზადებული დახვდებოდა იქაური საზოგადოება.

აგერ აჰა:

თუმც ამ დროს ქუთათურთა უმეტესობა ახლომახლო სოფლებში გაიხიზნებოდა ხოლმე, მშვენიერ აგარაკებზე, სპექტაკლებზე ხალხის ტევა არ იქნებოდა.

პირველად გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს“ წარმოადგენდნენ და... მაინცდამაინც ასიკოს დაემართებოდა სასეირო ამბავი, უსიამოვნოდ დასრულებული.

აგერ კაკული-ცაგარელმა ხელი უნდა სტაცოს კისერში გიქო-ყიფიანს და ძუნძულით გამოაგდოს წინ, მაგრამ... დახეთ მის ბედს — კარს ვეღარ იპოვნიდა. დეკორატორს ერთნაირი შპალერი გაეკრა კარსა და კედლებზე. ასიკოს წინასწარ ეს შენიშნული არა ჰქონდა, კარს ვეღარ გაარჩევდა და გამოქანებული გიქო კურატივით დაეტაკებოდა კედლის ხარიხას. გაიხეოდა შპალერი და ორივე პერსონაჟი კულისებში გაგორდებოდა.

მაყურებელი კი იცინებდა და იხარხარებდა და ძახილითაც ბევრს უძახებდათ, მაგრამ ასიკოს კარგა ლაზათიანი ლანძღვაც არ აცდებოდა თავგატეხილი გიქო-ყიფიანისაგან.

ერთი კვირის განმავლობაში დღეგამოშვებით გამართავდნენ სპექტაკლებს და შემოსავალიც არ აკლდათ. და ავქსენტი ცაგარელი მხოლოდ მოგონებათა წერისას დაუფიქრდებოდა: ნეტა რას ვუშვრებოდით ამდენ ფულსო. სასტუმროს ქირის გარდა სხვა ხარჯი არა ჰქონიათ, რადგანაც ქუთათურთა წვეულება-პატიჟს ბოლო არ უჩანდა და... ნეტა მართლა სად მიდიოდა ის ფული?!.

უყაირათობა ხომ არ იჩენდა თავს — კიდევ ერთ ქართულ სენად მონათლული თვისება, თუნდ ახალშეძენილი ისტორიის ტრაგიკულ მოსახვევებში?!.

ასიკო ამდენს აღარ გაჰყვებოდა ამის განსჯას, რაკიღა თვალწინ ესახებოდა ის წარუშლელი სურათები, თუ როგორი აღტაცება გამოეწვია მუდმივი დასის აღორძინებას იმერეთში. და არამარტო ინტელიგენცია დღესასწაულობდა ამ საზოგადო საქმის ენერგიულ დაწყებას, არამედ მთელი იმერლობა — განურჩევლად წოდებისა. აგერ პატიოსანი მშრომელი ადამიანები, რომელნიც დაინახავდნენ თუ არა ქუჩაში მიმავალ არტისტს, აღტაცებითა და ვაშას ძახილით მიეგებებოდნენ და აცილებდნენ.

საზოგადო ნადიმების გადახდას არ კმარობდნენ ქუთათურები და ცალკეული ოჯახებიც ყოველდღე ეპატიჟებოდნენ. თუმც ესენი ამდენს როგორ გაწვდებოდნენ:

— ორი თვეც რომ დავრჩენილიყავით ქუთაისში, მაშინაც ვერ მოვასწრებდით ჩვენი ძვირფასი მასპინძლების სურვილის ასრულებას.

რიონს გაღმა ახალგაზრდა ხელოსანთა და ვაჭართა მიერ გამართულ არაერთ სადილს დაუვიწყარი სიამოვნებით რომ მოიგონებდა, ესეც იმიტომ, რომ ამ შეკრებებში იხატებოდა აღტაცებაც, შეგნებაც და შეთვისებაც იმ საზოგადო საქმისა, რომლის მოხელენიც ასე შთამბეჭდავად მოვლენოდნენ საქართველოს ამ მეორე ქალაქს.

— თორემ ქეიფს და დროს გატარებას, მაინც და მაინც, არაფერი საპატიო მიზეზი არ ესაჭიროება.

ქუთათური ქალები, ანა მესხის თაოსნობით, არტისტებს, ქალებსაც და კაცებსაც, ერთნაირ სამოსს შეუკერავდნენ, მატროსულის მაგვარს — ლურჯსა და ფართო საყელოიანს, თეთრი კანტებითა და გულზე ჩამწკრივებული ექვს-ექვსი ვერცხლის, ახალციხური ხელოვნების ბუშტიანი ღილებით.

— ეხლა კი ყველა გვიცნობდა, ვინც ვიყავით.

ამ ტანსაცმლით მოივლიდნენ დასავლეთ საქართველოს და ამითვე დაბრუნდებოდნენ ტფილისში.

ქუთაისიდან გამგზავრების წინადღე იმითაც გახდებოდა დაუვიწყარი, რომ გადაიხდიდნენ ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვის (ჩვენი უუნიჭიერესი არტისტებიო, დასძენს მემუარისტი, რაკიღა „უნიჭიერესი“ მათთვის მთლად შესაფერისად არ ესახება) ქორწილს და... ტასო აბაშიძე და მუდმივი დასი თითქმის ერთდროულად გაჩნდებოდნენ ქვეყნად.

ამ ეპიზოდს თავისებურ სიმბოლოდაც აღიქვამდნენ მსახიობებიც და მათი გულშემატკივარნიც და კეთილსაიმედო მინიშნებადაც.

ქუთაისიდან ფოთისაკენ დაადგებოდნენ გზას, რაკიღა მაშინ ბათუმში სხვაგვარად ვერ მოხვდებოდი. ფოთი ჯერ არ გახლდათ ევროპული ყაიდის საპორტო ქალაქი, როგორც მალე გადააქცევდა ნიკო ნიკოლაძე. მსახიობები მიმოიხედავდნენ თუ არა, გაუკვირდებოდათ,ე ს რა ჯურისა და ტომის ადამიანი აღარ ირევა ამ გარემოშიო, ქალებს კი რიონისა და შავი ზღვის შესართავი გააოცებდათ, მდინარე უზარმაზარი რომ ხდებოდა და, დამდორებულს, აღარც დინება ეტყობოდა.

— ეს რამოდენა ყოფილა შავი ზღვა!

თანამგზავრები თავმომწონედ აუხსნიდნენ, ეს ზღვა არ არის, რიონია, ზღვა ის არის, შორს, ცა რომ ჭგონიათო.

მაგრამ ერთი ქალთაგანი ახლა ამას აიჩემებდა:

— ქა, გენაცვალეთ, ეს რამოდენა მტკვარი ყოფილა აქა!

რა გასაკვირია, რომ ამ ქალაქშიც გამოსჩენოდათ ძვირფასი პატრონები და გულშემატკივარნი, უპირველესად კი ჯამბაკურ გურიელი თავისი მეუღლით — ელეონორათი.

— ჭეშმარიტ მშობლიურს თვალს არ გვაშორებდნენ...

მსახიობები ყურადღებას მიაქცევდნენ საჭმლის გემოს, იგივე წვნიანი და შემწვრები, ასეთი ხელოვნებით რომ ამზადებდნენ იმერეთში, მაგრამ სულ სხვანაირად შეზავებული, და მაშინვე ეს ფიქრი გაუელვებდათ: ჩვენთვის ეს უჩვეულო გემოვნება ოსმალეთის მეზობლობას ხომ არ ნიშნავსო?!. და იმ გარემოებასაც საგანგებოდ აღნიშნავდა ასიკო მოგონებებში: ბედშავ ქართველ მუსულმანებს ოსმალებმა ქრისტიანობა კი მიატოვებინეს, მაგრამ საჭმელები მაინც გურული დარჩათო.

დასასრული შემდეგ ნომერში

გიორგი ბერნშტეინი (ქიტიაშვილი)

იად ვაშემი — ადგილი, სადაც ებრაელთა გენოციდისთვის მსოფლიო ბოდიშს იხდის

ეთნიკური ნიშნით უპრეცედენტო მსხვერპლი კაცობრიობის ისტორიაში!

XX საუკუნის ევროპა — ებრაელთა დაუნდობელი ჟლეტა, წამებისა და დამცირების არნახული მაგალითები, სიცოცხლეშეწყვეტილი 6 მილიონი ადამიანი, მათ შორის 1,5 მილიონი ბავშვი.

ეს იმხანად სასაკლაოში მონაწილე ან, უკეთეს შემთხვევაში, დადუმებული მსოფლიოსთვის მხოლოდ ისტორიაა, ებრაელთათვის კი ცოცხალი წარსული, უკვდავყოფილი და მომავლის გზამკვლევი; უკვდავყოფილი მსხვერპლთა შთამომავლების მიერ, უკვე საკუთარ სამშობლოში — ერეც ისრაელში. იად ვაშემის სამუზეუმო კომპლექსი, რომელიც ისრაელის დედაქალაქში — იერუსალიმში მდებარეობს, ენით აღუწერელი ამ ტრაგედიის, ნაცისტური რეჟიმის მსხვერპლადქცეული ებრაელთა კატასტროფისა და გმირობის ნამდვილი სარკეა.

გიორგი ბერნშტეინი (ქიტიაშვილი)

ისრაელის დედაქალაქში ჩემი სტუმრობაც სწორედ აქედან დაიწყო.

იად ვაშემში მოხვედრილი ნანახს, უბრალოდ, წარსულის გახსენებას ვერ დავარქმევ; ეს ორი მსოფლიოს შეხვედრის ადგილიცაა, წარსულის დიდი სისასტიკისა და ეპოქალური სირცხვილით დამძიმებული თანამედროვეობისა. სირცხვილით დამძიმებული- თქო, რადგან ებრაელთა ჟლეტისთვის მესამე რაიხმა დანარჩენი მსოფლიოსგან მაშინ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო, წამება-სიკვდილისთვის განწირულ ებრაელებს კი თითქმის ყველა კარჩარაზული დახვდა!

ხსოვნის მუზეუმის შექმნაზე ისრაელში ფიქრი მაშინ დაიწყო, როცა მიიღეს პირველი ინფორმაცია ევროპაში ნაცისტური რეჟიმის მიერ ებრაელთა მასობრივი დევნისა და განადგურების შესახებ. ომის დასრულებისთვის უკვე თავი მოიყარა კატასტროფის ამსახველმა ზღვა მასალამ, რომელმაც 50-იანი წლების შუა რიცხვებში სათავე დაუდო იად ვაშემის მემორიალურ კომპლექსს.

ეს არის გაშლილ, დიდ რელიეფურ სივრცეზე რამდენიმე შენობაში განთავსებული მუდმივი ექსპოზიცია, თემატური გამოფენების პავილიონი, ასი ვიდეომონიტორი კატასტროფის მოწმეების მოგონებებით, დოკუმენტური კინოქრონიკის ჩვენებებით, ბავშვთა და დეპორტირებულთა მემორიალი, ვარშავის გეტოს მოედანი, ებრაელთა გადარჩენისთვის თავდადებულ არაებრაელთა ხეივანი, არქივი, ბიბლიოთეკა და სხვ.

მუზეუმში თითოეული ნივთი, თითოეული კუთხე-კუნჭული ებრაელი ხალხის განუზომელ ტრაგედიაზე მოგვითხრობს.

არ წყდება დამთვალიერებელთა ნაკადიც — ტურისტები, ადგილობრივი და უცხოეთიდან ჩასული ებრაელები, ისრაელელი ჯარისკაცები, მოსწავლეები, ოფიციალური დელეგაციები.

ახლა მე აქ ყველაზე მეტად ისრაელელთა ყურება მიჭირს. ისინი, წამებულთა შთამომავლები, ყველა ექსპოზიციასთან თითქოს საკუთარ წინაპრებს ებაასებიან, თავადაც მტრულ გარემოცვაში მყოფნი, ისრაელის ერთგულების ფიცს დებენ.

დღეები, როცა წყდება ებრაელი ხალხის მომავალი, მიცვალებულებიც კი მიდიან სინაგოგაში, რომ თანამოძმეებს დაეხმარონ — იად ვაშემი ამ ძველებრაული გამონათქვამის ნამდვილი ხორცშესხმაა.

აქ ჩემს ყურადღებას გერმანულენოვანი ტურისტების რაოდენობაც იქცევს. მათ შორის უმრავლესობა ომის თაობაა ჰოლოკოსტის ინიციატორი ქვეყნიდან, მოწმე ებრაელ თანატოლთა უსაზღვრო ტრაგედიისა. მათ და არა მარტო მათ, სახეებში კაცი მხოლოდ დიდ წუხილსა და გაოგნებას თუ ამოიკითხავს.

იად ვაშემის უზარმაზარ საგამოფენო სივრცეში ერთმანეთს ცვლის გეტოსა და შრომით ბანაკებში დაღუპულთა პირადი ნივთები, ტანსაცმელი, საკვები, ფოტოსურათები, მათი წამების იარაღი, ტრანსპორტირების საშუალებები.

თითოეული ექსპონატი დიდი ტკივილითაა გაჯერებული. თითქოს ებრაელთა მრავალათასწლოვანმა, წამებით გამოვლილმა გზამ აქ მოიყარა თავი.

იად ვაშემი ისრაელთათვის საკუთარი ისტორიის კრებსითი სახელია, თანამედროვეობისთვის კი კარგი მაგალითი წარსულის დიდი და საბედისწერო შეცდომისა. დღესაც, ომებით, ტერიტორიული კონფლიქტებით, ქსენოფობიით, ანტისემიტიზმით... დამძიმებული მსოფლიოს ლიდერები ერთმანეთს ალბათ აქედან, იად ვაშემიდან უნდა ელაპარაკებოდნენ.

პირადად ჩემთვის ამ მემორიალური ცენტრის კულმინაცია მაინც ნაციზმს შეწირულ ბავშვთა ხსოვნის დარბაზი იყო, სადაც გუმბათის ქვეშ ისმის სულისშემძვრელი მუსიკა და ხმა გვამცნობს დაღუპულ ბავშვთა სახელს, ასაკს და დაბადების ადგილს. ჩაბნელებული, შუშებიან უსაზღვრო სივრცეში „ცა“ მოჭედილია უთვალავი მოციმციმე ვარსკვლავით. ეს წამებით სიცოცხლეს მოწყვეტილი მილიონნახევარი ებრაელი პატარაა... ამ დარბაზში გრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელით შეეხები რომელიმეს, მაგრამ გადადგმული ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო გაშორებს მათ; შუშები კი თითქოს ზღვარია ჩვენსა და მიღმა სამყაროს შორის.

მე აქ ყოველი ვარსკვლავი ისრაელის მომავლის მანათობლად აღვიქვი. ალბათ, ესეცაა ამ მემორიალური კომპლექსის მისტერია.

უცხო ქვეყნიდან ჩასულს აქ თვალში გეცემა ებრაელთა გადარჩენისთვის თავდადებულ არაებრაელ გმირთა სახელობის ბაღი და ხეივანი. ხასიდეი უმოთ ხა-ოლამ — მსოფლიო

ხალხთა მართალი შვილები — ასე ჰქვია მათ! ესენი ის გმირები არიან, რომლებმაც ჰოლოკოსტის წლებში საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს ებრაელები. ასეთი დაახლოებით 25 ათასამდე ადამიანის ვინაობაა ცნობილი, რომელთა სახელი აქ, იად ვაშემში სამუდამოდ უკვდავყოფილია. მათ შორის ერთ-ერთი ჩემი თანამემამულე სერგი მეტრეველია, რომლის შესახებ საქართველოში ცოტამ თუ იცის.

ქართველი გმირის შესახებ სიამოვნებით მიყვება იად ვაშემის ადმინისტრაციის თანამშრომელი, რუსულენოვანი ებრაელი ქალბატონი: სერგი მეტრეველი ჩრდილოეთ კავკასიაში, კისლოვოდსკში ღვინის მწარმოებელი იყო. როდესაც 1942 წლის აგვისტოში ქალაქს გერმანული ჯარები მიუახლოვდნენ, სერგი მეტრეველი და მისი კომპანიონი ივანე გუგეშაშვილი ებრაელებსა და კომუნისტებს დაეხმარნენ, დაეტოვებინათ ქალაქი. მათ შორის იყვნენ ემილ ზიგელი და არკადი რაბინოვიჩი. 16 წლის ემილის სამივე ძმა ომში იყო დაღუპული.

სერგი მეტრეველმა დევნილთა ჯგუფი 16 დღე ატარა კავკასიის მთებში, რათა უსაფრთხო ადგილას, საქართველოში, თავის მშობლიურ სოფელში, ონის რაიონის სოფელ უწერაში ჩაეყვანა, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ. მეტრეველების ოჯახში ემილ ზიგელი გზაში მალარიით დაავადებული ჩავიდა. აქ მას რამდენიმე კვირის განმავლობაში მკურნალობდნენ. იგი გამოჯანმრთელდა. არკადი რაბინოვიჩს ამ დროისთვის დევნილთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად უწერა უკვე დატოვებული ჰქონდა.

საქართველოში გადაყვანით ემილი გადაურჩა იმ ბედს, რაც მის მშობლებს ენია — კისლოვოდსკში დარჩენილები გერმანელმა ოკუპანტებმა 1942 წელს დახვრიტეს.

გამოჯანმრთელებული ემილი კი ჯერ სოხუმში ჩავიდა, შემდეგ იქიდან ურალში ჩააღწია, სადაც ნებაყოფლობით ჩაირიცხა საბჭოთა არმიის რიგებში.

მან 1946 წელს მოინახულა მეტრეველების ოჯახი, რომელთანაც კავშირი არასოდეს გაუწყვეტია.

2004 წელს იად ვაშემმა სერგი მეტრეველს მიანიჭა მართალის საპატიო წოდება და მისი სახელი უკვდავყო.

ვტოვებ სამუზეუმო კომპლექსს, თუმცა მანამდე ჩანაწერს ვაკეთებ ხსოვნის წიგნში: „ეს აღარასოდეს უნდა განმეორდეს“. იქვე წიგნში, ჩემდაუნებურად, ყურადღებას იქცევს მუზეუმის სხვა სტუმართა მობოდიშების სიტყვები, რომლის ადრესატიც ისრაელია.

გზად ებრაელ ჯარისკაცთა ახალი ნაკადი მხვდება — გარანტი სახელმწიფოს აწმყოსა და მომავლისა, წინ კი იერუსალიმია, აღორძინებული ისრაელის სიმბოლო!

ალბათ ვერსად ნახავთ ბოროტებაზე გამარჯვებული ერისა და ქვეყნის ასეთ კლასიკურ ნიმუშს!

იერუსალიმი-თბილისი

რუსუდან დარჩიაშვილი

ფუნე ნედაის ერთი (თბილისური) საღამო

— საქართველოში ჩამოსვლა, კულტურული ინტერესის გარდა და გარდა იმისა, რომ მინდოდა თვალისთვის წყალი დამელევინებინა, დამესვენა, საოჯახო მიზეზმაც მიბიძგა: საკმაოდ დიდი დაგვიანებით შევიტყვე, რომ ბებია, მამაჩემის დედა, ირანში დაბადებული ქართველი იყო. მისი მშობლები თავის დროზე საქართველოდან გადაუსახლებიათ. ამიტომ გადავწყვიტე ჩემი წინაპრების ქვეყანა მენახა, — ამბობს ირანელი პოეტი და გამომცემელი ფუნე ნედაი, — რაღაც უხილავ კავშირს ვგრძნობდი საქართველოსთან და აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ეს კავშირები აღმომეჩინა, ხილული გამეხადა... ამ ძიებასა და შეკითხვებს საკუთარ თავში ამ ლექსით ვუპასუხე:

„შორო ქალაქო, / ამწვანებულო გორაკებო, / წითელო თასებო, / მე აქედან როდის გადავსახლდი? / ჩემი მოგონებები რომელი ხის ძირას არის დამარხული? / ჩემი თოჯინა რომელ თაროზე ჩამობერდა? / რომელი სახლის აივნიდან ვფენდი სარეცხს? / გარეთ რომელი სალოცავიდან გამოვედი? / ღმერთო ჩემო! / თბილისი ნეტავ როდის მივატოვე, / რომელი ირანელი ბავშვის ბებო გავხდი? / რა მნიშვნელობა აქვს: /თასი შენ გეჭიროს ხელში / და მე ვთვრებოდე, / ჯაჭვი შენ გეჭიროს და / მე კი ვტყვევდებოდე. / ტკივილი შენ აგეტანოს / და მე გავჩენილიყავ. / არაფრით განსხვავდება: / ვიღაცა სუნთქავს და / ვიღაცა კვდება, / ვიღაცა მიდის და / ვიღაც ძირს ეცემა. / ეს ქვეყანა პატარა კარია, / რომელიც ერთხელაც / უფრო დიდი კარის პირდაპირ გაიღება. / და ჩვენ მოგონებებს / გვერდს ჩავუვლით. / დავიწყება მშვენიერია“.

ეს ლექსი ცნობილმა ირანისტმა, პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ გადმოაქართულა და Facebook-ზე დადო. ალბათ მისმა „წარდგინებამაც“ მიიზიდა აღმოსავლური პოეზიის მოყვარულები, ისინიც, ვინც პირველად გაიგონა ფუნე ნედაის სახელი და, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში თბილისის კულტურული ცხოვრება ინერტულია, მის საღამოს მწერალთა სახლში, რომელიც ირანისტების — თეა შურღაიასა და ნიკოლოზ ნახუცრიშვილის — ორგანიზებით გაიმართა, მსმენელი არ მოჰკლებია.

ზოგჯერ ადგილებიც
მეხსიერებასავით
შეუპოვარნი არიან...
ამ ქალაქში
ისტორიასთან კავშირი
თვალის დახამხამებასავით
ადვილია...

იმ დღეებიდან მოყოლებული, დროდადრო, Facebook-ზე ჩნდება ფუნე ნედაის საქართველოთი შთაგონებული ლექსები, არა უბრალოდ შთაბეჭდილებები, ქვეტექსტებიანი, მოულოდნელი სახეებითა და მეტაფორებით დატვირთული, სიმძაფრით სავსე, დახვეწილი ლექსები, და მათი თარგმანებიც — გიორგი ლობჟანიძის შესრულებული, და იმედია ოდესმე ერთად თავმოყრილსაც იხილავს ქართველი მკითხველი. აქვე ვიტყვი, რომ მან სპარსულად თარგმნა ლადო ასათიანის „სპარსელი ასული“, რომელიც თავის მეგობარს, ფუნე ნედაის მიუძღვნა.

შეხვედრასაც თვითონ უძღვებოდა. — თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ სპარსული ენის მუსიკა, თვითონ ძალიან კარგად კითხულობს ლექსებს. „სპარსული ენით გველი ხვრელიდან ამოჰყავთ: ისე ტკბილია. მაგრამ როცა სპარსი ქალი ლაპარაკობს?! მაშინ გველი ალბათ შინაურდება“, — გრიგოლ რობაქიძის სიტყვები გაიხსენა. პოეტი გრძნობით კითხულობდა საკუთარ ლექსებს, გიორგი კი — ძალდაუტანებლად და შთამბეჭდავად ნათარგმნ „შესატყვისებს“. მათი დეკლამაცია იყო უშუალო, ერთდროულად არტისტულიც და მალევე „აიყოლიეს“ დარბაზი.

— საქართველო ძირეულად ქალბატონ თეა შურღაიასგან გავიცანი (პირველად 2000 წელს თეირანში ერთი კულტურული პროგრამის ფარგლებში შევხვდით ერთმანეთს), იქამდე ფილმებითა და წიგნებით მქონდა წარმოდგენა, მაგრამ როდესაც მისი დიდი ინტერესი დავინახე ირანული კულტურის მიმართ, როგორ მუშაობს ირანისტიკის საკითხებზე, მეც გამიჩნდა სურვილი, საქართველო ასევე შემესწავლა, — გვითხრა სტუმარმა, — მაშინ ჩემი პირველი კრებული სა-

ქართველოში წამოიღო და გიორგი ლობჟანიძეს გადასცა. მეამაყება, რომ სწორედ მან თარგმნა ჩემი ლექსები. ეს ურთიერთობა დღემდე გრძელდება.

— ფუნე ნედაის პირველმა წიგნმა „დროის ნაკვალევი“, რომელიც იმ დროისთვის არაჩვეულებრივი იყო, ჩემზე ძალიან იმოქმედა, ემჩნეოდა ნიჭიერი პოეტის ხელი, თუმცა იმ ლექსებში იგრძნობოდა თანამედროვე სპარსული პოეზიის, ფორუღ ფაროხზადის, სოჰრაბ სეფეჰრისა და სხვების ჭარბი გავლენა, და მივხვდი, რომ მთლად ჩამოყალიბებულ პოეტთან არ მქონდა საქმე. თანდათან იხვეწებოდა... და ჩემთვის პროფესიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო იყო, თვალი გამედევნებინა პოეტის ზრდისთვის, როგორ მუშაობს საკუთარ თავზე, ნელ-ნელა განაგდებს სხვების თუნდაც კარგ გავლენას, — ამბობს გიორგი ლობჟანიძე, — მოახერხა, რომ ის საკუთარი, რაც, ცხადია, თავიდანვე ჰქონდა, გამოეკვეთა და მინარევებისაგან გათავისუფლებულიყო. თუმცა იმ კრებულშიც ძირითადი ბირთვი ლექსებისა სრულიად ახალი და დროის შესაბამისი იყო. ახალი სპარსული პოეზიაც უკვე ვრცელ პერიოდს მოიცავს და ფუნე ვეღარ იმეტყველებდა ისე, როგორც თუნდაც ფორუღ ფაროხზადი, რადგან სხვა თაობის პოეტი გახლდათ და ამ თაობის განცდებს შესაბამის ენას პირველ წიგნშივე უძებნიდა.

ფუნე ნედაი და გიორგი ლობჟანიძე

— პირველი ლექსი, რითმიანი ტრადიციული ლექსი — ყაზალი, ჰაფეზის გავლენით დავწერე, მაგრამ მერე არა მხოლოდ ჰაფეზის, რომელიც ძალიან მიყვარს, არამედ სხვა პოეტების გავლენებისგან ნელ-ნელა გავთავისუფლდი. ჩემი წარმოსახვა ქარივით დაქროდა, როცა საკუთარი თავი შევიცანი, მივხვდი, რაკილა მინდა, რომ ქარი ვიყო და ვიქროლო, არ შემიძლია კუთხეებში მოვემწყვდე... რაც შეეხება დღევანდელ სპარსულ პოეზიას, აქ, რასაკვირველია, დიდი ნაწილი თეთრი ლექსითაა შესრულებული, მაგრამ ტრადიციულ ლექსთწყობასაც ბევრი მიმდევარი ჰყავს და ბოლო ხანს ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდნენ, რომელთაც ძველი ფორმა არჩიეს, მაგრამ დღევანდელ სათქმელს ამბობენ.

ფუნე ნედაი, გარდა იმისა, რომ თანამედროვე ირანელ პოეტთა გამორჩეული წარმომადგენელია, გახლავთ ლიტერატურული ჟურნალის „შოუქარან“ მთავარი რედაქტორი, საერთაშორისო კვარტალური ჟურნალის „ცისფერი აბრეშუმი“ რედაქტორი და მენეჯერი (მისი გამოცემა ახლახან დაიწყო სამხრეთ კორეასთან თანამშრომლობით სპარსულ და ინგლისურ ენებზე), ასევე გამომცემლობა „ამრუდის“ დირექტორი და ირანის გამომცემელთა პროფესიული გაერთიანების დირექტორთა საბჭოს წევრი.

მისი ლექსები ნათარგმნია ინგლისურ, არაბულ, სომხურ, თურქულ, აზერბაიჯანულ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე.

— ჩვენი სტუმარი შესანიშნავი ნიმუშია იმისა, რომ ირანელი ქალები არც ისე დაჩაგრულები არიან თავიანთ სამშობლოში, როგორც შორიდან ჩანს. ეს ეტყობა ფუნე ნედაის პოეზიასაც და მის საქმიანობასაც. მიუხედავად შედარებით ახალგაზრდა ასაკისა, ძალიან დაფასებულია, ავტორიტეტული, და თუ იგი ირანში საქართველოზე რაიმეს იტყვის, დარწმუნებული იყავით, ეს საკმაოდ დიდი აუდიტორიისთვის იქნება ნათქვამი, — აღნიშნა თეა შურღაიამ, — ლირიკოსია, სხვა თვალით ხედავს სამყაროს, მაგრამ ამასთან ახერხებს, იყოს წარმატებული მენეჯერი. მისი ჟურნალი 11 წელია რეგულარულად გამოდის. ვიცით, რომ ჩვენს დროში ლიტერატურული ჟურნალის რეგულარული გამოცემა იოლი საქმე არ არის იქ, სადაც უამრავი ჟურნალი გამოდის, მრავალმხრივ გამორჩეული უნდა იყოს. ეს მისი ხელმძღვანელის მარიფათიანობაზეც მეტყველებს. ჟურნალსაც სისტემატურად თვალს ვადევნებთ — შემთხვევითი იქ არაფერი იბეჭდება.

ფუნე ნედაის გამომცემლობა ხელს უწყობს თანამედროვე ირანელი ახალგაზრდა პოეტების პოპულარიზაციას, ასევე უცხოური პოეზიის სპარსულად თარგმნას. თვითონაც თარგმნის უცხოურ ლიტერატურას და ამ მხრივაც გამორჩეულია გემოვნებითა და თარგმანებით. მოგეხსენებათ, პოეტებს კი — ყველაზე უკეთ, რომ პოეზია ადვილად არ იყიდება. თუმცა ირანში, ზოგადად, განსხვავებული ვითარებაა, როდესაც თეირანის წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე ვხვდები, მეხარბება, უამრავი წიგნი გამოაქვთ ახალგაზრდებს და ყველაფერს მკითხველი ჰყავს — პროზასაც, პოეზიასაც, სამეცნიერო ლიტერატურასაც...

ფუნე ნედაი ძალიან გახსნილია საქართველოსთვის. მის ჟურნალში დაიბეჭდა გიორგი ლობჟანიძის მიერ სპარსულად თარგმნილი თანამედროვე ქართველ პოეტთა ლექსები და გვთავაზობს ამ პროექტის გაგრძელებას. რამდენიმე წლის წინათ კი უნდოდა, რომ ერთი ნომერი მთლიანად საქართველოსთვის დაეთმო, სამწუხაროდ, ამით ვერ ვისარგებლეთ, რადგან მთარგმნელები ჭირს. საღამოს ბოლოს სიურპრიზს შემოგთავაზებთ, წარმოგიდგენთ ერთ პიონერს ამ საქმისას ირანელების მხრიდან... ეს დღევანდელი შეხვედრაც, ვფიქრობ, მომავალი დიდი საქმეების დასაწყისი იქნება.

აქვე ვიტყვი: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგს, პროფესორ ჰოსეინის, რომელიც ირანიდან გამოგზავნილია როგორც სპარსული ლიტერატურის მასწავლებელი, ქართული ისე შეუსწავლია, რომ დედანში კითხულობს ჩვენს მწერლებს და ნიუანსებშიც საკმაოდ კარგად ერკვევა, ილიას, გალაკტიონისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები უთარგმნია და გააცნო აუდიტორიას. როგორც აღინიშნა, მათი ნაწილი სპარსულად პირველად ითარგმნა და ძალიან საინტერესოდაც.

დასასრულ სტუმარმა შეკითხვებს უპასუხა:

ბოლო ხანს საგამომცემლო საქმიანობა ირანში საკმაოდ განვითარდა და უმთავრესი წილი ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებზე მოდის. თეირანის „წიგნის სახლი“ ამ მიმართულებით კვლევებსაც აწარმოებს. შარშან 60 ათასი წიგნი გამოვიდა, აქედან — 12 ათასი მხატვრული ლიტერატურა. პოეტური კრებულები საშუალოდ ათასი ცალი გამოდის. მოგეხსენებათ, პოეზიის ტირაჟი მთელ მსოფლიოში საკმაოდ დაბალია. ირანის სპეციფიკა ის არის, რომ ძალიან ბევრი პოეტი ჰყავს. სამწუხაროდ, ჩვენი პოეტების რიცხვი გაცილებით მეტია მათზე, ვინც პოეზიას კითხულობს (იცინის).

თავიდან, როცა ამ სფეროში საქმიანობა დავიწყე, მამაკაცთა პროფესიული საზოგადოებისათვის მინდოდა დამემტკიცებინა, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო... მიუხედავად დასავლურ პრესაში არსებული გარკვეული კლიშეებისა და ირანის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ, როგორც ქალმა, შევძელი ჩემს ქვეყანაში საკუთარ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენა, ამ მხრივ დღემდე პრობლემა არ შემქმნია, და მივხვდი, რომ ადამიანურ გარემოში ვმოღვაწეობ, სადაც მნიშვნელობა არ აქვს, ქალი ხარ თუ კაცი. ირანი პატრიარქალურია, როგორც ყველა აღმოსავლური ქვეყანა...

ფუნე ნედაი

* * *

თბილისის ფანჯრიდან ჯერ კიდევ შენ გიყურებ,
შენი ხატება ყველა ცაზე ბრწყინავს,
დარწმუნებული ვარ.
მე კი საწუთრო შავად მეჩვენება.
ჩემი თოჯინა ფანჯარათა და ფარდათა მიღმა ჩამობერდა,
კბილები დასცვივდა,
თმები გაუთეთრდა.
ხოლო მე ჯერ კიდევ შენ შემოგყურებ თბილისის ფანჯრიდან...

თუმცა შენ კი არა,
შენი პერანგის გაგრძელებას მოვდევ:
მზერის სასრულამდე,
ნარიყალამდე,
რეჰანებისა და ნუშების გადაღმა.

წვიმა მოდის და
თვალთა სამზერს მირეცხს,
მე კი საწუთროს ისევ შავად ვხედავ.
ნეტავ ჩემი თოჯინა ზღაპრებიდან არც გამომეყვანა:
დედამიწა მტვრით არის აღსავსე,
ხოლო ზეცა ღრუბლებს აუვსია,
ფარდაზე ფარდა დაშვებულა
და მხოლოდ მე შემიძლია
თბილისის უძველესი ფანჯრიდან
შენ გხედავდე...

წვიმა შეწყდა და
ფანჯრები სუფთაა,
მაგრამ საწუთროს ისევ შავად ვხედავ,
მხოლოდ იმიტომ, რომ
ვერ გავიგე,
ჩემი თოჯინა
ხელიდან
შენ
რატომ დაგივარდა...

* * *

უფანჯრებოდაც ცოცხალი ვრჩები.
კედლები მათივე სიმაღლეს დაუტყვევებია,
მეხსიერებანი უწინდებურად ჯანზე არიან.
სიყვარულს მხოლოდ სამი სიტყვა აქვს,
მაგრამ უწინ ვითარება განსხვავდებოდა:
შეყვარებულებს სიტყვაც კი არ ჰქონდათ სათქმელი,
რადგან კარები გულთა პირისპირ იღებოდნენ.
სარკმლის ესკიზს ვხატავ,
კედლები მიჯერებენ
და მე ცოცხალი ვრჩები
იმ დღისათვის,
რომელიც გუშინ იყო.

თბილისი, 26 ივლისი

კარს თბილისში

შენი მშვენება მხრებით დაგაქვს
ათასწლოვან სულთა სიმძიმით.
შენი კარები თუ გაიღება,
დავიწყებაც და ხსოვნაც ერთად ჩამოიფშხვნება...
ამიტომ დგახარ,
ჩუმ ღამეში
ცისფერი მთვარე
წარმოსახვით გივსებს აივანს,
მთვარესთან და ყურძნის მტევანთან მიბრუნების
შესაძლებლობით,
სიმღერასთან და პურთან...
პური...
პური...
პური...
ამ სიტყვით ხელახლა დაიწყებ თამაშს, ძველო ქალაქო!

შემოდგომა

შემოდგომის შემოტევა უბადლო არის.
ხეთა ტოტებზე ხურმები სიცხით ითანგებიან,
ფოთლები მიწის მოლოდინში უხმოდ ცვივიან,
ოქროსფერი მეწამულში მიაჭიატებს,
მეწამული ოქროსფერში გადაეწვნება
ბროწეული ვნებისაგან ჰაერში სკდება,
... შუბლზე ობლად გიცახცახებს ღამის თმის ღერი.
შენი თვალები განზე სწევენ ზღვებს უნაპიროს,
ნაპირს კი უკან ანაცვლებენ.
და ხელს კრავენ მიწას და ზეცას.

ვიცნობ შენს დუმილს:
ქარიშხალი უკვე გზაშია!

მეგობარი

მარტოობავ, ჩემო ძვირფასო,
აი, მე ისევ შენთანა ვარ
და იმის გამო, რომ ცოტა ხნით შორს ვიყავით ერთმანეთისგან,
გებოდიშები.
მწიფე ნაყოფთა ოცნებებით,
ბაღში წავედი
და იქ თან არ წამიყვანიხარ.
მინდა გითხრა, რომ ბაღში ჭრელი ნაყოფი ვნახე,
მაღალი ხის კენწეროზე,
მაგრამ იქამდე ხელი ვერაფრით ვერ ავაწვდინე...

მარტოობავ, ჩემო ძვირფასო,
მაპატიე, რომ იმ ბაღში სეირნობა გამიხანგრძლივდა,
ახლა კვლავაც აქ,
შენთანა ვარ,
მომიახლოვდი, სინანულით ამივსე ჭიქა,
დავლიოთ და რიჟრაჟამდე ერთად ვიტიროთ...

მარტოობა

ამ ძველ კაფეს
დაკარგული საათის ისრების სურვილი თანგავს,
გარსონების აჩრდილები კედლებზე
და შვიდი მცენარის ჩაის ორთქლი — ფანჯრის მინებზე.
მდუმარე ყუთის მუსიკისა და სიმღერის ხსოვნა.

ნეტავ შენს ფინჯანს - ჩემ პირდაპირ -
მაინც შეეძლოს, რომ ჩემს ფინჯანს
მარტოობა შეუმსუბუქოს.

მითხარ,
უშენოდ ამ კაფეს და ამ ბორიაყს,
ამ აჩრდილებს
რა მოვუხერხო?

სარკმელი

გუშინ ხელზე ვარსკვლავი ამეკრა.
საპნით დავიბანე — არ გამცილდა,
სახეხით ვიცილე — არ მომშორდა,
ხელი დილამდე წყალში მეყო,
რომ ეგებ დამბალიყო და ამძვრალიყო.
როცა გამეღვიძა,
ჩემს ხელზე ვარსკვლავი
სარკმელად ქცეულიყო —
შორი პლანეტების დასანახად.

შენი სურნელი

სად წავიღო პერანგიდან
შენი სურნელი?
ქუჩებში, რომლებიც ვაებასა და კვამლში ჩაძირულან?
თუ სახლში, ფანჯრების ალყაში მოქცეული რომ იხრწნება?
სადაც უნდა წავიღო შენი სუნი,
მაინც ჩემთან ერთად,
იმ წერტილთან უნდა დავაბრუნო,
ერთხელ,
ქუჩაში,
გვერდით რომ ჩამიარე.

ლოცვა

მგონი, წუხელ ილოცე, რომ
შემყვარებოდი...
დღეს ყველა გზაზე სულ შეცდომით
ვიხეტიალე...

შენი ხმა

შენი ხმა
ყავის ოხშივარს ფორმას აძლევს,
ფრინველი ქრება
ჩემს თვალებში

ხოლო ჩემს გულში
ბელურა ეშვება...

დაღლილი

მარტოობავ, ჩემო ძვირფასო,
ვიცი, ჩემით შენც დაიღალე.
ამიტომ წასვლა შენც შეგიძლია
ჩემი ბავშვობის ყველა ფერის და ბგერასავით...

* * *

იმღერე
მე შენი ხმის პირისპირ ვჯდები,
სიმშვიდის გუბეს ზურგშქცეული.
შენი ხორხიდან ლოტოსები ამოიზრდება.
ნეტავ შენს ყელში რა უნდა ბუდას?

შენი ხმის პირისპირ
ვეცემი, მაგრამ
მაინც იმღერე,
შენი ხორხიდან ისეთი ძველი
ფრინველი მღერის...

ფრთხილად

ქარს გადაეცი,
რომ ფანჯარა ფრთხილად მიხუროს,
ისე, რომ ფარდის მყუდროება არ შეარხიოს.
ცოტა ხანია, რაც ჩასთვლიმა
და სიზმარში წვიმას ხედავს,
შეიძლება მეცა მნახოს —
მიწაზე რა მშვიდად ვეცემი...

ფანჯარა ფრთხილად დახურეთქო,
ქარს გადაეცი...

მთვარე

ფანჯრიდან რომ შემოსულიყავი,
ვიტყოდი, ჩიტია-მეთქი,
კარიდან რომ შემოსულიყავი,
ვიტყოდი, ადამიანია-მეთქი,
ეჭვიდან რომ შემოსულიყავი,
უეჭველობად მიგიჩნევდი...
ჩემო მთვარევ,
საიდან მოხვედი,
რომ ცის კაბადონი
ასეთი მშვიდია?

ადგილი

ეს მე ვარ,
უდაბნოს შუაგულში რომ ჩამოვმჯდარვარ.
ქვიშის მარცვლებში არ შეგეშალოთ,
ძეძვის ბუჩქებში არ აგერიოთ.
მე ვარ, იგივე,
გუშინ რომ თქვენს გონებაში
... ვარსკვლავი ვიყავ —
ცის კაბადონს მიწებებული...

ადგილიდან მხოლოდ ოდნავ გადავინაცვლე...

მე

ჩემი გული
ფანჯარა არ ყოფილა,
შენ რომ დაენახე.
დამსხვრეული ფიალა იყო,
ძირიდან რომ აიღე,
სიმღერა უმღერე
 და თავში გამოჯანსაღების იმედი გაუღვივე.
ერთ დღეს კი შენს ახალ ფიალას
ფანჯარა დაუხატე
და უთხარი:
მუდამ როცა მოგეწყინება,
ამ ფანჯრიდან იყურეო!
მე კი უკვე ყურებაც მწყინდება...
ნეტავ ხელახლა
არ დავიმსხვრეოდე!

სიყვარული

შემოდგომა
თავში გვახეთქებს საკუთარ ხეებს.
ეს ჭრელი ბურთი,
ჩვენ შორის რომ ბრუნავს ჰაერში,
მზერათაგან უხილავია.

ჩავლა

ყურძნის მტევანი იმ დღეს მახსენებს,
როცა ვენახისგან მაჭრის მოლოდინი გვქონდა და
თასებისაგან ავსებასა და დაცლას მოველოდით.
მაგრამ სანამ ყურძენი სასურველ წერტილამდე მიაღწევდეს,
მოთმენა აღარა მაქვს,
ამ გრილ მარცვლებს სათითაოდ ვიყრი პირში
და თვალებს ვხუჭავ,
 რომ ცრემლმა
შენს ზურგს უკან რომ გამოვიხურე,
იმ კარის ხატება ჩამორეცხოს.

მაპატიე,
ყურძნის გარეშე
გვერდს ვერ ჩაგივლიდი...

მოგონება

კარი დავკეტე.
ოთახს ზამბახები შემორჩნენ.
ჰაერი დაიცალა შენი სურნელისგან.
ფეხებში ქუჩები გამებლანდნენ.

ზამთრის დანგრეული სახლი
 გულში თონითა
და ხელისგულში ვარსკვლავით,
მოგონებათა ნანგრევებია,
გაუაზრებლად რომ ჩავწერე რვეულში.
ნეტავ შენი სახელი ბაგეთაგან გამფრენოდა
და ფანჯრის კუთხეში ჩამომჯდარიყო,
რომ მზეში ეკაშკაშა.
მე დამანგრიეს იმ წამებმა,
სათითაოდ რომ წავაგე შენს მზერაში.
ზღვა ნაპირებიდან არ გადმოვა,
ხმელეთი წყალთან ინარჩუნებს დისტანციას,
ამ ლექსის ხომალდები
სიტყვათა ქარიშხლებში ჩაძირულან.
ნეტავ შენს ხმას მოეკლო
ამ ღამის სიბნელე.
ტირილი წინ მისწრებს,
მთელ ტანს ცრემლებით მბანს.
მე ზეცათა სულის ნაფლეთი ვარ,
ერთ პატარა ბოთლში
მომწყვდეული!

ზღვათაგან ხატი მაქვს,
მთათაგან სიმტკიცე
და ღრუბელთაგან ერთადერთი წვეთი.

მოდი,
ქარიშხლებით დამანგრიე,
მაგრამ არა — მოგონებებით...

* * *

დავრჩე ამ პატარა ფოთოლზე?
მეშინია, მზე გადავა,
ღრუბელი წამოვა,
ელჭექი დასცემს...
მე კი სამუდამოდ ძირს დავენარცხები
ამ თავშესაფრიდან
იმ ადგილას,
რომელზედაც ამბობენ,
რომ დაბალია...
ნეტავ ღმერთს ზოგი ჭიისათვის
პატარა ფრთები მიებოძებინა —
მეორე ფოთოლზე გადაფრენის ხელა...
მე სხვა მზეს ველოდები,
რომ მიწის ტალანიდან გამოვიდე
და ამ სამყურას ნაზი ღეროდან
სხვა ფოთლის სიმაღლემდე ავინაცვლო...
მე ვარსებობ...

* * *

ნეტავ არ
დამავიწყდებოდე,
თორემ რაღა მიზეზი დამრჩება კიდევ,
რომ ყავის ჭიქა ამოვაბრუნო?

* * *

ისევ სიყვარული,
ისევ სარკმელი,
ისევ მოლოდინი.
იასამნები შენთვის დავკრიფე,
თუმცა რვეულში
შენთვის დაწერილ ლექსზე დავაწყვე.
ლექსს იასამნის სურნელი მსჭვალავს...
მაგრამ ვინ წაიკითხავს,
ვინ დაყნოსავს...

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ლობჟანიძემ

ჰაინრიხ ბიოლი

ორი ნოველა

დაუპატიჟებელი სტუმრები

ცხოველების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს: პირიქით, მიყვარს კიდეც ისინი. რა სჯობს, საღამოს ძაღლს ბალანზე ხელს რომ უთათუნებ და თანაც კალთაში კატა გიზის. ძალიან მართობს, როცა ვუყურებ, როგორ აჭმევენ კუს სასტუმრო ოთახის კუთხეში შეყუჟული ბავშვები. პატარა ბეჰემოთიც კი შემიყვარდა, ჩვენს სააბაზანოში რომ ბინადრობს. კურდღლები კი მთელ ბინაში დახტიან, მაგრამ კარგა ხანია აღარ მაღიზიანებენ. გარდა ამისა, საღამოობით უკვე მივეჩვიე დაუპატიჟებელი სტუმრების მოსვლასაც: წიწილას, წიავ-წიავი რომ გააქვს, თუ უპატრონო ძაღლს, რომელიც ჩემმა ცოლმა შეიფარა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ჩემი მეუღლე კეთილი ქალია, მისი სახლის კარი ყველასთვის ღიაა, ადამიანი იქნება თუ ცხოველი, და ჩვენი შვილებიც, უკვე რახანია, თავიანთ მწუხრის ლოცვას შემდეგი გამოგონილი ფრაზით ამთავრებენ: „ღმერთო, გამოგვიგზავნე ჩვენ მათხოვრები და ცხოველები“.

მაგრამ ამაზე უარესი ისაა, რომ ჩემი ცოლი უარს ვერც კომივოიაჟორებს ეუბნება ვერაფერზე და ვერც — სადაზღვევო აგენტებს, ამიტომ მთელი ბინა სავსეა უზღვავი რაოდენობის ისეთი ნივთებით, როგორიცაა საპნები, სამართებლის პირები, ჯაგრისები, საკემსი ძაფები. უჯრები სავსეა საბუთებით, რომლებიც ყოველთვის ნერვებს მიშლიან: ესაა ყველანაირი სადაზღვევო კონტრაქტები და პოლისები. ჩემს ვაჟებს მოსწავლის დაზღვევა აქვთ, ქალიშვილებს — საქორწინო მზითვის, მაგრამ სკოლის ატესტატის აღებამდე ან ქორწილამდე ბავშვებს ძაფებითა და საპნით ხომ ვერ გამოკვებავ?! და, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, სამართებლის პირებსაც რომ ვერ ინელებს ადამიანის ორგანიზმი?!

თუმცა საზოგადოდ მშვიდი ბუნების ადამიანი ვარ, დროდადრო მოთმინების ფიალა ამევსება ხოლმე და ავბობოქრდები, მაგრამ მაინც შეიძლება ჩემი გაგება. ზოგჯერ ჩემს თავს იმაზეც ვიჭერ, რომ მშურს მაგიდის ქვეშ მოკალათებული კურდღლების, მშვიდად რომ ახრამუნებენ სტაფილოს; ან — პატარა ბეჰემოთის, ჩვენს ჭუჭყმოკიდებულ აბაზანაში რომ გაშხლართულა და, გასაბრაზებლად ენას რომ გამოვუყოფ, ტლუ გამომეტყველებით მიაჩერდება ერთ წერტილს; მშურს კუსი, რომელიც სტოიკურად სანსლავს სალათის ფურცლებს და ვერც კი წარმოუდგენია, რა აზრები მიტრიალებს თავში: რომ მენატრება სურნელოვანი ყავა, თუთუნი, პური, კვერცხი და ის საამო სიმხურვალე, სირჩა არყის გადაკვრის შემდეგ რომ დაუვლის ხოლმე ძარღვებში საზრუნავით გადაღლილ ადამიანებს. და მაშინ ჩემი ერთადერთი ნუგეში არის ბელო, ჩვენი ძაღლი, შიმშილისგან ჩემსავით განუწყვეტლივ რომ ამთქნარებს.

მოდიან დაუპატიჟებელი სტუმრებიც — ქუჩის მაწანწალები, ჩემსავით გაუპარსავები, ან ქალები თოთო ბავშვებით, რომლებსაც ცხელ რძეში ჩამბალი ორცხობილით ვაპურებთ. აი, ამ დროს კი, გულგრილობის შესანარჩუნებლად, მართლაც უნდა დავიმორჩილო თავი. ამას ძალიან ვცდილობ, რადგან გულგრილობის გარდა სხვა არც არაფერი შემრჩენია.

არის ისეთი დღეებიც, როცა ახლად მოხარშული ფხვიერი კარტოფილის დანახვაზე ნერწყვი მადგება. სირცხვილით ვიწვი ამის აღიარებაზე, მაგრამ ჩვენს სამზარეულოს უკვე კარგა ხანია, საოჯახო აღარ ჰქვია. ცხოველებითა და დაუპატიჟებელი სტუმრებით გარემოცულნი (სადილის მაგიერ), ფეხზე მდგომნი, იმპროვიზებულად თუ წავციცქნით რამეს.



საბედნიეროდ ჩემი ცოლი აწი დიდხანს ვეღარ შეიძენს უსარგებლო ნივთებს, რადგან ფული საერთოდ აღარა გვაქვს. ხელფასი განუსაზღვრელი დროით დამიყადაღეს და ჩვენი მდგომარეობა იმდენად უნუგეშოა, რომ იძულებული შევიქენი, გადაცმულმა, ისე, რომ ვერავინ მიცნოს, შებინდებისას ქალაქის გარეუბნებში კაპიკებად ვყიდო სამართებლის პირები, საპონი და ღილები.

მიუხედავად ამისა, ჩვენ რამდენიმე ცენტნერი საპნის, ათასობით სამართებლის პირისა და ფართო ასორტიმენტის ღილების მფლობელები ვართ და, როცა შუაღამით შინ მივლასლასდები და ჯიბიდან ფულს ამოვიღებ, ჩემი ცოლი, შვილები და ცხოველები აღფრთოვანებული თვალებით შემომცქერიან, რადგან გზად ვყიდულობ პურს, ვაშლს, ცხიმს, ყავას და, რაც მთავარია, კარტოფილს, რომელსაც დაჟინებით მთხოვენ როგორც ბავშვები, ისე მხეცები; და ღამის სიმშვიდეში ყველანი შევიკრიბებით ხოლმე სავახშმოდ: ვზივარ გარშემორტყმული კმაყოფილი შვილებითა და ცხოველებით; ცოლი თვალებში შემციცინებს, ხოლო სასადილო ოთახის კარს საგანგებოდ ღიად ვტოვებთ, რათა პატარა ბეჰემოთმა თავი ეულად არ იგრძნოს და სააბაზანოდან მისი მხიარული ზმუილი გვესმის. ასეთ წუთებში ჩემი ცოლი, როგორც წესი, გამომიტყდება ხოლმე, რომ საკუჭნაოში კიდევ ჰყავს გადამალული დაუპატიჟებელი სტუმრები და მათ მხოლოდ მაშინ გამომიჩენს, როცა დავნაყრდები და ნერვები დამიმშვიდდება. და მერე გაუპარსავი, დარცხვენილი კაცები ხელების ფშვნეტით მიუსხდებიან ხოლმე მაგიდას, ქალები კი მისწი-მოსწევენ ჩვენს შვილებს, ჩაუსხდებიან შუაში და ცხელ რძეს ასმევენ თავიანთ აჩხავლებულ ბავშვებს. ამგვარადვე გავიცანი ისეთი ცხოველები და ფრინველები, რომელთაც ადრე არსად გადავყრივარ: თოლიები, მელიები, ღორები, ერთხელ — პატარა აქლემიც კი. „ხომ ძალიან საყვარელია?“ — მკითხა ცოლმა და მეც იძულებული ვიყავი, დავთანხმებოდი, თუმცა შეშფოთებული ვადევნებდი თვალს ამ ცხოველს, რომელიც საშინაო ფაჩუჩების ფერისა იყო, გაუთავებლად ფრუტუნებდა და თავის ფიქალისფერ-მონაცრისფრო მზერას არ გვაცილებდა. საბედნიეროდ, აქლემმა ჩვენთან მხოლოდ ერთი კვირა დაჰყო.

ჩემი საქმეები კარგად მიდიოდა: სახელი გავითქვი კარგი, ხარისხიანი საქონლითა და დაბალი ფასებით და დროდადრო თასმებსა და ჯაგრისებსაც კი ვასაღებდი, მიუხედავად იმისა, რომ მათზე მოთხოვნილება არ იყო. ერთი რამ ძალიან მაშინებდა: „ჩვენ აღმავლობის ხანა დაგვიდგა“. მე კი ამ დროს მშვენივრად ვხედავდი, როგორ გველეოდა საპნის მარაგი და აღარც საკემსი ძაფებისა და ჯაგრისების რაოდენობა იყო იმედისმომცემი.

ერთ საღამოს, ვახშმობისას, როცა ყველანი მშვიდად ვუსხედით სუფრას და მე უკვე სასოწარკვეთა შემომპარვოდა, უეცრად, თითქოს მიწისძვრაა, ისე შეტორტმანდა: კედლებზე დაკიდებულმა ნახატებმა ქანაობა დაიწყეს, მაგიდა ირყეოდა, დაბრაწული ძეხვიც კი გადასრიალდა ჩემი თეფშიდან. ვითარების გასარკვევად წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ბავშვების სახეებზე თავშეკავებული ღიმილი შევნიშნე.

— რა ხდება აქ? —შევყვირე და მოულოდნელობებით აღსავსე ჩემს ცხოვრებაში პირველად გამოვედი მოთმინებიდან.

— ვალტერ, — მითხრა ჩუმად ცოლმა და ჩანგალი მაგიდაზე დადო, — ეს მხოლოდ ვოლოა.

და ის ატირდა. მისი ცრემლების წინაშე მე განიარაღებული ვარ, მან ხომ შვიდი შვილი მაჩუქა?!

— ვინ არის ვოლო? — ვიკითხე ძალაგამოცლილმა და ამ დროს სახლი ისევ შეტორტმანდა.

— ვოლო სპილოა, ის სარდაფში გვყავს, — მიპასუხა ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა.

უნდა გამოგიტყდეთ, დავიბენი და ჩემი დაბნეულობის გაგება ძნელი არ უნდა იყოს. აქამდე ყველაზე დიდი ცხოველი, რომელიც შეგვიფარებია, აქლემი იყო. სპილო ჩვენი ბინისთვის უზარმაზარი და შეუფერებელი მეჩვენა, რადგან ჩვენ ხომ ჯერ არ ვსარგებლობდით საყოფაცხოვრებო პირობებით. ჩემმა ცოლ-შვილმა მშვიდად გამაცნო საქმის ვითარება: მოხეტიალე ცირკის გაკოტრებულმა მფლობელმა სპილო დროებით დაგვიტოვა და იმ ურიკის მეშვეობით, ქვანახშირის გადასატვირთად რომ ვიყენებთ, სპილო სარდაფში იოლად ჩავაგორეთო.

— ისე მოიკუნტა, ბურთი გეგონებოდა, — მითხრა უფროსმა ვაჟმა, — იშვიათად გონიერი ცხოველია.

არ შევკამათებივარ, შევეგუე ვოლოს მობრძანებას. სარდაფამდე საზეიმოდ მიმაცილეს. სპილო არ იყო ძალიან დიდი და ყურებს აპარტყუნებდა. როგორც ჩანს, ჩვენთან თავს ცუდად არ გრძნობდა და მისთვის უკვე თივაც მოემარაგებინათ.

— რა მშვენიერია, არა? — მკითხა ცოლმა. მე ამისი აღიარება არ მსურდა, სიტყვა „მშვენიერი“ შესაფერისად არ მიმაჩნდა. საერთოდ, ჩემი არასაკმარისი აღფრთოვანების გამო ოჯახის წევრები მთლად კმაყოფილნი ვერ დამირჩნენ. როცა სარდაფიდან გამოვედით, ცოლმა მითხრა:

— შენი მხრიდან, ცოტა არ იყოს, უღირსი საქციელია; რა, გინდა, რომ აუქციონზე გაყიდონ?

— რა შუაშია აუქციონი? და რას ნიშნავს „უღირსად ვიქცევი“? — აღვშფოთდი მე, — სხვათა შორის, გასაყიდად განკუთვნილი ქონების ნაწილის გადამალვა კანონით ისჯება.

— არ მაინტერესებს, სპილოს არაფერი არ უნდა დაუშავდეს! — მომიჭრა ცოლმა.

შუაღამით ცირკის მფლობელმა, მორიდებულმა, შავთმიანმა კაცმა გაგვაღვიძა და გვკითხა:

— კიდევ ერთ ცხოველს ხომ ვერ შეიფარებდით? მეტი არაფერი დამრჩენია, ის არის მთელი ჩემი ქონება, მხოლოდ ერთი ღამით. ჰო, მართლა, სპილო როგორ არის?

— კარგად, — მიუგო ჩემმა ცოლმა, — მაგრამ კუჭის მოქმედება არა აქვს მთლად მოწესრიგებული და ეს მადარდებს.

— ჰო, იცის ხოლმე, — თქვა ცირკის პატრონმა, — პირობების შეცვლის ბრალია, ხომ იცით, რა მგრძნობიარენი არიან ცხოველები?! მოკლედ, შეიფარებთ ჩემს კატას? მხოლოდ ერთი ღამით.

და კაცმა მე შემომხედა. ცოლმა მუჯლუგუნი წამკრა და მითხრა:

— ნუ ხარ ასე უგულო.

— უგულო? სულაც არ მინდა, უგულო ვიყო. კი ბატონო, მოთავსდეს სამზარეულოში.

— მანქანაში მყავს, — თქვა ცირკის პატრონმა.

კატის დაბინავება ცოლს მივანდე და დასაძინებლად წავედი. როცა დაბრუნდა და გვერდით მომიწვა, შევნიშნე, რომ გაფითრებულიყო და კანკალებდა. გცივა-მეთქი? — შევეკითხე.

— ჰო, ოდნავ მაჟრჟოლებს, — მიპასუხა მან.

— დაღლილობის ბრალია.

— შესაძლოა, — მომიგო მან და, ცოტა არ იყოს, უცნაურად შემომხედა. მშვიდად გვეძინა, მაგრამ ძილში ჩამყვა მისი უცნაური მზერა და, აფორიაქებულს, ჩვეულებრივზე ადრე გამეღვიძა. მაინც მეღვიძა და წვერის გაპარსვა გადავწყვიტე.

სამზარეულოს მაგიდის ქვეშ მომცრო ტანის ლომი გაწოლილიყო; მშვიდად ეძინა, მაგრამ ძილში შიგადაშიგ კუდს ნელა იქნევდა, მისი ფაჩუნი ოდნავ მოისმოდა, თითქოს ვიღაც ძალიან მსუბუქ ბურთს ათამაშებსო.

ფრთხილად გავიქაფე სახე, ვცდილობდი, არ მეხმაურა, მაგრამ, როცა მარჯვნივ მივტრიალდი, რათა მარცხენა ლოყა გამეპარსა, დავინახე, რომ ლომს თვალები დაეჭყიტა და მიყურებდა. მართლაც ჰგვანან კატებს-მეთქი, გავიფიქრე; აი ლომი რაზე ფიქრობდა, არ ვიცი: ის დაჟინებით მომჩერებოდა, მე კი ვაგრძელებდი წვერის პარსვას, ისე, რომ სახე არც გამჭრია; მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ლომის თანდასწრებით პარსვისას ნამდვილად უცნაური შეგრძნება გეუფლება. მტაცებელ ცხოველებთან ურთიერთობის გამოცდილება, მართალი გითხრათ, საერთოდ არ მქონდა და მხოლოდ ისღა შევძელი, რომ მისთვის თვალი არც მე მომეშორებინა; პირი გავიმშრალე და საძინებელში დავბრუნდი. ჩემი ცოლი გაღვიძებული დამხვდა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მე სიტყვა შევაწყვეტინე და დავუყვირე:

— რაღა გაქვს სათქმელი!

მაშინ მან ტირილი დაიწყო, მე კი თავზე გადავუსვი ხელი და ვუთხარი:

— იქნებ ახლა ისიც მითხრა, რომ ამაშიც არაფერია უჩვეულო?

— და რა არის ის, რაც არ არის უჩვეულო? — მკითხა ჩემმა ცოლმა. მე პასუხი არ მქონდა.

ამასობაში კურდღლებმაც გაიღვიძეს. აბაზანიდან ბავშვების ხმაური გამოდიოდა, ბეჰემოთმა — მას გოტლიბი ერქვა — მთელი ძალით დაიბუბუნა, ვოლო იზმორებოდა, მხოლოდ კუს ეძინა; თუმცა, მას თითქმის სულ ეძინა.

კურდღლები სამზარეულოში შევუშვი, სადაც ყუთით მათი საჭმელი იდო: კურდღლებმა ლომი დაყნოსეს, ლომმა — კურდღლები. ჩემი შვილები კი რახანია სამზარეულოში იყვნენ — ისინი ხომ მიჩვეულნი არიან ცხოველებთან ურთიერთობას. ისიც კი მომეჩვენა, რომ ლომი იღიმებოდა. ჩემმა მესამე ვაჟმა იმწამსვე მოუგონა სახელი: ბომბილუსი. ეს სახელი მას ბოლომდე შერჩა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლომი და სპილო წაიყვანეს. უნდა გამოგიტყდეთ, სპილოს წაყვანისას გული არ დამწყვეტია, რადგან სულელ ცხოველად მიმაჩნდა; ლომის მშვიდმა და კეთილმოსურნე სიდინჯემ კი ჩემი გული ისე დაიპყრო, რომ ბომბილუსთან განშორება საკმაოდ გამიჭირდა. მას ძალიან შევეჩვიე. სიმართლე გითხრათ, ის ერთადერთი ცხოველია, რომელმაც მართლაც დაიმსახურა ჩემი სიმპათია. ლომი უსაზღვრო მოთმინებით ეკიდებოდა ბავშვებს, გულწრფელად დაუმეგობრდა კურდღლებს. ჩვენ იმ სისხლიანი ძეხვის ჭამასაც კი მივაჩვიეთ, რომელიც მხოლოდ შესახედად ჰგავს ხორცს.

მძიმე საცქერი იყო, როგორ მიჰყავდათ ბომბილუსი. აი, ვოლოს წასვლით კი შვება ვიგრძენი. როცა თვალს ვადევნებდით, როგორ ათავსებდა ცირკის პატრონი ცხოველებს მანქანაში, ჩემი ფიქრები ცოლს გავუმხილე.

— ო, რა ულმობელი ხარ! — მითხრა მან.

— ასე მიგაჩნია? — შევეკითხე მე.

— ჰო, ზოგჯერ ძალიან ულმობელი ხარ.

მაგრამ მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ის მართალია.

გზად ხიდზე

ისტორიას, რომლის მოყოლასაც ახლა თქვენთვის ვაპირებ, შინაარსიც კი არ გააჩნია და ამიტომ ალბათ არც ეთქმის ისტორია, მაგრამ მაინც მინდა, გიამბოთ. ამ ამბის, ასე ვთქვათ, პროლოგი ათი წლის წინათ გათამაშდა, რამდენიმე დღის წინათ კი ეს ამბავი დაგვირგვინდა...

საქმე ის გახლავთ, რომ ამას წინათ სწორედ იმ ხიდზე მოგვიწია გადასვლა, ოდესღაც ბისმარკის უთვალავი ქანდაკების გულ-მკერდის დარად, რკინასავით მტკიცე და ფართო რომ იყო და ურყევი, როგორც საბრძოლო მოწოდება. რაინზე გადებული ეს განიერი, ოთხლიანდაგიანი ხიდი ქვის უამრავ მძიმე ბურჯზე იდგა და იმხანად, კვირაში სამჯერ, მასზე ერთი და იმავე მატარებლით უნდა გამევლო: ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით. მაშინ რაიხის მონადირე ძაღლთა დაცვის საზოგადოებაში ვმუშაობდი. მოკრძალებული თანამდებობა მეჭირა, — რაღაც კურიერისმაგვარი. ძაღლებისა, ბუნებრივია, არაფერი გამეგებოდა, ერთი გაუნათლებელი კაცი ვარ. კვირაში სამჯერ კიონიგსშტადტიდან, სადაც ჩვენი ბიურო იყო, მივემგზავრებოდი გრიუნდერჰაიმში, სადაც ფილიალი გვქონდა და იქიდან სასწრაფო ფოსტა, ფული და „სადავო საქმეები“ ჩამომქონდა. ისინი დიდ, ყვითელ საქაღალდეში ეწყო. დღემდე არ ვიცი, რას წარმოადგენდა ეს „სადავო საქმეები“, მე ხომ მხოლოდ და მხოლოდ უბრალო კურიერი ვიყავი...

მხატვარი ბაქარ მარგველანი

შინიდან დილით პირდაპირ ვაგზალზე გავდიოდი ხოლმე და 8-საათიანი მატარებლით გრიუნდერჰაიმში მივემგზავრებოდი. მგზავრობას 45 წუთს ვუნდებოდი. ჯერ კიდევ მაშინ მეშინოდა ამ ხიდზე გადასვლა. ჩემთვის არავითარი ფასი არ ჰქონდა ტექნიკურ საკითხებში ჩახედული ნაცნობების გარანტიებს ხიდის ტვირთგამძლეობის შესახებ, რადგან, უბრალოდ, მეშინოდა: თავისთავად ცნება „ხიდი — მატარებელი“ მგვრიდა შიშს და ამას გულახდილად ვაღიარებ. ჩვენში მდინარე რაინი ძალიან ფართოა. ჩუმი გულისფანცქალით ვადევნებდი თვალყურს ხიდის ოდნავ რყევასაც კი, ამ საზარელ 600-მეტრიან რახრახს. მერე კი, ბოლოს და ბოლოს, გავიგონებდი ბორბლების იმედისმომცემ ყრუ ბაგაბუგს რელსებზე, უკვე მიწას რომ მიუყვებოდნენ. ამას ბაღბოსტნები მოჰყვებოდა... ბოლოს, ვიდრე ქალენკატენში შევიდოდით, უმალ თვალში მხვდებოდა ერთი სახლი, რომელიც პირდაპირ მიწაზე იდგა; მას ყოველ ჯერზე ვაკვირდებოდი: მოწითალო ფერისა იყო და ძალიან სუფთად გალესილი. ფანჯრის რაფები და ზეძირკველი მუქ ყავისფრად შეეღებათ. ორსართულიანი იყო, ზემოთ სამი ფანჯარა ჰქონდა, ქვემოთ — ორი, შუაში კი — კარი და პარმაღი, რომელსაც სამსაფეხურიანი კიბე მიუყვებოდა. და ყოველთვის, თუ ძალიან არ წვიმდა, მის საფეხურზე 9-10 წლის პატარა და ისეთი სიფრიფანა გოგონა იჯდა, რომ ლანდი გასდიოდა. ხელში დიდი, კოპწია თოჯინა ეჭირა და დაბღვერილი გასცქეროდა მიმავალ მატარებელს. თავდაპირველად ჩემი მზერა გოგონას ხვდებოდა ხოლმე, მერე კი — მარჯვენა ფანჯარას, რომელშიც ყოველთვის იატაკისკენ წახრილი ქალი მოჩანდა. გვერდით ვედრო მიედგა, ხელში ჩვარი ეჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იატაკს წმენდდა, — მაშინაც კი, როცა კოკისპირულად წვიმდა და გოგოც აღარ იჯდა კიბეზე. ყოველთვის ვხედავდი ამ ქალს: ვხედავდი მის წაგრძელებულ, გამხდარ კისერს, რომლითაც ადვილად შეიცნობდი იმ გაჩხიკინებული გოგოს დედას; ვხედავდი ჩვრის აქეთ-იქით ქნევას — ჩვეულ მოძრაობას სახლის ღაგების დროს. ხშირად მიფიქრია, ერთხელ მათ ავეჯს ან ფარდებს დავაკვირდებიმეთქი, მაგრამ თვალი იმ მაინც გამხდარ ქალზე მიშტერდებოდა, გამუდმებით რაღაცას რომ ასუფთავებდა და, როცა გონს მოვეგებოდი ხოლმე, მატარებელი უკვე შორს იყო ჩავლილი. ყოველივე ეს მეორდებოდა ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით, ზუსტად ცხრის ათ წუთზე. ზუსტად, რადგან მატარებლები მაშინ შემაშფოთებელი სიზუსტით მოძრაობდნენ. როცა მატარებელი სახლს ჩაუქროლებდა, ისღა დამრჩენოდა, თვალი შემევლო მისი სუფთად გალესილი უკანა კედლისა და ჩარაზული ფანჯრებისთვის.

ცხადია, ამ ქალისა და მისი სახლის შესახებ წარმოსახვითი შეხედულებებიც შევიქმენი. ყველაფერი დანარჩენი, რაც გზად მხვდებოდა, ნაკლებად მაინტერესებდა: ქალენკატენი — ბროდერკოტენი — ზულენჰაიმი — გრუნდერჰაიმი — ეს სადგურები საინტერესოს არაფერს მიქადდა. ჩემი ფიქრები მხოლოდ და მხოლოდ იმ სახლის ირგვლივ ტრიალებდა: რატომ აღაგებს ეს ქალი კვირაში სამჯერ სახლს? ეს ოჯახი სულაც არ ჰგავს ისეთ ოჯახს, სტუმრები ზღურბლს რომ უტალახებენ; ის სტუმართმოყვარედ არ გამოიყურება, თუმცა, კრიალი კი გაუდის. ეს არის სუფთა, მაგრამ პირქუში სახლი.

ერთხელ, როცა 11-საათიანი მატარებლით გრუნდერჰაიმიდან უკან ვბრუნდებოდი და, თორმეტს რომ წუთები აკლდა, ქალენკატენი ჩამოვიტოვე, წითელი სახლის უკანა მხარეს შევავლე თვალი და ისევ დავინახე ის ქალი, ახლა სახლის უკანა მარჯვენა ფანჯარას რომ წმენდდა. უცნაურია, მაგრამ ორშაბათობით და შაბათობით ყოველთვის მარჯვენა ფანჯარას წმენდდა ხოლმე, ოთხშაბათობით კი — შუას. ხელში ჩვარი ეჭირა და წმენდდა და წმენდდა. თავზე რაღაც გაურკვეველი მოწითალო ფერის ნაჭერი ჰქონდა წაკრული. გოგონა უკანა გზაზე არასდროს შემინიშნავს. და ყოველთვის, შუადღით, ასე, თორმეტს რომ წუთები აკლდა, — მაშინ ხომ მატარებლები შემაშფოთებელი სიზუსტით მოძრაობდნენ! — სახლის წინა მხარის ფანჯრები ყოველთვის ყრუდ იყო ხოლმე ჩარაზული.

და, თუმცა ჩემს მოთხრობაში იმის აღწერას ვცდილობ, რასაც თვალნათლივ ვხედავდი, ნება მომეცით, მოკრძალებულად აღვნიშნო: სამთვიანი დაკვირვებების შემდეგ გამოვიტანე დასკვნა, რომ ამ ქალს სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და პარასკეობით დანარჩენი ფანჯრები უნდა გაეწმინდა. ეს მოსაზრება, მიუხედავად თავისი უწყინარობისა, თანდათანობით აკვიატებულ აზრად მექცა. ზოგჯერ მთელი გზა, ქალენკატენიდან გრიუნდერჰაიმამდე, თავს ვიმტვრევ-

დი: როდის იწმინდებოდა ორივე სართულის დანარჩენი ფანჯრები, შუადღემდე, თუ შუადღის მერე? და ერთ მშვენიერ დღეს დავჯექი და სახლის ლაგების გეგმა ჩამოვწერე. კვირაში სამი შუადღის დაკვირვებებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე დამეწერა, რა ლაგდებოდა დანარჩენ შუადღეებზე და, საერთოდ, მთელი დღეების განმავლობაში. მართლა ამეკვიატა იდეა, რომ ლაგების გარდა ეს ქალი ცხოვრებაში სხვას არაფერს აკეთებდა. სხვანაირ მდგომარეობაში არც მინახავს, თუ არა მოხრილი, მთელი ტანით გადაკუზული. ასე მეგონა, რომ მისი ხვნეშაც მესმოდა, — ეს იყო დილის ცხრის ათ წუთზე; და ჩვრით ხელში, მონდომებით რომ წმენდდა ფანჯარას, — თითქოს, მოკუმული პირიდან გულმოდგინედ გამოყოფილ ენის წვერსაც კი ვხედავდი, — ეს იყო შუადღით, თორმეტს რომ წუთები აკლდა.

ამ სახლის ისტორია მოსვენებას არ მაძლევდა. გამუდმებით მასზე ვფიქრობდი და საქმეშიც დაუდევრობა დამჩემდა. ერთხელ ფიქრებმა ისე გამიტაცა, რომ „სადავო საქმეების“ საქაღალდის წამოღება დამავიწყდა და რაიხის მონადირე ძაღლთა დაცვის საზოგადოების ერთ-ერთი ფილიალის უფროსის რისხვაც კი დავიმსახურე. მან თავისთან მიხმო. ბრაზისგან სულ ერთიანად ცახცახებდა:

— გრაბოვსკი, — მითხრა მან, — გავიგე, „სადავო საქმეები“ დაგრჩენიათ. საქმე საქმეა, გრაბოვსკი!

დადუმებული რომ დამინახა, უფრო გამკაცრდა:

— კურიერო გრაბოვსკი, გაფრთხილებთ: დაუდევარ ხალხს არაფერი ესაქმება რაიხის მონადირე ძაღლთა დაცვის საზოგადოებაში. ხომ იცით, რომ არ გაგვიჭირდება კვალიფიციური თანამშრომლების შოვნა?!

მრისხანედ შემხედა, მაგრამ მერე უცებ მოლბა:

— რაიმე პირადი პრობლემები ხომ არა გაქვთ?

მე ჩუმად მივუგე:

— დიახ.

— რაშია საქმე? — შემეკითხა დამტკბარი. მე მხოლოდ თავი გავაქნიე.

— შევძლებ თქვენს დახმარებას? მითხარით, რით დაგეხმაროთ?

— ერთი დღით გამათავისუფლეთ, ბატონო დირექტორო, — მორცხვად მივუგე მე, — მეტს არაფერს გთხოვთ.

მან გულმოწყალედ დამიქნია თავი:

— კი ბატონო, და ნუ მიიტანთ გულთან ახლოს ჩემს სიტყვებს. ვის არ დავიწყებია რაიმე?! სხვა მხრივ, ჩვენ თქვენით კმაყოფილნი ვართ...

სიხარულით ცას ვეწიე. ეს საუბარი ოთხშაბათს შედგა, მომდევნო დღეს კი, ხუთშაბათს, თავისუფალი ვიყავი. ყველაფრის ზედმიწევნით კარგად მოგვარება მინდოდა. 8-საათიან მატარებელს გავყევი და ახლა, ხიდზე რომ გადავდიოდით, მოუთმენლობით უფრო ვკანკალებდი, ვიდრე შიშით: ქალი პარმაღის კიბის საფეხურებს რეცხავდა. პირველივე მომდევნო მატარებლით დავბრუნდი ქალენკატენიდან და დაახლოებით ცხრა საათისთვის ისევ ჩავუარე წითელ სახლს: ქალი მეორე სართულის ფასადის შუა ფანჯარას წმენდდა. ამ დღეს ოთხჯერ ვიმგზავრე აქეთ-იქით და მთელი ხუთშაბათის საქმიანობას გავეცანი: პარმაღი და წინა ფასადის შუა ფანჯარა, მეორე სართულის უკანა ფასადის შუა ფანჯარა, მეორე სართულის წინა ოთახის იატაკი. როცა საღამოს 6 საათზე უკანასკნელად ჩავუარე სახლს, წელში მოხრილი ტანდაბალი კაციც შევნიშნე, ბაღში დინჯად აკეთებდა რაღაცას. გოგონა, რომელსაც იღლიაში კოპწია თოჯინა ამოედო, კაცს ზედამხედველივით ადევნებდა თვალს. ქალი აღარ ჩანდა...

მაგრამ ყოველივე ეს ათი წლის წინ იყო.

ამას წინათ კვლავ მომიწია ამ ხიდზე გადავლა. ღმერთო ჩემო, რა უბრალოდ ავედი კიონიგსშტადტში მატარებელში! ის ძველი ისტორია საერთოდ არ გამხსენებია. სატვირთო ვაგონით მოვემგზავრებოდით და, რაინს რომ მივუახლოვდით, უცნაური რაღაც მოხდა: ჩვენი მატარებლის წინა ვაგონები თანდათან შედგა, ბრაგაბრუგი შეწყდა. უჩვეულო რამ იყო: თითქოს, მთელი მატარებლის თხუთმეტ თუ ოც-ვაგონიანი შემადგენლობა ელექტრონათურების გრძელ ჯაჭვად იყო გადაბმული და ეს ნათურები ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა. გავიგონეთ საზარელი, ყრუ გრუხუნი, ქარიშხლის შხუილი და უეცრად შემოგვესმა, თითქოს ჩვენი ვაგონის ქვეშ პატარა ჩაქუჩით რაღაცას ფუყეს უკაკუნებდნენ. ყველანი გავიტრუნეთ და გარეთ გავიხედეთ: ვერაფერს, ვერაფერს ვხედავდით... სრულიად ვერაფერს. არც მარჯვნივ ჩანდა რაიმე, არც — მარცხნივ, ირგვლივ შემაძრწუნებელი სიცარიელე იყო... შორს, სივრცეში რაინის ჭალები მოჩანდა... გემები... წყალი... იქითკენ გახედვაც ვერ გაგვებედა, თვალს ვარიდებდით ამ თვალუწვდენელ სივრცეს. ირგვლივ არაფერი არ იყო, არაფერი. ჩემს მოპირდაპირე მხარეს მჯდომი გლეხის ქალი მიტკალივით გაფითრებულიყო, შიშით ხმას ვერ იღებდა. მივხვდი, რომ თავისთვის ლოცულობდა. კაცები ხელისკანკალით უკიდებდნენ სიგარეტს, კუთხეში მოკალათებული ბანქოს მოთამაშეებიც კი დადუმდნენ.

მერე გავიგონეთ, რომ წინა ვაგონები გრუხუნით ისევ მიწაზე გადებულ ლიანდაგზე გადავიდა და ყველამ ერთი და იგივე რამ გავიფიქრეთ: ვინც იქ იჯდა, სამშვიდობოს იყო გასული. საშიშროების შემთხვევაში ისინი, ალბათ, გადახტომას მოასწრებდნენ, ჩვენ კი ბოლოს წინა ვაგონში ვისხედით და, უეჭველად რომ დავიმსხვრეოდით, ამას წყალი არ გაუვიდოდა. ჩვენს თვალებში ჩამდგარი შიში და გაფითრებული სახეები ნათლად მოწმობდა, რომ ამაში ღრმად ვიყავით დარწმუნებულები. ხიდი ლიანდაგის სიგანისა იყო, უფრო სწორად, თვითონ ლიანდაგი იყო ხიდი და ვაგონის კედლები ორივე მხრიდან უფსკრულში იყო გადაკიდებული. ხიდი ქანაობდა, თითქოს სიცარიელეში ჩვენს გადაყრას ლამობდა...

მაგრამ უეცრად ბრაგაბრუგის ხმა მოისმა, ეს ხმა გვიახლოვდებოდა და უფრო და უფრო მკაფიოდ გვესმოდა. მერე ჩვენი ვაგონის ქვეშაც ვიგრძენით მიწა და წყვდიადი, იგივე ბრაგაბრუგი. შვებით ამოვისუნთქეთ და გარეთ გახედვა გავბედეთ: ბაღჩები დავინახეთ! ღმერთმა დალოცოს ისინი! და უცებ ვიცანი ეს ადგილი! რაც უფრო ვუახლოვდებოდით ქალენკატენს, მით უფრო მიჩქროლდებოდა გული და ერთი კითხვა მღრღნიდა: იდგა კი ისევ იქ ის წითელი სახლი? და ბოლოს ისიც გამოჩნდა. ბაღჩის ნაზ, ზურმუხტოვან მწვანეში ჩადგმული წითელი სახლის კვლავინდებურად სუფთა ფასადი სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა. ენით აუწერელი მღელვარება დამეუფლა. ყველაფერი, რაც იყო მაშინ, ათი წლის წინ და ყველაფერი, რაც მას შემდეგ მოხდა, თვალწინ დამიდგა და გული და სული ამიფორიაქა. მერე სახლმა უზარმაზარი ნაბიჯებით მოახლოება იწყო და მე დავინახე იგი, — ის ქალი: ქალი პარმაღს რეცხავდა! მაგრამ არა, ეს ის არ იყო. ეს იყო ახალგაზრდა ქალი, უფრო სქელი ფეხებით, მაგრამ ჩვრის აქეთ-იქით ქნევისას ისეთივე მიხრა-მოხრა ჰქონდა, უხეში და მოუქნელი. დავწყნარდი და გული საგულეში ჩამიდგა. მერე ქალი სულ ერთი წამით შემოტრიალდა მატარებლისკენ და იმწამსვე ვიცანი ის პატარა გოგო წარსულიდან, — მისი ულაზათო, ობობასავით პირქუში, დაბღვერილი სახე, — გუშინდელი სალათივით უგემური, მჟავე გამომეტყველებით...

გულმა ისევ დამიწყო ბაგაბუგი და გამახსენდა, რომ ოთხშაბათი იყო...

გერმანულიდან თარგმნა
ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲗᲝᲓᲣᲐᲨ

* * *

მარჯანიშვილის თეატრში გაიმართებოდა ნუგზარ ფსუტურის ხსოვნის საღამო, რომელსაც გაუძღვებოდა ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ერეკლე საღლიანი.

თუ გნებავთ სრული წარმოდგენა შეიქმნათ ამ პიროვნებაზე, აუცილებლად ჩახედეთ ივანე ამირხანაშვილის ერთიბეწო ჩანახატს, რომელშიც ხელშესახებადაა გამოკვეთილი ამ კოლორიტული კაცის პორტრეტის არსებითი შტრიხები.

მის სოციალურ პორტრეტს რომ წარმოსახავდა — ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეთნოგრაფი, პედაგოგი, მსახიობი, მომღერალი, მელომანი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი — ასეთ ღრმა, საგულისხმო სტრიქონებს მოადევნებდა, რომ ერეკლე საღლიანი თავისი ამ მრავალმხრივობით მოგვაგონებს ადრეული, მე-19 საუკუნის პერიოდის მოღვაწის ტიპს.

— ერთი შეხედვით ეს არის ანაქრონისტული ფიგურა, რომლის ხასიათი არ სცილდება კუთხური კოლორიტის საზღვრებს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მის უცნაურ ფენომენში არის კანონზომიერების დიდი დოზა, რომელიც დრო-ჟამის საჭიროებითა და აუცილებლობით არის გაპირობებული. გადაჭარბებული თუ არ იქნება ამის თქმა, ერეკლე საღლიანი ნოსტალგიაა ჩვენი დროისა, რომელმაც დიდი ხანია მოისაკლისა ემოციური სისავსითა და პირველყოფილი გულუბრყვილობით აღჭურვილი გმირი. თითქოს დრომ დაისაჭიროვა ეს კაცი, როგორც შეხსენება ყოფიერების დავიწყებული თუ გამორჩენილი დეტალისა.

იქ კი, მარჯანიშვილის თეატრში, საღამოს დასასრულს ანსამბლ „ლომისის“ წევრები (სადაც ნუგზარი მღეროდა) ერეკლეს სთხოვდნენ მათთან ერთად დამდგარიყო. და ისიც ჩადგებოდა მომღერალთა შორის.

დარბაზში ნოდარ ოდიშელიძე გადაულაპარაკებდა გვერდით მჯდომ ბაბუა ალუდაურს:

— ახლა ერეკლემ რომ სიმღერა დაიწყოს, მერე რა გვეშველება?

— კარგად იცის თავისი მუსიკალური შესაძლებლობები და, არა მგონია, იმღეროს, — ეს მიუგებდა.

ერეკლეს, ცხადია, არ უმღერია.

ერთი თვის თავზე ბაზალეთის ტბაზე გაიმართებოდა ტრადიციული დოღი, ამჯერად მიძღვნილი ნუგზარ ფსუტურის ხსოვნისადმი. დოღის დაწყებამდე ეს სამნი ერთად იდგებოდნენ და მათთან ერთად ტარიელ ხარხელაურიც.

ბაბუა გაიხსენებდა მარჯანიშვილის თეატრში გამართულ საღამოს და უეცრად ნოდარი მიუბრუნდებოდა ერეკლეს:

ბადალი არ გყავს სიტყვაში
რა გარეთა და რა შინა,
რა კარგი ჰქენი, ერეკლე,
რო არ იმღერე მაშინა!

— იმ სოფელს რა ჰქვია, ირგვლივ ტყე რომ აკრავს? — მოულოდნელად დაინტერესდებოდა ერეკლე საღლიანი. ესენი იფიქრებდნენ, სიტყვას ბანზე გვიგდებს, რაკიღა შესაფერისი პასუხი ვერ მოუფიქრებიაო.

და ბაბუა მიუგებდა:

— მლაშე ჰქვია.

და ერეკლე:

მე როცა ვმღერი, ძმობილო,
მახათის ყუნწში ვძვრები!
მემღერა? არ დარჩებოდნენ
მლაშის ტყეებში მგლები!

...ნეტა ივანეს ჩამონათვალს რატომ უნდა აკლდეს მოკაფიავე? ვითომ ვისზე ნაკლებად ეხერხება ეს ჟანრი ერეკლე საღლიანს?!. პოეტის სახელი ყოველთვის არ გულისხმობს, ის კი არა, იშვიათად თუ გულისხმობს, ეპიგრამულ ხელოვნებასაც.

* * *

ტიციან ტაბიძე ძალიან განიცდიდა: ეს როგორ მოხდაო!..

ვერ წარმოედგინა, მის სიტყვებს პიროვნების ტრაგედიის გამოწვევა თუ შეეძლო.

არადა, რა თქვა ისეთი, რასაც გაუთავებლად არ იმეორებდნენ ცისფერყანწელები: თუ გინდა ჭეშმარიტი პოეტის სახელი დაიმკვიდრო, თვითმკვლელობით უნდა დაასრულო სიცოცხლეო.

მათ ლექსებშიც ტრიალებდა ეს შეხედულება, ფრანგი სიმბოლისტების გავლენით შეთვისებული, თორემ პირადი საუბრებისას ხომ ვეღარც დათვლიდი.

სიკვდილის გარომანტიკულებისა თუ გაესთეტიკურების იქით არც ფრანგი სიმბოლისტები წასულან და არც მათი ქართველი მიმდევრები აპირებდნენ. თვითონ აზრი ხიბლავდათ, ამაღლებულ წარმოსახვებში ხვევდნენ, მითოლოგიის რანგამდე აჰყავდათ და ტკბებოდნენ იმ ეფექტით, რასაც ამ შეხედულების დაუსრულებელი განმეორება ახდენდა საზოგადოებაზე.

თამაშობდნენ, ერთობოდნენ, სუფრა-სადღეგრძელოებს ალამაზებდნენ და მეტი არც არაფერი უნდოდათ.

თუმც მთლად სათამაშოდ და სახუმაროდაც რომ არა ყოფილა საქმე, იქიდანაც ჩანს, გიორგი ლეონიძეს წამიერად რომ აიყოლიებდნენ და კინაღამ მდინარის ზვირთებში უკრავდნენ თავს, რათა მერე გულმხურვალედ დაეტირებინათ და მისი დაკრძალვის ცერემონია დაუვიწყარ სანახაობად გადაექციათ თავისი პომპეზურობითა და ტრაგიკომიკური იერით.

ის გამოექცეოდათ და სამუდამოდაც გამოერიდებოდათ, ვაითუ სხვა დროს რა განცდების ქვეშ მოვექცე და ემანდ მართლა თვითმკვლელობამდე არ მიმიყვანონო.

გიორგი ლეონიძე კი გადარჩებოდა, მაგრამ ვერ გადარჩებოდა გიონ საგანელი (ცისფერყანწელურად რომ გადაეკეთებინა თავისი ნამდვილი გვარ-სახელი გიორგი საგანელიძის), ვისზეც ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდა ტიციან ტაბიძის შეგონება: თვითმკვლელობის გარეშე ნამდვილი პოეტი ვერაფრისდიდებით ვერ გახდებიო, — აღარ დაფიქრდებოდა, ესენი დიდ პოეტობაზე რომ სდებენ თავს, კი გამოიყურებიან საღსალამათად და არც ქეიფსა და დროსტარებას იკლებენო, აღარ დაფიქრდებოდა და...

და განცდით კი ძალიან განიცდიდა ტიციანი: ჩემი ბრალია, ნეტა ეს არ მეთქვაო.

ლექსადაც დაიტირებდა და სტრიქონებს შორის მიანიშნებდა თავის უნებლიე ცოდვას ამ ჭაბუკის გაწირვაში: ვარ უსათუოდ ამის მოვალე, ლექსში ვახსენო გიონ საგანელიო; და კიდევ: სანყალი საგანელი... ჭინკა და ელვა... პატარა კუბო... რამხელა დამწყევლაო.

და თავის მართლებას ლამობდა დამწუხრებული: ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მალეო... ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწია, რადგან ჩვენ თვალწინ ლექსიც კი დაობლდაო.

შეეცდებოდა აღემაღლებინა მისი სახელი: მას კიდევ სწამდა მართლა პოეზია. სიკვდილის წინათაც ის ლექსებს ამბობდაო, — რათა ამ მომხიბვლელ საბურველში გახვეული სურათი იმ იმედით დაეგვირგვინებინა: უთუოდ დაფასდება განწირვის ჟესტიო.

ვალერიან გაფრინდაშვილი პოეტური მითოლოგიის გმირად გამოაცხადებდა გიონ საგანელს და... ეს იქნებოდა მისი თვითმკვლელობის საზღაური.

ნეტა ეს არ მეთქვაო...

თუმც რა — პირადი საუბრისას რომც არ დაეძრა კრინტი ამ თემაზე, ცისფერყანწელთა საჯარო გამოსვლები და ლექსები უბიძგებდა გიონ საგანელს თვითმკვლელობისაკენ.

გალაკტიონი არ აბრალებდა ცისფერყანწელებს მის ტრაგიკულ დასასრულს და ირწმუნებოდა: გიონი თავისმა არაადამიანურმა სიამაყემ დაღუპაო.

ტიციანიც აქეზებდა საგანელის თვითმკველობის უმთავრეს მოტივს: უნდოდა ყოფილიყო ყველაზე მეტიო, — თვითონ გიონი კი სულაც დაუეჭვებლად რომ აცხადებდა: ვარ უსათუოდ ყველაზე მეტიო.

გალაკტიონი კი არ აბრალებდათ, ის კი არა, მათ ნუგეშისცემასაც ცდილობდა, მაგრამ, აი, ცისფერყანწელები კი ამ ილუზიებით გაბრუებული პოეტის სახელს გალაკტიონის დასამცირებლად გამოიყენებდნენ.

წასულიყო ის დრო, როდესაც გალაკტიონს ჭეშმარიტ პოეტად აღიარებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ზემოდან დაჰყურებდნენ და ამიტომაც ემეტებოდათ მის მიმართ ქების სიტყვები, მაგრამ გამოქვეყნდებოდა თუ არა „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“, მიხვდებოდნენ (გემოვნება არ აკლდათ), ეს სულ სხვა სიმაღლეაო, და რაკიღა იქ მიწვდომა გაუძნელდებოდათ, ყოველნაირად შეეცდებოდნენ მისი ტალანტის დაკნინებას.

ასე და ამ მიზნით შეითხზვებოდა ეპიგრამა 1919 თუ 20 წელს.

მე გიონა საგანელსა —
ქრისტე-ღმერთი მაფიცესო...
მე მოგიკვდეთ, თუ არ ვჯობდე
გალაკტიონ ტაბიძესო.

და გალაკტიონი იძულებული შეიქნებოდა, რომ თავის ჩანაწერებში გაეშიფრა ეპიგრამის ნამდვილი ავტორი:

— ეს ლექსი ეკუთვნის პაოლო იაშვილს.

ის კი არა, პირველი სტრიქონის ვარიანტულ სახესხვაობასაც ჩაინიშნავდა: გიონასა საგანელსაო...

პაოლოს თავისი სახელით რომ შეექმნა ეპიგრამა, ის ეფექტი არ ექნებოდა, რასაც ნაკლებად ცნობილი და ცისფერყანწელთაგან აბუებული პოეტის სახელი გამოიწვევდა.

გიონ საგანელს მიუგდეს საჯიჯგნად თავიანთ წარმოსახვაში გალაკტიონი და... გაიხარებდნენ და ინეტარებდნენ.

ასე უნდა ჩაბეჭდილიყო საზოგადოების ცნობიერებაში, რომ გიონ საგანელიც კი სჯობდა გალაკტიონ ტაბიძეს.

მაგრამ აგერ თურმე გიონი არა ყოფილა მისი შემთხზველი და ეს ეპიგრამა ისე უნდა აღვიქვათ, როგორც ხალხური ლექსი „მე ვარ სიმონა დოლიძეო“, რომ ირწმუნება, თუმც, ცხადია, სიმონა დოლიძე პერსონაჟია და არა ავტორი, ისევე, როგორც გიონ საგანელიც პერსონაჟია და ტყუილუბრალოდ მივაწერდით ავტორობას.

კიდევ კარგი, გალაკტიონის უბის წიგნაკის ის ჩანაწერი გვშველის.

თორემ გული დაგვწყდებოდა გიონზე და არა პაოლო იაშვილზე, ვინც წონასწორობას კარგავდა გალაკტიონის ყოველი ხსენებისას და კინაღამ გადაყვებოდა მისი ასი ლექსის გამოქვეყნებას ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე...

...ეს როგორ მოხდაო, თავისი სატკივარი არ მოეშვებოდა ტიციან ტაბიძეს.

* * *

თავისებურ ურთიერთობას ააწყობდნენ ბადრი გაგნიძე და ლევან ბრეგაძე. ის ამის შარჟს დახატავდა, ეს პოეტური ნაკვესით შეეხმიანებოდა. ფოსტად თუ სარბიელად „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას დაიგულებდნენ და... მიდიიი!..

ახლა კვლავ ლევან ბრეგაძის ჯერი დამდგარიყო „ქართული ჟარგონის“ ლექსიკონს ამგვარი წარწერით რომ გაუგზავნიდა მხატვარს კარლო ფაჩულიას ხელით:

მე ვიცი კარგი ნახატის ყადრი.
ნიჭიერ მხატვარს ჯადოქარს ვადრი.
მეორე შარჟიც მივიღე თქვენგან, —
დიდი მადლობა, ბატონო ბადრი!

* * *

მირიან წიკლაური ექიმის დიპლომით დაუბრუნდებოდა მშობლიურ ხევს და მთელი ენერგიითა და დაუზარებლობით ჩაერთობოდა მთელი მხარის მკურნალობაში.

ერთხელაც მიაკითხავდნენ: ხანდაზმული ქალბატონი გაზმა კინაღამ გაგუდა და ძალიანაა მისავათებულიო.

ეს სასწრაფოდ გაეშურებოდა, გასინჯავდა და მისი მდგომარეობის შესამოწმებლად, თუ რამდენად ინარჩუნებდა გონებას, ორიოდ მარტივ არითმეტიკულ სავარჯიშოს შესთავაზებდა.

— აბა, დეიდა, რამდენია ორს მივუმატოთ სამი?

— ხუთი, — ყოჩაღად უპასუხებდა ის.

— ოოო, კარგია, კარგი, — და ჭირისუფალს მოწონებით გადახედავდა, — გაზით გაგუდვა ისე უბინდავთ ხოლმე გონებას... და ხუთს მივუმატოთ ოთხი?

— ცხრა.

— და შვიდს მივუმატოთ რვა?

ქალი გაყურსულია.

ექიმი პასუხს ელოდება.

და ჩაერეოდა ჭირისუფალი:

— აქედან დასკვნას ნუ გამოიტანთ, ექიმო, ეგ მანამდეც არ იცოდა!..

მეგობრული შარჟები ბადრი გაგნიძისა

ინტელექტუალ-ტერორისტები

ტერორიზმის ისტორია საბერძნეთში თურმე დაწყებულა 1975 წლის 23 დეკემბერს, როდესაც ათენში წუთისოფელს გამოასალმეს აშშ საელჩოს პირველი მდივანი, იმავდროულად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს („სი-აი-ეი“) რეზიდენტი საბერძნეთში რიჩარდ უელჩი. სამი ახალგაზრდა ბერძენი თავს დაესხა მას. დღისითმზისით, თავდაჯერებით და გულმშვიდად, მოუღეს ბოლო მისივე სახლის წინ, მისივე ცოლისა და მძღოლის თვალწინ. პასუხისმგებლობა მომხდარის გამო თავის თავზე აიღო მანამდე ყველასთვის უცნობმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ („17 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაცია“).

ექსტრემისტებმა მაშინვე განაცხადეს, რომ „წყნარი ამერიკელის“ მკვლელობით მათ განახორციელეს „რევოლუციური შურისძიება შეერთებული შტატების ხელისუფლებასა და დაზვერვაზე, რომლებიც თავის დროზე აქტიურად ეხმარებოდნენ „შავი პოლკოვნიკების“ პირსისხლიან რეჟიმს — შეენარჩუნებინათ ძალადობით მოპოვებული ძალაუფლება საბერძნეთში. ამიტომაც ათენში „სი-აი-ეის“ შტაბ-ბინის შეფი წარმოადგენდა „ბერძენი ხალხის ნომერ პირველ მტერს“.

მკვლელობის მომენტი საინტერესო იყო არა მარტო იმით, რომ ეს მოხდა შობის დღესასწაულის მოახლოებისას, არამედ იმითაც, რომ სულ რაღაც რამდენიმე თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც საბერძნეთში „შავი პოლკოვნიკების“ დიქტატურა დაემხო და სანუკვარი დემოკრატია დამყარდა. ხოლო 17 ნოემბერი — ესაა თარიღი ათენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ანტიდიქტატორული ამბოხებისა, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი სამხედრო ხუნტის მიერ და ეს იყო დასაწყისი „შავი პოლკოვნიკების“ დასასრულისა.

და აი, დაწყებული 1975 წლის 23 დეკემბრიდან მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში „17 ნოემბრის“ ტერორისტებმა, რომლებიც აღიჭურვნენ რევოლუციური ლოზუნგებით, საბერძნეთში გაასაღეს 23 კაცი — უცხოელი დიპლომატები, კორუმპირებული პოლიტიკოსები, თვალსაჩინო ბიზნესმენები, სულგაყიდული მოსამართლეები. ყოველივე ამას ანტიამერიკული სუნი ასდიოდა. და ამ 25 წლის მანძილზე თავზარს სცემდნენ სუპერსახელმწიფოს ემისრებს საბერძნეთში.

1981 წლის არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციურმა ძალამ — სოციალისტურმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ედგა ა. პაპანდრეუ. ტერორისტები ორი წლით მიყუჩდნენ, მაგრამ 1983 წელს — ახალი მკვლელობა. ამჯერად მათი მსხვერპლი შეიქნა აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტანი დ. სანტესი, ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის თავკაცი. შემდეგ დისტანციური მართვის ბომბით ააფეთქეს აშშ საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშე ვ. ნორდინი. მას დაჯავშნულმა ლიმუზინმაც კი ვერ უშველა (დამფრთხალი ამერიკელი დიპლომატები და სამხედროები უკვე დაჯავშნულნი დაბრძანდებოდნენ ათენის ქუჩებში).

1985 წლის თებერვალში მოკლულ იქნა ნ. მომფერატოსი, გაზეთ „აპოგევმატინის“ მფლობელი და ბერძნული გაზეთების გამომცემელთა კავშირის თავმჯდომარე. მას მალე მიაყოლეს „კაპიტალისტი ექსპლუატატორი“ დ. ანგელოპულოსი, ფოლადსასხმელი კომპანიის პრეზიდენტი.

ბერძენ ოლიგარქ ვ. ვარდინოიანისს ბედმა გაუღიმა — რაკეტა ვერ მოხვდა მის დაჯავშნულ ლიმუზინს და ოლიგარქი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. ტერორისტებმა მას უწოდეს „მაფიოზური ჯურის ხომალდმფლობელი“, რომელიც სასტიკ ექსპლუატაციას უწევდა მეზღვაურებს, აიძულებდა ეცურათ „ძველისძველი, გაცვეთილი ხომალდებით“.

2000 წელს მოკლეს დიდი ბრიტანეთის საელჩოს სამხედრო ატაშე, ბრიგადის გენერალი სტივენ სანდერსი. თავისი თეთრი ფერის „როვერით“ ათენის ერთ-ერთ გარეუბანში მისეირნობდა. გზაჯვარედინზე მისი ავტომანქანის გვერდით შეჩერდა მოტოციკლი, რომელზედაც ორი ტერორისტი მოკალათებულიყო. ერთმა მათგანმა პისტოლეტი იძრო და ლამის მიჯრით რამდენჯერმე ესროლა. პოლიციამ სასწრაფოდ დაბლოკა ყველა გზა, მაგრამ გარჯამ უნაყოფოდ ჩაუარა. მკვლელები რა სათქმელია, მათი მოტოციკლიც კი ვერ იპოვეს.

მალე ერთ-ერთმა ბერძნულმა გაზეთმა მიიღო ტერორისტთა „პრესრელიზი“, სადაც ნათქვამი იყო, რომ სანდერსის მკვლელობა წარმოადგენდა შურისძიებას ნატოელთა მიერ იუგოსლავიის დაბომბვის გამო. „ჩვენ შევარჩიეთ მაღალჩინოსანი ინგლისელი ოფიცერი არა მარტო იმიტომ, რომ ინგლისი აქტიურად მონაწილეობდა მსგავს დაბომბვებში, არამედ იმიტომაც, რომ ინგლისის პოლიტიკამ ამერიკულსაც კი გადაუჯოკრა პროვოკაციებში, ცინიზმსა და აგრესიაში“.

ერთი სიტყვით, „17 ნოემბერი“ გახლდათ ყველაზე მოუხელთებელი და იღბლიანი ტერორისტული ორგანიზაცია ევროპის კონტინენტზე. ციხეებში ჩალპნენ გერმანული „წითელი არმიის ფრაქციის“ ბოევიკები, განადგურებულ იქნა ფრანგული „აქსიონ დირექტი“, იტალიაში ჩაახშეს „წითელი ბრიგადები“. უკვალოდ გაქრნენ წვრილ-წვრილი ჯგუფები. ხელისუფლებანი მეტნაკლები წარმატებით უმკლავდებოდნენ სეპარატისტებს ბასკეთსა და ჩრდ. ირლანდიაში, ხოლო „17 ნოემბერს“ მეოთხედი საუკუნე ეომებოდნენ საბერძნეთის სპეცსამსახურნი, აქტიური შემწეობით თავიანთი კოლეგებისა შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან, მაგრამ 25 წლის განმავლობაში „17 ნოემბრის“ ერთი ბოევიკიც კი არ დაუპატიმრებიათ, არ დაუჭრიათ, არ მოუკლავთ. მათ შესახებ არაფერი იცოდნენ — რა ერქვათ, რა ასაკისა იყვნენ, ვისგან იღებდნენ დახმარებას, ვისთან თანამშრომლობდნენ.

იდუმალ ტერორისტებთან საბრძოლველად მილიონობით დოლარი დაიხარჯა. საბერძნეთის სპეცსამსახურთა ერთმა თანამშრომელმა შენიშნა: „ფული აქ ვერაფერს გვიშველის. იმის იმედიღა უნდა გვქონდეს, რომ ოდესმე მაინც ისინი შეცდომას დაუშვებენ“.

ასეც მოხდა 2002 წლის 30 ივნისს, როდესაც ბერძენი ბოევიკი თვითნაკეთ ბომბზე აფეთქდა, ოღონდ არ დაღუპულა, მხოლოდ დაიჭრა.

რამდენიმე დღეში გამოაცხადეს ვინაობა უიღბლო ბოევიკისა — ეს იყო 40 წლის მხატვარი ს. ხიროსი. მისი დაკითხვისა და პირადი ნივთების საგულდაგულო ჩხრეკის შედეგად მოხერხდა დამატებითი ინფორმაციის მიღება და იმავე წლის 3 ივლისს დაწყებულ იქნა მსხვილმასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია, რომლის მომზადებაში მონაწილეობდნენ ამერიკელი და ბრიტანელი სპეციალისტებიც.

რეიდის მსვლელობისას ათენის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ბინაში მიგნებულ იქნა იარაღის მთელი არსენალი — ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ყუმბარმტყორცნები, რაკეტები და შაშხანები. იარაღი მოპარული იყო სამხედრო ბაზებიდან და პოლიციის უბნებიდან.

მიაკვლიეს „17 ნოემბრის“ დაჯგუფების ორ ხელმძღვანელს.

პირველი მათგანი იყო ათენის უნივერსიტეტის პროფესორი მ. იკონომუ — დაახლოებით 60 წლის ტანმაღალი კაცი, რომელსაც განათლება ჰქონდა მიღებული საფრანგეთში და ცოლად ჰყავდა ფრანგი ქალი.

იმავე წლის სექტემბრის დამდეგს საბერძნეთის ხელისუფლებას ჩაჰბარდა „17 ნოემბრის“ მეორე ხელმძღვანელი დ. კუფოდინასი, მათემატიკის პროფესორი და მოყვარული მეფუტკრე. მან განაცხადა, რომ თავის თავზე იღებდა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას „17 ნოემბრის“ დაჯგუფების მიერ განხორციელებულ ტერაქტებზე.

როგორც ადგილობრივმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ტერორისტთა უმეტესობა — მშვიდობიანი მოქალაქენი იყვნენ. ისინი არაფრით არ ჰგავდნენ თავიანთ „კოლეგებს“ დასავლეთ ევროპის სხვა რადიკალური ორგანიზაციებიდან. ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალზე წესიერი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ პროფესორები თავკაცობდნენ კაცისმკვლელთა ბანდას, რაგინდ კეთილშობილი მიზნებით ყოფილიყვნენ აღძრულნი. არც რიგითი ბოევიკები მიეკუთვნებოდნენ მარგინალთა ფენას. ასე მაგალითად, ერთი მათგანი ხელობით ხატისმწერელი იყო — წყნარი და კანონმორჩილი ობივატელი. მეორეს იცნობდნენ, როგორც ინტელექტუალს, რომელმაც მშვენივრად იცოდა ფრანგული და ბალზაკის რომანებს ბერძნულ ენაზე თარგმნიდა. მეზობლები ახასიათებდნენ მას, როგორც უაღრესად ზრდილ, გულისხმიერ და კულტურულ ადამიანს.

და მთელი მეოთხედი საუკუნე არც ერთ მათგანზე ეჭვიც კი არ მიუტანიათ!

მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად

ჯერ კიდევ მაშინ, ენა რომ არ ამოგიდგამს, ალერსით გამთბარი სიტყვები ჩაგესმის ყურში: „იავ-ნა-ნა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!“ ცოტას წამოიზრდები და წაგიკითხავენ: „ციცუნია კატაო, მაგრე რამ დაგხატაო?“ წერა-კითხვას ისწავლი და თავად ეცნობი შენი ყრმობის პირველ ლექსებს: „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა... გაბმულხარ ჩიტო, მახეში? გაჩერდი, ნუღარ ფართხალობ!.. რას წუწკუნებს ეს პატარა მურია? ხომ არ ჰშია ან ხომ არა სწყურია?“

აი, ასე აკვნიდან სამარის კარამდე მოგყვება „საქართველოს ბულბულად“ წოდებული პოეტის უკვდავი ლექსები. რომელ ქართველს არ წაუკითხავს და ზეპირად არ ახსოვს ერთიმეორეზე უფრო გულში ჩამწვდომი სტრიქონები, უბადლონი, სწორუპოვარნი: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო... საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე! დაკარგულიყო?.. ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო... დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი შემექნა ჭაღარა...“

რომელი ერთი ვთქვათ, რომელი ერთი გავიხსენოთ?! ზოგი ეგებ არც წაგვიკითხავს, მხოლოდ გვსმენია, მაგრამ მყისვე ხვდები, ვისიც არი. აბა ყველაფერს ვინ წაიკითხავს! უკვდავი პოეტის მთელი შემოქმედების ზედმიწევნით ცოდნას, ალბათ, მოცლილი მოკვდავის ხანგრძლივი სიცოცხლეც არ ეყოფა.

აი, თუნდაც ეს სტრიქონები, ათასში ერთ კაცს რომ ეცოდინება: „მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად — ისე, როგორიც ყოფილა ძველად...“

თქვენ შესაძლოა ბრძანოთ: რა მოხდა მერე, სამშობლოზე და კაიკაცობაზე აკაკი წერეთელს მაგაზე უკეთეს-უკეთესებიც უთქვამს, რა არის აქ გასაკვირიო?!

გასაკვირი, რასაკვირველია, არაფერი გახლავთ, თუკი არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ აკაკი, ამ შემთხვევაში, თავის გულისნადებს, თავის ხვაშიადს, სანუკვარ ნატვრას ათქმევინებს მიხეილ ვორონცოვს, კავკასიის მეფისნაცვალს 1844-1854 წლებში.

...საქართველოში (და სხვაგანაც?) როცა წყობილება და ხელისუფლება იცვლება, ახალმა ძველისა ეგებ არაფერიც არ შეცვალოს, არც კანონები, არც ადათ-წესები, არც ზნე-ჩვეულებანი, არც პროტექციონიზმი, არც ნეპოტიზმი, არც კალენდარი და არც რჯული, მაგრამ ქუჩებს, მოედნებს, ჩიხებსა და შესახვევებს უსათუოდ გადაარქმევს სახელებს. და განა ერთსა და ორს, არა, ლამის მთელ ქალაქს გადააჭრელებს.

მოსახლეობა ახალს, ცხადია, ნელ-ნელა ეჩვევა და გულდაუწყვეტლად, ზოგჯერაც გულდაწყვეტით, ივიწყებს ძველს. აბა დღეს განა ვინმეს ახსოვს, ნაფიც მკვლევართა და სტაჟიან პენსიონერთა გამოკლებით, რომ ჩვენი დედაქალაქის მშვენებასა და სიამაყეს — რუსთაველის პროსპექტს ოდესღაც გოლოვინის პროსპექტი ერქვა და დავით აღმაშენებლის პროსპექტს (ყოფილ პლეხანოვს) ასევე ოდესღაც — მიხეილის პროსპექტი (ზოგი ამბობს, წმ. მიხეილი არისო და ზოგიც ამტკიცებს, კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვიო). ერთი სიტყვით, გოლოვინიც ჩაჰბარდა წარსულს და ორაზროვანი მიხეილიც.

მაგრამ აგერ ვორონცოვის მოედანმა თავისი პირვანდელი სახელი შეინარჩუნა და სალი კლდესავით დგას ახალ-ახალი ტალღების უკუსაგდებად. ჯერ იყო და კარლ მარქსის სახელი უწოდეს, მერე — საარბრიუკენისა (უნებურად წამოგცდება: სად ერეკლე და სად საარბრიუკენიო!) და მაინც, თბილისელთა უმეტესობა ძველისძველს ვერ შელევია და კვლავინდებურად გაიძახის, ვორონცოვიო (ვწერთ ვორონცოვს, წარმოვთქვამთ ვარანცოვს).

აი, ამასაც ხომ უკვდავება ჰქვია!

ვორონცოვის სახელთან არის დაკავშირებული ქართული თეატრის დაარსება, ჟურნალ „ცისკრის“ დაარსება, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, კავკასიის მუზეუმის დაარსება — ხედავთ, რამდენი დაარსებანია! აგრეთვე უნდა ვახსენოთ პირველი არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, გამოცემა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებისა (ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“), სასწავლებლებში ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების გაუმჯობესება.

თუკი უფრო დაწვრილებით დაგაინტერესებთ საქართველოში ვორონცოვის მოღვაწეობის ავკარგი, გირჩევთ წაიკითხოთ თამაზ ჯოლოგუას „მიხეილ ვორონცოვის კავკასიური პოლიტიკის შესახებ“, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია შემდეგი: თურმე ერეკლე მეფის ასულმა, თეკლა ბატონიშვილმა სიკვდილის წინ დაიბარა ვორონცოვი და კარგახანს ესაუბრა. ვინ იცის, ეგებ ქალბატონ თეკლას რომელიმე განსწავლულმა შთამომავალმა, ოჯახური გადმოცემის მიხედვით, იცოდეს ამ საუბრის შინაარსი?

ავადსახსენებელი კატკოვი ვორონცოვს ბრალს სდებდა, რომ იგი რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს ღალატობდა საქართველოში. ჩვენში კი ზოგჯერ იმასაც ამტკიცებენ, თითქოს ვორონცოვი ზემოთქმული გარჯით რუსეთის იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა. აი, აბრუნდიც ამასა ჰქვია! თუკი ქართულ თეატრსა და ქართულ ჟურნალს დააარსებ, გინდ რუსეთის იმპერიას ემსახურებოდე და გინდაც — ეშმაკისას.

დავუბრუნდეთ აკაკი წერეთელს, რომელიც თავის პოემაში „ვორონცოვი“ ნაწარმოების მთავარ გმირს ათქმევინებს:

„მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად ისე, როგორიც ყოფილა ძველად, მისი წარსული მომავლისათვის ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად; არც რჯულს შევეხო, არც ეროვნებას, არც მის სიწმინდეს, მის დედა-ენას, რომ არ უშლიდეს მომავლისათვის სწორსა მსვლელობას და აღმაფრენას!“

თამაზ ჯოლოგუა აღნიშნავს, რომ იმ რეფორმების გატარებისას, რომლებიც ქართული კულტურის აღორძინებას ემსახურებოდა, ვორონცოვის უახლოესი თანამშრომელი იყო დიმიტრი ყიფიანი, დიახ, დიახ, სწორედ ის კაცი, ვისაც მიუძღვნა აკაკიმ თავისი „განთიადი“ — შედევრი შედევრთა შორის.

ზემოხსენებულ პოემაში დიმიტრი ყიფიანი, ვორონცოვის პროგრამის გაცნობის შემდეგ, ასე მიმართავს მას: „კურთხეულ იყოს თქვენი განზრახვა და მობრძანება მთავარ-მართებლად! თქვენთვის თავს დასდებს მთლად საქართველო და გაუხდებით სადიდებელად!“

ჩვენ კი ვორონცოვის მოედანს საარბრიუკენი დავარქვით... რას იზამ, ევროპელები უნდა გახდეთო!

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში გაიმართა ცნობილი ქართველი მხატვრისა და პროზაიკოსის, პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის წევრის, დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატ რეზო (ემელიანე) ადამიას ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „კოსმიურ მუზათა ქარიშხალია გალაკტიონში“. ვერნისაჟზე წარმოდგენილი იყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიით შთაგონებული და შექმნილი ტილოები.

საგამოფენო დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. იყო ბევრი თბილი სიტყვა ბატონი რეზოს შემოქმედებაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე. გალაკტიონის ძმისშვილმა **ნოდარ ტაბიძემ** ასე მიმართა მხატვარს: „აღტაცებული ვარ გამოფენით. გალაკტიონი დანახულია ორიგინალურად, წინ იწევს სიმართლის, ფილოსოფიური ხედვა... მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის, თქვენ ეს დაიჭირეთ და ამიტომაც ასე მშვენიერია თქვენი სურათები“.

„ბატონი რეზოს ნამუშევრები დიდი სიყვარულითაა შესრულებული, ხელოვანი კარგად გრძნობს გალაკტიონის ენას, დიდებული ხელოვანი, კარგი, მეტყველი, ნიჭიერი მხატვარი,“ — ასე შეაფასა ქალბატონმა **ია მუხრანელმა**. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ — **მაყვალა გონაშვილმა** მადლობა გადაუხადა მხატვარს დიდებული გამოფენის მოწყობისათვის. პოეტმა დავით შემოქმედელმა განწყობა ვერ დამალა: „სულიერებადაკარგულ სამშობლოში ბატონი რეზოს ნამუშევრებს დიდი სითბო და სიყვარული ახლავს, ამ ასაკში ამდენი ნამუშევრის შექმნა გმირობის ტოლფასია“.

მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრეს პოეტებმა: **მიმოზა ცანავამ, თინათინ მღვდლიაშვილმა, ნუნუკა გურალიამ, ნომადი ბართაიამ, შოთა ტოგონიძემ, ნინო სალუქვაძემ**, აკადემიკოსებმა: **როინ მეტრეველმა** და **ჯუმბერ ლომინაძემ**, კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა**, პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელმა **ამირან შალიკაშვილმა**, მხატვრებმა: **გურამ ცერცვაძემ, გია მარკოზაშვილმა, ტარიელ ქუთათელაძემ**. ფოტოკორესპონდენტმა **დემიკო ლოლაძემ**, მწერალმა **აკაკი ბრეგაძემ**, გალაკტიონ ტაბიძის მეგობრის ქუჩუ (დემონი) ქავთარაძის ძმის შვილიშვილმა **ნინო ქავთარაძემ**. **მაია და მედეა ადამიებმა** — რეზო ადამიას ქალიშვილებმა ისაუბრეს მამის მუშაობის პროცესზე. „...მამა ნამუშევრებს მხოლოდ კლასიკური მუსიკის ფონზე ქმნის, ცხოვრება ფუნჯის, კალმის და წიგნის გარეშე არ შეუძლია, სულ რაღაცას ეძებს, იკვლევს. სახელოსნოში ბევრ სტუმარს იღებს, ხშირად მათ თავისი ნამუშევრით აჯილდოებს,“ — თქვა მაიამ.

ბატონმა რეზომ მადლობა გადაუხადა ხელოვნების მოყვარულთა და ოჯახის წევრებს, რომლებიც ყოველნაირ პირობას უქმნიან შემოქმედების გაღრმავებაში.